

F-567  
1993

საქართველოს  
ენობის


# თეატრის და ცხვენება



1.

1993

---



ვახტანგ ტაბლიაშვილი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის  
პრემიის ლაურეატები



ლევან სვანაძე



გიორგი გვიშვიანი

სანდრო ახმეტელის სახელობის  
პრემიის ლაურეატი



კოტე გვიშვიანი

# თეატრი და



# ცხოვრება

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი,

სარედაქციო კოლეგია:

ეთერ გუგუშვილი,

ნოდარ გურაბანიძე,

ვასილ კიკნაძე,

ზაია კობახიძე,

ნათელა ურუშაძე,

როზარტ სოფრია,

ერეკლია ქაკელიაშვილი,

ნინო შვანგირაძე,

თემურ ჩხეიძე,

თამაზ ვილახე,

დირიგირი ჯანელიძე.

1

1993

იანვარი,

თებერვალი

1910—1926 „თეატრი და ცხოვრება“

1956—1990 „თეატრალური მომბე“

ტანკში ჩასვა, თრულსა და ქარ-წვიმაში ველ-ველ ატარა, რამე მკაცრ  
რეალობაშიც ისევე დაიცვას სამშობლო, როგორც სცენაზე და  
ცავს.

სწორედ ამიტომაც უნდა აღგვენიშნა ქართული თეატრის დღე.  
მართალია, დღესასწაული ტკივილიანი, იქნებ, ცრემლიანიც კი გა-  
მომდგარიყო, მაგრამ... თავისი უნდა მიპგებოდა იმას, ვინც ამას  
იმსახურებდა — ჩვენს წინაპარო, ქართული თეატრის მოამაგეთ.

ამას ისიც ერთეოდა, რომ შესრულდა 25 წელიწადი რუსთავეის  
თეატრის დაარსების დღიდან. 25 წელიწადი მას შემდეგ, რაც შეიქ-  
მნა საქართველოს 60-70-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო თე-  
ატრი.

აი, ამან შეჰყარა ქართული თეატრის მოღვაწეთა არცთუ დიდი  
ჯგუფი 14 იანვარს რუსთავეში.

სადღესასწაულო სხდომის დასაწყისშივე სთმ კავშირის თე-  
მჯდომარემ გივა ლორთქიფანიძემ ჯერ რუსთავეის თეატრის აწ გარ-  
დაცვლილი მსახიობები მოიგონა, მერე საქართველოს მთლიანობი-  
სათვის დაცემული ვაჟკაცები და დარბაზს სთხოვა ფაზზე ადგომით  
ევით პატივი მათი ხსოვნისათვის. შემდეგ გ. ლორთქიფანიძე აცხა-  
დებუ კოტე მარჯანიშვილის, სანდრო ახმეტელის პრემიების ახალ  
ლაურეატთა გვარებს.

აცხადდება ყოველწლიურ კონკურსში გამარჯვებულ რეჟისორთა,  
მსახიობთა, მხატვართა გვარები.

გივა ლორთქიფანიძე სიამაყით ლაპარაკობს იმის თაობაზე, რომ  
ქართული თეატრის დღევანდელი მსახიობები განაგრძობენ მაჩაბ-  
ლის დასის ტრადიციებს — იბრძვიან სამშობლოსათვის. იგი აცხა-  
დებს იმ მსახიობთა გვარებს, ვინც დღეს იარაღით ხელში იცავს  
მამულის მთლიანობას.

გ. ლორთქიფანიძე დღესასწაულის სტუმრებს აცნობს საქართვე-  
ლოს სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტის თავმჯდომარის  
გულუარდ შევარდნაძის მისალმებას ქართული თეატრის დღისადმი.

საქართველოს კულტურის მინისტრი თავით მალრადე აქვეყნებს  
კულტურის სამინისტროს დადგენილებას იმის თაობაზე, რომ ქარ-  
თული თეატრის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის სამინისტროს  
პრემიით დაჯილდოვდა გამოჩენილი რეჟისორი მიხეილ თუმანიშ-  
ვილი.

მიხეილ თუმანიშვილმა მადლობა გადაიხადა ყურადღებისათვის  
და დასძინა:

— მე კარგად ვიცი, თუ რას ნიშნავს სანგარში ჯდომა ზამ-  
თარში, ამიტომ ამ პრემიას თავდაცვას ფონდში ვრიცხავ.

ქართული თეატრის დღესთან თა რუსთავეის თეატრის 25 წლის-  
თავთან დაკავშირებით მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვას:  
საწარმოო გართიანება „ახოტის“ გენერალურმა დირექტორმა დემნა  
ყარაულაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გიორგი გეგეჭ-  
კორმა, „ქიმიოტეკოს“ წარმომადგენელმა ზაირა კოკაიამ, ზეიმს ვერ

ესწრებოდა მეტალურგიული ქარხნის დირექტორი გურამ ქაშაკაშვილი, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი მისთვის ერთობ მეფურის საჩუქარი — 200 000 მანეთი გაეღო მეტალურგთა სახელით რუსთავის თეატრისათვის. თ. ზაქარაშვილის ამ ცნობას სიხარულით შეხვდა დარბაზი. განსაკუთრებით კი თეატრის დირექტორი ჯემალ მაზიაშვილი. სხვამ ვინ. თუ არა დირექტორმა. იცის ამ საჩუქრის ფასი. მას რამდენიმე წლით უზრუნველყო თეატრის საფინანსო მდგომარეობა. თუმცა, როგორც რუსთავის გამგებლის, აწ უკვე მერის სოსო არეშიას გამოსვლიდან ჩანდა, ქალაქ რუსთავის ხელმძღვანელობა, მისი ფაბრიკა-ქარხნები უპატრონოდ არ მიაგუებენ თეატრს და მის მსახიობებს მუშაობის საშუალებას მისცემენ.

მაყურებელმა ინტერესით უყურა რუსთავის თეატრის ახალ სპექტაკლს „გაყრა.“ რომელიც რეჟისორმა რევას მირცხულავამ სწორედ ამ დღესასწაულთან დაკავშირებით განახორციელა.

იყო ზეიმი თეატრისა.  
მაგრამ იყო ტკივილიც.

### უზლოცავთ!

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრეზიდენტმა და ამტკიცა კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილება და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია, 10 000 მანეთის ოდენობით, მიანიჭა:

**ლევან სვანაძეს** (რეჟისორი) და **გიორგი გეგეჭკორს** (მხატვარი) — ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრში განხორციელებული სპექტაკლისათვის ა. კაშიუს „კალიგულა“.

**ვახტანგ ტაბლიაშვილს** — რეჟისორს, წიგნისათვის „რეჟისორის ჩანაწერები“.

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრეზიდენტმა და ამტკიცა სასწრაფო ახმეტელის სახელობის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილება და პრემია, 10 000 მანეთის ოდენობით, მიანიჭა:

**კოტე მახარაძეს** — მსახიობს, ვერცხო ანჯაფარიძის სახ. ერთი მსახიობის თეატრში განხორციელებული სპექტაკლისათვის ლ. სანიკიძის „ბაგრატიონები“.

## სოციალური კონკურსი — „საზონის საუკეთესო ქართული ნაწარმოები“ (1991-92 წლების სეზონი)

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრეზიდიუმმა და-  
ამტყიცა სოციალური კონკურსის ჟიურის დადგენილება და სეზონის  
საუკეთესო ნამუშევრებისათვის მიანიჭა პრემია — თითოეულს  
2000 მანეთის ოდენობით:

რეჟისორული ნამუშევრისათვის:

**შალვა გაწერელიას** — ცენტრალურ საბავშვო თეატრში განხორციელებული სპექტაკლისათვის ი. სამსონაძის „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“.

**გაიონ უორდანიას** — შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე სცენაზე განხორციელებული სპექტაკლისათვის მ. ჯავახიშვილის „მუსუსი“.

**ამირან შალიკაშვილს** (მუსიკალურ ჟანრში) — პანტომიმის სახელმწიფო თეატრში განხორციელებული სპექტაკლისათვის ვაჟაფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“.

**ბექა ქავთარაძეს** (ახალგაზრდა რეჟისორი) — სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახ. სახელმწიფო ქართულ თეატრში განხორციელებული სპექტაკლისათვის ე. ოლბის და ე. კოკტოს „მარტოობის დღესასწაული“.

### აქტიორული ნამუშევრისათვის:

**ნაირა გლუნჩაძეს** (მუსიკალურ ჟანრში) — დეზდემონას როლის შესრულებისათვის ზაქარია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის სპექტაკლში ჯ. ვერდის „ოტელო“.

**ლილი ხურითს** — ქალის როლის შესრულებისათვის სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახ. სახელმწიფო ქართული თეატრის სპექტაკლში ე. ოლბის და ე. კოკტოს „მარტოობის დღესასწაული“.

**ქეთევან ჩხეიძეს** (ახალგაზრდა მსახიობს) — მელანოს როლის შესრულებისათვის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე სცენის სპექტაკლში მ. ჯავახიშვილის „მუსუსი“.

**რევაზ თადართქილაძეს** — ნოეს როლის შესრულებისათვის ცენტრალური საბავშვო თეატრის სპექტაკლში ი. სამსონაძის „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“.

**ალეკო მახარობლიშვილს** — ომარის როლის შესრულებისათვის ცენტრალური საბავშვო თეატრის სპექტაკლში ი. სამსონაძის „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“.

**ვალერი არღვლიანს** — ბერიკაცის როლის შესრულებისათვის

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახ. ქართული სახელმწიფო თეატრის სპექტაკლში აკაკი წერეთლის „სამეფოო ძველთა ძველო...“

**დიმიტრი ჯაიანს** — აქტიორის როლის შესრულებისათვის სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახ. ქართული სახელმწიფო თეატრის სპექტაკლში აკაკი წერეთლის „სამეფოო ძველთა ძველო...“

**რევაზ ჩხიკვიშვილს** — კალიგულას როლის შესრულებისათვის კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლში ა. კამიუს „კალიგულა“.

**ზაზა ქაშიბაძეს** (ახალგაზრდა მსახიობი) — ედუარდო პალუმბოს როლის შესრულებისათვის სანდრო აბმეტელის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლში რანდონეს და მაროტას „ქვირვთა წუგუნისმცემელი“.

### სცენოგრაფიისათვის:

**აივინგო ჭელიძეს** — ცენტრალურ საბავშვო თეატრში განხორციელებული სპექტაკლისათვის ი. სანსონაძის „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“.

**მამია მალაზონიას** (მუსიკალურ ქანოში) — ბანტომიმის სახელმწიფო თეატრში განხორციელებული სპექტაკლისათვის ვეა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“.

### თეატრმოცოდნისათვის:

**ეთერ გუგუშვილს** — ჟურნალ „ხელოვნებაში“ (№ 5, 6, 1992 წ.) გამოქვეყნებული რეცენზიისათვის „მონოლოგი ბაგრატიონების შესახებ“.

**პრემია ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის მიენიჭათ:**  
**ნაოვლა მუხუღიშვილის და ლერი მიშველაძეს** — რუსთავეს სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებს.

**ნინო ჯამალაშვილს** — რუსთავეს თოჯინების სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ ამ წლიდან დააწესა ყოველწლიური პრემია „წლის საუკეთესო ხელოვანი“, 10 000 მანეთის ოდენობით. ამ პრემიის პირველი ლაურეატი გახდა ქართული თეატრის პატრიარქი **მიხეილ თუმანიშვილი**. ბატონ მიხეილს პრემია მიენიჭა ქართული თეატრის განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლისათვის. რეჯისორმა მთელი თანხა საქართველოს თავდაცვის ფონდში გადარიცხა.

ზვიად მოისწრაფიშვილი — ეროვნული  
საოპერო თეატრის ორკესტრის მსახიობი;

პეტრე დავითაშვილი — ეროვნული საო-  
პერო თეატრის ელექტრომექანიკოსი;

გია ჭაფარიძე — ს. ახმეტელის სახ. სახელმ.  
წიფო დრამატული თეატრის მსახიობი;

როლანდ ხუროძე,

გია ფარცვანია,

კახა ძაძაშია,

ნოდარ ფერცულიანი.

ნუგზარ ჭანტურია — სოხუმის კ. გამსა-  
ხურდიას სახ. სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიო-  
ბები;

ჯაბა ჯაიანი — სოხუმის ქართული თეატრის  
ქორეოგრაფი;

აკაკი სვანიძე,

ავთანდილ ქარჩავა — ბათუმის ი. ჭავჭა-  
ვაძის სახ. სახელმწიფო თეატრის მსახიობები;

ალექსანდრე დოღობერიძე — მესხეთის  
(ახალციხე) სახელმწიფო დრამატული თეატრის ლიტ.  
ნაწილის გამგე, თეატრმცოდნე.

თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები:

კახაბერ მელიქიძე,

მამუკა კალანდაძე,

დავით ჭიჭინაძე,

გიორგი ხობუა.

მინდია შუშანაშვილი.

ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახ. სახელმწიფო ქართული  
დრამატული თეატრის მსახიობები:

რუსლან ოტიაშვილი,

მამლეთ გოგოძე,

ჯემალ ჯულუხიძე.

მებრძოლთა დასში ჩაწერა გრძელდება.

რელაქციისაგან: ეს სია არასრულია, თეატრების ხელმძღვანელობას ეთხოვთ  
გვეცნობონ თეატრის იმ მოღვაწეთა გვარები, რომლებიც იცავენ მამულის  
მთლიანობას.



## ზორის თოფურძე

### პატივისცემისა და წაყრუების შედეგი

მე წელია სოხუმის ქართული თეატრის სცენაზე ვმოღვაწეობ, სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ბევრი როლი შემისრულებია, მათ შორის პოლიტიკოსის, მაგრამ ცხოვრებაში არ მიცდია პოლიტიკაში გავრეულიყავი, ამის პრეტენზია არც ახლა გამაჩნია. თუმცა, აფხაზეთში დატრიალებული დიდი ტრაგედია უფლებას არ მაძლევს ჩემი მოქალაქეობრივი ვალი არ მოვიხადო და არ ვთქვა ის, რაც მაწუხებს...

1959 წელს სოხუმის ს. ჭანბას სახ. თეატრში მივიღე პირველი ნათლობა, როგორც მსახიობმა, იმხანად თეატრს ხელმძღვანელობდა ქართული თეატრის შესანიშნავი მოღვაწე შალვა გაბესკირია, მაშინ ქართული და აფხაზეთი დასები ერთ სცენაზე გამოცდილით და აზრადაც არ მოგვსვლია, რომ ხელს ვუშლიდით ერთმანეთს, ერთად ყოფნა ჩვეულებრივ ამბად მიგვაჩნდა, ჩვენ ვიყავით ერთ-ერთის სპექტაკლების პირველი მაყურებლები და რეცენზენტები, ამით უფრო სრულყოფილს ვხდიდით ჩვენს ხელოვნებას, ერთმანეთს უშურველად ვუწიარებდით გამოცდილებას, ვაძლევდით რჩევებს, ამაში უეჭველად დამეთანხმებთან ამ თეატრის ძველი და საშუალო თაობის აფხაზი კოლეგები: ქალბატონი მინადორა ზუზბა, ბატონები ლეონ კახლანძია, შარახ ფაჩალია, ოლეგ ლაგვილაძე, ამირან თანია, ნურბეი კამკია, ნური ქიშმარია და სხვანი და სხვანი, ხდებოდა ისეც, აფხაზ მსახიობებს ვიწვევდით ქართულ სპექტაკლში და ქართველიც ტრადიციულად აფხაზეთ სპექტაკლში იყო მიწვეული, ქართველებს გვქონდა გასვლითი სპექტაკლები გუდაუთის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის აფხაზეთ სოფლებში, აფხაზები კი ქართულ სოფლებში მართავდნენ საგასტროლო სპექტაკლებს, დამეთანხმებით, რომ არაფერი ამაში არ იყო მოჩვენებითი, ამით ჩვენ ვამტყიცებდით ამ ორი ხალხს ტრადიციულ ურთიერთისყვარულს და ნათესაობა-მოყვარეობის ადათს, ასე იყო მაშინაც, როცა თეატრის დირექტორად დანიშნა აფხაზი ქალბატონი ნელი ეშბა, ქალბატონმა ნელიმ უფრო გააღრმავა ეს ტრადიციები, მან თავად რამდენიმე სპექტაკლი დადგა ქართულ დასში, მეც მითამაშეა ამ სპექტაკლებში და დღემდე საუკეთესო მოგონებად დამჩენია ის დღეები.

ქალბატონი ნელის შემდეგ მთავარ რეჟისორად მოვიდა სერგო ჭელიძე, აფხაზეთში დასმა ეს თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად მიიღო, ჩვენი კოლექტივის არც ერთ წევრს, ალბათ, გულშიაც არ გაუფლია მაშინ თეატრს ვინ უხელმძღვანელებდა, აფხაზი თუ ქართველი...

ეს ჩვენ ვიგრძენით მხოლოდ მაშინ, როცა თეატრის ხელმძღვანელად დადგინდა ალექსი არგუნი. მე არ შემძლია, ის, რაც იმ ხანებში ხდებოდა თეატრში, პირადად მას დავაბრალო, იქნებ, ეს ღრმად განაპირობა, რადგან ეს ის პერიოდი იყო, როცა აფხაზ ინტელიგენციაში, პოლიტიკოსებში უკვე აქა-იქ ჩნდება ამბციები, უხერხულად იშმუშნებიან ჩვენი კოლეგებიც ქართული საუბრის მოსმენისას, ბევრ მათგანს ქართული სკოლაც კი ჰქონდა დამთავრებული და, ბუნებრივია, ქართულადვე საუბრობდნენ. მაგრამ ახლა ამას აშკარად გაურბიან, ახალი თაობა მოვიდა, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი, სამწუხაროვ, მათ უფრო გააღვივეს უთანხმოების ნაპერწკალი, საზოგადოებაშიც ჩნდება კონფლიქტი ამ ორ ხალხს შორის, თეატრში ნამდვილი „ხელნართული“ ბრძოლაა. ჭერ იყო და წაგვართვეს სამუშაო ოთახი, რომელიც ქართველი რეჟისორისაოვის იყო განკუთვნილი, შემდგომში კი დაინაწილეს ყველა კაბინეტი... სხვას რომ ვერაფერს გავხდით. მე და სულენათელმა ტარას ხორავამ იძულებით დავტოვეთ კოლექტივი. ბატონი ტარასი ამ ამბავმა იმსხვერპლა, მე კი მაშინდელმა საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიამ მოხოვა დავბრუნებულეთყავი კოლექტივში.

ეს ის პერიოდაა, როცა საზოგადოების განაახილველად პრესაში ქვეყნდება საქართველოს კონსტიტუციის პროექტი. საპროტესტო გამოსვლები იწყება. ფილარმონიის დარბაზში აწკოვნებ კრებას ვაიპოლიტიკოსებისაგან გაბრძვიებული ახალგაზომცხვარი სეპარატისტები და აფხაზი უხუცესები.

ალბათ, ყველა ქართველის მეხსიერებაში დღეს უფრო მძაფრად წამოტივტივდება შიდანი წლები, როცა ზენიტს მიაღწია მათმა თავხედობამ, ერი, რომლის ანბანის შემქმნელია და ერთადერთი კლასიკოსი ცოცხალი იყო, პრეტენზიას აცხადებდა ქართველი ერის კულტურაზე და ემეკვეშ აყენებდა, სადაოდ ხდიდა, რომ აფხაზეთი საქართველო იყო, მაშინ, როცა სულ რაღაც ორი ათეული წლის წინათ მათი დამწერლობა ქართულ ანბანზე იყო აგებული, მათმა ახირებამ, თვალების ბრიალმა და ფეხების ბაკუნმა, რომელსაც „დიდი რუსეთიც“ უბამდა მხარს, აშკარად დააფრთხო, თუ აიძულა საქართველოს მთავრობა არ გაეწყავებინა კონფლიქტი და ამით აფხაზმა სეპარატისტებმა მიიღეს ის, რის სკალალო ნაკოფსაც დღეს ვიშკით.

თეატრის საერთო კრებაზე, რომელიც კონსტიტუციის პროექტის განხილვას მიეძღვნა და პარტიის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელიც ესწრებოდა, აფხაზურმა დასმა კატეგორიულად მოითხოვა გამოყოფა, სულ მალე გამოცხადდა კიდევ პარტიის საოლქო კომიტეტის დადგენილება აფხაზური თეატრის დამოუკიდებლობაზე და ამას მოჰყვა ის, რომ შეცვალეს აბრა თეატრის ფასადზე ასეთი ფორმულირებით: ს. კანბას სახ, აფხაზური სახელმწიფო თეატრი, ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართული თეატრი, რომლის არსებობას აფხაზეთში 100 წლის ისტორია ჰქონდა, ფაქტიურად რჩებოდა ღია ცის ქვეშ, განმკითხავი არავინ იყო. ქართული დასის პროტესტი არც ადგილობრივმა ხელისუფლებამ, არც თბილისში უფრად არავინ იღო, თეატრის შენობა, რომელშიც ჩვენი წინაპრების ოფლი და შრომა იყო ჩაურიდ-ჩაღვრილი, რომლის ფასადი, ფოიე, თუ დარბაზი ქართული ხელოვნების ნიმუშებით იყო მოჩუქურთმებული, აშკარა ძალადობით წაგვართვეს. თეატრის შენობა 1946 წლის ხანძრის შემდეგ ფერფლიდან აღადგინა ქართველმა საზოგადოებრიობამ და ხუროთმოძღვრებმა. მაგონდება ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ეპიზოდი, როცა ჩვენი მშობლიური თეატრიდან იძულებით

გაუთხოვით, ჩვენთან მოვიდა ამ შენობას აღმაშენებელი, აწ გარდაცვლილი ფეოდალური გვარისა და შეგვიძახა, სად მიღიხართ, ქართველთა სახსრებითა და ოფლით მგვინ ბულ შენობას როგორ სტოვებთო. თან იმ ქართველთა სია წარმოგვიდგინა, ვინც დიდი შემოსაწიერი გაიღო. ამ სიაში ეწერა ერთადერთი აფხაზის გვარი და სახელი. ეს გახლავთ ნება მარღანია...

დაძაბულობამ მას შემდეგ იმატა, როცა რუსთაველის ბიუსტი, რომელიც ამ თეატრის ფოიეში იდგა, საღლაც გაქრა, შემდეგ იგი თეატრის სარდაფში ვიპოვეთ დამსხვრეული. ბ. ადლეიბამ, რომელიც მაშინ პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო, დახმარებაც კი აღგვიოქვა, საკითხი ბიუროზეც გაიტანეს. მაგრამ უცელაფერი ამოა იყო, აფხაზური მხარე უკვე ისე იყო ფეხმოკიდებული, აბა ვინ რას გავხლებოდიო. იმხანად ქართულ დასს ხელმძღვანელობდა დავით ცისკარიშვილი. შეუღრეკელი და ამჟამი კაცი, პროფესიონალი ხელოვანი, ნამდვილი ქართველი, იგი აშკარად და თავდაუზოგავად ებრძოდა აფხაზთა კაპრიზებს. არ პატიობდა მათ. ამ პირუპირობის გამო ის „ნაციონალისტად“ მონათლეს და სულ მალე მოაშორეს თეატრს. იმ ხანებში მისი თავკაცობით ჩვენ გახლდით თბილისში კულტურის სამინისტროში, გვექონდა მიღება საქართველოს მინისტრთა საბჭოში, იქ დაგვმომღვრეს, გვთხოვეს მოთმინება, აკეთეთ თქვენი საქმე და რაღაც იქნებაო, სწორედ ამ მოთმინების შედეგს ვიმკით დღეს ჩვენი შვილების სსღ-ს ფასად. ასე გამოგვყარეს ქართველები ქართული თეატრიდან და თავი შევაფარეთ პიონერთა სასახლეს.

ჩვენი განწყობა, ბუნებრივია, მაკურებელსაც გადაედო. 1976 წლის სექტემბერს ქართველ მემკვიდრეთა ჯგუფი ეწვია რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, კერძოდ ბატონ ელთარად შვეარდნაძეს. რა თქმა უნდა, მანაც გულწრფელად მიიტანა გულთან ჩვენი გასაქარა, მაგრამ ვითარება დიდად არ შეცვლილა, ეტყობა მაშინ უფრო ძნელი იყო აფხაზებთან კონფლიქტში შესვლა, რადგან იმპერიული რუსეთი ყოველმხრივ ეხმარებოდა მათ, იქვე გადაწყდა, რომ 1982 წლისათვის ხელშეშობი, რუსთაველის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყებოდა ახალი ქართული თეატრის აშენება. შედეგა პროექტი, რომელსაც განხორციელება არ ეწერა, რადგან აფხაზებს სწორედ მაშინ „გაახსენდათ“, რომ თურმე იმ ადგილზე, სადაც შენობა უნდა აგებულიყო, იმარხებოდა „ნაშთი ძველი დიდებისა“ და ეს-ესაა არქეოლოგიურ გათხრებს უნდა შედგომოდნენ, ეს ახირებაც აღვიღადა გაუვალო.

ჩვენს თეატრს ახალი ხელმძღვანელი იური კაყულია მოეციონა. მასაც ეგონა, რომ რაინც გახლდებოდა აფხაზი სეპარატისტებს თავიხელობასთან, მათთან იბრძოლა შეუღრეკელად, თანაც თავის საქმეს ბრწყინვალედ უძღვებოდა. რეპეტიციებს ვატარებდით გულწრფელის რაიონის სოფელ მაქარას კულტურის სახლში. პრენიერებსაც აქ წავატარეთ. პრემიერები გვექონდა აგრეთვე ზუგდიდის ინსტრ. კომპანეტის სცენაზე. ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, თბილისის შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრის სცენაზე შეაფარებელი უცელაფან თანაგრძობით. გაგებით გვხვდებოდა, მაგრამ უცმაყოფილონი ინტელუქულობასაც ვეწამებოდნენ. ძნელად თუ დააჯერებდი ვინმეს იმ თავხედობაში, რასაც იმხანად აფხაზურა მხარე იჩენდა, სწორედ იმ შეღავათებში, რასაც საზოგადოება და ზემდგომი ორგანოები უწყებდნენ ამ ხალხის მიმართ, განაპირება დღევანდელი



ჩვენ და მათი უბედურება. იმ რამდენიმე კაცმა, რომელთაც ყოველთვის მოსწონდათ თვისებები, რომლებიც ამდგრებდა წყალს, ჩვენ ორ ხალხს შორის შუღლი ჩამოგადეს, იმ „თავკაცების“ მოშორება დღეს ორივე ერს გადაარჩინდა. ისინი კი ჩვენს მოფერებას ღაცინვით, ზიზღით უყურებდნენ. არ აპატუნს მათ იური კაცულიას ქართული თეატრისთვის თავდადება, შაღვ იმავე იარაღით, რითაც წინა ხელმძღვანელი, ფაქტიურად გააძევეს სოხუმიდან.

მოგვიანებით თეატრისთვის სრულიად შეუფერებელი შენობა მოგვეცეს, მაგრამ ამის თაობაზე უკვე არავინ წუხდა. ამ შენობას დღეს ისევე გვედავებიან აფხაზები, ნუ იტყვიან: თურმე ამ ადგილზეც არის მათი წინაპრების უტყუარი ნაკვალევი და არქეოლოგიური გათხრები უნდა დაიწყოს. ამიტომაც არ იძლევიან შენობის რესტავრაციის და გაფართოების უფლებას. მართლაც, რომ ბედის ირონიაა.

დღეს ქართული თეატრი დღეს, დიდი გოეთე ამბობდა: „საკუთარ თავთან ბრძოლა ს გარეშე შემოქმედს ჩაეჩინება. ძილი ხელოვნისა სამწუხარო ხანაზეა“. ჩვენი თეატრის ხელმძღვანელობამ კარგა ხანაა გაიხურა კარი. საზოგადოებას უჭირს გონომიურად, ამ ვასაქირს უფრო გრძნობს იგი, როცა უჭირს სულიერად, მორალურად. ერის სულის მასწავლებელი სოხუმის ქართული თეატრი, მისი კოლექტივი დღეს ბრძოლის წინა ხაზზეა. ამ ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი, ჩემი აზრით, უნდა იყოს უსამართლოდ, თავხედურად წართმეული ქართული თეატრის კუთვნილი შენობის დაბრუნება, სადაც არსებული თეატრის არქივი ვინ იცის, რა დღეშია, ამაში ქართულ თეატრს მხარში უნდა ამოუდგეს ხელისუფლება. ახლა ამის დრო აღარ არის, ვიცით ომია, ნაგრ.მ ომი რომ დამთავრდება, ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი უნდა მოგვარდეს.

აფხაზთა ერთი ნაწილის თავგასულობამ, რომელსაც კონფლიქტს ვეძახით, თავს დაგვატება ომი. დროა ჩვენც მოვევოთ გონს, კმარა ჭირთათმენა, ერთხელ და საბოლოოდ უნდა დაესვას წერტილი იმ ჭირვეულობას, რომელსაც ჩვენ ერთი მუტა სეპარატისტებისაგან ვითმენდით, ისინი არასოდეს გამოხატავდნენ აფხაზი ხალხის ინტერესებს, მით უფრო ამჟამად, როცა მათმა ამბიციებმა, სიჭაუტემ და უპრინციპობამ იმსხვერპლა ქართველი და აფხაზი ბიჭების ღამაში სიცოცხლე. მიემართავ ჩემს კოლეგებს, მეგობრებს, ხმა ავიმადლოთ იმ ვაიპოლიტიკოსთა წინააღმდეგ, რომლებსაც უფსკრულისკენ მიჰყავთ თავისი ხალხი.

# საქტაკლები

## წაღია შალუტაშვილი

### თეატრი აღმავლობის გზაზე

ა. გრძობედოვის სახელობის თეატრი, რომელსაც მიმდინარე წელს საიუბილეო თარიღი უსრულდება, მედამ ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო კოლექტივად. ამ სცენაზე არა ერთი ღირსშესანიშნავი დადგმა განხორციელდა, რომლებმაც საერთო აღიარება მოიპოვეს. აქ ქართული პიესებიც დაიდგა და მათურბლოს სიმპათიითაც სარგებლობდნენ.

მაგრამ დადგა ურო და ამ თეატრს ბოლო ათწლეულში კრიზისის პერიოდი დაეწყო. სწორად იცვლებოდა საშატკრო ზღვამდე, ლენელები, წამყვან მსახიობრგან ზოგი გარდაიცვალა, ზოგმაც დასტოვა თბილისი. ამიტომ ამ ბოლო ხანებში თეატრის არ შექმნილა ღირსშესანიშნავი დადგმები, რომელნიც საზოგადოების ყურადღებას მიიპყრობდნენ. რეპერტუარს მოუძალა დაბალი, გამართობი ზასიათის „ერთდღიანი“ პიესები, რომელთაც ამ კოლექტივის ბიოგრაფიაში შესამჩნევი ადგილი ვერ დაიკავეს. აფიშებოდან გაქრა კლასიკა, პრობლემური დრამატურგია. ცხადია, ამას არ შეიძლება, გავლენა არ მოეხდინა მსახიობების თამაშზეც, სპექტაკლებში დაიკარგა გატაცება, შთაგონება, კრიტიკაც გვერდს უვლიდა პრობლემებს, რომლებიც ჭეშმარიტად ახშობდნენ შემოქმედებით ცხოვრებას. სამწუხარო ისიც იყო, რომ თეატრს ფაქტიურად არა ჰყავდა ახალგაზრდა ცვლა,

ჭირდა სერიოზული პიესის ამ დასზე განაწილება, და აი, კვლავ შეიცვალა ზელმსდვანელობა — მთავარ რეჟისორად დაინიშნა სოხუმის კ. გამსახურდიას სახ. დრამატული თეატრის ყოფილიმთავარი რეჟისორი გიორგი ქავთარაძე.

ნახევარი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თეატრში ზელმსდვანელობა შეიცვალა და ნათელი გახდა, რომ გ. ქავთარაძემ შესძლო ძირითადი და უმძიმესი შემოქმედებითი და ორგანიზატორული პრობლემების გადალახვა.

ამ შემოქმედს თეატრისა და კინოს ყველა თაყვანისმცემელი დიდი ხანია იცნობს და იგი, როგორც რეჟისორი და მსახიობი, საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. მას, როგორც პიროვნებას, ორგანიზატორულ ნიჭთან ერთად, ახასიათებს იშვიათი კომუნიკაბელობა. შემოქმედებითი გატაცება, მან „ამოსწია“ ბათუმის, ქუთაისის, სოხუმის თეატრები ულომლამო ცხოვრებიდან, გააცხოველა შემოქმედებითი მუშაობა და ამის მოწმენი ვართ ყველანი, რად ღირს თუნდაც მისი სოხუმის თეატრის დადგმები, რაოდენ დიდი პოპულარობა მოიპოვეს მათ და ღირსეული ადგილი დაიკავეს არა მარტო ამ კოლექტივის, არამედ მთელი ქართული თეატრის ისტორიაში. და აი, რუსული თეატრი. ქართ-

ველი რეჟისორი მოვიდა თითქმის სულთმოპობავე კოლექტივში და რაღაც ნახევარი წლის მანძილზე კვლავ დაუბრუნა მყურებელი თითქმის დაცარიელებულ დარბაზს, ამოქმედდა კოლექტივის ყველა წევრი. გასული წლის დასასრულსა და ამ წლის სეზონის დასაწყისში განახორციელეს ისეთი დადგმები, როგორიცაა ალდო ნიკოლაის კომედია „წმინდა ოჯახი“, ლეიდის „მომავალ წელს ამავე დროს“, სვ. ლეგენტოვის „ედიტ პიაფი“, საბავშვო წარმოდგენა-კოროსტილოვის „ექიმი აიბოლიტი“. ახალგაზრდა რეჟისორმა ი. ფილიევმა დაუგაზდაპარი „თოვლის ქალი“. განსაკუთრებით სასიამოვნოა ის, რომ გ. ქავთარაძემ ვაბედულად მოჰკიდა ხელი რუსულ კლასიკას.

ეს ორი სპექტაკლი, რაგინდსადავოც არ უნდა მოგვეჩვენოს მისი ზოგიერთი ადგილი რეჟისორული და სანსახიობო შესრულების თვალსაზრისით, თეატრალური საზოგადოებრიობის სერიოზული ყურადღების ღირსია. ამ სპექტაკლებმა თვალნათლივ დაგვანახვეს კოლექტივის მაღალი პროფესიული კულტურა, ჩინებული სცენოგრაფია, მძლავრი და დამოუკიდებელი, ორიგინალური რეჟისურა და, რაც განსაკუთრებით სასიამოვნოა, ამ წარმოდგენებში გამოვლინდა მთელ რიგ მსახიობთა შემოქმედებითი პოტენცია, თეატრმა, ბოლოს და ბოლოს, მიიღო ნიჭიერი ახალგაზრდობის შევსება.

გ. ქავთარაძე, როგორც შემოქმედი, მთავარ მიზნად მიიხედ და მიიხედ არ ეძიებს რეჟისორულ ნოვაციებს, არა აქვს რაღაც

ორიგინალური ხერხებით მარტო რეპლის ემატირებისადმი სწრაფვა, სურვილი, გაკვირვება გამოიწვიოს. ამგვარ რეჟისორულ თვითგამოკლების ნოვაციებს ჩვენ დიდი ხანია შევეჩვიეთ და მოგვბეზრდა კიდევ.

გ. ქავთარაძე დადგმის სიახლეს მის ფორმალში კი არ ეძებს, თუმცა, ფორმას მისთვისაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს. არამედ ნაწარმოების მოქმედ პირთა ხასიათების სიღრმისეულ წვდომაში.

ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ კ. სტანისლავსკის შემდეგ მრავალგზის განხორციელდა. ჩვენ ვნახეთ ბალტიისპირეთის, რუსეთის თეატრების, სახელგანთქმული პიტერ ბრუკის, შტანისის სპექტაკლები. წელს მოსკოვში ჩატარდა ა. ჩეხოვის ფესტივალი, რომელზეც, ცხადია, „ალუბლის ბაღიც“ იყო წარმოდგენილი.

კარგ სპექტაკლებთან ერთად, ზოგი ამ დადგმებიდან თავისი გულღებწყვილობით ღიმილს იწვევს. ზოგი აკრობატიკაშია გადასული და ჩეხოვის არა-რა ატყვია, და აი, ამ დადგმათა შორის, ჩემის აზრით, გ. ქავთარაძის სპექტაკლს თავისი ორიგინალური გადაწყვეტით შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს.

გ. ქავთარაძე კლასიკის გათანამედროვებას ექსცენტრიკით კი არ ცდილობს, არამედ ნაწარმოებში სიღრმისეულად ეძიებს იმ უხილავ ძაფებს, რომელნიც თანამედროვეობას უკავშირებს. „ალუბლის ბაღშიც“ რეჟისორებმა გ. ქავთარაძემ და ლ. ჯაშმა სოციალური დრამა დაინახეს, ის სოციალური პრობლემები, რომლე-

ბიც დღეს გვალეღვებს და გვაწუხებს. ამიტომაც, სპექტაკლის მთავარი გმირები არა წარმავალი აზნაურები რანევსკაია და ვაევი არიან, არა ის, ალუბლ-ს ბაღის პოეზია (იგი მხოლოდ ბაღის პატარა მაკეტში ავანსცენაზე), არამედ მტაცებელი მესაქმე, მოხერხებული საქმიანი ლოპახინი, რომელიც მზადაა გადაუდგეს გაკოტრებულ მეგობრებსაც კი, რათა იყიდოს ბაღი „რომელზე უკეთესიც არსად მოიპოვება“, რათა გაჩებოს თეთრად გადახეტილი უმწვენიერესი ხეები და ამ ცარიელ ადგილზე ააშენოს აგარაკები, მოგება მიიღოს (პიესის ამგვარ გადაწყვეტაში ისიც შეიძლება გვენიშნოს, თუ როგორ საქმოსნურად, ვეპყრობით დღესაც ბუნებას.)

როგორც აღვნიშნეთ, სპექტაკლის დამდგმელები არ გაუბრბიან პირობითობას, ფანჯარაში აყვავებული ხეების, გაღარიბებული სახლის ნაცვლად, ამ უდესლაც მდიდარ, ბრწყინვალე სახლში (ამას თავს უსვამს ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვარი გ. გეგეჭკორი) დიდი მოოქროვილი ჩარჩოები, ამათ იქით კი უსაგნო, ნათელი სივრცე, ამ ჩარჩოებში, თითქოს ძველებურ დაჯგოფებებში, გაყინულ მიზანსცენებში, თითქოს აპარატის წინ განლაგებულან მოქმედი პირები, რომელთაც პარალელური დიალოგები მიჰყავთ, ამბობენ, ჩეხოვის გმირები მხოლოდ დაპარაკობენ და არაფერს აკეთებენო. ამ სპექტაკლში ხშირად ორმაგი მნიშვნელობა ეძლევა და ფარული გომობები, ფიქრები გამოსჭვივის, რაც წარმოდგენას შინაგან მოქმედებას ანიჭებს, ზამბარსავით დაძაბულს

ხდის მას. მოქმედი პირნი რაღაცით მარიონეტებს მოგვაგონებენ, რომელთაც ბედისწერა უნიღბავი მათებით ამოქმედებს. შეიძლება ამიტომაც სპექტაკლის დამდგმელებმა მესამე მოქმედებაში მეჯლისის მაგივრად მასკარადი გვიჩვენეს, ნიღბები და არა ადამიანები, რომელნიც ისტორიის, ბედის მიერ არიან განწირულნი, რადგანაც ახალ ცხოვრებას, ახალ დროს ალღო ვერ აუღეს, ვერ მიიღეს იგი.

აღსანიშნავია წარმოდგენის სცენოგრაფიული გადაწყვეტა (მხატვარი-მოდელიერი ლ. ფედორენკო). ალუბლისფერი, თეთრი და შავი ვარკვეულ განწყობილებას ქმნის და ხელს უწყობს სპექტაკლის იმოციურ ელერაობას.

რასაკვირველია, პირველ რიგში, აღსანიშნავია მსახიობები. დამდგმელები ქმნიან ანსამბლს, რომელშიც ყოველი გმირი, როგორც ორკესტრში, თავის პარტიას, თემას ავითარებს. პოეტური, სუსტი და გულობრაყილოა რანევსკაია ნ. კილოსანიძის შიშრულუბით, იგი თითქოს სიზმარში, გამოჯონილ სამყაროში ცხოვრობს, მისი მოძრაობები, ხმა გაუბიდაია, არ ძალოქმს რაიმე გადაწყვეტილების მიღება, ამიტომ მუდამ ყოყმანობს და თავისი პრობლემების გადასაწყვეტად, სხვებისაგან მოითხოვს შიღლას. მისი სიეთვიც რაღაც ფერმკრთალი და უსუსურია.

რანევსკაია-კილოსანიძის გვერდით თეთრებადი, ძალომი ენარგითაა სავსე ჯ. სიხაროლოძის ირმოლია ლოპახინი. დამდგმელებმა შეგნებულად ჩამოაკალეს ამ

საგარეო ურთიერთობების  
მინისტრო



გმობს ინტელიგენტობა, რა-  
 ზეც პიესაშია ლაპარაკი იგი ქეშ-  
 მარტი მტაცებელია. გაშიშვლე-  
 ბული და ხარბი ცინიკოსი. მსახი-  
 ობი ამას გამოხატავს მბრძანებ-  
 ლურ ტონით. ქავეაშიც იგი,  
 ჯერ კიდევ მამულს შექანამდე,  
 მის ბატონ-პატრონად გრძნობს  
 თავს, შესაბამისად ექცევა მოსამ-  
 სახურე ქალს. თვით რანეცკაის  
 ქალიშვილს ანისაც კი. აქ დამდ-  
 გვლებმა, სამწუხაროდ, ზომიერ-  
 რება დაჰკარგეს. ანია (ი. მეღვი-  
 ნეთუხუცესი), ჩეხოვის მიხედ-  
 ვით, სუფთა, ნათელი ქალიშვი-  
 ლი, როგორც ეს სპექტაკლშია,  
 შეუძლებელია ლოპახინის ლუკმა  
 გახდეს. ეს თვით პიესის ვიდე-  
 აზრს ეწინააღმდეგება. სპექტაკლ-  
 ში, ჩეხოვის სამყაროში (ლოპახი-  
 ნი, სემიონოვ-პიშიჩიკი ს. პილიე-  
 ვის შესრულებით) ხელოვნურა-  
 დაა შებოჭილი ა. ოსტროვსკის  
 სამყარო, მისი სტილისტეა. რაც  
 არ შეესატყვისება საერთოდ ჩე-  
 ხოვის პოეტიკას და დისონანსად  
 ეღერს.

„აღუბლის ბაღი“, ისევე რო-  
 გორც ჩეხოვის სხვა პიესები,  
 XIX საუკუნის დასასრულის რუ-  
 სეთის ინტელიგენტის ბედს ასა-  
 ხავს. გვიჩვენებს თავისთავად  
 არცთუ კიდ აღამიანებს, მაგრამ  
 უმწეობას. უუნარობას შეცვალონ  
 ცხოვრებაში ის, რაც დამღუპვე-  
 ლია მათთვის. ასეთია ვ. ხარბუტ-  
 ჩენკოს ბავშვივით დაბნეული და  
 სუსტი გავი, რომელიც წარსუ-  
 ლით ცხოვრობს. ასეთნი არიან  
 ე. კუხალაიშვილის „მუდმივი  
 სტუდენტი“, „გაქუცული ბატო-  
 ნი“ ტროფიმოვი, რომელსაც ლა-  
 პარაკის მეტი არა-რა შეუძლია და  
 აღუბნებით ცხოვრობს. ასეთია

დეკადენტური სტილის, გაშინდ-  
 ლი ანია (ი. მეღვი-ნეთუხუცესი),  
 მარტოხელა, ექსპანსიური შარ-  
 ლოტა ივანოვნა (ლ. მეღვი-ნე-  
 ლი). „ოცდაორი უბედურება“  
 ეპისოდოვი (ვ. სიომინი), რომ-  
 ლის უმწეობა სიბრალულსა და  
 ღიმილს იწვევს. ერთადერთი საქ-  
 მიანი, მაგრამ უფლებო ვარია  
 (ი. კვიციანიძე). მათგან განსხვავე-  
 ბულია გაპრანკული, მღაბიო დუ-  
 ნიაშა (ს. კონიუშენკო) და მომა-  
 ვალი ლოპახინი, თავხედი, უქნარ  
 და აგრესიული ლაქია იაშკა (ვ.  
 ხახაროვი). განსაკუთრებით აღ-  
 ნიშნის ღირსია სპექტაკლის ერთ-  
 ერთი საუკეთესო სახე შ. იოფის  
 მოხუცი ფირსი. აქ მსახიობმა  
 გამოაჯიღინა არა მარტო თავისი მა-  
 ლალი აქტიორული ოსტატობა,  
 არამედ ქეშმარიტად ჩეხოვისეუ-  
 ლი სევდიანი სიბზილე. მიზიდ-  
 ველობა, მსახიობი თავიდან ბო-  
 ლომდე ცხოვრობს მოცემულ სა-  
 ხეში არც ერთი ყალბი ნოტა არ  
 ეღერს მის თამაშში. აქ საქმე  
 გვაქვს ქეშმარიტ გარდასახვას-  
 თან, რაც ასე იშვიათი გახდა თა-  
 ნამედროვე სცენაზე.

გრიბოედოველთა „აღუბლის  
 ბაღის“ ელვადობა სევდიანია.  
 აქ არ ისმის ცნობილი სტანის-  
 ლავსკისეული „გამარჯობა, ახლო  
 ცხოვრება“.

სპექტაკლში ახალი ცხოვრება  
 მხოლოდ ლოპახინებისათვის და  
 იაშკებისთვისაა, ხოლო ძველ აზ-  
 ნაღრთა ბუფების მცხოვრებლე-  
 ბი წარსულში იკარგებიან. ისტო-  
 რიის სევდიან საკუთრებად რჩე-  
 ბიან.

„აღუბლის ბაღისაგან“ სრუ-  
 ლიად განსხვავებულია იმავე დამ-  
 დგმელების — ვ. ქაეთარაძისა და



ლ. ჯაშის მიერ განხორციელებულ  
„ორმო“, ა. კუპრინის მოთხრობის მიზეზებით.

ახნაურობა დახვეწილი, ინტელექტუალური სამყაროდან შთაგადმოინაცვლეს ცხოვრების ფსიქოზი, სადაც პიროვნება სავსებით გათვლილია, ადამიანის ღირსება ყიდვა-გაყიდვის საგნად ქცეულა.

ა. კუპრინის ამ მოთხრობამ თავის დროზე დიდი კამათი გამოიწვია, მორალისტები მასში მხოლოდ უსირცხვილობას ხედავდნენ, რასაკვირველია, დიდ მწერალს პორნოგრაფიული მოთხრობა არ დაუწერია, მისთვის მთავარი იყო „შეურაცხყოფილთა და დამცირებულთა“ დაცვა, იმის ჩვენება, რომ იქაც, ორმოშიც, სანაგვეშიც ადამიანებად რჩებიან და დაცვას, თანაგრძნობას საჭიროებენ.

გ. ქავთარაძისა და ლ. ჯაშისათვის „ორმო“ სერიოზული, ჰუმანისტური თხრობაა საზოგადოებისაგან გარიყულ ადამიანთა შესახება.

თვით ნაწარმოები ადამიანთა, კერძოდ, მეძვიე ქალების მთელი ჭგუფის ცხოვრებას ასახავს, სოციალურ პრობლემებს სვამს, ამიტომაც იგი ანსამბლურ თამაშს გულისხმობს, გარდა ამისა, მოქმედების ადგილი, თვით გარემო დამდგმელებისაგან მოითხოვდა ტაქტს, ზომიერებას, რათა იგი უხამსობაში, პორნოგრაფიაში არ გადასულიყო.

დამდგმელთა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ, ძირითადად, ისინი გავიდნენ ბეწვის ხიდზე, შესძლეს თავიდან აეცილინათ „პიკანტური“

სცენებით ტკობა, თუმცა სპექტაკლში, არის საკმაოდ „სარისკო“, უსიამოვნო სცენებიც.

სამეძაო სახლის ინტერიერი (მხატვარი ი. გეგეშიძე) თავისებურ ცივ, არაადამიანურ, უსულგულობის ატმოსფეროს ქმნის, აქ თითქოს ყველაფერი ბინძურია, გაცვეთილი, თავისი სიჭრელითა და უფემოვნებით თვალშისაცემი.

„ორმოში“ წარმოდგენილი სამეძაო სახლი, რასაკვირველია, „პირველი ხარისხის“ არ არის, იგი პროვინციულად გამოიყურება. აქ მოსაწყენი, ერთფეროვანი ცხოვრებით, როგორც ავტომატები, ცხოვრობენ სხვადასხვა ხასიათის, ბედის უკუღმართობის გამო ფსიქოზზე, წუმბეში მოხვედრილი ქალები, რომელთათვისაც სხეულით ვაჭრობა მოსაბეზრებელ პროფესიადაა ქცეული. ცეკვები, ღრეობა უფემოვნოა, მოსაწყენი და ერთფეროვანი, ემოციებისაგან დაცლილი. ცეკვებს პროფესიული იერი დაჰკრავს და ზოგან „ჩაღვამულ“ ნომრებს მოგვაკონებს (ქორეოგრაფი ა. ძნელაძე). სამეძაო სახლის ხაზინადარს ემშაედუარდოვნას ჯიხითა და შეგონება-შეყვრებით „ქალიშვილები“ უსულლო თოჯინებად არიან ქცეულნი, თავიანთი არსებობის ან უსახურობას მშვენივრად გადმოსცემენ მსახიობები.

სპექტაკლში ყოველი ქალი ინდივიდუალიზებულია, ზოგი ხანშია შესული, ზოგი ჯერ კიდევ ბავშვი, მყვირალა კონსტრუქტებში გამოწყობილ ამ ადამიანებს თაყიანთი საკუთარი ბედი და საკუთარი ტყვეილი გამოარჩევს, ხო-

ლო აერთიანებს — ზიზღი და სასოწარკვეთა, გამოუვალობის გრძნობა და ერთმანეთისადმი თანაგრძნობა, საერთო უბედურებას თითქოს შინაგანად შეკრული ჰყავს ისინი. მათ არავინ თანატურძნობს და ამიტომ ასე ეცოდნებათ ერთმანეთი.

როგორც აღვნიშნე, მესავი ქალები სპექტაკლში ინდივიდუალიზებულია. ბედითა და ხასიათით განსხვავებულნი არიან. გადარჩენის იმედით მოტყუებული ი. რიყაის ლიუბკა, ბავშვივით ინფანტილური მანკა (ზ. ბოკოევა), შეშინებული ბავშვი (ლ. ჩიკვაიძე), ე. აბზიანიძის ზოია, კ. ყენიას ვერა, ე. ჩარკვანიას კატკა, ა. შამონტოვას ელზა, ი. ისაევას ნიურკა, ა. პონომაროვას ვანდა, თ. ვეკუას პაშკა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ი. მეღვინეთხუცესი ენკას როლში, პოეტური, სუფთა სულის გოგონა, რომელიც, ცხრა წლისა, დედამ ვიღაც გარყვნილ მამაკაცს მიჰყიდა და მესვეობისაკენ უბიძგა. ენკა-მეღვინეთხუცესი ყველაზე მძიმედ განიცდის თავის მდგომარეობას. პირველსავე სცენაში ეკითხება ადამიანებს — არაუბობს თუ არა ღმერთი, და თუ არის, რატომ დაუშვა მან ასეთი სისასტიკე და საშინელება დედამიწაზე? ენკა განუკუთრებელი სენითაა შეპყრობილი. მსახიობი ჭეშმარიტი დრამატისმით გადმოგვცემს თავისი გმირის განწყობილებას, ჩინს, რომლისგანაც გამოსავალი სიკვდილის გარდა არ არის, ყველა სცენა მეგობარ თამარასთან, პლატონოვთან ისეთი ტკივილითაა სავსე,

რომ ცრემლსა ჰვერის მათგან ბელს. განსაკუთრებით ძლიერია მსახიობი რუკანასკნელ სცენაში, როდესაც ეთხოვება ამბახაგებს, სიცოცხლეს, რომელშიც მისთვის არ არსებობდა სიხარული, თითქმის არ უგრძძვნია სიკეთე.

სულ სავაგვარია არტემოვამღებრიშვილის თამარა, ეს ქალი ძლიერი ხასიათისაა, მას თავისი თავის დაცვაც შეუძლია და სხვისაც, მამე ცხოვრებამ იგი ქალად აქცია, ასწავლა წინააღმდეგობის გაწევა იგი მესავია, ცხოვრების მონარეცხი, მაგრამ მაინც პიროვნებაა, მასში არ ჩამკვდება ადამიანური თანაგრძნობის უნარი.

მსახიობი ქალების პლასტკა, თავისებური სასოწარკვეთილი კეკეა, მანერები, გამოხედვა ქმნის საშინელ სურათს ორმოსი, სადაც სიყვარულით ვაჭრობენ და ჭეშმარიტი სიყვარული არ განუცდიათ.

სხვა შემართულებებიდან არ შეიძლება არ გამოვყოთ ვ. სიომინას მშვენიერი თამაში ხაზინაურის როლში. ეს მსახიობი ჭეშმარიტად „შეძრა“ ამ საშინელი, ყოველგვარ ადამიანურ გრძნობებს მოკლებული ვაჭრის ტყავში. შესანიშნავია მსახიობი შემზარავ, თავის დამამკობებელ ხელის კოცნის სცენაში. ერთის სიტყვით, სიომინა ღირსია მივულოცოთ ეს საინტერესო აქტიორული ნამუშევარი.

სპექტაკლის ერთ-ერთი აქტიორული მიღწევაა ვ. ზახაროვის პლატონოვი, აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში მსახიობი პროფესიულად ძალიან გაიზარდა, დაოსტატდა. „აღუბლეს ბაღსა“



და „ორმოში“ შესძლო შეექმნა ორი სრულიად განსხვავებული სახე. თავზედი, ურცხვი იაშკას შემდეგ, გვიჩვენა ჰკვიანი, კეთილი და მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც ერთადერთს ებრალება დაღუპული ქალები.

საინტერესოა თ. ბელოუსოვას მსახიობი როჟინსკია.

ნიკიტირ ოსტატს ნ. ბურმ-სტროვას სპექტაკლში მკირე როლი აქვს. მაგრამ მსახიობი ყოველმხრივ ცდილობს ცოცხალი ნოტებით შეიტანოს სამიზნოსაბლის პატრონის ანა მარკოვნას სახეში. ეპიზოდურ როლებშიც თავისი შესაძლებლობანი კარგად გამოავლინეს მ. ამბინოსოვმა (ჩაპლინსკი), ლ. გავრილოვმა (ტაპიორი), ვ. სმოტროვმა (მამილო), რ. ჟირნოვმა (სიმენონი), თეატრალური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა ა. ეგოროვმა (გლადიმევი), თ. შოთაძემ (კერბეში), ხ. პილიევა (გენერალი), ა. ლევინმა (გავრილ პლატონოვიჩი) და სხვებმა.

აღნიშვნის ღირსია ისიც, წარმოადგენაში თვალნათლივ გამოვლინდნენ დასის ახალგაზრდა მსახიობები. თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც მომავალში თეატრის დასის შევსებას წარმოადგენენ. ახალგაზრდობის ჩაბმა თეატრის მუშაობაში გ. ჭავთარაძის დიდ, სერიოზულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც პერსპექტივას უქმნის კოლექტივს.

მართალი უთქვამთ, თეატრი კარგია როდია, თეატრი თვით, ცხოვრებაა, როცხესაც მსახიობები და მაცურებლები ერთის სუნთქვით ცხოვრობენ, თეატრი მსახიობთა არსებობის ფორმაა და რა სასიხარულო და მისასალმებელია, რომ არსებობის ეს ფორმა გამოცოცხლდა. კვლავ აღმავლობს გზას დაადგა გრიბოედოვის თეატრში, რაც მომავლის იმედს ანიჭებს როგორც კოლექტივს. ასევე ამ თეატრის თავყანისმცემლებს.

„და ვხსნით ფარდას ვოდევილია მივიწყებულ ფარდას“

სპექტაკლს რომლის სახილველადაც დღეს მობრძანდით, მანგრძლივი სცენური ცხოვრება აქვს. პირველად იგი 1966 წელს დადგა ბრწყინვალე ქართველმა მსახიობმა ვასო გოძიაშვილმა. 1977 წელს, ბათნი ვასოს გარდაცვალების შემდეგ, „ძველი ვოდევილები“ ქალბატონმა ელენე ყიფშიძემ აღადგინა. ვ. გოძიაშვილი კი ჩინებულმა მსახიობმა ირაკლი უჩანეთიშვილმა შეცვალა. და აი, თხუთმეტი წლის შემდეგ მარჯანიშვილის თეატრი კვლავ გვთავაზობს „ძველი ვოდევილების“ კიდევ ერთ განახლებულ დადგმას.

ელენე ყიფშიძემ ამჯერადაც მისთვის ჩვეული გატაცებით აღადგინა ვ. გოძიაშვილისეული დადგმა, რომელშიც წლების მანძილზე ღირსეულ პარტნიორობას უწყევდა დიდ მსახიობს.

სპექტაკლი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი მიეძღვნა ვ. გოძიაშვილის დაბადების 50 წლისთავს. ამავე დროს აქ ერთმანეთს ზედებიან ძველი და ახალი თაობის მსახიობები რაც ქალბატონი ელენეს დიდი შრომის შედეგია. მან შესძლო მთელი კოლექტივის მობილიზება და ახალგაზრდა მსახიობები პირველად აწიარა ვოდევლის.

მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლის აღდგენასთან გვაქვს საქმე, იგი არ არის შექანიკური გამოერება ცნობილი დადგმისა და იქნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ ახლა, მაყურებლის თვალწინ იბადება სპექტაკლის ყოველი გმირი.

დარბაზში ქრება სინათლე, უღერს კომპოზიტორ არჩილ კერესელიძის მუ-

სიკა. ამას მოსდევს ვ. გოძიაშვილის შთამბეჭდავი ხმა:

„და ვხსნით ფარდას, ვოდევლის მივიწყებულ ფარდას“.

ისხნება ფარდა. გამოჩნდა მამია მაღალხონიას ნაცნობი დეკორაცია საგანგებოდ მოწყობილი ფიცარანაგით. ოქროსფერი შეფერილი ჩარჩოთი, სადაც ჭინკარაძის ბინის ინტერიერია შემოსაზღვრული. გამოჩნდებიან ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. მათი მოსამსახურე მაიკო. რა გულწრფელნი არიან ისინი, როდესაც უურადლებას და სიყვარულს მოითხოვენ ერთმანეთისაგან. ვოდევლის თავისებურ ელფერს სძენს ტიგრან ჰოპოპიანციის პერსონაჟი, რომელსაც შეხედვისთანავე ეტუობა, ვინცა ბრძანდება—კაცი, რომელიც ხელოვნურად გაახალგაზრდავებულა. საქ. დამსახ. არტისტის შ. მშვენიერაძისათვის ეს იყო ახალი შეხედვრა ვ. გოძიაშვილისეულ ორ გმირთან: ტიგრან ჰოპოპიანცითან და მიკიტან არშაკასთან ვოდევლში „ძველ სასამართლოში“. მსახიობის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან ვოდევლისათვის დამახასიათებელი მსუბუქი იუმორით, ვულუბრკვილობით გამოავლინა მდიდარი ფანტაზიისა და გარდასახვის უნარი. მსახიობის ინტერესო სტრუქტურას მატებს ამ სახეებს.

დაძაბულობის გარეშე ქმნის მსახიობი სცენებს სონასთან, მაიკოსთან, ალექსანდრესთან კარადაში... სადაც ადვილად ჩანს მშვენიერაძის გმირის ასაკისათვის შეუფერებელი და სასაკილო ლტოლვა ქალისადმი. ქალი მისი სისუსტე ყოფი-

ლა და როგორც „მაშაკაცი“ კრიტიკულ სიტუაციაში გამოძებნის ხოლმე თავდასაღწევ გზას. „არტისტული ცეცხლი“ დაანთო. ამ სიტუაციის პირდაპირი მნიშვნელობით, ქალბატონმა ელენე უიფშიძემ მისი „სონა“, რომელსაც ქალური თვალთმაქცობა, სიკვლეუცე, მოჩვენებითი მიაშიტობა ახასიათებს, მსახიობმა საოცრად მომხიბვლელი ფერებით, მდიდარი ფანტაზიით გახსნა.

ვაჟაკური იერით, კარგი სასიმღერო ხმით, იმიტაციის უნარით გამოირჩევა გ. ჯაშის ტიკინაძე.

ეკა მუჟავანაძის მაშეკო, დრამატურგიული თვალსაზრისით, ნაკლებ საინტერესოა, მაგრამ მსახიობი თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობით ახერხებს ქალბატონსა და ბატონს შორის შექმნილი ხატუაციის განმუხტვას და მაყურებელთა წარმოსახვაში ამთლიანებს ერთ ტერქვეშ მცხოვრებ ადამიანებს.

„ოინბაზის“ ახალგაზრდა მსახიობები პასუხისმგებლობის წინაშე დადგნენ, რადგან ისინი პირველად ეზიარნენ ამ

უნარს, ასევე გოძიაშვილისეულ დადგმას, რაც გარკვეულ სიროულებს უქმნით. შესაძლოა, მათი სცენური სახეების პლასტიკურ-რიტმული მხარე უკმარისობის გრძნობას ბადებდეს, რაც თანდათანობით სტექტაელის გათქმებისას დაიხვეწება, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ გრძნობათა სიწრფელე, სიხალისე, ახალგაზრდული შემართება, სიხარულს ანიჭებს როგორც მსახიობებს, ასევე მაყურებელს.

შეორე ვოდევილი ქაქუცა ხახუტაშვილის „ძველ სასამართლოში“ ოინბაზისგან განსხვავებით სხვა იდეის მატარებელია. თუ პირველ ვოდევილში კონფლიქტს ხელს უწყობს არარსებული დალატი და მისგან გამომდინარე ეკვივანობა, რაც სასაცილო სიტუაციებს ქმნის, „ძველ სასამართლოში“ იუმორი იბადება ვაითარჯიმნის უმწეო მდგომარეობის გამო, რომელიც ქალაქელი მიკიტანი აღმოჩნდა.

განსხვავებული აქტიორული თვისებით წარმოჩინდა შ. მშენიერაძის არშაკა. მძიმე ნაბიჯები, მედიდური გამოხედვა.



სენა სპექტაკლიდან



სცენა სპექტაკლიდან

„საქმის მცოდნის იერი“. მსახიობის მთელი ყურადღება, დატვირთვა გადატანილია ფესტზე, მიმიაჯზე, რითაც მას უხდება თავისი მცირე ცოდნის გამოვლენა. ვოდველი კი იმაზე აგებული, რომ მოსამართლემ და მომჩივნებმა ერთმანეთს გააგებინონ საქმის ვითარება, ვინაიდან მოსამართლე რუსია. ენის უცოდინარობის გამო ჰგონიათ, რომ აღწევენ საწადელს. სასამართლოს მდივანი კი ყველაფერს გულდასმით იწერს დაეთარში, მაგრამ ყველაფერი თავდაყირა დგება.

სულ სხვა სამსახიობო ამბულაში გვევლინება ელენე ყიფშიძე — კეკელა ხეხლიაშვილის როლში. მისი პერსონაჟი სოფლის ქორიანა დედაკაცია, მის გვერდით დგას ზურაბ ბერიკაშვილის

ალალმართალი გლეხკაცი სოსიკა უჭყენული შაურაშვილი. კეკელასა და სპექტაკლს ასეთი კონტრასტული სახეები ორიგინალურად გამოიყურება. სპექტაკლში ასევე შესამჩნევაააა წარმოდგენილი ლალი ცხვარიაშვილის დარაჯი. საყურადღებოა მის მიერ შესრულებული არუის სმის სცენა, რომელსაც მსახიობი დამაჯერებლად თამაშობს.

ფრიალ სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ამ წარმოდგენაში შვილი მამის ადგილს იკავებს იმ თვალსაზრისით, რომ ადრინდელ სპექტაკლში მოსამართლის როლს საქ. სახალხო არტისტი გიორგი ტატიშვილი თამაშობდა. ახლა კი მისი ვაჟი დიმიტრი ტატიშვილი ანსახიერებს. მისი გმირი ნამდვილი ჩინოვნიკია და არც საქმიანადმი სერიოზული დამოკიდებულებით გამოირჩევა.

სპექტაკლი „ძველი ვოდველები“ ზუსტად ისევე მთავრდება როგორც ვ. გოძიაშვილს ჰქონდა ჩაფიქრებული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლანდელ წარმოდგენაში სცენაზე ეშვება ვ. გოძიაშვილის დიდი ფოტო „მოხუცი ნსახიობის როლში და ისმის ხმა: „ისევ მიყვარხართ ჩემო კედლებო, როგორც მიყვარდით მაშინ“.

## ნიღბების სამყაროში

### I

გინდ დაიჭრეთ, გინდ — არა. ასე კი მოხდა.

ერთ ღამეს სიზმარი ვნახე. ფეხით მივდიოდი დიდ, ფართო ქუჩაში. ირგვლივ აციშვილის ქაქანება არ იყო. ცხენის ფეხის ხმა მომესმა. მოვიხედე. ვხედავ, ეტლი მეწვევა. კოფოზე სერგო ზაქარიძე ზის. ეტლს მართავს. თავში გამოიღვა: ეს კაცი მკვდარია. ეტლში რა უნდა? ამასობაში ეტლი დამეწია. ჩემთან შეჩერდა. სერგო ზაქარიძე შეუბნება: ამოდი, ჩემს გვერდით დაჯექი. მეც უზმოდ ავედი. კოფოზე მის გვერდით მოვთავსდი. ეტლი წავიდა, ვერც კი შევამჩნიე. როგორ გაქრა სერგო ზაქარიძე. კოფოზე მართო დავრჩი. ხელში სადავეები მეჭირა და ეტლი მიშეავდა.

მაშინ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ვმუშაობდი. ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ვისმეს ჩემი რუსთაველის თეატრის დირექტორად დანიშვნა მოუვიდოდა აზრად.

რაკი არსაიდან ველოდი თეატრში მიწვევას, მით უმეტეს, დირექტორად, სიზმარმა დამაფიქრა. ძილისშორისში ადამიანის როგორც ქვეცნობიერი, ისე ზეცნობიერი ცხოვრება გრძელდება. ყოველი სიზმარი რაღაც რეალურს მიანიშნებს, ოღონდ ადამიანი ყოველთვის ვერ ახერხებს ზმანებაში ნანახი სიმბოლოების ამოხსნას. ადამიანს რომ ყოველთვის შეეძლოს სიზმრის ახსნა, ბევრ მოვლენას წინასწარ განჭვრეტდა.

აი, ორი მაგალითი.

პავლე პირველი უკვე ორმოცდაორი წლის კაცი იყო, მაგრამ მაინც შესარგვიჩად რჩებოდა. დედამისი ეკატერინე მეორე სიკვდილს არ აპირებდა. ერთ ღამეს ესიზმრა: ანგელოზი მოფრინდა. პავლეს ხელი ჩასჭიდა და მადლა ზეცაში ააფრინა ცესარევის გამოედღობა. ცოლაც გააღვიძა და სიზმარი უამბო. გაოცებულმა ქალმა თვალეები დააქუცია და ქმარს უთხრა: ამ წუთში, სანამ გამაღვიძებდი, მეც

ზუსტად ასეთი სიზმარი ვნახეო. გაოგნებული ცოლ-ქმარი ერთმანეთს მიანდნენ და ამ დროს საძინებელი ოთახის კარებზე კაკუნი გაისმა. მაცნე შემოსვლის ნებართვას ითხოვდა. შემოუშვეს, — ეს-ეს არის იმპერატორცა ეკატერინე მეორე გარდაიცვალაო, — აუწუა შიკრიკმა შვილს დედის სიკვდილი.

აუხდა პავლეს სიზმარი. იგი უკვე რუსეთის იმპერატორი იყო.

გერმანელმა პოეტმა გეორგ ჰაიმმა, საკვილის წინ დღიურში ჩაწერა: სიზმარი ვნახე. დიდ ტბაზე ვიდექა. ტბა ქვის ფილებით იყო დაფარული. უცბად ჩემს ფეხქვეშ ფილები აუირავდნენ. წყალში ჩავიძირე. არ დავბნეულვარ, ცურვა დავიწყე. მშით გაბრწყინებულ ქვეყანას ვუახლოვდებოდი. ცოტაც და ნაპირსაც მივალწიე.

რამდენიმე დღის შემდეგ, მდინარე ჰაველზე, ციგურაობისას, 24 წლის გეორგ ჰაიმს უინული ჩაუტყდა და, ამხანაგებთან ერთად, დაიბრძო.

ამგვარი ნიშუშების მოხშობა მრავლად შეიძლება. მაგრამ ახლა ეს ორიც საქარისია. ცხადი იყო, სიზმარი რუსთაველის თეატრში დაბრუნებას მაუწყებდა.

აღრე მე უკვე ვმუშაობდი რუსთაველის თეატრში, ცოტა ხნით. ლიტერატურული ნაწილის გამგედ. ჯერ სერგო ზაქარიაძემ მიმიწვია. მერე — ოთარ ქინქლაძემ.

უიღბლო გამოდგა რუსთაველის თეატრში მუშაობის დაწყების პირველი ცდა.

1971 წლის მარტი იდგა. გადმომცეს, სერგო ზაქარიაძე გიბარებსო. და თეატრში მივედი. ხანგრძლივი არ უოფილა ჩვენი საუბარი. შესავლის თვინიერ პირდაპირ მკითხა — ლიტერატურული ნაწილის გამგედ იმუშავებ თეატრში? მეც დაუყოვნებლივ მივეცი თანხმობა.

— ავაშენა ღმერთმა. აბა, ეს პიესა წაიკითხე. ზვალ მოდი და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

თეთრი საქაღალდე მომაწოდა. შევატყვე, რატომღაც ღელავდა. საქაღალდე მაშინვე გაეხსენი. დაფინებული მიცქერდა. ალბათ აინტერესებდა — რა შთაბეჭდილებას მოახდენდა პიესის სახელწოდება და ავტორის გვარი. საქაღალდეში ნოდარ წულენსკირის „თუთარჩელი“ იღო, რეჟისორ ნანა ხატის აცის ინსცენირებული.

ნოდარის ეს რამანი მომწონდა. შესიამოვნა. „თუთარჩელის“ დადგმას რომ აპირებდნენ.

— ხომ გაგინარდა? — თვლები უციმციმებდა. — ზოგიერთს თეატრში არ სჭერა, კარგი სპექტაკლი რომ გამოვა, თუ კაცი ხარ, დაკვირვებით წაიკითხე და გულანდილად მიიხარო ეველაფერია, რა მოგწონა და რა — არა.

საგვიდას მოსცილდა, ოთახში ბალთისცემა დაიწყო. თათქოს უჩინარ მოაქვარეს უშტკიცებსო. რამდენჯერმე ვაიმეორა: — იქნება, კარგი სპექტაკლი იქნება. მერე მომიბრუნდა: — აი, ნახავ შენ. ზვალ თერთმეტ საათზე გელი. არ დაგვანო.

მეორე დღეს რომ მივედი, სავარძელში ჩამსვა. თავად წინ დამიჯდა და მომიანერდა. ისე მიუკრებდა, თათქოს განაჩენი უნდა წამეკრებო. კინოსტუდიიდან კარგად ვიცოდი მისი თვისება. უველა შენიშვნას გულმოდგინედ უღელვდა უურს. მაგრამ, სანამ უამრავი არგუმენტით არ დაუნტკიცებდი შენიშვნის სამართლიანობას, მანამ არ გაიზიარებდა. საათობით შეეძლო ეკამათა, ედავა, თავისი შესედულება დაეცვა. პაექრობაში არაფერს დავითმობდა, მაგრამ თუ დარწმუნდებოდა





რომ, რასაც ეუბნებოდი, ის სწორი იყო. მაშინვე დაგიკერებდა. უსაბუთო გაჭიშკრება არ უყვარდა. მხატვრული სიძარბოს მიგნება იყო მისთვის მთავარი. როგორც კი დანახავდა, რომ საძიებელი ნაპოვნია და პიესისა თუ სცენარის დიდი ბანდი ამოცნობილი, უცბად დამშვიდდებოდა, გუნება გამოუკეთდებოდა და საქმიანობასაც გაათქეცებულა ენერგიით შეუდგებოდა.

ახლაც ისე უნდა მომებერებინა, რომ არც ჩემი შენიშვნები დარჩენილიყო უშედეგოდ და არც მისთვის წამერთმია ხალისი და მოწადინება წარმოდგენის დადგმისა.

საკალანდარიო საქართველოა. — დავიწყე საუბარი. საკალანდარიოში ათივე მცნება დარღვეულია. დაქცევა ემუქრება მას. როცა გიორგი კალანდარია ამას გააცნობიერებს, თავზარი დაეცემა. მისი სულიერი სამუარო ამ ელდას ვერ უძლებს და გიორგი დაავადდება. გიორგი კალანდარიას ტანჯვა-წამებამ ხალხი უნდა გამოაფხიზლოს და თავის მდგომარობაზე დააფიქროს. ამიტომ კომპოზიციურად პიესაში ეპიზოდები ათი მცნების შესაბამისი თანამიმდევრობით უნდა დალაგდეს. ეს ინსცენირებასაც და წარმოდგენასაც თავისებურ კომპოზიციაში ჩასვამს და აზრობრივ შინაარსსაც უფრო მკაფიოდ გახდის.

უცბად შემაწყვეტინა: — არ უნდა ამ პიესას გადაკეთება. ამას დადგმა უნდა. თამაში უნდა. ახლა სცენაზე რეპეტიცია მიმდინარეობს. ჩავიდეთ დარბაზში. მე გაჩვენებ, რაფერ უნდა „თუთარჩელას“ თამაში. თუ არ მოგეწონება, მერე გავაგრძელოთ ლაპარაკი.

დარბაზში ჩავედით. ნანა ხატისკაცი და მსახიობები „ძმები კალანდარიების ჩაუბის“ ეპიზოდის რეპეტიციას გადიოდნენ. ერთმანეთს თათხავენ კალანდარიები. განსაკუთრებით უფროს ძმას გუჩა კალანდარიას ესმის თავს, ღეჭერტის, ნევახშენ და აფერისტს ეძახიან. გიორგი კალანდარიაც ესწრება ძმების დავას.

სერგო ზაქარიაძე სცენაზე ავიდა. გუჩა კალანდარიას როლი უნდა შეესრულებინა. თავიდან დაიწყო ეპიზოდის რეპეტიცია. მართლაც გამოგნებელი ოსტატობით და ემოციური ძალით ითამაშა. იმ ადგილს რომ მიადწია. სადაც გუჩა კალანდარია კითხულა — „სამშობლოო რომ შეუბნები, რომელი სამშობლოა ეს, თუ კაცი ხარ?“ — სერგო ზაქარიაძის ზმასი ერთდროულად გაისმა ტკივილიც, დაცინვაც, ბოღმაც. ეს აღარ იყო ჭრთი კაცის სახოწარკვეთილება. უკვე მთელი საქართველო ყვიროდა.

„გამიგონია, ჩვენი სამშობლო ერთ დროს გვარიანი დიდი ყოფილა. ეგერ, ჰე. შუა ს.თათრეთში გადიოდა საზღვარი. ტრამპონიც ჩვენი იყო თურმე. შემდეგ ეს ვრცელი სამშობლო დაპატარავებულა, დაპატარავებულა და ბოლოს თურმე საქმე იქამდე მიხულა, რომ სამშობლოს მშოლოდ სადადიანოს ვეძახდით. ბაბუაჩემი თურმე იმერეთის მეფეს აგერ ბაბუას ზიღთან ებრძოდა, შემდეგ, შენ კარგად გეტყვინება ეს, ჩვენი სამშობლოს საზღვრები უსაზღვროდ გაფართოვდა და ახლა სად იწყება ჩვენი სამშობლო და სად თავდება კაცმა არ იცის. რომელია ახლა ჩემი სამშობლო. ეს პატარა საკალანდარიო, მთელი საქართველო თუ მთელი საბჭოთა კავშირი? შენ მეტყვი, რომ ჩვენი სამშობლოა მთელი საბჭოთა კავშირი პოლშის საზღვრებიდან ეგერ, ჰე. იაპონიამდეო. შეიძლება ჩვენი სამშობლო ღვალ

1. დიდიბანდი — ზუღსი დაფარული აზრი.



მთელი ევროპა იყოს, ან ისე დაპატარავდეს. კვლავ სადადიანოს დავუძახებოთ. სადადიანო? აი, ამიტომ არ მჯერა. ბიძი, მე თქვენი, თქვენ დღეს ერთს ამბობთ, ხვალ მეორეს! მეტიც, ერთს ამბობთ, მეორეს აკეთებთ და შესაძემ გამოდის“.

რეპტიცია დაშთავრდა. სერგო ზაქარიამე სცენიდან ჩამოვიდა. უსაშველოდ დაღლილი იყო. ამან გამაკვირვა. კინოსტუდიაში ყველა ბუზღუნებდა: სერგოს დაღლა შეუძლებელია. ყველას ქანცი რომ გაგვიწყდება, იგი შინც გადაღების გაგრძელებას მოითხოვსო. მუშაობით ხანამ სულს არ ამოგვართმევს. არ მოგვეშვებო. ახლა კი პატარა ეპიზოდის თამაშმა არაქათი გააცალა. ვინ მიხვდებოდა: თურმე მის სხეულში სიკვდილი იბუდებოდა. მაგრამ თავად კმაყოფილი იყო. მეც და, ალბათ, პარტნიორებიც დაარწმუნა, სექტაკლი გამოვიდოდა და, რაც მთავარია, გამოვიდოდა კარგი. მსჯელობა აღარ დაგვიწყია.

— მოდი, ასე ვქნათ ჩვენ. — მომმართა მე. ცოტა ხნით საავადმყოფოში უნდა დავწვივ. გადავიღალე. დავისვენებ ერთი-ორი კვირა. ექიმებიც ამწონ-დამწონიან. მერე დავბრუნდები და შევუდგეთ საქმეს. დაჭლები აქ, დარბაზში გვიყურებ, რას ვაკეთებთ. თუ რამე გასასწორებელი იქნება, ერთად გავასწორებთ. ასე აჯობებს.

ერთად საქმიანობა აღარ მოგვიწია. სერგო ზაქარიამე საავადმყოფოდან თეატრში აღარ დაბრუნებულა. 1971 წლის 18 აპრილს იგი გარდაიცვალა.

მაღე რუსთაველის თეატრის დირექტორად ოთარ ქინქლაძე დანიშნეს.

როგორც ჩანს, ოთარს თეატრში უამბებს სერგო ზაქარიამისა და ჩემი ურთიერთ შეთანხმების შესახებ. მეც ხასწრაფოდ გავხდი რუსთაველის თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე. მაგრამ არც იმჟამად გაგრძელებულა ჩემი თეატრში ყოფნა დიდხანს.

ოთარ ქინქლაძისა და ჩემი მოლაპარაკების თანახმად, თეატრში შეთავსებით ვმუშაობდი, ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელიც ვიყავი და თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგეც. მაღე შევტყვევ, რომ ორი საქმის ერთდროულად კეთება არ შემძლეო (ორი კურდღლის მდევარი ვერცერთს დაიჭერსო, — ბრძანებს ანდაზა). ერთ-ერთს უნდა გამოვთხოვებოდი. მაშინ ინსტიტუტში დარჩენა ვამჯობინე და თეატრიდან წავედი.

საერთოდ, კინოსტუდია „ქართული ფილმიდან“ რომ დამითხოვეს, ერთხანობას გზა-კვალი ამერია. ჭერ იყო და, ცხრა თვე უმუშევრად გავატარე. მერე პოეტმა სულთა ბერულავამ გამომცემლობა „განათლებაში“ მომცა სამუშაო. ერთ წელიწადზე ცოტა მეტი დავუავი „განათლებაში“. ახალმა წინადადებამ მომზიბლა. დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის დირექტორმა ზურაბ ყულფარაძემ შემომამარა, ჩვენთან ხომ არ იმუშავებდიო... რეჟისორად, ჰო, ჰო, ასე მითხრა, რეჟისორადო. ნუ გაგიკვირდებათ.. დავთანხმდი, ერთი დოკუმენტური ფილმის — „არხის“ — გადაღებაც მოვასწარი. იმ დღეებში ტარიელ ჭანტურია მისი ლექსების პაწია კრებული — „ახალი მთვარე“ — მაჩუქა. მისთვის ჩვეული თბილი ირონიით წააწერა — ასეთს, ისეთს და „თურმე კინორეჟისორსაცო“. მოსკოვში მიპირებდნენ გავზავნას კინორეჟისორობის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, როცა ჩემი სტუდენტობის მეგობარმა მიხეილ ქავთარიაშვილმა შემატყობინა, ხელნაწერთა ინსტიტუტში არისო მეცნიერ-თანამშრომლის ადგილი და, თუ ისურვებ, მიგიღებენო. მეც დავკარი ფეხი და დოკუმენტური ფილმების სტუდიიდან ხელნაწერთა ინსტიტუტში გადავბარგდი.

ასე ბოლოქაქარა ჩიტივით ვსტოდი ერთი ადგილიდან მეორეზე, მიუხედავად იმისა, რომ ყმაწვილკაცობის ასაკი დიდი ხნის წინათ მქონდა გავლილი.

ავორებულნი ქვა ხავსს ვერ მოიკიდებსო (ამასაც ანდაზა გვასწავლის). როცა



ისევ არჩევანი დამიდგა, ხელნაწერთა ინსტიტუტში დავრჩი. ჭეგონა საბოლოოდ და მყარად. მაგრამ კაცი ბკობდა. ღმერთი იცინოდლა.

ერთი თვეც არ იყო გასული, რაც სიწმარე ვნახე, და საქართველოს კულტურის სამინისტროში გამომიძახეს. კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ კაცი დვალისვილია მიმიღო. ერთმანეთი მივიკითხ-მოვიკითხეთ. შერე მოხრა: რაკი ოთარ ქინქლაძე გაზეთ „წარია ვოსტოკას“ რედაქტორად გადაიუვანეს, კულტურის სამინისტროში გადავწყვიტეთ რუსთაველის თეატრის დირექტორობა შენ დაგავალოთ.

გავიფიქრე: კაცი ბედს ვერსად გაექცევა. აგერ ორი წელიწადია რუსთაველის თეატრის გარშემო ტრიალებს ჩემი სახელი. ჩანს, რუსთაველის თეატრში მუშაობა ჩემი ჭედრია და დირექტორობას დავთანხმდი.

1973 წლის 21 მარტს მივედი თეატრში კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი და მე, ჩვენთან შესახვედრად მსახიობები მცირე დარბაზში იყვნენ თავშეკრული. ცივად მივესალმეთ ერთმანეთს. მინისტრმა წარმადგინა. წარდგენას არავითარი რეაქცია არ გამოუწვევია. ჩემი დანიშვნა უკვე იცოდნენ და ახალი არაფერი შეუტკვიათ. ისე მიუურებდნენ, თითქოს გულში ამბობდნენ — რა ვქნათ, რაც არის, არისო, წარდგინების შერე არც მე მოთქვამს რაიმე და არც მათ. ასე უბრად დავიშალეთ.

კარგა ხნის შერე პოეტმა ტაგუ მებურიშვილია რვეაზ თვარაძეს (მაშინ მარჯანიშვილის თეატრის დირექტორს) და მე ინტერვიუ ჩამოგვართვა. სხვათა შორის, ერთი ასეთი კითხვაც დავვისვა: — როგორ შეგხვდათ თეატრის კოლექტივი? მე ვუპასუხე: — „მთავარი ის კი არ არის, როგორ შემხვდნენ, მთავარია, როგორ გამისტუმრებენ, როცა ამისი დრო დადგება“. ჩვენი ეს საუბარი „ახალგაზრდა კომუნისტში“ (1974 წ. 11 სექტემბერი) დაიბეჭდა. მაგრამ რატომღაც ეს პასუხი ამოიღეს. არ დასტამბეს.

თეატრში ორი დღის მისულიც არ ვიყავი, რომ უკვე მომივიდა პატარა შეხლა-შემოხლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან.

28 მარტს ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღების“ (რეჟისორი რობერტ ხტურუა) პრემიერა იყო დანიშნული. თეატრი მაყურებლებით გაიჭედა. პუბლიკაში მოუთმენლად ელოდა წარმოდგენის დაწყებას. რვას ათიოდე წუთი აკლდა, ჩემს ოთახში ტელეფონის ზარი რომ აწკრიალდა. რგავდა ცკ-ს მდივანი.

მდივანი: დღეს თეატრში პრემიერაა?

მე: დიახ! ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“.

მდივანი: პრემიერა არ ჩატარდება. სექტაკლი უნდა მოიხსნას.

მე: როგორ?! ეს შეუძლებელია დარბაზში ტყვა არ არის. რა საფუძვლით უნდა ჩავშალო პრემიერა?

მდივანი: რა საფუძველი გნებავთ, ის მოძებნეთ. პრემიერა კი არ უნდა ჩატარდეს. ეს ცენტრალური კომიტეტის კატეგორიული მოთხოვნაა!..

მე: სექტაკლი მიღებული აქვს კულტურის სამინისტრის, მისი ჩვენება ნებადართულია. წარმოდგენა დადგმულია საყოველთაოდ ცნობილი რომანის მიხედვით. პრემიერის შეჩერება დანაშაული იქნება. ბრალი დაგედებათ თქვენ. ხვალგმ მთელ თბილისს ეცოდინება ვისი განკარგულებით აიკრძალა სექტაკლი.

მდივანი: სექტაკლს არავინ კრძალავს. ცკ-ს წარმომადგენლები ნახავენ. შეამოწმებენ. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ სექტაკლს იდეოლოგიური ხარვეზები აქვს. გაასწორებთ და ისევ დაინიშნება პრემიერის დღე.



მე: უკვე გათხარით, რომ პრემიერას არ მოგსწენი. დღეს მკურნალებელი თეთრი ბაირაღებს". ხვალ კი საშუალება გექნებათ გადაწყვიტოთ ჩემი სპეციალური დავრჩე თეატრში თუ არა.

მდივანი: მაშინ თქვენ თვითონ ელაპარაკეთ ამხანაგ ელუარდ შევარდნაძეს. ცუ-ს ბიუროს პასუხი თქოთაქიშვილია მიხეცხ.

და ყურმილი დაკრდა. წარმოდგენა დაიწყო. მე კულტურის მინისტრს დავურბე და ვუამბე, რაც მ-ხდა. ოთარ თაქოთაქიშვილი ძალიან შეწუხდა. — ასევე მოვდივარო თეატრში — მოხბრა. მერე დამატა: — იქნებ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ელაპარაკოთო. ჩემს მოხვლამდე.

რაკი ცენტრალური კომიტეტის მდივანიც და კულტურის მინისტრიც ელუარდ შევარდნაძესთან ლაპარაკს ითხოვდნენ. ნეც დავურბე. როგორც კი ვუთხარი — აკაკი ბაქრაძე ვარ-მეთქი — ყურმილში უსაშველოდ გაბრახებული კაცის ხმა გავიგონე: — რა ხდება თეატრში, რას აკეთებთ? ო. ო. ო. გამინათდა გონება. ვილაკამ მწარედ დაასმინა თეატრი. ჭაშუშმა ენა მოიტანა და ბელისუფლება წარმოდგენის წინააღმდეგ განაწყო. რამდენადაც შექმელო მშვიდად მოვუყვი: — თეატრში პრემიერაა. ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“ მიდის. სრული ანშ-ლაგია. მაგრამ უსიამოვნო ინციდენტიც მოხდა. ცუ-ს მდივანმა პრემიერის მოხსნა მოითხოვა. ეს შეუძლებელი იყო. განკარგულება არ შეეძარტდებ. წარმოდგენა მომდინარეობს. ლაპარაკი რომ დავამთავრე. უკვე წუნარად მოხბრა: — კარგი ჭქენი, წარმოდგენა რომ არ მოხსენი. მაგრამ ხვალ მე მოვალ თეატრში. სპექტაკლს ვნახვ და ვი თქვენი ბრალი. თუ ეს მართალია, რაც მოხბრეს.

საუბარი შეწყდა. ანახობაში ოთარ, თაქოთაქიშვილიც მოვიდა. ისაც იმ აზრის იყო, რომ რომელიადაც მამზელარამ ამტუტა წყალი. მაგრამ როგორ უნდა მივწინდარიქავით. ვინ არის ეს ამბილარი — თეატრის თანამშრომელი თუ საგანგებოდ მოგზავნილი უცხო პირი? თუ საერთოდ მოხალისე? ასეთები ყოველთვის მრავლად არიან.

მეორე დღეს ელუარდ შევარდნაძე სპექტაკლის ხანახავად არ მოხულა. ეტყო-ბა ცუ-ში დამამშვიდებელი ინფორმაცია მივიდა. 4 აპრილს მოვიდნენ ვიქტორია სირაძე (საქართველოს კ ცუ მდივანი), ელუარდ შევარდნაძე, გიორგი ძოწენიძე (უშაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე) და გივი ჭავახიშვილი (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე). გულიანად იცინ-იხარხარეს (მარტო ვ. სირაძე ცდი-ლობდა ემოცია არ გამოეხატა). წარმოდგენა მოიწონეს და კმაყოფილი წავიდნენ შინ.

სპექტაკლის სახელწოდება მაინც შეგვაცვლევინეს „თეთრი ბაირაღების“ მა-გიერად „საბრალდებლო დასცენა“ დავარქვიოთ. რატომ?

„თეთრი ბაირაღებში“ ციხის საყანში პატიმრების მიერ გასართობად მოწყო-ბილ სს.მართლოზე ბრალდებული ისიღორე საღარიძე ამბობს:

— დასაბამიდან ეველა დროშა თეთრი იყო. თეთრი, სპეტაკი, თეთრი ფერი უკეთაღშობილესი ფერია დედამიწაზე. ხოლო თეთრი ბაირაღი უკეთაღშობილესი ფერის ბაირაღი. იგი თავიდან თავისი სისპეტაკით მშვიდობას, სიყვარულს, ძმო-ბას, და სიბრძნობას გამოხატავდა. ოცი საუკუნე იქით და ოცი საუკუნე აქით თეთრი დროშები თავისას მოითხოვდნენ და მოელოან. თეთრი დროშები თეთრი თოვლიანი მწვერვალების მსგავსად სამყაროს თავზე უნდა იყვენენ აღმართულნი. ერთი დიდი, თეთრი ბაირაღი უნდა ფრიალებდეს: ამაყად ჭოშოლუნგმაზე ნიშნად



უსაზღვრო სათნოებისა, სიკეთისა და სიყვარულისა, ერთი თეთრი, ღრუბერიანი თეთრი ბაირადი“.

კომუნისტური რეჟიმის დროს ხშირად იხმარებოდა მაგიური ფორმულა — არის აზრი, იტყოდნენ — არის აზრი, ესა და ეს კაცი უნდა დაატუსაღოთ და დაატუსაღებდნენ, იტყოდნენ — არის აზრი, ესა და ეს კაცი უნდა გაანთავისუფლოთ და გაანთავისუფლებდნენ, იტყოდნენ — არის აზრი, ესა და ეს კაცი უნდა მოხსნასო და მოხსნიდნენ, იტყოდნენ — არის აზრი, ესა და ეს კაცი უნდა დანიშნოსო და დანიშნავდნენ. ყველა სიტყვის შეუბრუნებლად ემორჩილებოდა მაგიურ ფორმულას, ბევრიც რომ გეტებნა — ვინ არის ის, ვინც ამ მაგიურ ფორმულას ამბობს — ვერც იპოვნიდი და ვერც ვერაფერს შეიტყობდი.

თეატრშიც მოვიდნენ და გვიბზრეს: არის აზრი, რომ ისიდორე სალარიძის მიერ თეთრი ბაირალებს ქება მიმართულია წითელი ბაირალების წინააღმდეგ. კომუნისტურ პარტიას სწამს, რომ სამყაროს თავზე წითელი ბაირალები უნდა ფრიალებდეს და არა — თეთრი, ისიდორე სალარიძე კი თეთრი ბაირალების აფრიალებას ითხოვს. მაშახადამე, იგი ებრძვის წითელ ბაირალებს, ანუ კომუნისტურ იდეას. თუ თეატრი სპექტაკლის სახელწოდებად დატოვებს „თეთრ ბაირალებს“, მაშინ გამოდის, რომ თავადაც იზიარებს პერსონაჟის აზრს, რა თქმა უნდა, წყრალს აქვს უფლება დახატოს უარყოფითი პერსონაჟი, ათქმევინოს ის, რასაც უჭირობს იგი, მაგრამ დაუსუვებელია თეატრის კოლექტივი ეთანხმებოდეს ანტიკომუნისტურ შეხედულებას. შიშ უშეტეს, მაყურებელთა მასა, ხალხი, მასებს უფარტ წითელი დროშა, შაჰყევიან მას, წარმოდგენის სახელწოდება უპქველად უნდა შეიცვალოს.

თეატრმა ვერ გაიგო, ვინ იყო ამ „შენიშვნის“ ავტორი, რომანისათვის არავის შეუცვლია სახელი, არც არავის მოუთხოვია ეს, თეატრს კი დაჟინებით და კატეგორიულად ავადებდნენ, წიგნი ნაკლებ ხაშიშია, ვიდრე წარმოდგენა?

სახელწოდების შეცვლას არაფერი დაუკლია სპექტაკლისათვის, დღესაც მოდის იგი სრული ანშლაგით, სიცილ-ხარხარში და ტაშის გრიალში.



### კარბიონი თევზისაქცევა



მთელმა საქართველომ იცის: რუსთაველის თეატრი კეთილდღეობები შენობაა, ჩვენში ასეთი შენობა თითო-ორიღა თუ იქნება. მაგრამ თანამედროვე თეატრალური ტექნიკა მასში თავისუფლად მაინც ვერ ვრძნობს თავს. ამიტომ გადაწყვიტეს ახალი სათავსოები და ოთახები მიეშენებინათ. მშენებლობა ჰერ კიდევ სერგო ზაქარაძის დირექტორობის დროს დაიწყო, მაგრამ დამთავრება ველარ მოასწრო, ერთი ნაწილის — სარეპტიციო ღარბაზების — აშენება ოთარ ქინქლაძის დირექტორობისას მოხერხდა (აშენა „ზაქარასსტრუქციონი“). მაგრამ რად გინდათ: ზანთარში ისე ცაოდა შიგ, რომ ვერარა სულიერი ვერ გაუძლებდა, ცენტრალური გათბობა გაყვანილი იყო, მაგრამ ვერაფერს შევლოდა, სიფრიფანა კედლები სითბოს ვერ იჭერდა, ხოლო კარ-ფანჯრები ვაზივით იყო მიგრებილი-მოგრებილი, ღრეოებში უდღიანი ღორი გაეტოვდა, არც ზაფხულში ვარგოდა სარეპტიციოდ გოგოჩეთურად ცხელოდა, კაცის წამება თუ გინდოდა, იმ სარეპტიციოში უნდა შეეგედო, რაც აშენდა, ასეთი იყო, მაგრამ დარჩენილის მშენებლობას ვაი-ვაკლახით მაინც ვაგრძელებდით, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი გვეხმარებოდა, ყველა წვრილმანზე იქ ვავრბოდით, რკინის

არმატურა არა გვაქვს, მოგვეცით. ბეტონი არა გვაქვს, მოგვეცით. ხე-ტყე გვაქვს, მოგვეცით. იყო ასე დიდი გამართული თბილისის კომიტეტსა და რუსთაველის თეატრს შორის.

მშენებლობა ტაბრით და ზოწინ-ზოწინით მიდიოდა, მაგრამ მაინც იმედოვნად ვიყავით განწყობილი. უმაწვილკაცობაში „ნანაგში“ ერთი კარიკატურა მქონდა ნანახი. ეს მაშხნევებდა.

შო-ან წლებში ქუთაისის თეატრის მშენებლობა დაიწყო. ეს მშენებლობაც დიდხანს გაქიანურდა. კარიკატურაში ქუთაისის თეატრის მაშინდელი დირექტორი დიდი ანთაძე იყო დახატული. იდგა იგი და კოჭებამდე წვდებოდა თეატრის კედლები. რეჟისორ-დირექტორს ხელა მკერდზე მქონდა მიდებული და ამბობდა: აქამდე თუ მოვსწარი ამ თეატრის კედლების ამოყვანას, მერე თუნდაც რომ მოგვკვდეთ, აღარ დავეძებო.

მე რომ რუსთაველის თეატრში მივედი, ქუთაისის თეატრაც აშენებული იყო და დ. ანთაძეც ჯანმრთელად და ხალხალამათად იმყოფებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს „ნაკრანსტროსის“ წარმომადგენელი შემოვიდა ჩემთან და მახარა: მშენებლობა დავამთავრეთ და ჩაიბარეთო. აღტაცებული თეატრის აღმინისტრაცია შენობის ჩასაბარებლად გაეშურა. დგას ოთხსართულიანი შენობა. გარედან დასრულებულ-დამთავრებული. მაგრამ გამოცანა ერთი — ვუარე, ვუარე კარი ვერ ვუნახეო — ასე დაგვემართა. ქუარეთ, ვუარეთ და კიბე ვერ ვუნახეთ. ვერც მეორე სართულზე ავა კაცი და ვერც მესამე-მეოთხეზე.

— კიბე? — ვიკითხეთ პირდაუჩენილებმა.

— კიბე არ გავიყვებომა. ჩვენ გვაკეთეთ ის, რაც პროექტში იყო. კიბე კი პროექტში არ უოფილა. — გავიგონეთ მშენებლობის მწარმოებლის გულმშვიდი პასუხი.

— როგორ თუ არ უოფილა?! სახლს ვინ აპროექტებს უკიბოდ?

— აი, ბატონო, პროექტი და მიჩვენეთ სად არის კიბე.

საზეზით სავსე ვრცელი ქალაქი გაშალა. ჩვენც მივაწერეთ თვალები საზეზის კორიანტელს. ვუყურეთ, ვუყურეთ. მაგრამ კიბეს ვერსად მივაგენით.

— შე კაი აღამიანო, — უკვე გაუბედავად ვუსაყვედურეთ, — ინჟინერმა კაცმა რატომ არ იკითხე: რა შენობაა ის შენობა, რომელსაც კიბე არა აქვს?

— ამ პროექტზე, ვისაც ჭერ არს, ხელი აქვს მოწერილი. თეატრის აღმინისტრაციასაც, აბა, ჩვენ რა ვიცით, იქნება უკიბო შენობა სკირდებოდა თეატრს? არქიტექტორი კულტურის სამინისტროშია. წავიდეთ და ვკითხოთ.

გაცვივდით კულტურის სამინისტროში. მოვძებნეთ ხუროთმოძღვარი, დავუდეთ წინ პროექტი და მრისხანედ ვკითხეთ: — სად არის კიბე?

— არ არის კიბე, — გვიპასუხა აუღელვებლად. — დამავიწყდა, რა, თქვენ არაფერი დაგვიწყებიათ!

მერე განმარტება მოგვცა:

— თავდაპირველად ასე იყო ჩაფიქრებული. თეატრის ახალი, დამხმარე შენობა პირდაპირ და უშუალოდ უნდა მიდგომოდა თეატრის ძველ, ძირითად შენობას. ძველი შენობის უკანა კედელი გაიხვრიტებოდა და უოველ სართულზე გაკეთდებოდა კარები ახალ შენობაში გასასვლელად. მაშინ კიბე საქირო არ იყო. მაგრამ, როცა სპეციალიზტებმა პროექტი განიხილეს, თქვენ: — არ შეიძლება თეატრის ძირითადი შენობის უკანა კედლის გახვრეტა. ამ კედელს დიდი დაწოლა აქვს. როგორც იცით, რუსთაველის თეატრის წინა ნაწილი რუსთაველის გამწირზე

დგას. უკანა ნაწილი — ხორის მწველავის ქუჩაზე. მწველავის ქუჩა გაუქმდა და ახლა იქავეა დაბალია, ვიდრე რუსთაველის განხორი. მთელ ამ სიმაღლეს თეატრის შენობის უკან კედელი იჭერს. თუ კედელს გავხვრეტთ, მაშინ იგი დაწოლას ვერ გაუძლებს და შენობა დაინგრევთ. ამიტომ გადაწყდა ახალი შენობა მოსცილებოდა ძველს. ცალკე ამშენებულყო. შეც მოვაცილენ.

— უველაფერი გასაგებია, მაგრამ, როცა მოცილებულ პროექტს აღგენდი, კიბე როგორ დაგავიწყდა?

— დამავიწყდა.. მომკალით აქლა თუ გინდათ.

მართლაც, ხომ ვერ მოკვლავ არქიტექტორს, რომელსაც კიბის დაპროექტება დავიწყდა.

უურებჩამოკრილი დავბრუნდით თეატრში. ეს კი იყო: უკიბო შენობა არ ჩვეუბრეთ (მერე კულტურის სამინისტრომ მოაწერა მიღების აქტს ხელი. თავი დამინაშავედ ჩათვალა, რაკი არქიტექტორმა არ ვაითვალისწინა პროექტში კიბე). აღარ ვიცოდით, როგორ გამოგვეუენებანა ახლადაგებული შენობა. ინჟინერმა ლეონიდ ვერნიცკიმ გვანუგემა: — მეუთხე სართულზე ჭალამბარს დავამონტაჟებთ, თუკებსა და გვარლებზე დაკიდებულ ბადიებს ჩამოვუშვებთ ეზოში. ამ ბადიებით ავიყვანთ და ჩამოვიყვანთ ხალხსაც და სადეკორაციო მასალებსაც იმით ავზიდავთ და ჩამოვზიდავთ.

ერთხანს მართლაც ამგვარ ჭკაანწყვეტით ვიყენებდით ამ შენობას. მერე, როცა თეატრში უკვე აღარ ვმუშაობდით, ეს შენობა ძირფესვიანად გადააკეთეს, აქლა რუსთაველის თეატრის უკანა ეზოში. ესთეტიკური თვალსაზრისით, მეტნაკლებად ასატანი ნაგებობა დგას.

დიღანს არ გამწელებია ბრაზი. გამოწვეული უკიბო სახლით. ერთხელ თეატრში „სოვეტსკაია კულტურას“ კორესპონდენტმა იური მოსევილიმა შემოიარა. შეეჩვილე ჩვენი გასაქირი. ისიც შევთავაზე: იქნებ ფელეტონი დაწერო და გაზეთში გამოაქვეყნო — როგორ შენდება უკიბო სახლები. ელაპარაკა იური მოსკოვში „სოვეტსკაია კულტურის“ რედაქციას. სიცილით დაბოცილან უურნალისტები: — მოსკოვში, ოცდახუთსართულიანი სავადმყოფო ააგეს. არც ერთი სველი წერტილი არ აღმოჩნდა გათვალისწინებული და დაპროექტებული. თქვენ ოთხსართულიანი უკიბო სახლის ამშენება გიყვართო?

ფელეტონის ღირსიც კი არ აღმოჩნდა ჩვენი კურიოზი.

## II

კონსტანტინე სტანისლავსიმ ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანიჩენკოს მისწერა ერთ-ხელ:

„თუ თქვენ გჭირდებათ რჩევა. მსახიობებს გამოიძახებთ კაბინეტში ან უბრალოდ მოაწყოთ საათობირო სხდომას. გაიგებთ, რას ფიქრობს თითოეული მათგანი, მაგრამ გადაწყვეტილებას კი მიიღებთ თქვენ თვითონ მარტო. აქტიორებს, მით უმეტეს ჩვენსას, თავაშვებულებსა და თავისათვის მოტრფიალებს, არ შეუძლიათ საქმის მართვა“. (უურნალი „Teatr“, 1973 წ., № 10, გვ. 58).

ეს სიტყვები ხის დაფაზე ამოვატვიფრინე და ჩემს ოთახში დავაკიდებინე. ამით არც მსახიობთა მიმართ უპატივცემულობის გამოვლენა შინდოდა და არც თეატრალური მასშტაბის დიქტატორობა. ამით უფრო იმას ვანიშნებდი, რომ თეორიულად თეატრის მხატვრული სახის, ანუ როგორც დღეს იტყვიან იმიჯის, ჩამოყალიბება, ჩემი საქმე იყო და სხვებს ხელი არ უნდა შეეშალათ, ეტყობა,

მ. თეატრი და ცხოვრება“ № 1.

ამას უკმაყოფილოდ მიხვდა, რადგან უკმაყოფილებმა ჩემი საქციელის გამო არაღის გამოუთქვამს (ყოველ შემთხვევაში, აშკარად).

რადგან რთულია და ძნელი თეატრის მხატვრული სახის ჩამოყალიბება, ბევრი ლაპარაკი და სჯა-ბაასი არ სჭირდება. ისედაც ცხადი და გასაგებია ეს საქმეში ჩახედული ყოველი კაცისათვის. მაგრამ სირთულე და სიძნელე თავის განამართლებლად არ გამოდგება. ვინც ხელმძღვანელის როლი იყისრა, კიდევაც უნდა შეასრულოს იგი.

არსებობს ერთი, ყველასათვის კარგად ცნობილი, ანბანური ტერმინები: თეატრს მაშინ აქვს ფასი, მაყურებელთა დარბაზი თუ გაქედლია პუბლიკუმით. უმაყურებლო თეატრი გინდ ყოფილა, გინდ—არა.

მწერალს შეუძლია თავი ინუგეშოს იმით, რომ დღეს თუ არ კითხულობენ მის თხზულებას, მომავალში წაიკითხავენ. მხატვარსაც შეუძლია ასე იფიქროს და მოიქცეს. კომპოზიტორსაც, კინორეჟისორსაც.. მაგრამ თეატრის მსახიობი დარეჟისორი მომავლის იმედად ვერ იცხოვრებენ. სპექტაკლის არსებობა დროით არის შემოფარგლულ-განსაზღვრული, სწორედ ამ მოცემულ დროში სჭირდება მას მაყურებელი, დამფასებელიც და უარყოფელიც.

როცა მოისურვებს, მაშინ აიღებს ხელში და წაიკითხავს ქართველი ილიას, აკაკ-ს, ვაჟას და სხვათა თხზულებებს. მაგრამ ნატო გაბუნიას, მაკო საფაროვა-აბაშიძეს, ვალერიან გუნიას, ლადო მესხიშვილს და სხვებს ვერასოდეს ვერ ნახავს. ისინი წარსულში დარჩნენ. მე იმ თაობას ვეკუთვნი, ვისაც ცოცხლად ახსოვს ვერიკო ანჭაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, თამარ ქავჭავაძე, აკაკი ვასაძე, გიორგი შავგულიძე, აკაკი ხორავა და მთელი პლეადა ქართული სცენის დიდოსტატებისა. დღევანდელ ახალგაზრდობას, თუ უშუალოდ არ გინახავს, როგორ უნდა განა-ღვიწინო ის ესთეტიკური ტკბობა, რასაც ისინი გვანიჭებდნენ? ეს ხომ იგივეა პაპებისა და ღიღუღების ნაამბობით დაიკმაყოფილონ უმწველიმა გოგომ და ბიჭმა სიყვარულის ვნება!

თეატრალური წარმოდგენა დროის საზღვარს ვერ არღვევს. რაკი ასეა, ვერც მომავალი თაობების ცნობიერებაზე ახდენს ზეგავლენას. სპექტაკლი ელაპარაკება თავის თანამედროვეებს და თანამედროვეებსაც უნდა ეყურებოდეს მისი.

ამდენად, თეატრში მაყურებლის პრობლემა შემოქმედებითი პრობლემაა.

მისიანი წლების დასაწყისში ქართული თეატრი მაყურებლით განებივრებული არ იყო. ამის გამო ბევრ ვიწვიშსა და წუწუნსაც გაიგონებდით. ჩივილისათვის არც მე დამიყლია ხელი. ჭერ „ლიტერატურულმა საქართველომ“ გავიმართა ინტერვიუ და იქ დავიჩივლე (გამოქვეყნდა მცირედი ცვლილებებით 1973 წლის 14 სექტემბერს) და მეორე დღეს, 15 სექტემბერს, იგივე გავიმეორე საქართველოს კვ ცვ გამართულ თათბირზეც.

\*

\*\*\*

კარგად მოგეხსენებათ, ამა თუ იმ ხალხის თეატრალური კულტურა მართო იმით კი არ იწომება, როგორ სპექტაკლებს აჩვენებენ თეატრებში, არამედ იმიტაც, როგორი მაყურებელი ჰყავთ. ამიტომ ერთი უმთავრესი და სპირიტუალ-ტო საკითხი მაყურებლის პრობლემაც არის. ამ მხრივ დღევანდელ ქართულ თეატრს საგრძნობლად უჭირს და ამ საკითხის მოგვარება სერიოზული ამოცანაა, ვისაც ერთუცნობიანი ამოცანები უყვარს. პასუხს სასწრაფოდ მოძებნის: დაიღვას



კარგი სპექტაკლები და მაყურებელიც ივლის. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სკოლის  
ახე იოლად ვერ გადაიჭრება, ვისაც თეატრში უშუშავია ან თეატრის ცხოვრების-  
სათვის აქტუალურად უდევნებია თვალყური. კარგად იცის, რომ ხშირად სუსტ  
წარმოდგენას მეტი მაყურებელი დასწრებია, ვიდრე კარგს. დიახ, ასეთი პარადოქსი  
იშვიათი არ არის თეატრის ცხოვრებაში. ცხადია, ეს მოვლენა მაყურებლის გარკ-  
ვეული ნაწილის დაბალი მხატვრული გემოვნებით არის გაპირობებული. ყველა-  
ფერს, მათ შორის მხატვრულ გემოვნებასაც, სჭირდება აღწრდა-ჩამოყალიბება,  
ამ მხრივ კი მანცლამანც დიდი შრომა და ზრუნვა არ გაგვიწევია. ამაზე რომ  
გვეწრუნა, კიჩი ვერ მოკიდებდა ფეხს.

ვინც ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს კარგად იცნობს, მოეხსენება. რა-  
დენ დახვეწილი გემოვნებით უშენებია ქართველ კაცს სახლ-კარი, მოუწყვია  
კარ-მიდამო, შეუშუშავებია ზნე-ჩვეულებანი. ამის მცოდნეს არ შეიძლება არ  
გაუკვირდეს, როგორ გაჩნდა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში კიჩი, აბა, გაიხე-  
ნეთ საქორწინო მოსაწვევი ბარათები და მათზე გამოსახული გულები, რომელშიც  
ქალ-ვაჟია ჩახატული. მოიგონეთ საქორწინო ავტომობილები, წითელა ღენტები-  
თა და ტიკინებით მორთულ-მოკაშმული. ჩვენს გზებზე ვის არ შეხვედრია თაბა-  
შირის ირმების და მთებისეენ მომწირალი ტურისტების ქანდაკებანი. ვის არ  
უნახავს ჩვენს სოფლებსა და დაბებში სახლის სახურავებზე, ქიშკრებზე თუნუქე-  
ბისაგან გამოქრილი ჭიხვები, ირმები, გიორგი სააკაძე, ქართველის დედა, ვახტანგ  
გორგასალი, ანდა ელნათურებით გაჩირადდებული საფლავები, საოლავებზე —  
მაგილები, სიამები, მიცვალებულთა პორტრეტები, რომელთაც გარშემო მწვადები  
და ყანწები აქვს შემოხატული. უნახავს და გული დასწყვეტია. ამაზე ბევრჯერ  
ოქმულა კადეც.

შეიძლება გაიკვიროთ და მკითხოთ, ყველაფერი ეს რით უკავშირდება მაყუ-  
რებლისა და თეატრის პრობლემას? რას აფუქებს ეს უბოროტო, მიამიტი კიჩი?  
აქნ ნებს მხატვრულ გემოვნებას და კიჩზე აღწრილ ადამიანებს უჭირთ კლდია-  
შვილას შექსპირის და იბსენის მოსმენა და ნახვა. რაკი უმძიმს, თეატრში მოსვ-  
ლაც უწარება. ეს რომ უსაფუძვლო ბრალდებად არ ჩამითვალთ, ზოგიერთ სტა-  
ტისტიკურ ცნობას მოგაწვდით.

თბილისის სტატისტიკურ სამმართველოს ვთხოვე და მაცნობა: 1970 წლის  
აღწერის თანახმად, თბილისში ცხოვრობს 15-დან 64 წლამდე ასაკის, ეროვნებით  
ქართველი 511.879 კაცი. ახლა, ერთი წუთით, წარმოვიდგინოთ ფანტასტიკურად  
ილიალური შემთხვევა: მთელი წლას მანძილზე რუსთაველის თეატრას ყველა  
სპექტაკლს სრული ანშლაგით ესწრებოდა მაყურებელი. ასეთ იდეალურ შემთხვე-  
ვაში რუსთაველის თეატრში ერთ სეზონში მოვა სულ 272,529 კაცი. მასხადამე,  
ყველა მოწიფულმა თბილისელმა მოქალაქემ რომ მოიწადინოს რუსთაველ-  
ის თეატრში წელიწადში თუნდაც ერთხელ მოსვლა ვერ მოახერხებს. იმ სა ათას  
კაცზე მეტს თეატრი უარს ეტყვის ადგილების უქონლობის გამო.

ახლა ესვამ კითხვას: თბილისელი მოწიფულა მოქალაქე, ვინც უნდა იყოს  
იგი რა მდგომარეობისა და განათლების — წელიწადში ერთხელ რუსთაველის  
თეატრში არ უნდა მოვიდეს?

შეიძლება მიასუსოთ: რუსთაველის თეატრში არ მოსულა, მაგრამ სხვა თე-



ატრში წავიღო. მაღლობა ღმერთს, თბილისში არის სხვა დრამატული და კალური თეატრებიც.

სამწუხაროდ, არ წასულა, მაყურებლის პრობლემა ყველა თეატრს თანაბრად აწუხებს, თბილისში იქნება იგი თუ დედაქალაქის გარეთ.

აღბათ იცით, რუსთაველის თეატრში ბილეთების უმაღლესი ფასი ერთი მანეთი და 40 კაპიკია. უმცირესი კი 40 კაპიკი. მაშასადამე, თბილისის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას ენაება თეატრისათვის დახარჯოს ეს მცირე თანხა. უფრო მეტიც, რუსთაველის თეატრში კი არა, თბილისის ყველა თეატრში რომ წავიდეს კაცი წელიწადში ერთხელ. სუთ-ექვს მანეთზე მეტს ვერასდიდებით ვერ დახარჯავს. სვანთა შორის, ძალიან ხინტერესია, ის კაცი, ვისაც თეატრისათვის ეს გროშები არ ემეტება, რამდენ მანეთს ხარჯავს ერთი წლის მანძილზე ღვინოში?

ასეთ სურათს იძლევა სტატისტიკა, ახლა მინდა იმათ ვკითხო, ვინც თეატრს უყუენებს. კარგი სექტაკლები დადგით და მაყურებელი მოვაო: ნუთუ 511.37# თბილისელ მოქალაქეს, ყველას განუჩრჩველად, ასეთი რაფინირებული და დახვეწილი გემოვნება აქვს, რომ ქართული სექტაკლები არ აქმაუფილებს? რაღაც ძნელი დასაჯერებელია ეს. საერთოდ, სრული პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა: დღევანდელი ქართული თეატრის იდეურ-მხატვრული დონე არაფრით ჩამოუვარდება დღევანდელი ქართული მწერლობისა და მეცნიერების დონეს.

ახლა რაც უნდა ვთქვა, იმან ბევრს შეიძლება ღიმილიც მოგვაროს, მაგრამ მაინც ვიტყვი, ზუსტად არ ვიცი, რამდენი ათასი კაცი ჩამოდის ყოველდღე თბილისში, ჩამოდის მატარებლებით, თვითმფრინავებით, ავტომობილებით, სტუმარად; ტურისტად, მივლინებით. ერთი რამ აშკარაა: თბილისის სტუმართა რიცხვი ერთობ დიდია ამ სტუმრებს დღე თავთავიანთი საქმე აქვთ, მაგრამ სადამოთი? მათი დიდი უმრავლესობა საღამოს უთუოდ სუფრასთან კლავს დროს. ძალიან, ძალიან იშვიათად თუ მოუვა აზრად, თბილისში ყოფნის საღამო თეატრში გაატაროს.

კიდევ ერთი სტატისტიკური ცნობა უნდა მოგაწოდოთ. ამჟერად განათლების სამინისტროს ვთხოვე და მიპასუხეს: თბილისში ზოგადსაგანმანათლებლო 66 ქართული საშუალო სკოლაა (არაფერს ვამბობ სხვადასხვა ტექნიკუმებსა და სასწავლებლებზე). თბილისში ქართულ ენაზე 65.14# მოწაფე სწავლობს.

რუსთაველის თეატრმა კი წელიწადში 51 დღის სექტაკლი უნდა აჩვენოს. ესე იდეალურ შემთხვევას თუ წარმოვიდგენთ, 51 დღის სექტაკლს დაესწრება 13,311# კაცი. ე. ი. თბილისის მოწაფეების ნახევარზე ცოტა მეტი. აღბათ, მოსწავლეთა ის რაოდენობა, რომელიც სწორედ მაღალ კლასებში სწავლობს. თუმცა დღის წარმოდგენაზე დასწრება არც დაბალი კლასების მოწაფეებს ეკრძალებათ. როგორც ხედავთ, აქაც შესანიშნავად იქნებოდა საქმე, თბილისელი მოსწავლეების უმრავლესობა წელიწადში ერთხელ რუსთაველის თეატრში რომ მოდიოდეს. იქნებ, გვიზარან, ბავშვები მოზარდ მაყურებელთა თეატრში დადიანო, მოზარდ მაყურებელთა თეატრი არ არის კონკურენტი, პირიქით, იგი გვეხმარება, რადგან თეატრალურ ხელოვნებას აუვარებს ბავშვებს და ზრდის მომავალ კვალიფიციურულ მაყურებელს. ამ მხრივ მოზარდ მაყურებელთა თეატრს განსაკუთრებული უპირატეობა და მხარდაჭერა სჭირდება.

სომ წარმოუდგენელია, ქართველმა მოწაფემ წელიწადში ერთხელ მაინც ქართული წიგნი არ წაიკითხოს? ასევე წარმოუდგენელი უნდა იყოს, რომ წელიწადში ერთხელ ქართველი მოწაფე რუსთაველის თეატრში არ მოვიდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ხდება.

ახალგაზრდობა მარტო სანახაობის სახილველად არ უნდა დადიოდეს თეატრში. თეატრში ესთეტიკური ტკობის გაცდა კოლექტიურად ხდება, როგორც შინაგანი კულტურა საჭირო იმისათვის, რომ თავადაც მიიღო ესთეტიკური სიამოვნება და არც სხვას შეუშალო ხელი. არც მეზობელ მაყურებელთან გაწვევით კონტაქტი და არც სცენასთან. ემოციის გამოვლენისას სპექტაკლის ხელშეწყობი იყო და არა ხელშეშლელი. უოველივე ეს საერთოდ ზრდის საზოგადოებაში თავდაპირის ჩვევებს. სხვისი აზრის მოსმენისა და პატივისცემის უნარს. ეს საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემებია. ამ პრობლემების გადაჭრას თეატრი ეხმარება უპირველესად თავისი ბუნებითა და ხასიათით. არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე საზოგადოებაში ჩაცმა-დახურვის საკითხი. თეატრი აქაც სკოლაა. არ შეიძლება თეატრში ისე იარო, როგორც პლაჟზე. უოველ მაყურებელს იმის უნარი და ჩვევა უნდა ჰქონდეს, რომ არც ინდივიდუალობა დაკარგოს და არც კოლექტივს გამოეთიშოს. უხერხულაა თუთიყუშით აქრელებული ყველას თვალში ეჩხირობოდე და აღიზიანებოდე, საუბედუროდ, ჩვენ ანტრაქტს აზრობრივი ფუნქცია დაუკარგეთ და მხოლოდ ლიმონათის დაღვევისა და პაპიროსის მოწევის ფუნქციად დავეტოვეთ. უამრავი ამდაგვარი საკითხი უკავშირდება მაყურებლისა და თეატრის ურთიერთობას. ეს კულტურა, ეს ჩვევა ბავშვობიდანვე უნდა აღიზარდოს უოველ ადამიანში. ადამიანის საუკეთესო მოქალაქეობრივი თვისებები სწორედ ამ გზით ყალიბდება.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია: ჩვენ გვინდა, რომ ყველაფერი კარგად იყოს მოწყობილი. ყველაფერი კარგი გვექონდეს, მაგრამ ამისათვის თავის შეწყობება გვეჭირს, შრომა და ბრძოლა გვეზარება. თეატრს არამარტო მწერლობის მხარდაჭერა სჭირდება, არამედ მაყურებელთა ხელშეწყობაც. თეატრი ერთადერთი დარგია ხელოვნებისა, სადაც მაყურებელი ხელოვანის შემოქმედების თანამონაწილეა. თუ მწერალი ან მხატვარი მარტობის ატმოსფეროში უკეთ ქმნის, თეატრში პირიქით, მსახიობი სწორედ პუბლიკუმის თვალწინ ეწვევა ქმნალობის მისტერიას, არა მარტო მაყურებელთა ტაშია დამხმარე, არამედ მაყურებელთა უარყოფითი რეაქციაც მშველელია. ჰკუის მასწავლებელია და იმიტომ. მხოლოდ მაყურებელთა გულგრილობა და ინდაფერენტუზშია ხელის შემშლელი. გულგრილობის უფლება არავის აქვს. მათ შორის, მაყურებელსაც, გულგრილობა ერის კულტურისადმი აგდებულა დამოკიდებულების მაუწყებელია და ვის აქვს ამის უფლება? ამიტომ უოველ სუსტ სპექტაკლზე მაყურებელი ისევე აგებს პასუხს, როგორც ეს თუ ის თეატრალურა გუნდი, აქ გათიშვა არ შეიძლება. ამ ერთიანობის შეგნება ქართული თეატრის შემდგომი განვითარების აუცილებელი პირობაა.

არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად ენერგიული მუშაობაა საჭირო. ვიმეორებ, მუშაობა. ჩვენ ყველამ ვისწავლეთ კარგი ლამარაკი, ოღონდ არ ვიცით საქმის ასევე კარგად კეთება. ახლა დადგა დრო, საქმის კარგად კეთებაც ვისწავლოთ.



თითქოს სადავო და საბაქრო არაფერი მითქვამს, მაგრამ ლიტერატურულმა საქართველომ ჩემს ინტერვიუს მანინც დაურთო შენიშვნები. გაზეთმა მაყურებელი დაიცვა და მისაყვედურა: აკავი ბაქრაძეს, ვერ დავეთანხმებით იმაში, როცა

მაყურებლის გულგრილობისათვის მთელს პასუხისმგებლობას თითქმის მხოლოდ  
მაყურებელს აკისრებს, ჩვენ კი გვეჩვენება, რომ მაყურებლის პასიურობა  
არის დამაკიდებელი თვითონ თეატრზე“.

მართალია, „ლიტერატურული საქართველოს“ შენიშვნები წვილიდან ხასიათს  
ატარებდა, მაგრამ მაინც შეტად დამაფიქრებელი იყო. არა მარტო იმიტომ, რომ  
მართლაც ამბობდა გაზეთი, არამედ იმიტომაც, რომ მკაფიოდ ჩანდა ის დაპირისპი-  
რება, რომელსაც მაყურებელსა (შეგნებულ მაყურებელსა) და თეატრს შორის  
ენიან თავი.

„განა მაყურებლის მიმართ გულგრილობით (არ გვინდა უფრო მაგარი გამო-  
ცქმა ვინმართ) არ აიხსნება ის უცნაური ფაქტი, რომ დღეს, 11 სექტემბერს,  
სეზონის განხლის წინა დღეს, მაყურებელმა არც თეატრების რეპერტუარი იცის,  
არც დასების შემადგენლობა, არც სხვა რამ სიახლენი თეატრის ცხოვრებაში“.

მართალია, თეატრალური სეზონი საზეიმოდ უნდა იხსნებოდეს. ამაზე ვინ  
იღავებს? მაგრამ ეს ის ზღაპრად არ არის, რომელიც მაყურებელს გზას გადაუკე-  
ტავს თეატრისაკენ.

სხვა შენიშვნაც მართალია, მაგრამ არც იგია ის ხარვეზი, რომელიც მაყურე-  
ბელსა და თეატრს აშორიშორებს.

„როგორ გგონიათ, მაყურებლის გემოვნების განვითარებას, რაზედაც ინტერ-  
ვიუსია საუბარი, ხელს უწყობს ის საექვო გემოვნების აფიშები და პროგრამები,  
ჩვენი თეატრები მაყურებელს რომ სთავაზობენ?! არადა, ბევრი თეატრი ინატ-  
რებს ისეთ მაღალნიჭიერსა და დახელოვნებულ მხატვრებს, როგორც ჩვენ  
გვყავს. ეს იმითაც ჩანს, რომ, როცა ჩვენი თეატრი რესპუბლიკის გარეთ მიემგ-  
ზავრება სავსატროლოდ, იშვიათი გემოვნებით შესრულებული აფიშები და პროგ-  
რამები მოაქვს ეს აფიშები და პროგრამები „საგარეო“, „საშინაოდ“ კი... ყველას  
კარგად მოეხსენება, როგორი პროგრამები იყიდება ჩვენს თეატრებში! არადა,  
თეატრი ისეთი დაწესებულებაა, სადაც ყველაფერი „საგარეო“ და ბრწყინვალე  
უნდა იყოს“.

რასაც „ლიტერატურული საქართველო“ ამბობდა, თეატრის ცხოვრებისათვის  
მნიშვნელოვანი იყო. თეატრი თეატრია და, მართლაც, ყველაფერი სადღესასწა-  
ულად უნდა წარმოვადგინოთ. სიბარული და დღესასწაული თეატრის ბუნება და  
ეს ყველაფერი უნდა ცხადად იგრძნობოდეს, დაწყებული იმ კონტროლიორით,  
კარებში რომ დგას და მაყურებელს ბილეთს უსინჯავს, დამთავრებული წარმოდ-  
გენით. მაგრამ არსებითი და მთავარი ის განსლდათ, რომ „ლიტერატურული სა-  
ქართველოს“ ან სხვების შენიშვნები იმ პრობლემას ვერ მოაგვარებდნენ, რასაც  
თეატრისა და მაყურებლის კავშირი ეწოდება.

სქა-ბაახი, დავა-კამათი გრძელდებოდა (იხ. მაგალითად, შურნალი „საბჭოთა  
ხელოვნება“, 1974 წ., № 7, № 12). ოფიციალურ თათბირებსაც იწვევდნენ  
ინსტიტუტები, რომელთაც ხელისუფლება ხელოვნებისა და ლიტერატურის  
მოვლა-პატრონობას ავალებდა. დადგენილებებსაც იღებდნენ სხვადასხვაგვარს.  
მაგრამ თეატრისა და მაყურებლის გათიშულობის მოწესრიგებას საშველი არ  
ადგებოდა. თეორიული კუთხით ცვდილობდით პრობლემის არსის გარკვევას. მეც  
გამოვაქვეყნე ამ მიზნით წერილი შურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ (1974 წ.  
№ 2).

რეჟისორის ცხოვრება

დავიწყებ იმით, რომ ეს სათაური ძალზე ზოგადია. შეტისმეტად ბევრის მომცველი და ზოგადი. მე კი მინდა რაღაც ჩემი კუთხით დანახული, თანაც ინტიმური და იწვევ დროს არსებითი ვიქნა ანზორ ქუთათელაძეზე, რეჟისორსა და მახლობელ ადამიანზე, რომელსაც 60 წელი შეუსრულდა. წლები, მართლაც, იმდენი გასულა და თანაც ისე სწრაფად, ბევრი რამ დაგროვილა; დაფიქსირებულა მესხიერებაში, რაღაც მთლიანი სახე მიუღია. ყველაფერი ამისა, კი მთავარი ის არის, რომ ამაოდ არ უცხოვრია, განუწყვეტლივ უყვარდა თეატრი, როგორც მისი გატაცება კი არა, რთული და დამქანცველი პროფესიული ცხოვრება, სადაც არ არსებობს საბოლოო კმაყოფილება, დასრულებული ფენემონი. როცა შეიძლება დადგეს უკან მოხედვისა და განვლილი გზის ფხიზელი განჭვრეტის უამი. ასეთი გზავარდინი ხშირად უსიამო გრძნობების და ეჭვების ამღვრელიც არის. ყველაზე დრამატული და მტკივნეულია შეგრძნება იმისა, როგორ ჩქარა გასულა დრო. ბევრი რამ უპოვია, მიუღწეია, გაშუბორცილებია. დანაკარგებიც არც ისე ცოტაა. და მაინც არის რწმენა: ფუჭი და ცარიელი არ ყოფილა შენი თავგანწირვა, გულმოდგინე შრომა, რომელიც ძნელად იძლევა სასურველ შედეგს. ყველაზე უმთავრესი მაინც წინ რის, ახლო მომავალში, შენი ლურჯი ქრინველი, რომელსაც ვერასოდეს ეწევ. თითქოს გუშინ იყო მისი გახმაურებული „ბაფთიანი გოგონა“ მარჯანიჭილის თეატრში, ახალგაზრდა სოკო ქიანურელიც რომანტიკული როლი რომელზეც ბევრი დაიწერა და

იქცა. და აგერ, სულ აგერ „ელისაბედ, ელისაბედ“. სტუდიური სპექტაკლი, რომელმაც ივიწროვა სტუდიის კედლები. მათ შორის საკმაოდ ბევრი, თავისებური, ანზორისეული წარმოდგენა, რაც დაგროვდა და რეჟისორის მთლიანი, თავისთავადი ცხოვრება შეადგინა. აქ არის ქეშმარიტი სინაღლებიც ჩავარდნები თუ არა, სანახევროდ განხორციელებული ჩანაფიქრები. ის კი ისეთივეა, როგორიც იყო თუნდაც ამ ოცდაათი წლის წინათ. დინჯი, აუჩქარებელი, იმპოზანტური. დახვეწილი გემოვნების ადამიანი თავისი ჩაცმულობით. თითქოს მუდამ სულიერად გაწონასწორებული, პრაქტიკული გონიერებითა და მიზნების სიკბადობ. თითქოს მუდამ ფიქრიანი, ოდნავ ფლეგმატური და მჭკვრეტელი, იქნებ შორსმჭვრეტელიც. ინტელიგენტური და ანალიტიკური. შეჩვეულია თავისი სიღრმისეული გრძნობების შეკავებას. საუბარიც და კამათიც შეკავებული იცის. და მხოლოდ მუშაობის პროცესში, სადაც მას ფიქრისეული გამოთიშვებიც და ხანგრძლივი პაუზებიც სჩვევია, მხოლოდ დაკვირვებულ თვალს შეუძლია დანახოს მოუხვეწარი სულიერი მღელვარება, მუშაობის პროცესი, რომელიც მთელი მისი არსებიდან მუდავნდება. ერთში ის მუდამ არის დარწმუნებული: უყვარს თეატრი და პროფესიულად ღრმად წვდომის კულტურაც აქვს. იცის ხელობა, რომელსაც ხელოვნებისკენ მიჰყავს. მან იცის თეატრი, რომელიც საკიდიდან იწყება. თეატრი, სადაც არ არსებობს შემთხვევითი წვრილმანი და ყოველ საგანს თუ დეტალს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ნაწილის სათის შექანისმში. და



იქნის რეჟისორის საიდუმლო, რომელიც ლიტერატურიდან იწყება. მე შემსვევსთ არ ვწერ „ლიტერატურიდან“, რადგან იგი თავის პრაქტიკაში მარტო დრამატურგიას არ ემყარება. პროზაც და პოეზიაც კი ხშირად ქცეულია მისი რეჟისორული ინტერცეპტების საგნად. ის ლიტერატურის გზით მოდის თეატრში. ენდობა ნწერალს, ღრმად ეცნობა, სწავლობს. წაკითხულს თავიდან უბრუნდება და ისევ უღრმავდება. თავის თავზე აქვს გამოცდილი თეატრის თამაშობის სიძნელეები, სოგატრ დრამატული წინააღმდეგობები, რასაც დიდი სულიერი ძალა და ენერჯია ეწირება და ამ ურთულეს კონფლიქტებში ღრმად აქვს შეგნებული თავისი სიმართლე. და მისი ბრძოლა თეატრში თეატრისთვის მაინც არ არის ისტერიული, პანიკური, უშაფრეს ემოციებს გადაცდენილი. მე მახსოვს იგი ამ ორი ათეული წლის წინათ სოხუმის თეატრში, რომელსაც ხელმძღვანელობდა. იმ ზამთრის უფერულ დღეებში იგი „ოიდიპოს მეფეს“ დგამდა. ოიდიპოსს მიხეილ ჩუბინიძე და ლეო ფილფანი თამაშობდნენ. გატაცებით, შთაგონებულად მუშაობდა. ბოლომდე მოუწყობელი თეატრის ათასი წვრილმანი ელემენტობა მშვიდ და ფიქრებულ მუშაობაში. ის მაინც მშვიდი იყო და აუჩქარებელი. თითქოს წინასწარ დარწმუნებულიც წარმატებაში, რადგან ზედმიწევნით იცოდა, რასაც აკეთებდა. თეატრში არასოდეს მოდიოდა ხელუკარიელი, იმპროვიზაციის იმედზე. ის გააზრებულად მუშაობდა და ბოლომდე მხოლოდ მან იცოდა, როგორ მთლიანობას ქმნიდა. პრემიერის დღეც დადგა და იგი მავიდა თეატრში. დღესასწაულზე, მსახიობებთან და მაყურებელთან ერთად. და როგორ შეცბუნდა, გულნატკენმა გაიოცა, როცა დარბაზი არ გაივსო მაყურებლით. იმ დროს თეატრისადმი შენელებული ინტერესის თუ ზამთრის ბრალი იყო მაყურებლის

სიმცირე. სად იყო ქალაქის ინტელექტუალური მაინც. რომელსაც სხვა რომ არაფერი, ქრესტომატიულად უნდა იზიდავდეს სოფოკლეს გენიალური ტრაგედია. ბედნიერ ზეიმებთან ერთად ასეთი დღეებიც განუსვლია თეატრში. პანიკას არ ეძლეოდა. მიზეზებს ანალიზებდა, მიზეზებს ეძებდა თავის თავშიც და ცხოვრებაშიც. არასოდეს შტრყევია რწმენა, თუმცა ეჭვები გასჩენია. ეჭვი ნათელი შეცნობის საფუძველი ხდებოდა და ის კვლავ მუშაობდა, ეძებდა, აანალიზებდა, თითქოს ყველაფერს თავიდან იწყებდა. მარცხის თუ აუხსნელი წარუმატებლობის დამანგრეველი ძალა ვერ არყევდა მის გარეგნულად მშვიდ ბუნებას. მყვირალა პათეტიურობას ვერ იტანდა რეპეტიციების დროს, გამახვილებული სმენით თითქოს დაბალ ტონებში ქმნიდა ფსიქოლოგიურად მართალ სცენებს. სპექტაკლი კი ფსიქოლოგიურთან ერთად პათეტიკურად ამაღლებული და რომანტიული გამოუდიოდა. ეს ყველაფერი მაშინ უფრო შევიგრძენი მკაფიოდ, როცა მარჯანიშვილის თეატრში ჩემს „მოსამართლეს“ დგამდა. როცა პიესას დგამ ავტორსა და რეჟისორს შორის ღრმა შინაგანი ურთიერთობა მყარდება. ეს მომენტი დრამატურგიაზე ერთობლივ მუშაობით მკვიდრდება. არც ერთ ავტორს ალბათ არ უყვარს, როცა რეჟისორი რაგინდ ავტორიტეტულიც არ უნდა იქოს ცდილობს თავის მხრებზე მოიზღოს ნაწარმოები. მე არ მწამს თეატრში შექმნილი ნაწარმოებები, არც ის მჯერა, რატომ უნდა „თხზავდეს“ სპექტაკლად რეჟისორი უკვე ლიტერატურულ ფაქტად არსებულ დრამატურგიას. თუ არ მიჩინია დასრულებულად, ნურც დადგამს. არადა კეთილი ინებოს, ავტორს დაემორჩილოს. თეატრის ცხოვრების პრაქტიკა კლასიკიდან მოკიდებული დღევანდელ დრამატურგიამდე, აღსავსეა რეჟისორთა განუსაზღვრელი ზემოქმედებით და უსაზღვრო თვითნებობით.



თვით გენიალურ შექსპირსაც არ ინდობენ ხოლმე. მე არ მწამს ადაპტაცია და ვარიანტების თეატრში შექმნა. პოლიკარპე კაკაბაძის „უვარუვარე თუთაბერზე“ ამბობენ, მეორე მოქმედება თეატრში კოტე მარჯანიშვილმა დააწერინაო. იქნებ, ასეც მოხდა. მაგრამ დაწერით ხომ პოლიკარპე კაკაბაძემ დაწერა! კოტე მარჯანიშვილი თვითნებურად არც არაფერს დაამატებდა და არც გამოაკლებდა. უოველ შემთხვევაში, რეჟისორის მეტად აქტიური ძალდატანება ხშირად ავტორთან კონფლიქტით მთავრდება და „რეჟისორის ვარიანტი“ იშვიათად ამართლებს. ჩემი გამოცდილებით ამგვარ ავტორისებულ კომპრომისებს იშვიათად მოუპოვია სახსურველი შედეგი.

„მოსამართლეზე“ ერთობლივი მუშაობაც მტკიცენიული იყო, თუმცა, კომფლიქტამდე არ მისულა. საბედნიეროდ, ეს იმიტომ მოხდა, რომ ანზორ ქუთათელაძეში ლიტერატურულად მოაზროვნე რეჟისორი დავინახე. ეს იქიდან მოდიოდა, რომ უტყუარი აღღო და გემოვნება შეეცანა. ამიტომ ჩემი დათმობებიც რამდენადმე დამარწმუნებელი რეჟისო-

რული აზროვნების შედეგიც იყო. ამიტომ ჩემი მუშაობა მასთან თეატრში რამდენადმე ჰარმონიული გამოდგა. თუმცა, დღემდე ვერ შევრიგებიავარ მოსამართლე დავით ბარათელის შვილიშვილ დათოს ინცინდენტს დამნაშავე ადამიანებთან. ამ ეპიზოდში მომხდარი მკვლელობა მე ნაძალადევ დრამატიზმებად მიმაჩნდა, მაგრამ დათმობაზე მაინც წავედი და ეპიზოდი ხელახლა დავწერე. ასე იყო თუ ისე, ანზორ ქუთათელაძე ზუსტ, გააზრებულ რჩევებს იძლეოდა, თუმცა, ჩემს არჩევანს კატეგორიულად არასოდეს ზღუდავდა, და მე არასოდეს დამავიწყდება სარეჟისორული დარბაზში პირველად ნანახი „მოსამართლის“ სცენები. თითქოს ცივი გონებით დამუშავებულ მოქმედებაში უზარმაზარი ემოციურობა მუღავნდებოდა. მე ვგრძნობდი, რომ პიესაზე მუშაობისას მას სპექტაკლი უკვე მზად ჰქონდა გონებაში. ახლა ხორციელდებოდა მისი დადგმა. ამგვარი „რაციონალიზმი“ თითქოს აუცილებელიც კი იყო იმ ნაწარმოებისთვის, რომელსაც ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური თუ იგავური პლანე-



რეჟისორი

ბი პქონდა და შათი სინთეზი მეტად  
ძნელი რამ ჩანდა ერთიანი ფორმის შე-  
საქმნელად. ჩემი ამგვარი შიში მეტნაკ-  
ლებად გამართლდა „მოსამართლის“  
სხვა დადგმეში, რომელთა მეტნაკლები  
ღირსება ფსიქოლოგიური სიმართ-  
ლისა, ნაწილობრივ ეწირებოდა ინტე-  
ლექტუალურ ქვეტექსტს. დაძაბული  
ვფიქრობდი იმაზე, ეს დაფანტული ცალ-  
კეული ფრაგმენტული სცენები როგორ  
იქცეოდნენ იმ მთლიანობად, რისთვის-  
საც გამიზნული იყო მოსამართლე და-  
ვით ბარათელის ცხოვრებაზე მოფიქრე-  
ბული მონობისა. და ჩემთვის ყველა-  
ფერი გამართლდა ფინალში, როდესაც  
აღამიანთა ცხოვრებაში მიმავალი გრძე-  
ლი დერფენის სიღრმეში მარცხნივ და  
მარჯვნივ კარებები ისევ ერთბაშად გაი-  
ღო და საგონებელში ჩავარდნილი ადა-  
მიანს, რომელმაც თავისი ცხოვრება გა-  
ასამართლა. თავზე დაადგინე მისივე  
გასამართლებული და განსჯილი ადამიან-  
ნები. აქ ბედნიერად შეერთდა ჩემი და  
რეჟისორის ზედვა და ვირწმუნე ემოცი-  
ურად და ინტელექტუალურად გამთლია-  
ნებული სცენური ქმედების დასრულე-  
ბა. ამიტომ ჩვენი შეხვედრა იღბლიანი  
აღმოჩნდა და ჩემს ცხოვრებაში თეატრ-  
ში ბედნიერი წუთები განმაცდევინა.

ანზორ ქუთათელაძე დღემდე დაუღ-  
ლელი და მოუსვენარი რეჟისორია. მძი-  
მედ კიდებს ზელს ახალ ნაწარმოებს,  
დიდხანს უტრიალებს, ფიქრობს, ფიქ-  
რობს დაუსრულებლად. ამიტომ ხანგრძ-  
ლივია მის ცხოვრებაში რეჟისორული  
პაუზები, ინტერვალები დადგმიდან  
დადგამამდე. ვერ ვიტყვი ხანგრძლივი  
მუშაობის მანძილზე გაჩენილ ექვებს  
ბზარი შეეტანათ მისი მონოლოგიური  
პიროვნების სულაერ ცხოვრებაში. მაგ-  
რამ ერთი რამ ცხადზე უცხადესია: უკი-

ღურესად გამაფრებულმა  
კურმა ბუნებამ ექვებიც გაუჩინა.  
ძნელად ირჩევს პიესას, ძნელად ჰკიდებს  
ხელს და იწყებს მუშაობას. მოღვაწეობა  
თეატრალურ კავშირში და ინსტიტუტში  
პედაგოგიური საქმიანობა ბევრ სასი-  
კეთოს მატებს ჩვენს თეატრალურ ყო-  
ფას, დიდი გამოცდილების გადასაცე-  
მად თავისი სტუდენტებისთვის მას  
ძალაც ყოფნის და ნაცადი რეჟისორის  
სიბრძნეც. ჩვენი სულიერი ცხოვრების  
უშმაფრესი კრიზისების უამს ისევ პოუ-  
ლობს თავისთავში ძალასა და შთაგონე-  
ბას — თავგანწირულად იღვავოს თეატ-  
რისათვის. მისი გარეგნულად მოწესრი-  
გებული, გაწონასწორებული და მშვიდი  
სულიერი ცხოვრება აღსავსეა შინაგანი  
მოუსვენრობით, ძიებებით თეატრზე  
თეატრისათვის აფორიაქებული ფიქრე-  
ბით. ის ბოლოდ წამიერად ყოვნივებუ-  
ლად თავისი ბოგრაფიის სამოცი წლის მიჯ-  
ნაზე. და მჭერა, ზვლიდან, ამ ტაიმაუ-  
ტის შემდეგ, ისევ გაგრძელდება რეჟი-  
სორის ცხოვრება თეატრში, რადგან  
თეატრი, ეს ურთულესი და უმშვენიე-  
რესი სარბიელი, იოლად არ პასუხობს  
პროფესიონალი შემოქმედის ამაღლე-  
ბულ სიყვარულს. რამდენადაც მშვენიე-  
რია იმდენადვე სასტიკია, დაუნდობე-  
ლი, რადგან არ კმაყოფილდება ბოლომ-  
დე მისთვის მიტანილი მსხვერპლით,  
უშურველად გაღებული წლებით. მთელ  
სიცოცხლეს უკლებლივ მოითხოვს შე-  
მოქმედისაგან. მჭერა, ანზორ ქუთათელა-  
ძე არც სამოცი წლის გასრულების შემ-  
დეგ დაიშურებს თავის სიცოცხლის  
წლებს იმ თეატრისთვის, რომელიც სი-  
ცოცხლის ტოლფასი იყო მუდამ რეჟი-  
სორის ცხოვრებაში. ყოველივე ამაში  
არის ის ჭეშმარიტი ბედნიერება ადა-  
მიანისა და ზელოვანისა, რომელსაც რე-  
ულები აღწევენ ხოლმე.



## შურისძიება

შურისძიება? ა. ქუთათელაძე ჯერ გაბრაზებულიც კი არაღის უნახავს, მით-  
უმეტეს შურისმაძიებელი, იტყვის მკითხველი. მინახავს, ბატონო, ნამდვილად  
მინახავს. არა გჯერათ? 1979-80 წ. სეზონში რუსთავის თეატრის ხელმძღვანელი  
იყო. მაშინაც ერთთავად კოხტად ჩაცმული, მუდამ მომღიმიანი, მოსიყვარულე და  
თავაზიანი ვახლდეთ... მაგრამ შურისძიება ნამდვილად მახსოვს. მეც ცოტა მოგ-  
ვიანებით მივხვდი... მაშინ რუსთავის თეატრში შ. დადიანის „გვირგვინიანების“  
ოჯახს ევკამდი. ბუნებრივია, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. როგორღაც  
გაეგო, რომ თეატრალურ ინსტიტუტში, ერთ-ერთ ჯგუფში სადიპლომო წარმოდ-  
გენად ვ. კანდელაკის „დრო 24 საათი“ უნდა დაშედგა. კაბინეტში მიმიწვია და  
გულდასმით გამომკითხა ყველა წერილმანი.. რა შეეცალე? როგორ დავამონ-  
ტაჟე პიესა? მთავარია, იცის თუ არა ყოველივე ეს ავტორმა?.. დე კიდევ ათასი  
წერილმანი. ჯერ გამოვიკირდა, რადგან ეს არ იყო უბრალო ცნობისმოყვარეობა.  
მხოლოდ, მეორე დღეს მივხვდი, რომ ამ კითხვების უკან რაღაც ინფორმაცია  
იმალებოდა. მაინც რა? რა ვიცოდი ამ პიესის გარშემო? ვიცოდი, რომ მან 1971  
წელს, გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო თეატრების ყურადღება. ბევრმა რეჟი-  
სორმა სცადა მისი დადგმა. დაიდგა ბათუმში, მაგრამ თბილისში არა და არა.  
ავტორი ძალიან ფრთხილობდა (ჩვენი საუკუნის 70-იანი წლებია, ბატონებო!) და  
არაღის უფლებას არ აძლევდა რაიმე შეეცვალათ პიესაში, თვით ის ადგილებიც  
კი, რომელიც ცენზურის თვალის ასახვევად, აშკარად კონიუნქტურული მიზნით  
იყო ჩართული და ასე ამძიმებდა პიესის უაღრესად ამაღლებულ, დრამატულ  
სულისკვეთებას. ავტორი შეუვალი და კატეგორიული იყო... და თეატრებმაც  
უკან დაიხიეს. კიდევ რა ვიცოდი ამ პიესის გარშემო? გამახსენდა! გამახსენდა!  
იგივე მიზეზით ეს სპექტაკლი გენერალური რეპეტიციის შემდეგ მოხსნეს კ. მარ-  
ჯანიშვილის სახ. თეატრში. სპექტაკლს დგამდა ბ-ნი ა. ქუთათელაძე!

ვისთვისაც ერთხელ მაინც მოუხსნიათ სპექტაკლი, იცის, თუ რა მწარეა  
ყოველივე ეს! მოურჩენელ ტკივილად გაგყვება მთელი ცხოვრება.

ორი დღის შემდეგ ბ-ნმა ანზორმა კვლავ კაბინეტში მიმიწვია. მას ერთხელაც  
არ უხსენებია ზემოაღწერილი შემთხვევა, მაგრამ აშკარად ვგრძნობდი, როგორ  
თანმიმდევრულად მაცნობდა მოსალოდნელ საფრთხეს... არც ბრაზობდა, არც  
ღელავდა. მშვიდად იჯდა მაგიდასთან. სიგარეტს აბოლებდა, მესაუბრებოდა და  
იღიმებოდა, მისი განუყრელი ხალეზიანი „პეპელა“ უმწვევებდა საყელოს. მიუ-  
ხედავად ამისა, მაინც ვიგრძენი ტექსტის იქით, პაუზებში, თამბაქოს კვამლის  
მიღმა, ნამდვილად ვიგრძენი, რაღაცა ფრთხილი და გამოზნული — შურისძიებამ  
მერე დავარქვი, ერთი წლის შემდეგ—მაშინ კი მისი ღრდრონი თვალების შიშვე  
ქუთუთოები გულდასმით მალავდნენ ამ „რაღაცას“.

ერთ კვირაში ბ-ნ ვ. კანდელაკს შევხვდები. მე ადრეც მქონდა დადგმული მისი  
პიესები და კარგად ვიცნობდით ერთმანეთს. მაგრამ როგორც კი „დრო 24 საათი“  
ვუსხენე, უმალ შეიცვალა კატეგორიული უარი განაცხადა. მე ავუხსენი: რომ

ეს იქნებოდა სტუდენტური, სადიპლომო სპექტაკლი, გუფის შემადგენლობა მაძულებს შევამცირო მოქმედ პირთა რიცხვი, მცირე სადადგმო ხარჯების სცენური გარემოც ძალიან პირობითი იქნება... დაბოლოს, სპექტაკლს 2-3-ჯერ თამაშებენ-მეთქი.

როგორც იქნა, დამთანხმდა.

რეპეტიციების დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ ბ-ნი ანზორი ინსტიტუტში მოვიდა და მოხოვა მისთვის შეჩვენებინა პიესის დამონტაჟებული ვარიანტი.

— ავტორს თუ აჩვენე? — მკითხა წაკითხვის შემდეგ.

— დაახლოებით მოვეუწყე!

დიდხანს ჩემად იყო. ბოლოს მითხრა:

— ეცადე. არ აჩვენო — და წავიდა.

გენერალურ რეპეტიციას დაესწრო ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და „შემოხვევით მოსული“ ბ-ნი ა. ქუთათელაძე. განხილვამ კარგად ჩააბრა. ქართული გენერლების თავგანწირვამ ვველა აღელვებდა და, აღზაბთ, ამიტომაც ბევრი კომპლიმენტაც ვგითხრეს.

— პრემიერაზე ავტორს თუ მოიწვევთ? — იკითხა ბ-ნმა ანზორმა.

— რასაკვირველია! — ერთხმად მიუგეს და ვერავენ შენიშნა ამ შეკითხვის საიდუმლო ახრი.

პრემიერაზე ბ-ნი ვ. კანდელაკი მობრძანდა. მარტო არ იყო. პატივით მიიღეს და მესუფთე რიგში დასვეს. ცოტა ხანში ბ-ნი ანზორიც გამოჩნდა. ორევე ისე იტყუოდა; თითქოს ერთმანეთს ვერ ამჩნევდნენ...

წარმოდგენის შემდეგ, როგორც საერთოდ ხდება, კულისებში ნაცნობ-მეგობრები მოგროვდნენ. ცოტა ხანში ავტორიც გამოჩნდა. იღიმებოდა, მარჯვენა ხელის ცერი აეწია და ჩემსკენ მოიწვევდა. უცებ, არ ევაკარბებ, რაღაც ძალამ მარჯვნივ მამახედა და შევნიშნე: პორტალთან მოხერხებულად ამოფარებულ ი. ქუთათელაძე თვალს არ აცილებს პაერში შემართულ ცერს. ავტორი კმაყოფილი გვილოცავდა. მანიაშვილის როლის შემარულებელს ნახად გადაუსვია თავზე ხელი, შემდეგ ისევ მომიბრუნდა და მითხრა:

— რას იტყვი შენ, ეს ვარიანტი არც თეატრისათვის იქნება ურიგო, არა?

და სანამ რამეს ვიტყვოდი, გამოჩნდა ბ-ნი ანზორი. დიხად მიუახლოვდა ვ. კანდელაკს, თბილად გაუღიმა, ხელი ჩამოართვა და ერთმანეთს გადაეხვივნენ. შტრისძიება? იკრახავთ თქვენ, ვერაფერი შენიშნეთ ხომ? მაშინ ბევრი რამ ვერც მე შევნიშნე. მაგრამ...

მეორე დღით ბ-ნი ანზორი ინსტიტუტში მოვიდა. არც „გამოუვლდა“, არც „შემოხვევით შემოუვლია“. — მოვიდა! და მითხრა:

— ახლა ინახულე სახლში ვალიკო (შინაურულად ასე ეძახდნენ ბ-ნი ვალერიას) და სპექტაკლზე გაესაუბრე. არ შეაწყვეტისო. გულდასმით მოუსმინე და წამოსვლის წინ, მადლობას რომ გადაუხდო, სხვათა შორის უთხარი, რომ ეს ვარიანტი ჩვენს თეატრშიც კარგად განაწილდება... (შემდეგ ბ-ნმა ანზორმა კიდევ რამდენიმე დარიგება მიამცა და მანქანით მიმოყვანა ეკავა, დანიშნულ ადგილას...)

ბ-ნმა ვალერიანმა სიხარულით მიმილო. ბევრი მელაპარაკა. შევნიშნე: საწერ ნაგიდაზე ქსეროქსზე გადაღებული „გველის პერახგი“ ელო.

— პროხაში ვმუშაობ! — მითხრა და კვლავ სპექტაკლს შეეხო... ვიგრძენი, წასვლისას კი არა, ახლა უნდა შეთქვა მთავარი და ვუთხარი, ეს ვარიანტი ჩვენს თეატრშიც კარგად განაწილდება-მეთქი.

შიძემ ღუმლით შეხვდა ამ წინადადებას. ფანჯარასთან მივიდა, დიდხანს იფიქრა და უკმაყოფილომ მოთხრა:

— არ გამოვა!  
ციემა ოფლმა დამასხა.

— თქვენი მთავარი რევისორი ანზორი არაა ქუთათელაძე? ნაწყენია ჩემზე არ. იზამს! — თქვა და დაჯდა.

და როცა ვუთხარი ეს სწორედ მისი იდეა გახლავთ-მეთქი, საოცრად აღელდა ატორიაქდა, შემდეგ თავს მოგრიდა და კმაყოფილმა მოთხრა:

— არ ვეცოდები, თუ ასეთი კარგი ბიჭი იყო, ესე იგი წყენია არ ჩაუდვია გულში. ხედავ, კოსო! ხედავ, შენ? — იმეორებდა და სადღაც იუყურებოდა — მართლაც ასე თქვა, აბა? უყურე შენ!

— სექტემბერში შეგეძლია დავიწყოთ — ვთქვი და ავდექი.  
— მოიტა ხელი! — მოთხრა და ხელი გამომიწოდა. დაღვა გადამწყვეტი წუთო...

შურისძიების? იკითხავთ, ალბათ. — არა, ბატონო, არა.

— იგივე ვარიანტი, რაც ინსტიტუტში — ვუთხარა და ხელი ჩამოვართვი — იგივე კონცეფციით, შემდეგ ხომ არ იქნება რაიმე გართულება?

— არ მენდობით? — იკითხა ხუმრობით.  
— ძნელია ავტორების ნდობა — ვცალე მეც ხუმრობა.  
— თუ გინდა დაგწერო, მეტი რა გინდათ? — ვაკიცნა მან.

იმ წუთში აყუევნი და სანამ ორივე გულიანად ვიცინოვით, „დიპლომატიდან“ პიესის დამონტაჟებელი ვარიანტი ამოვადვირინე, მაგიდაზე დავდე... წიგნების თაროს შავშატერდი და სანამ ბატონი ვალერიანი რალაცას დაწერდა, ათჯერ მაინც დავითვალე იბენის ობტომეფლი...

ერთი საათი დავყავი მასთან. დაბლა რომ ჩამოვედი, პურის მალახისთან ბ-ნი ანზორის მანქანა შევნიშნე. საჭესთან იჯდა და მელოდებოდა.

— რა პქენი?  
გამარჯვებულმა პიესა გავუწოდე. მან ყდა გადაშალა და დამარცვლით წაიკითხა ავტორის მინაწერი: „თანახმა ვარ დ. კობახიძემ ეს ვარიანტი დადგას რუსთაის თეატრში, ვალ. კანდელაკი“.

დასი ღიღი ენთუზიაზმით მუშაობდა პიესაზე. მამინ ჩვენი თეატრი რკინიგზულთა სახელში უჩვენებდა სპექტაკლებს და რეპეტიციებზე იქვე გვექონდა ხელს არადერ- გვიშლიდა და ჩვენი უსაფრთხოების გარანტი, ავტორის ხელმოწერილი პიესა, ს-გულდაგულოდ ინახებოდა მთავარი რევისორის ცეცხლგამძლე სეიფში, მანამ სანამ...

ერთ ვერ ვიტყვი მშვენიერს, დღეს კიბეებთან შემხვდა და არაბუნებრივად მშვიდად მოთხრა:

— დღეს რეპეტიცია არ გექნება! ალბათ, არც ხეალ. იქ დან დარეკეს შეაჩერეს: შენ აქ მომიცადე, მე მოვსინჯავ იქაურობას, — თქვა და ახლა შევნიშნე, ხელში ჩვენი საგარანტიო პიესა ეჭირა. სამი საათის მერე დაბრუნდა. პიესა

სეიფში ჩაეკტა და იმედინად მიიხრა — არაფერი შეეშალოთ. შენ ნუ გეშინია, მიყურონ მე! — თვალები რისხვით უელავდა.

35 დღე დადიოდა სადღაც. წერდა, რეკავდა, კვლავ დადიოდა.

ერთ მშვენიერ დღეს დასი შეკრიბა და გვაუწყა:

— ჩვენ საფუძვლიანად გადავამუშავეთ პიესა, გავითვალისწინეთ შენიშვნები, რომლებიც ზემოდან მიგვითითეს, ამით პიესამ ძალიან მოიგო. ხვალ 11 საათზე რეპეტიციაა. ნახვამდის! — და სანამ რამეს ვიტყვოდი, მანიშნა ჩემთან შემოდიო და დარბაზიდან გავიდა. სახე არ ჩანდა, მაგრამ მოძრაობა ნამდვილად გამარჯვებული კაცის ჰქონდა.

პიესაში ერთი სიტყვაც არ შეგვიცვლია. კრება ოქმისთვის ჩაატარა მხოლოდ კვლავ აფუსფუსდა თეატრი: შეღებეს, გამოჭრეს, შეკრეს, დადგეს, გაანათეს და როცა მთავარი რეჟისორის კაბინეტში აფიშის ანაბეჭდს ვათვალიერებდით, კვლავ დარეკა „იმ“ ტელეფონმა... სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. კარს მიხურეთ, მანიშნა. იცდა თავჩაქინდრული და უსმენდა. შემდეგ ნელა გასწორდა და როცა ჩემს შეშინებულ სახეს შეხედა, რალაციანრალ გამოღიმა, უფრო დამამშვიდებელი, მაგრამ თვალები უკვე ვერ მალავდნენ შურისძიების რისხვას.

— რასაკერეველია — მიუგო ძალზე მშვიდად — რასაკვირველია. მოლიანად შეიცვალა. რევოლუციური ხაზიც ძალზე გამოიკვეთა... რა ბრძანეთ? — მან სასოწარკვეთილმა შემომხედა — როგორ უნდა ამოვიღოთ მაზნიაშვილი? ...ა, როგორ არა, ეს ჩვენც ვიფიქრეთ. მიიხრა კიდევ რეჟისორმა და გადაწყვიტეთ, ტატიშვილით შეცვალეთ, ავერ აღიშის ანაბეჭდიც. აქ „წერია: ტატიშვილი — ო. სეთურიძე“. დამარცვლით წაიკითხა მან. სჩანს, იქ კმაყოფილნი ღარჩნენ. ის მხრებში გაიმართა და ხმამაღლა ჩასძახა ყურმილში:

— პრემიერაზე გეპატივებით. მეშვიდე რიგში 4 ადგილი თქვენთვის იქნება შენახული.

არ ვიცი, პრემიერაზე მოვიდნენ თუ არა ისინი.

პროგრამაში მართლა ტატიშვილი ეწერა. მაგრამ უკლებლივ ყველა მიყურობელმა იცოდა, რომ სინამდვილეში ეს ვიორგი მაზნიაშვილია, დიდი გენერალი, სამშობლოსათვის თავდადებული კაცი.

ძნელია იმისი თქმა, ვისზე ან რაზე იბოა შური ბატონმა ა. ქუთათელაძემ... მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ პრემიერის შემდეგ მან ნანადირევით ამაყად აიტაცა საპრემიერო აფიშა, რომელზედაც დიდი, სისხლისფერი ასოებით ეწერა — დრო — 24 საათი. შემდეგ ფრთხილად დაახვია და სახლში წაიღო, როგორც ოღესაც მოსწონილი სპექტაკლის მოსაგონარი.

## ნოდარ იონათამიშვილი 60 წლისა

შესრულდა რეჟისორ ნოდარ იონათამიშვილის დაბადებიდან 60 წელი.

თეატრში მოღვაწეობის 40 წლის მანძილზე მან, როგორც რეჟისორმა, დრამატურგმა, თეატრის ხელმძღვანელმა საკმაოდ დამაჯერებლად თქვა თავისი სიტყვა თეატრალურ სარბიელზე.

ნოდარ იონათამიშვილის ცხოვრება თეატრალურ ხელოვნებაში ერთი პატარა აუციანძვი წიგნია, რომლის ფურცლები რუსეთისა და საქართველოს დრამატულ და თოჯინურ თეატრებშია მიმოფანტული.

დაიბადა ქ. თბილისში, ქართული ინტელაგენციის ღირსეული წარმომადგენლების, ქალბატონ ნინო მიქელაძისა და ბატონ ვახტანგ იონათამიშვილის ოჯახში.

ბავშვობის მოგონებებიდან: „ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ მხატვრული ინტელაგენციის კორიფეები: გალაკტიონი, შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, სერგო ქობულაძე, გრიგოლ კილაძე და სხვები. მათმა მადლმა გამინათა გზა თეატრალურ ხელოვნებისაკენ...“

შშობლებმა ყოველივე იღონეს, რათა ვაჟიშვილისთვის მიეცათ საერთო და მუსიკალური განათლება: შეასწავლეს რუსული და ფრანგული ენები. ერთხანდ, როგორც ფილოლოგი მასწავლებლობდა კიდეც. ხოლისტობაც სცადა მუსიკალური კომედიის თეატრში, მაგრამ მისი ნამდვილი მოწოდება დრამის თეატრის რეჟისორობა იყო.

1959 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა ლენინგრადის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის ინსტიტუტში, დრამის რეჟისურის ფაკულტეტზე, პროფესორ ლეონიდე მაკარევის კათედრაზე.

შესაშური მუყაითობით ცდილობს გაიღრმავოს ცოდნა, ეწაფება ხელოვნების საფუძვლებს, ეცნობა თეატრალურ ლიტერატურას, ისმენს ჩვენი თანამემამულის — ცნობილი რეჟისორის გიორგი ტოვსტონოგოვის ლექციებს, ესწრება გახმაურებულ სპექტაკლებს ლენინგრადისა და მოსკოვის წაყვან თეატრებში.

სტუდენტობის შთაბეჭდილებებიდან: „რეჟისორის პრაქტიკული სკოლის დიდოსტატის, პროფესორ ლეონიდე მაკარევის ლაბორატორიამ მამადებინა რეჟისურაში პროფესიონალური წრეობა და გამათვითცნობიერა მის თეორიულ საკითხებში: განსაკუთრებით — ჩანაფიქრის რეალიზაციაში ქმედების საშუალებით...“

ბატონი ნოდარი რეჟისურისათვის ამ არსებითი საკითხით ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაინტერესდა და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. ვინც იცნობს მის კონცეფციას, სტუდენტობის პერიოდში რომ ჩამოაყალიბა, ცნობილი ჩები დრამატურგის კარლ ჩაპეკის პიესის „დედა“-ს შესახებ, ზემოთქმულში ექვს ვერ შეიტანს.

ნოდარ იონათამიშვილმა სადაპლიმოდ არჩევანი თამაზ ფერაძის „მთის ლეგენდა“-ზე შეაჩერა. სახელმწიფო კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ: „დაბლომანტმა სპექტაკლი განახორციელა თელავის სახელმწიფო თეატრის სცენაზე; მან ინსტიტუტში მიღებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე დაყრდნობით, თეატრალური ხელოვნების ყველა კომპონენტი შემოქმედებითად გამოიყენა ჩანა-

ტიქრის განსახორციელებლად და შექმნა საინტერესო სპექტაკლი, რომელიც აქვს კარგად ასახული, აზრობრივი მიზანსცენება“. დაპლომი ფრიაღზე შეფასდა.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ახალგაზრდა რეჟისორმა გუზო პერაფერიძის თეატრებისავე იღო და მცირედი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა თეატრში იმოდლაწევა, როგორც დამდგმელმა და მთავარმა რეჟისორმა.

იმ წლებში, ჩემს შეყოხებაზე — არ გიძნეოდებათ ოჯახიდან მოწყვეტილ, გამუდმებით რაიონებში ცხოვრება? მიპასუხა — თუ შენი პროფესია გიყვარა, იქ უნდა იმოდლაწეო, სადაც სჭირდები თეატრსაც და მაცუტრებელსაც; რას მიქვია გაჭირვება?!

რაიონულ თეატრებში 72 სპექტაკლი განახორციელა, არ უყვარდა თავისი თავის წარმოჩენა, ჩრდილში ამჯობინებდა ყოფნას. ამიტომ იყო, რომ არც წოდებებით გაუნებიერებიათ და არც რჩეულთა შორის მოუხსენებიათ; მიუხედავად ყოველივე ამისა, მის სპექტაკლებს ყოველთვის ეხერათ ნამუსის ქელი, ჰქონდა გამარჯვებები, ჰქონდა ჩაყარდნებიც, მაგრამ მისი სპექტაკლების უმრავლესობა პროფესიულობით გამოარჩეოდა და ეს იმიტომ, რომ ბატონი ნოდარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და დღესაც უთმობს საშემსრულებლო ოსტატობას, სტუდიურ მუშაობას, იგი მსახიობებისაგან კატეგორიულად მოითხოვს — სცენაზე გასვლამდე ყოველივე გააზრებული, განცდილი ჰქონდეთ.

იმ მრავალრიცხოვანი სპექტაკლებიდან, რომლებიც ნ. იონათამიშვილმა დადგა, დავასახელებ ზოგიერთს: კარლ ჩაპეკის „დედა“, გიგლა ზუხაშვილის „მოსამართლე“, არჩილ სულაყურის „როცა რეპეტიცია მთავრდება“, ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაიარლები“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“, „ნუ გეშინია დედა“. ხუმრობდნენ კიდევ, ნოდარ იონათამიშვილი ნოდარ დუმბაძის პერსონალური რეჟისორიყო.

1973 წლიდან დამდგმელ რეჟისორად მუშაობას იწყებს თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრში. დაკვრვებულმა და მაძიებელმა რეჟისორმა მალე აულო ალლო თოჯინური ხელოვნების სპეციფიკას და მუშაობის პირველსავე სეზონში ამ ქანრის მოწინავე რეჟისორთა რიგებში ჩადგა. მის მიერ დადგმული სპექტაკლები მოწონებით სარგებლობენ არა მარტო ნორჩი მაცუტრებლების, არამედ თოჯინური ხელოვნების ქართველი და უცხოელი ოსტატების მიერაც. რესპუბლიკის თოჯინების თეატრებში 38 სპექტაკლის დადგმა განახორციელა. მათ შორისაა: გუგა ნახუცრიშვილის „ნაცარქექია“, დუგლასის „პატარა ირომარი“, ცინიბელეკის „ციციფერი მარგალიტი“, გივი ჭიჭინაძის „ხრტა“, შარლ პეროს „წითელქუდა“ და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია იუბილარის მეტრევეობა რაიონული თოჯინური თეატრებისადმი. მისი უშუალო მონაწილეობით გახსნა გურჯაანის თოჯინების სახელმწიფო თეატრი და ახალციხის თეატრი-სტუდია „ვარძია“. აღნიშნულ თეატრებში ანხორციელებს როგორც დადგმებს, ასევე კონსულტაციებს უწევს მსახიობებს ოსტატობის დაუფლებაში.

ამჟამად ბატონი ნოდარი გურჯაანის თოჯინების სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია.

დასასრულ, წარმატებებს ვუსურვებ შემდგომ მოღვაწეობაში.

### ზოგი რამ ჩემი ცხოვრებიდან

ჩემი მეგობრის, რეჟისორ სოქილა ცომიას მამა მღვდელი გახლდათ. დი-  
მიტრი ერქვა და მრავალშვილიანი ოჯახი  
ჰყავდა. სოქილამ თავად მიაშობ მამამი-  
სის დალუპვის ამბავი:

როდესაც სოფლიდან მოვიდოდით.  
გადმოვიდით თუ არა სიპის გადმოსას-  
ვლელზე, როგორც კი ვაგონის მუშებმა  
დაინახეს მამა გულზე ჭვართი, გამოგ-  
ნებელი ყუიანი დააყარეს — აბა, მღვდე-  
ლო ასე ქენი. დაუსრულებელი ბილწი-  
ტყვაობის ქარიშხალში გავიარეთ სუთ  
კილომეტრამდე, სანამ ჭიათურაში ჩავი-  
დოდით. მამაჩემი სირცხვილით იწვოდა,  
სახეზე აღმური ასდიოდა, როცა სო-  
ფელში დავბრუნდით, მამა ავად გახდა  
და სულ მალე გარდაიცვალა.

ადამიანის მოსაკლავად სიტყვაც შე-  
იძლება გამოიყენო. რა ბედნიერებაა,  
რომ დღეს ეკლესიისადმი დამოკიდებუ-  
ლება შეიცვალა. ღმერთმა ნულარ მოგვა-  
სწროს ის საშინელება, რომლის მნახვე-  
ლი და მოწმე მე ვიყავი.

პარიზში ყოფნისას არგენტინიდან  
ჩამოვიდა ქალბატონი მზია პაპავა მეუღ-  
ლესთან ერთად. მას შევებულეების ნაწი-  
ლი პარიზში საშა ქვიშვილთან უნდა  
გაეტარებინა. შევხვდი მზიას დედას, ქალ-  
ბატონ თამარს, რომელიც გახლდათ და  
მსახიობ შალვა ხონელასა (გოგოლაშვი-  
და) იგი ერთ დროს ჭიათურაში მუშ-  
ობდა. პაპავების ოჯახი ცნობილი იყო  
ჭიათურაში. ერთი პაპავა მარგანეცის  
სარეცხ ქარხანას ფლობდა. ჩვენ ხშირად  
ვხვდებოდით ერთმანეთს. ქალბატონმა

მზიამ თავი ვალდებულად ჩათვალა, ერ-  
თი დღის ნაწილი ჩემთან ერთად გაეტა-  
რებინა. სენაზე სასიერნოდ წამოყვანა.  
ეს დიდი პატივისცემა იყო. ეტყობოდა,  
საქართველოს ხილვას ნატრობდა. მის  
ღრმა, სევდიან თვალებში ამოვიკითხე  
წუსილი იმისა, რომ ძნელია უსამშობ-  
ლობა. სევდა მეც გადმომედო, ლევან  
ფალავას შესანიშნავი ოჯახის ხშირი  
სტუმარი ვიყავი. ძლიერ გამიხარდა, რომ  
პატარა ტარიელმა, ეთერის ვაჟმა, შეხ-  
ვედრისთანავე მითხრა, მე ქართველი  
ვარო. სურათის გადასაღებად წამოყვანა.  
მივედიო პატარა ჭიხურში, დავხედით  
სკაზე. ყულაბაში მეტალის ფრანკიანი  
ჩააგდო. ავდექით და ჩვენი სამი ცალი  
ფოტოსურათი პატარა ყუთში ჩაუშვა.  
ამ ამბავმა ერთობ გამაკვირვა. ლევან  
ფალავა ჩემი ნათესავია. მისი დედა ქალ-  
ბატონი ბაბილინა ვაშაძე მამილად მე-  
კუთვინის. ასე რომ ლევან ფალავას და  
ქალბატონ ასმათ უორდანიას ოჯახში  
თავს შინაურად ვგრძნობდი. მეტად ხა-  
ლისიანად გაიარა პარიზულმა დღეებმა.  
ჩემმა ნათესავებმა მიშა გაფრინდაშვილმა  
და არისტო გველესიანმა ჩემი ნახვა  
მოისურვეს. პირველი ცხოვრობდა გრე-  
ნობლში, მეორე — ავინიონში. მოწვევა  
სიხარულთ მივიღე. ძნელი იყო მარტო  
მგზავრობა. მაგრამ იმდენად ძლიერი  
იყო დიდი ხნის უნახავ ნათესავებთან  
შეხვედრის სურვილი, რომ გრენობლში  
გავემგზავრე. დათქმულ ადგილას დამხვ-  
და მიშა გაფრინდაშვილი. საკმაოდ შეც-  
ვლილი მეჩვენა. ქალაქგარეთ, ორსართუ-

დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 5, 6. 1922 წ.  
4. „თეატრი და ცხოვრება“ № 1.

ლიან სახლში ცხოვრობდა. ქალბატონმა ელენემ სიხარულით მიმიღო. შესვლისთანავე თავლში მომხვდა შესანიშნავი გარეგნობის ქალის, ქალბატონ ივლიტა ეაშაძის სურათი. იქვე იყო უშუაგ ჩხეიძის ფოტო. რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „ჩემს საყვარელ დეიდა ივლიტას სმარადისო სასოვრად. შენი უ. ჩხეიძე“. მე ვუშადლი მიშა გაფრინდა-შვილს. რომელმაც მთელი სამხრეთ საფრანგეთი შემომატარა. ყოველ დღით, საუზმის შემდეგ გრენობლის ღირსშესანიშნავ ადგილებს მათვლიერებიანდა. ერთელ ფენევაში წასვლა შემომთავაზა. უარი განვაცხადე. ვუთხარი, რომ შვეიცარიაში შესვლის ნება არა მაქვს. ნუ გეშინიაო. მითხრა და მთხოვა წავსულიყავით. ცდუნებამ შემბიყრო. დავთანხმდი. ვიფიქრე საათს მაინც ვიყიდი სამახსოვროდ-მეთქი. მიშას მეუღლემ, ქალბატონმა ელენემ შოკოლადი დაგვაბარა. თავად მიშამ თქვა, ბენზინს იქ ვიყიდი, რადგან იაფიაო. წავედით, აღარაფრის მესწინოდა. გამწვანებული მიდამო, მშვენიერი გზა, ბევრ ადგილას მსუბუქი მანქანები მათვე მობმული კარტებით, სადაც მოგზაურები ცხოვრობენ და ისვენებენ. ეს ყველაფერი მზიბლავდა, ვფიქრობდი, ამას რას მოვესწარი-მეთქი. ასეთი სიხარულით მივედით სასაზღვრო პუნქტთან. პირველად, ფრანგებმა გასინჯეს ჩენი პასპორტები, დაუბრაოლებლად გაგვიშვეს. შემდეგ შვეიცარიელებმა მითხრეს, თქვენი პასპორტით ენევა-ში შესვლის უფლება არა გაქვთო. გაფრინდაშვილს უთხრეს, საზოგადოებას ნუ აკენებ შეურაცხყოფას, პასპორტი წესრავში მოიყვანეო. ასე დამთავრდა ჩემთვის შვეიცარული საათის ყიდვა. იქიდან დაბრუნებულებმა დიდხანს ვათვლიერეთ ეს ლამაზი მხარე. ვსაუბრობდით ჭიათურაზე. მიშამ 1924 წლის ამბავი მომიყვა, მისი ყოფნა ნავარნებში, მამაჩემის

ყანებში. როგორ წუხდა უსამშობლოობაზე. და მაროზე. დისშვილებზე: ოთარ და ლეილა ჭაფარიძებზე. ეს იყო ჩენი საუბრის თემა. ერთი კვირის შემდეგ წავედით ავინონში, სადაც ცხოვრობდა ჩემი რძლის ძმა არისტო გველესიანი. იქ ერთი კვირა დავყავით. გაგრძელდა ჩემი სტირნობა ამ უძველეს ციხე-ქალაქსა და მის შემოგარენში. მომხიბლა პაპის სასახლემ. წყალუხვმა მდინარემ, ხიდმა, რომელზეც ბურჯზე სალოცავი ეკლესიაა აღმართული. ჩავედით ზმელთაშუა ზღვაზე. რომელიც მხოლოდ რუკაზე მქონდა ნანახი. ძალიან ცბულოდა და ბანაობა გავებდე. ჩემი მ.სპინძელი არისტო მაწონს აუენებდა. მეც ვებმარებოდი. გავეწინაურდი. ქუჩაში ბევრი ალფირელი ვნახე. ეს ის დროა, როცა ალფირთან ომი ახალი დამთავრებული იყო.

სანადიროდ წამიყვანეს. იქაურმა მიდამობმა გამახსენა ქვაციხე, კაცხის და ვაქცივის მხარე, ჩემი წასვლის დრომ მოაღწია, პარიზს გამამგზავრეს. იქ შემხვდა ქვაციხელი ვალიკო ჩუბინიძე. ჩემი ძმის მოსვლამდე მასთან ვიყავი, როცა პარიზში ჩავედი. ახალი ამბავი დამხვდა, პამბურგში მცხოვრებ დათიკო ვაშაძეს ჩემი ნახვა მოუსურვებია, დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთ სადგურზე დამხვდებოდა, რადგან პარიზიდან სამშობლოში მატარებლით მივემგზავრებოდი. არ მესიამოვნა და მტკიცე უარი ვთქვი, რაზეც ახლა გული მწყდება. შიშმა გამოუსწორებელი დანაშაული ჩამადენინა.

ჩემი გამომგზავრების დრო მოახლოვდა. 8 ოქტომბერს ქართველების დიდმა ჯგუფმა გამომაძილა. ყოველივე ეს ფოტოზე მაქვს აღბეჭდილი.

რადგან ძმასთან ყოფნა გავისხენე. მინდა ჩემი მომდევნო ჩასვლის შესახებაც გიამბოთ. ვინაიდან 1986 წლის მოგზაურობა საფრანგეთში კარგად ჩატარდა. თანდათან მიჩნდებოდა იქ კვლავ





მიხეილ ვაშაძე მძახთან. პავლე ვაშაძეს-  
თან ერთად

წახელის სურვილი. ამ დღემაც მოაწია. ეს იყო 1980 წლის დეკემბერში, ბულგარეთში მუშაობის დამთავრების შემდეგ. სადაც ორი თვე დავყავი. იქ რევიზორებთან ნელი ნენოვასთან და გენო წულაიასთან ფილმ „ყოჩაღად პაეპო“-ს გადაღებაში ვმონაწილეობდი. გადაღების დამთავრებისთანავე მძახთან პარიზში გავემგზავრე. თუ პირველად მოუშვადებელი ვიყავი. ახლა ყველაფერი ბარაკიანად წავიღე. გამოშავილა შვილმა და რძალმა ნაილი არველაძემ. მოსკოვში ბურჯაკის ხორცი მარილწყალში მოვხარშეთ. გამოვაცხეთ ქაღები. მოკლედ მძახთან დატვირთული წავედი. პირველი კლასის კუპეში არავინ იყო. ერთობ თავისუფლად ვიმგზავრე. ბრესტის შიში მქონდა. მართლაც, იქაურმა შემოწმებამ ორ საათს გასტანა. ყველაფერი გასინჯეს ჩურჩხელეზე მკითხეს, რა არისო. იძახდნენ „სლიშკომ მნოგო ვეშიჩი“, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

ქართველები შერხედებები შემიქმნიდნენ. ლევილში გააცხედეს ქაღები. ბურჯაკის ხორცი ტყემალი ამოუწეს და ვემირიელად მიიჩთვნეს. ჩემმა ძმამ ყველას ყველაფერი გაუნაწილა. გრიშა წერეთელს დაურეკა. ამოდი ძმა ჩამომივიდა, ცაცხის ყველი. ხავარპეთის ქაღის ფქვილი და პერცეის-ს წითელი ლობიო ჩამოიტანაო.

ამგვარად. იქ შევხვდი შობა-ახალ წელს. შობის დღე. რომელიც ყველაზე დიდ დღესასწაულად ითვლება. ლევან ფაღვას ოჯახში გავატარე. ოჯახის წევრები იქ იყვნენ. თამადად მე დამინიშნეს. იყო ჩემი სადღეგრძელოების მოსმენა და თარგმნა. თითქმის გავათენეთ. ახალ წელს კი ქალბატონ ქრისტინეს ოჯახში შევხვდით. დღესასწაულების შემდეგ დავიწყე ღირსშესანიშნაობების მონახულება. ქართველების გულესიაში ლოცვა-პოვებისმინე. კარგად დამთავრდა კუთვნილი 45 დღე. 1983 წლის ოქტომბერში კვლავ გავემგზავრე საურანგეთში. მაშინაც მომზადებული წავიდი. ზოგი ქართველი ემიგრანტი ცოცხალი აღარ დამხვდა. ლევილის ძმათა სახელთაოზე დაედოთ ბინა. ძლიერ დამამწუხრა, რომ აღარ დამხვდა ზღაპრული სილამაზის ქალბატონი თამარ რევაია, ბერეთიანის მეუღლე. მოვიინახულე ამ მანდილოსნის საფლავი. ამ დროს ჩემი ჩასვლა დამთხვა მოლიერიის თეატრის დაარსების სამას წლისთავს. რაც ჩემთვის ძალზე სასიხარულო იყო. წარმოადგინეს „ტარტიუფი“. გამოფენილი იყო სამი საუკუნის წინანდელი პანოები. თეატრი საზეიმოდ გამოიუყურებოდა. წარმოდგენის შემდეგ ქალბატონმა ნუცა რამიშვილმა რამდენიმე საათით სახლში წამიყვანა. მცხეთელ მამულაშვილებთანაც გავიარე. ყოველივე ეს დაუვიწყარია ჩემთვის.

მქონდა ბედნიერება პარიზის ოპერის თეატრის სცენაზე. გაწერელიასთან და



ქალბატონ ნათელა პაქეორიასთან ერთად მენახა გლაჭუნოვის დიდებული ბალეტის „რაიმონდა“. იმსახად ავინიონში მყოფი ჩემი ნათესავი გველესიანი ავად იყო. იწვა ავინიონის მახლობელ ქალაქ კარპატარში. მან დაჟინებით მოითხოვა, რომ მე და ჩემი ძმა მასთან ჩავსულიყავით. ნოემბერი იყო. წასასვლელად გავმზადდეთ. გზად დიდი დაბრკოლება შეგვხვდა. თავის დროზე ვერ მივედით სადგურზე. გზები გადაკეტილი იყო იმის გამო, რომ საფრანგეთში სტუმრად იმყოფებოდა ალჟირის პრეზიდენტი. ვლელავდი, ვიფიქრე ბილეთი დაიკარგებამეთქი. ჩემმა ძმამ ჭიათურულად შემიტია, რა მოგივიდა, რის გეშინიაო. მივიდა სალაროსთან და გახარებული დაბრუნდა. შითხრა, რამდენიმე წუთში გადის მატარებელი, რომელიც ავინიონში ჩერდებაო. მატარებლის სისწრაფე იყო 250 კმ. საათში. ეს მატარებელი და მისი ვაგონები ჩვეულებრივს არ გავდა. მესიამოვნა კიდევ ასეთი მატარებლით მგზავრობა. მატარებლის სიჩქარეს საერთოდ ვერ ვგრძნობდი. ირგვლივ გადაშლილ მშენიერ მიღამოებს ვათვალიერებდი. სამხრეთ საფრანგეთი საქართველოს ჰგავს. შემოდგომის მზიანი დღეები იდგა. ვინახულე ჩემი ნათესავი. ძალიან გაეხარა. გემრიელად მიირთვა ჩვენებური ნახელავი. შითხრა, მიშა, ამის ქამა აკრძალული მაქვს, მაგრამ ძალიან გემრიელია და შეეცამო, იქ თითქმის ათი დღე დავყავით. მიკვირდა, რომ ჩემს ძმას უბარებდა, ამა და ამ ადგილას ქართველია და მის გვერდით დამასაფლავეთო.

ჩემი დიდი ბევნის შემდეგ, დავაწერინე პატარა წერილი დასთან, ჩემს ძმად სოფიოსთან. წერდა, ახლა კარგად ვარ, მიშამ საქართველოს ჰაერი ჩამომიტანაო. სულ რამდენიმე სიტყვა დაწერა. უხაროდა, როცა ვესაუბრებოდი. კარგი ქენი, რომ მინახულე, სიცოცხლე გამოიხანგრძლივეო. გამომგზავრების დღეს

გამოვეთხოვე, გადავკონეთ ერთმანეთი გაიხსენა სოფელი რვანი. გველესიანები, თავისი სიყმაწვილის წლები. ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა. დასაფლავეს იქ. სადაც თავად ისურვა. დაკრძალვას არც ერთი ქართველი არ დასწრებია. ინახულეს მისმა დისშვილებმა მამია ვაშაძემ შეუღლე ჭულიეტასთან ერთად. როგორც იქაური წესია, გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ ლევილის სასაფლაოზე გადმოასვენეს. პარიზში იმავე ჩქარი მატარებლით გამოვემგზავრეთ. ჩვენს მგზავრობას დუმილი ახლდა. ამის მიზეზი, ალბათ, ახლობელი ადამიანის დაკარგვა იყო.

იმ დღეებში საფრანგეთის ტელევიზიამ გადმოსცა ალექსანდრე სოლჟენიცინის დაბადების 65 წლისთავის აღსანიშნავი ინტერვიუ. ნანახმა ძალზე გამაოცა. ეკრანზე გამოჩნდა დაბურული ტუე, თეთრი, კარგა მოზრდილი სახლი. სახლთან გამოვიდა წაბლისფერ წვერულვაშიანი ბრგე მამაკაცი. ხელში რუსული ნაჯახი ეკავა და ღონიერად ურტავდა გადაჭრილ მორებს. შემდეგ გამოჩნდა ჭინსებში გამოწყობილი ელეგანტური ქალი. ოთახში ახალგაზრდა გოგონა ინსტრუმენტზე უკრავდა. გადავინაცვლეთ მის სამუშაო ოთახში. ფრანგულად ეკითხებოდნენ, ის კი რუსულად პასუხობდა. შვეიცარიასი ცხოვრება მიქირდა, კორესპონდენტები არ მასვენებდნენ. ამერიკას კი არ სიამოვნებს ჩემი აქ ცხოვრება, მაგრამ რა გეწყობაო. ახლა ვწერ რომანს რუსეთის ისტორიაში უველაზე დიდ პიროვნებაზე. სტალიანზეო. გვიჩვენეს სტალიანის დიდი სურათი. იგი მოკლა შეუცნობელმა 28 წლის ახალგაზრდამ. ნიკოლოზ მეორე იყო ძალზე პატიოსანი, მაგრამ სუსტი ნებისყოფის მეფეო. მე მაკვირვებს, ნეტავი რას გულისხმობდა ეს დიდი მწერალი იმ მოქმედებაში, როცა ნაჯახით დაერია ხის მორებს.

ქართველების ეკლესიაში დავესწარი

წირვას, რომელსაც ატარებდა აწ გარდაცვლილი ილია მელია. შევხვდი კემულარიას, რომელიც რძალთან და შვილიშვილთან ერთად წირვაზე შოვიდა. იმხანად იგი საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელი იყო პოლანდიაში. ძმამ გამაცნო, როცა გამარჯობა ვუთხარი, გაეღიმა, მითხრეს, ქართული არ იცისო. მომხიზლა მისმა უბრალოებამ. მის სახეზე არავითარი მედიდურობა არ შეიძინეოდა. იგი იყო ჩვეულებრივი კარგი ქართველი, თუმცა, ქართული არ იცოდა. დეკემბრის თვეში პარიზში რეზო ჩხეიძე ჩამოვიდა. მაშინ „დონ კიხოსის“ გადაღება მიმდინარეობდა. საფრანგეთსაც უნდა შეეღო ერთობლივ გადაღებაში მონაწილეობა. მასთან ერთად იუვენ რეზო თაბუკაშვილი, შოთა ლაფერაძე და ქართველი თარგიმანი მოსკოვიდან. რეზომ დამირეკა. მომიკითხა. ჩემმა ძმამ ლევილში მოიწვია. ეს იყო 1988 წლის 11 დეკემბერს. ჩემი სტუმარი იყო აგრეთვე ჩემი ძმის მეგობარი ხანდრო ფანჩულიძე, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ძვირფასი სტუმრები დილით ამოვიდნენ, დაათვალიერეს ძმათა სასაფლაო, მოინახულეს შატოს დარბაზი, სადაც საქართველოს 1918-21 წლების მთავრობის წევრთა პორტრეტებია გამოფენილი. მასპინძლებად მოწვეული იუვენ ლევან ფაღვა და ჭაბა ხაბულიანი. დიასახლისობდა უაკლინა ხაბულიანი. ვსაუბრობდით ამ ტერიტორიის მომავალ ბედზე. ეს დღე ყველასათვის დასამახსოვრებელია. გვიან საღამოს სტუმრები გავაცივლეთ. ჩემმა ძმამ პავლუშამ, ბატონ რეზოს უსახსოვრა 1988 წელს პარიზში გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, თარგმნილი ბალმონტის მიერ. ასე დამთავრდა ეს ფრიალ სამახსოვრო და შესანიშნავი 11 დეკემბერი. ამ პურის ჭამას მოჰყვა ჩემი დაბადების დღე — 13 დეკემბერი, პავლუშამ 75 წლის აღსანიშნავი წვეულება მომიწყო. მოიწვია შატოში მცხოვრები თითქმის ყველა ქართველი.

ვისხედით ქვედა დარბაზში, გასურებულ ღამაზე ბუნართან და ვმხიარულობდით. პოეტმა გიორგი უიფიანმა ლექსიც კი მომიძღვნა. ასე გახარებული დავბრუნდი საფრანგეთიდან.

ორი თვეც არ იყო გასული (1984 წელს), რომ მე და ჩემს მეუღლეს საბერძნეთიდან მიწვევა მოგვივიდა. მიწვევას ჩემი მეუღლის და გვიგზავნიდა, რომელმაც მთელი ცხოვრება საქართველოში გაატარა.

ამ მიწვევამ გამახსენა ჭიათურაში ბერძნული ოჯახების დარბევა. მაშინ ძლივს გამოვიხსენი ჩემი მეუღლე, რომელიც მანქანაში იმის გამო შეაგდეს რომ დედას და დას გამოეთხოვა. აწიოკებულმა ბერძნებმა მთელი ოჯახის სიმდიდრიდან მხოლოდ ლოჯინის წაღება შესძლეს. ქუჩებში ტირილი ისმოდა. ჭიათურაში დაბადებული ახლგაზრდები, რომლებმაც ბერძნულიც არ იცოდნენ, კედლებს თავს ურტყამდნენ, შემშარავად ბლაოდნენ. ასე გამოეთხოვნენ მშობლიურ ჭიათურას. გამარჯვებული ქალაქკომის მდივანი და მისი დამქაშები ამაყად დაბაიებდნენ, რადგან ღირსეულად ჩაატარეს 1949 წლის „სახელოვანი“ ოპერაცია. ჩემი მეუღლის და ჭერ უახახეთში, შემდეგ ქალაქ ჩიმკენტში შეხვდა თავის საქმროს. პოლიტიმიგრანტ გავრილოს პაპანდოპულოს და მასზე იქორწინა. ჩიმკენტში დიდი ხნის მუშაობის შემდეგ, ქმარმა დაიყოლია და 1978 წლის ბოლოს საბერძნეთში გაემგზავრნენ. დასახლდნენ ქალაქ სალონიკში. ჩემს მეუღლე ოლიას არ სურდა წასვლა. მარილები აწუხებდა და სიარული უჭირდა. ჩემი დაჟინებული თხოვნით გამგზავრებაზე დავითანხმე. 15 ოქტომბერს სალონიკში გავემგზავრეთ. გავიარეთ საბერძნეთის საზღვარზე. ერთობ მკაცრად გავჩხჩიკეს. ლობიო რომ ნახეს, მთლად გადაირიენ, რაზე მოგაქვთ ლობიო, ჩვენთან არ ხარობსო?! ჩემმა მეუღლემ, რომელმაც ბერძნულს ფლობდა.

კარგად შეუტია. თავი დაგვანებებს, ჩა-  
ვედით კომეროსისა და მაკედონელის  
ქვეყანაში. იქაურობა ნამდვილ მუზეუმს  
წარმოადგენს..

შოანი დღეები იყო. ოლიამ ძლიერ  
გააზარა. ასეთ გარემოში პირველად  
მოხვდა. უხაროდა, რომ ბერძნებთან  
სახბრობდა. ინახულა ბავშვობის მეგობ-  
რები. ბევრი რამ გაიხსენეს. გათენები-  
დან საღამომდე ვსერიანობდით. ხშირად  
ვისხედით ცხენზე ამხედრებულ მაკედო-  
ნელის ძეგლთან, რომელიც ისეთი შთა-  
ბეჭდილება-ს სტოვებს. თითქოს ცხენი  
და მხედარი ერთად მიფრინავენ. ხში-  
რად დავდიოდით ეკლესიებში. ერთ  
დღესასწაულზე, დემეტრეს ეკლესიას  
პრეზიდენტი კარამანისი ეწვია. ასეთი  
წესი ყოფილა. ჩვენც იქ ვიყავით. პრე-  
ზიდენტი მივიდა მღვდელმთავართან და

ხელზე ეამბორა. სკამი მოართვე  
დაქდა. წირვის განსაზღვრული ნაწილი  
მოისმინა და საყდარი დასტოვა.

ჩვენი იქ ყოფნისას გაიმართა მსო-  
ფლიო მოქადრაკე ქალთა საერთაშორი-  
სო ფორუმი. მოწვეულნი იყვნენ მ. ჩი-  
ბურდანიძე და ნ. გაფრინდაშვილი.  
ფესტივალის გახსნა ტელევიზიით უჩვე-  
ნეს, მიჰყავდა მ. ჩიბურდანიძეს. მას  
წითელი კაბა ეცვა და ხელში იმ ზეთის-  
ხილის რტო ეკავა, რომლის ძირში ქრის-  
ტემ ღამე გაათია. ეს ხე ათენშია. ნონა  
ტერენტი გაფრინდაშვილის შვილია.  
ტერენტი ჩემზე ცოტათი უფროსია. ჩვენ  
სკოლაში ერთად ვსწავლობდით. წარმო-  
შობით შუქრუთიდან არიან. გამიჩნდა  
სურვილი ქართველი ქალები მენახა და  
მათთვის წარმატება მიმელოცა. დიდი  
ფიქრის შემდეგ სასტუმროში მივედი,





მათი ნახვის ნებართვა ავიღე და თავი-  
 ლით ხელდამშვენიებული მათთან შევე-  
 დი. იქ ჩემს ქვისლთან ერთად სულ  
 რამდენიმე წუთი დავაჯი. გასერინება  
 შევთავაზე. რადგან მანქანა მემსახურე-  
 ბოდა. მაგრამ ნონამ მიპასუხა. პირველ  
 საათზე გადადებული პარტია მაქვს და-  
 სამთავრებელიო. მაინც კმაყოფილი წ-  
 მოვედი. რადგან მოვიხადე ქართველი  
 კაცის მოვალეობა სახელოვანი ქალბა-  
 ტონების წინაშე. საღონიკიდან ათენში  
 გავფრინდით. ამაზე წერას საქიროდ არ  
 ვთვლი. ადამიანმა საკუთარი თვლით  
 უნდა იხილოს კოველივე ის. რაც მარ-  
 შარილოს მთაზე აღმართული აკროპო-  
 ლისიდან მოხჩანს. მხოლოდ მაშინ იგრძ-  
 ნობს მისი წარსულის სიდიადეა და გა-  
 ნუშეორებლობას. ომის დროს იქ ფაშის-  
 ტური დროშა იყო აღმართული. მიუხე-  
 დავად იმისა, რომ მას იცავდნენ. მაინც  
 აღმოჩნდა ერთი პატრიოტი, რომელმაც  
 მოხსნა ის დროშა და მის ნაცვლად  
 ეროვნული გამოფინა. ამ ამბავმა ფაშის-  
 ტების დიდი მრისხანება გამოიწვია. რ-  
 ცა ვნებათაღელვვა დაცხრა. ერთმა ახალ-  
 გაზრდამ განაცხადა, ეს მე ჩავიდინეო,  
 რაც იმ დროშის ჩვენებით დაამტკიცა,  
 რომელიც მოხსნა. იგი დღეს პარლამენ-  
 ტის უცვლელი დეპუტატია. ათენში  
 მოვიხანულეთ კიათურისა და წამოსული  
 მეგობრები. ვიკავით კირიაში, პირესა  
 და სხვა მრავალ პატარა ქალაქსა თუ  
 კუნძულზე. საღონიკში დავათვალიერეთ  
 აღექსანდრე მაკედონელის მამის, ფილი-  
 პეს საფლავი. ვინახულეთ იქიდან ამო-  
 დებული ჩონჩხი და მრავალი ოქრო-  
 სკივრი. ვიკავი თეატრში. სუთ დეკემ-  
 ბერს დიდად ნახიამოვნები და სულიერ-  
 რად ამაღლებული სამშობლოში გამო-  
 ვემგზავრეთ.

1985 წელი საინტერესოა იმით, რომ  
 გადაწყდა დიდი ხნის ოცნების განხორ-  
 ცივლება. იწყებოდა ესპანეთთან ერთად  
 "დონ კინტოსის" გადაღება. მე პატარა,  
 მაგრამ ჩემთვის შესაფერის როლზე და-

მამტიკცეს. დაიწყო მუშაობა. გადაღებ-  
 ბები ძირითადად ახალციხის რაიონში  
 მიმდინარეობდა. ჩემს სიხარულს ხაზ-  
 ღარი არ მქონდა. ბატონ რეზოსთან  
 მუშაობა შიადვილდებოდა. იგი მოუმზა-  
 დებლად კამერასთან არასოდეს მიგიყ-  
 ვანდა. სასიამოვნო იყო ოპერატორთან  
 მუშაობა, რამაზ ჩხიკვაძესთან. კახი კავ-  
 საძესთან და მამუჯა კიკელიშვილთან  
 პარტნიორობა.

1986 წლის 14 იანვარს აღინიშნა  
 კიათურის თეატრის არსებობის 90  
 წლისთავი. ამ დიდ ზეიმზე მეც მიმიწ-  
 ვიეს. სიტუვითაც გამოვედი.

თებერვლის ბოლოს. ამხანაგის დე-  
 ლის დასაფლავებზე თავი ცუდად ვიგრ-  
 ძენი. შინ წავედი. საღამოს უარესად  
 გავხდი. მოიყვანეს სასწრაფო დასმარება.  
 ექიმმა მოხოვა საავადმყოფოში წავყო-  
 ლოდი. არ დავთანხმდით, რასაც მუდამ  
 ვნანობ. დილით ექიმი მოვიდა. გამხინ-  
 ჭა. ცალკე რომ დაიწყეს თათბირი, არ  
 მესიამოვნა: ადგომა ამიკრძალეს. მომ-  
 ვლელად მეუღლე მომიჩინეს. ექიმს  
 წასვლიდან რამდენიმე წუთის შემდეგ იგი  
 ცუდად გახდა. დაიყვია, მიშველეთო.  
 შველა ვერ მოასწრეს, სულ რამდენიმე  
 წუთში გარდაიცვალა. ავადმყოფობა გა-  
 მიძლიერდა. ტანჯვის დღეები მქონდა.  
 ექიმი მოვიდა. მომიხამძიმრა. თან გამ-  
 ხინჯა კიდეც. წარმოიდგინეთ, გასამრჭე-  
 ლო მონორარიც ჭიბეში ჩაიდო. ამით მე  
 იმის თქმა მინდა, რომ ადამიანმა ყველა-  
 ფერი არ უნდა იკადროს. ექიმის საკე-  
 თეს პაციენტი, რაც არ უნდა ღარიბი  
 იყოს, უპატივცემულოდ არასოდეს და-  
 ტოვებს. ჩემი მეუღლისადმი დანაშაულს  
 ვგრძნობ იმიტომ, რომ მას მოვლა სკირ-  
 დებოდა. ბევრმა შრომამ, ჩემი ოჯახის  
 ღაუსრულეებელმა ჯაფამ გატეხა მისი  
 ჯანმრთელობა. ასე მოულოდნელად დაფ-  
 კარგე ჩემი ცხოვრების მეგობარი. ახლა  
 მის გარეშე გამაქვს წუთისოფელი.

ცხოვრებას გამოვითიშე. ისეადად  
 მივდიოდი კინოსტუდიაში. კრემლის შე-



კავება მიჰიქრდა. იმ წელს ჭიათურაში მიმინწვიეს და ქალაქის საბატო მოქალაქეებმა ამირჩიეს. ქალაქკომის მდივანმა, ბატონმა ომარ ხოფერიამ მომიჩინა ექიმი მზია ჭანტურია, რომელიც თან დამყვებოდა. მხოლოდ იმის ნებართვით გავბედე უკან დაბრუნება. იმდენი მაინც შევძელი, რომ ჭიათურის მიწას ვეამბორე.

იმ წელს შეივსო ესპანეთში გასამგზავრებელი საბუთები. მოხდა ისე, რომ ეს წასვლა 1987 წლის სექტემბრისთვის გადაიდო. ვიფიქრე, ალბათ, არ მომიწევს ჩემი დაწყებული როლის დამთავრება-მეთქი, მაგრამ ღმერთმა გადმოხედდა და მართალია, ხევდით, მაგრამ მაინც დავამთავრე. ვიღრე ესპანეთში წავიდოდი, ქალბატონმა ლილია გორდელაძემ სამუშაოდ წამიყვანა გურიაში, სადაც იღებდნენ ფილმს ნოდარ დუმბაძის „ბოშების“ მიხედვით. სამუშაო შესაფერისი მქონდა. მამათში ყოფნა და შრომა გამიჰიქრდა, მაგრამ მის აუცილებლობას ვგრძნობდი. ბევრი არაფერი გამოიკეთებია, თუმცა, არც გამიფუჭებია.

სექტემბერში ესპანეთში გავემგზავრეთ. ვფიქრობდი, თუ რაიმე დამემართა, ჩემს ბიოგრაფიას მაინც გავამდიდრებ-მეთქი. ჭიათურაში დაიბადა, სიცოცხლე ესპანეთში დაასრულა, იტყოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. კარგად მოვიარე ეს ოცდლიანი კინოექსპედიცია. ბევრი რამ ვნახე ამ მზიან ქვეყანაში, სერვანტესის სამშობლოში, მოვინახულე ქარის წისქვილები.

1988 წელი. ჩემი სიბერის დასასრული. 80 წელი მისრულდება. მხატვრულ სურათებში დამაკავეს. სიბერეში მგონი კინოვარსკვლავი ვხვდები. ესეც საქმეა. ჩემი დაბადების 80 წლისთავი ჭიათურაში უნდა აღინიშნოს. ველავ, ჩემმა საყვარელმა მწერალმა და რეჟისორმა გოდერძი ჩოხელმა შემომთავაზა როლი ფილმში, რომელიც ხევსურეთის ცხოვრებას ასახავდა. ხევსურეთის ნახვამ,

იქაურმა ტანსაცმელმა, თანაც შესანიშნავმა გადაღებმა ჯგუფმა და ჩემი ახალგაზრდა მეგობრის ია კიკნაძის მზრუნველობამ ეს გამირობა გამაბედინა. ყველანი დაუნაღლებლად მეხმარებოდნენ. იქ იყვნენ რეჟისორი ბუბა ხოტივარი და ჩემი ახლობელი ნინიკო ჩხეიძე. მათი დახმარებით, ხშირით, კლოფენილითა და ვალიდოლით ხელში არაბულებს სოფელი ბაცალიგო დავლაშქრე. ეს იყო აგვისტოში. 15 ოქტომბერს კი ჭიათურაში ჩემი დაბადების დღე აღინიშნა. გულწრფელად რომ გითხრათ, ამის განხაზვრება არ მინდოდა. მაინც მოხდა. ხუთი დღით ადრე ჩავეღა, ხალხმრავლობა იყო. დიდი შრომა გასწია ყველამ და განსაკუთრებით ქალაქკომის მდივანმა ლილია ბიწაძემ. თბილისის კინოსტუდიაში რეჟო ჩხეიძის მეთაურობით მხარი დამიმშვენა. იქ იყვნენ მწერალი მარიკა ბარათაშვილი და კინორეჟისორი დევი აბაშიძე. საღამო ანწორ კავსაძემ მრავალფაიერი დიწყო და დაასრულა. ისეთი პატივი დამდეს, რომლის გადახდას მეორედ დაბადება სჭირდება. დამშვიდებული დავბრუნდი დილოში. მეორე დღეს ვაქიშვილი და რძალი საბერძნეთს გამემგზავრნენ სტუმრად. მე კი — ხევსურეთს ბაცალიგოში კადრების გადასაღებად.

1989 წელს ძმისგან მიპატიჟება მივიღე. საფრანგეთში მეოთხედ უნდა წავსულიყავი. ამის განხორციელება ჩემს ჯანმრთელობაზე იყო დამოკიდებული. მინდოდა უკანასკნელად მეხილა ჩემი წლოვანი და მრავალტანჯვამოვლილი, 85 წლის ძმა, რომელმაც 65 წელი სამშობლოსგან მოშორებით გაატარა. ვაჟო-ვენებლი საბუთების შეტანას. სამუშაოდ მიწვევდნენ რეჟისორები გოდერძი ჩოხელი და დათო ჭანელიძე. ეს სამუშაოები ერთმანეთს ხელს არ უშლიდა. ორივეს თანხმობა მივეცი. ეს შრომა წასვლაში დამეხმარებოდა. გამგზავრებას

სექტემბერში ვაპირებდი. აპრილში კი ხევსურეთში უნდა წავსულიყავით. მ აპრილში, მისმა გაუგონარმა ტრაგედიაზე ბევრი ცრემლი დამადვრევინა. მწუხარებამ ჩანმრთელობა შემირყია. სტუდიაში გამართულმა მიტინგებმა ქართველ ხალხში დიდი მღელვარება გამოიწვია. მე მომწირე ვარ 1956 წლის 9 მარტის მღებარე ტრაგედიისა. მინახავს ცარიელი რუსთაველის ქუჩა. ტუვიაფრქვევით გასხეილი ქადრები, გლატკოვის ხელმოწერილი მუქარის ბრძანება, რომელიც გაკრული იყო კედლებზე, ქალაქ რუსთავის გადასახვევთან მდგარი ტანკი. ხალხი ვერ ბედავდა პროტესტის გამოხატვას. ქიათურაში ჩამოსულმა ცკ-ის მეორე მდივანმა განაცხადა 82 კაცი დაიღუპაო, ის, რაც მაშინ მოხდა, გამართლებულად ჩაითვალა.

9 აპრილის გამო ჩოხელთან მუშაობა არ შედგა. ორი თვე გავატარე შრომაში ახალგაზრდა რეჟისორ დათო ჩანელიძესთან ერთად. 12 ოქტომბერს ოჯახმა მოსკოვს ვამაცილა. ეს მგზავრობა განსაკუთრებული იყო. წინათ თუ ხშირად მარტო შევდიოდი საკონსულოში, ამჟერად იქ ზღვა ხალხი ტრიალებდა. ოთხი დღე მოვეუდნი გამგზავრების გაფორმებას. მატარებელში ხალხმრავლობა იყო. მგზავრობა — დამღლელი.

17 ოქტომბერს ჩავედი პარიზში. დამხვდნენ ძმა პავლუშა და მისი ახალგაზრდა მეგობარი ტარიელი. შატოში მიტინგით აღინიშნა 1924 წლის ანტიკომუნისტური გამოსვლების 45 წლისთავი. მატარებლის დაგვიანების გამო მე და ჩემმა დამხვდურებმა ვეღარ მოუსწარიით მთავარს. სიტყვები უკვე დაემთავრებინათ ჩემი მისვლა გაუხარდათ. უმრავლესობას ჯერ კიდევ 1966 წლიდან ვიცნობდი. სიხარულით მავესალმე ყველას. აქ ბრძანდებოდნენ თბილისელი სტუმრები: რ. ტაბაღუა და სურგულაძე შვილთან ერთად. ცოტა ხანში ეზო დაცარიელდა, დარჩნენ მხოლოდ იქ მცხოვრებნი. მე და ჩემმა ძმამ ბევრი ვისაუბრეთ. დილით ად-

რე ავდექით. მოვინახულე ძმათა სასახლე, რომელიც შატოსთან ახლოსაა. ყველა საფლავი მოვლილია და ყვავილებშია ჩაფლული. დიხანს შევჩერდით გრიგოლ რობაქიძის საფლავის ქვასთან. ვამახსენდა მისი ნახვა რუსთაველის ქუჩაზე. იგი გამორჩეული იყო გარეგნობით. მისნაირად ჩაცმულს მეორეს ვერ ნახავდით. მინახავს რუსთაველის თეატრის წარმოდგენაზე, ლოჟაში. მარჯვნივ ახმეტელი ეჭდა, მათ ყურებას არაფერი სჭობდა. ბატონი გრიგოლი შეუთმაგადაგლესილი (ამბობდნენ, პარიკს ატარებდნო), ახმეტელი კი ქორჩოჩა მოყრილი, დიდი, მგზნებარე თვალეობით. აღბათ, ასეთი ქართველი იქნებოდა ის მოყმე, რომელიც ვეფხვს შეებრძოლა. ნუთუ შეიძლებოდა ასეთი გარეგნობის კაცის მოკვლა? თეატრში ნანახი როგორც მხატვრული ტილო, ისე მაქვს გონებაში ჩაბეჭდილი. გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“ წარმოდგენა-ზეიმი იყო (ნეტავ, როდესმე თუ შეიქმნება ასეთი სექტაკლი). ში-იან წლებში ხმა გავარდა რობაქიძე გერმანიაში დარჩაო. ატუდა აურსაური. დაიწყეს მისი დაუსრულებელი ლანძღვა-გინება. რა არ უწოდეს! ხმაღამოდებული ამხედრდა საგინებლად მუშიშვილი, რომელიც ლანძღვა-გინებას შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „გრიგოლ პროკა, გრიგოლ პროკა, გრიგოლ პროკა“. დიდი ბედნიერებაა, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა გაიგებს, ვინ იყო „პროკა“. საფრანგეთში ბევრი მისი საზღვარგარეთ შექმნილი ნაწარმოები და მათი შეფასებები წავიკითხე. სანდრო ფანჩულიძის ოჯახში გავეცანი მის მრავალ პირად წერილს. სანდრო გრიგოლ რობაქიძის ახლო ნათესავი გახლდათ, მან დასაფლავა რობაქიძე ენევაში და მანვე გადმოსვენა ლევილიში. სანდრო ფანჩულიძის სახლში მრავალი ბარათია, რაც ძვირფასი განძია საქართველოსათვის.

შატო თანდათან ცარიელდება. აღარ არის ხალხმრავლობა. ეს ჩემზე ძლიერ მოქმედებს. ეწოში. შესასვლელიდან მარცხნივ ცხოვრობდა ყველასათვის საუფარელი ქალბატონი ნამეტია ბერძენიშვილი. მას ჰქონდა თბილი კერა, რომელიც ჩაქრა. მივედი მის სამყოფელთან. კიბეზე ბალახი ამოსულიყო. ამან შემზარავი წუთვლა გამახსენა — შენს კიბეზე ბალახი ამოვიდებო. ბალახი ამოდის შატოს კიბეზე. მწუხარე გულით დავაბიჯებ საუკუნოვანი ცაცხვების ქვეშ და ვფიქრობ იმაზე, თუ როგორი მომავალი ექნება იმ ადგილს. სადაც სულმნათებმა უსამშობლო ცხოვრება გაატარეს. აქ უოფნა ცუდად მზდის. ვჩქარობ აქედან წასვლას, რადგან მწუხარების მანგი ძლიერდება. ძნელია ჩემთვის ამ უზარმაზარ, საუკუნოვან ცაცხვებთან უოფნა და ვფიქრობ, როგორ გაძლო ჩემმა ძმამ აქ მთელი ცხოვრება. ნუთუ ასე მწარედ განიცდის სამშობლოს გარეთ უოფნას სხვა ეროვნების ადამიანები?

ოქტომბერს ლევლის მერმა, 43 წლის მემარჯვენემ, სადღილი გამართა ლიდერთა და იმათ საპატივცემულოდ. ვინც მან წელს გადაცილებული იყო. სადღილე მიწვეული ვახლდათ ჩემი ძმა, მეც თან წამოყვანა. მსგავს წვეულებაზე ადრეც. 1981-1982 წლებშიც ვყოფილვარ. იმზანად ლევლის მერი კომუნისტური ქალი ვახლდათ. ახლანდელი კი მემარჯვენეა. მერი დამსწრეთ სიტყვით მიესალმა. პურის ქამას შევუდექით. ვინმეარულდეთ. ყდერდა ძველი და ახალი სიმღერები. ჩვენს გარდა სუფრასზე სამი მამაკაცი და ორი ქალი იყო. დვინო ყველამ. ქალებმაც კი, მიირთვეს. საერთოდ, საფრანგეთში ღვინო უხვად ისმება. ჩვენი თანამესუფრე ჩემით დაინტერესდა. ძმას ასაკი გამოჰკითხა. გაუყვირდა, რომ ჩემი ძმა ჩემზე ახალგაზრდად გამოაყურებოდა.

მამინ შე ასე ვუპასუხე: მე ჩემსავე მობლომ, რომელიც საფრანგეთზე ნაკლები არ არის, ადრე დამახერა, თქვენმა სამშობლომ ჩემს ძმას ახალგაზრდაობა შეუნარჩუნა-მეთქი. სადღილი დიდხანს გაგრძელდა. მივჩერებოდი მხიარულსა და ბედნიერ მრავალ ხანდაშულ ადამიანს, რომელთაც ცხოვრების ნორმალური პირობები აქვთ და ბედნიერად გრძნობენ თავს სამშობლოში.

სექტემბრის ბოლო დღეებში აგრილდა. ოქტომბერში უკვე სიცივე იყო. სექტემბერ-ოქტომბერში მრავალი ქართველი მოვიდა ლევილში. მათ ინახულეს სამშო საფლავები, ზოგმა შვილიშვილიც ჩამოიყვანა. შშობლიური მიწაც შეაყარეს: საფლავებს, მოუარეს. შემდეგ ვადიანაცვლეს შატოში, თითო ჰიქა ღვინით მოინსენიეს გარდაცვლილები. ზოგი ღამის 10 საათზე ესტუმრა ღვინოს. ფრანგებმა გულისხმიერება გამოიჩინეს. ამ საქმეში დაუზარელია ჩემი წლოვანი ძმა, რომელსაც მგლის დაუღდეღი მუხლი ჯერ კიდევ შერჩენია. მისი მიზანია მოსულ სტუმარს პატივსაცემით შეხვდეს და დეხმაროს.

აქ შევხვდი ბატონ რეზო თაბუკაშვილს, ხანმოკლე საუბარი გვიქონდა. საერთოდ მოხიბლულა ვიყავი მისი გარდგნობით და დიდი ქართველობით. რეზოს ხილვისას უმალ ზიჩის მხატვრობა მახსენდებოდა. ამჯერად მოწვევნილობა ეტყობოდა, როცა ტელეფონით შეუღლესთან, შედეგსთან საუბარი დამთავრა, ჩემი მოკითხვა ვადასცა და ჩემს ვასაფოსად ჩაილაპარაკა, ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მძიმე მდგომარეობაში ვტოვებ საქართველოსო. ვამოვეთხოვე რეზოს და მალე შედეგა თაუიშვილის ბინიდან გამოვედი, რეზოს ნათქვამმა ძლიერ დამამწუხრა. ქალბატონი მედეა და რეზო თაბუკაშვილი საფრანგეთში მცხოვრებ ქართველებსათვის საუფარველი ადამიანები არიან.



ყველა ქართველი მოხიბლულია მედეთი. მახსოვს ავინიონში გველესიანის ოჯახში მედეთს სურათი ტელევიზორზე იყო მოთავსებული. ასე მითხრეს, აი, ვინ არის ქართველი ქალიო. მედეთს ლექსებს უკითხავდა სამშობლოს მონატრებულ ქართველობას. ყველგან ნახავდით შექსპირის სონეტების რეზოსეულ თარგმანებს. ყველას სურდა ქალბატონი მედეთა პარიზში მიეწვია; ასეთი ნათელი კვალი დატოვა ამ სანიშნუო ოჯახმა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველობაში.

მკითხველს ქვემოთ ვთავაზობ მცირე წერილს, რომელიც ჩემი აზრით, მეტად საგულისხმო მოვლენას ეხება. ეს წერილი საფრანგეთში გამოშვებულ ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ „კავკასიონში“ დაიბეჭდა. მისი ავტორია გიორგი წერეთელი. წერილის სათაურია „უანასკნელ მსოფლიო ომში სამხრეთ საფრანგეთში დაღუპული ქართველი მეომრები“. ვთავაზობთ თავად წერილის ტექსტს:

„ლიონ-ჟენევის გზაზე, ქალაქ მონლელის მახლობლად, სოფელ დახიონში იმყოფება გერმანელი ჯარისკაცების სასაფლაო. მიუღწეველ სამხრეთ საფრანგეთში გაუანატრელი გერმანელი ჯარისკაცების ნეშტება შეუფეროვებიათ და დაუსაფლავებიათ ამ სასაფლაოზე. ჩემმა ცოლის მამამ პოლ შენგელამ გადმოშტა, რომ ამ სასაფლაოზე ქართულ გვარებსაც შეეხებოდა.

1971 წლის აგვისტოს 28-ს ეისარვებლემ ამ რაიონში ყოფნით, წავედიო მე და ჩემი ცოლი ეიერა და ამოვიკითხეთ ყველა ქართული გვარები, რაც იქ ამოვინახეთ: სასაფლაო კოხტად არის შემორჩენილი ქვიტკირის გაღვაწით. სასაფლაოს კარიღია არის... შესასვლელთან აგებულია ლამაზი სახლი; სახლის კარსაც კი არის. ყველგან

გერმანული სისუფთავე და წესრიგი მაგიდაზე დევს სამი სქელი წიგნი. რომელშიდაც მოთავსებულია 19.847 მეომრის სახელი და გვარი, ასაკი, გარდაცვალების თარიღით. ფართობის ნომერი და სასაფლაოს ნომერი.

თვით სასაფლაო დაფარულია მწვანე მთლით. ყოველი საფლავის თავთან აღმართულია კვადრატული ქვის ფიქარი. ქვაზე არის წარწერა: გვარა, სახელი, საშვედრო ხარისხი, ასაკი, დაბადების დრო და გარდაცვალებას თარიღი.

ვფიქრობთ, საქართველოსათვის ძვირფასია ყველა მისი შვილის საფლავი, მიუხედავად იმისა, თუ სად და რა პირობებში გაითხარა იგი. ამ რწმენით ამოვიწერეთ ჩვენ ეს სია და ვთავაზობთ ჟურნალ „კავკასიონი“-ს მკითხველებს. ზოგი ქართული გვარი დამახინჯებულია. იქნებ ცოცხლად დარჩენილმა მეგობრებმა, ან ნაცნობებმა შესძლონ მათი წიროდ აღდგენა და დაზუსტება.

7. გელაშვილი სერგო, 29 წლის 16.4. 1945. ფართობი 6. № 174.
8. გამეზარდაშვილი ალექსი, 49 წლის 28.6 1944. ფ. 33. № 179.
9. განაშვილი სერგო, 28 წლის 9.1. 1945. ფ. 40. № 46.
10. დულავა, აგვისტო, 1944. ფ. 34. № 428.
11. დვევალისძე დი ზაზა, 37 წლის 18.1. 1945. ფ. 6. № 143.
12. ჯანშალაშვილი ასაბი, 28 წლის 30.3 1945. ფ. 39. № 568.
13. შალვაშვილი, 10.6. 1944 წ. ფ. 5. № 280.
14. კენკაძე დიმიტრი, 26 წლის 28.1. 1945 წ. ფ. 6. № 152.
15. ლაბაძე მიხეილ, 10.5. 1911 წ. 3.3. 1944 წ. ფ. 37. № 455.
16. მანუკაშვილი სულიერდ, 28.1. 1945. ფ. 6. № 153.

17. ქუთათელაძე სულიკო. 22 წლის. 22.2. 1945. ფ. 6. № 161.
18. კუტალაძე შალვა. 11.11. 1944 წ. ფ. 6. № 534.
19. მასანაშვილი ვანია. 33 წლის. 1.2. 1945. ფ. № 194.
20. მელაძე გრიგოლ. 21 წლის. 16.3. 1945. ფ. 6. № 166.
21. მეტრეველი ალექსა. 28.6. 1944. ფ. 5. № 282
22. მემვილი კოლია. 19.9. 1944. ფ. 6. № 242.
23. მიმირაშვილი იასონ. 4.7. 1944. ფ. 5. № 283.
24. რუპრაიშვილი. 23 წლის. 12.8. 1944. ფ. 37. № 13.
25. მიქაბერიძე ანდრეა. 19.11. 1944. ფ. 6. № 545.
26. მიქავა არტუ. 30 წლის. 1.2. 1945. ფ. 6. № 154.

გოგი წერეთელი“.

1989 წლის 22 ოქტომბერს პარიზიდან გამოვემგზავრე. მრავალმა ქართულმა გამომაცილა. ჩემი ძმა მოწყენილი იყო. მითხრა, ჩასვლისთანავე დაშორეკო. ფრანგული ფული, რომელიც გადამრჩა, არ გამომართუა, შეიძლება დაჰკირდესო. მართლაც, დამჭირდაქრას ვიფიქრებდი მის დასაფლავებას რომ მოხმარდებოდა.

მოსკოვში დამხვდნენ შვილი და შეყლიშვილი ლაშა. პირველ რიგში, დავრეკე ძმასთან და კეთილად ჩამოსვლის ამბავი ვაუწყე. თბილისში ბრძანდებოდნენ ჩემი ლევილელი მასპინძლები და მეგობრები ბატონი მამია ბერიშვილი, მისა მეუღლე ქრისტიანა. შევხვდი მათ და სახლშიც მოვიწვიე. ჩემი წერილი და გახეთ „ქართული ფილმის“ ნომრები ძმასთან გავატანე.

ღევემბრის პირველ რიცხვებში პარიზიდან დარეკეს. ჩემი ძმა იყო. მკითხა, როგორ ხარ, რატომ არ მწერო. ხალზე გამიკვირდა. ალბათ, რამემ შეამფდეთა-მეთქო, გაჯიფიქრე, რამდენაშე

დღის შემდეგ, ღამით ჩემთან შემოვიდა შვილი და მითხრა ის, რისიც მეშინოდა — ჩემი ძმა ცოცხალი აღარ იყო. თავზარი დამეცა.

დასაფლავებაზე ჩემი წასვლა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ჩემი ვაჟის სასახლოდ უნდა იქცას, ყველაფერი მოაგვარა. არიან კეთილი ადამიანები, რომლებმაც დახმარება იცაან. ვაცნობთ, ჩვენს ჩასვლამდე არ დაესაფლავებინათ. ცოტაოდენი ბარგით და დიდი მწუხარებით მე და ჩემი ვაჟი მოსკოვს გავემგზავრეთ.

11 დეკემბერს შერემეტევოს აეროპორტში ვიყავით. შემოგვიერთდა ჩემთვის უცნობი ქალბატონი თამარ გვერდწითელი, რომელიც იმავე თვითმფრინავით პარიზს საგასტროლოდ მიემგზავრებოდა. ჩემი ვაჟი იცნობდა მას. მე პირველად შევხვლა. ჩვენი მწუხარება, ალბათ, მასაც გადაედო.

ჩავფრინდით. დაგვხვდა ბატონი შალვა თაყაიშვილი, მოგესამძიძრა. გარეთ გამოვედი. ამ დროს გამოჩნდა ფრანგი, ხელში ფართი, რომელზეც ეწერა: გვერდწითელი. თამარს გაეხარდა, რომ მასაც დახვდნენ. გვითხრა. დაკრძალვის დღეს ამოვალ ლევილში. ასეც მოიქცა.

ჩვენი გზა აეროვაზლიდან ლევილამდე ჩვეულებრივს არ ჰგავდა. პირველი, რაც ვიკითხე, როგორ მოხდა ეს უბედურება-მეთქი. შატოს შესასვლელში აფთიაქია. მასთან ავტობუსის გაჩერებაა. ჩემი ძმა იქ ყოფილა ტრანსპორტის მოლოდინში. უეცრად ცუდად გამხდარა და გარდაცვლილა.

ციოდა, ხშირად წვიმდა. ჩემი ძმის ოთახის ფანჯრის დანახვას თვალს ვარიდებდი. შესვლაზე არც მიფიქრია. დაკრძალვა დაინიშნა 15 დეკემბერს, ორ საათზე. პარასკევი დღე იყო. ცხდარო არაბუონის სპეციალურ შენობაში ესვენა. ბევრი ვიტირე და ვეამბორე ჩემს

უხელოვან-უხელოვან, ტანჯულ ძმას, 14 დეკემბერს ნოტარიუსთან წაყვდი, რათა დამემტკიცებინა მისი ქონება, რომელიც ბანკში ჰქონდა შენახული. მექროგორც ერთადერთი კანონიერ მემკვიდრეს, მქონდა ამის უფლება. ყველაფერი ქალბატონ ქრისტიანეს დავემტკიცებშირად მსმენია ჩემი ძმისაგან, ამას ვზრდიდი, ამან უნდა დამმარხოსო. მისი სურვილი პირნათლად შევასრულე, არც დავინტერესებულვარ, გამეგო, რათანხა ჰქონდა ჩემს ძმას ბანკში. ამ ამბავს ესწრებოდნენ ბატონები: ლევან ფალავა, ბიქტორ ხომერიკი და თანხის მომავალი პატრონი ქალბატონი ქრისტიანე.

პარაკევს, 15 დეკემბერს ჩემი ძმა პარიზიდან საძმო სასაფლაოსთან ახლოს მდებარე კათოლიკურ ტაძარში გადავასვენეთ. საშინელი წვიმა მოდიოდა. ტაძარში შევასვენეთ ქართული ეროვნული დროშა, რომელიც ხელში ეკავა თამაზ ნასყიდაშვილს. კუბოს წინ მოძღვარი მიუძღოდა. მან ფრანგულად შეასრულა დასაფლავების რიტუალი. ქართველ მგალობელთა გუნდს შეუერთდა ქალბატონი თამარ გვერდწითელი, რომელიც, თავისი სურვილით, დაკრძალვაზე მობრძანდა. ეს დაუეციყარი კეთილშობილება იყო. გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა მისი ახალგაზრდობისდროინდელმა მეგობარმა სიმონ ბლიაქემ. გამოვეთხოვე ჩემს ძმას, რაც ძალზე გამიჭირდა, მაგრამ აღამაანი ყველაფერს უძღვებს. ტაძარი სავსე იყო ქართველებით. ბევრი ტიროდა.

წვიმამ იმატა. დაბნელდა. მოვაპყროვანა აქედან ჩატანილი ქართული მაწა და იმქვეყნად გავისტუმრეთ ქართველ მებრძოლი ვაშაძე. დაბადებით პანტელეიმონი. ჩემთვის ძამიკო პავლუშა. საფრანგეთში პოკოლი. დაკრძალვის შემდეგ ჩემთან მოვიდა ქრისტიანე, მეამბორა და მითხრა, მეც აქ დაესაფლავდებო. ასე დასრულდა ჩემი ძმის ცხოვრება. სასაფლაოდან შატოს დარბაზში გადმოინაცვლეთ. ჩვენი წესის მიხედვით შენდობა ეუთხაროთ, ზოგმა — ქართულად, ზოგმა — ფრანგულად.

მეორე დღეს დილით, ადრე გამოვედი საფლავზე. სუსხი იყო. სანთელს წვა უჭირდა, ქრებოდა. დიდხანს დავყავით ამ სიწყნარეში, უამრავი ფიქრი მიტრიალებდა თავში. მე და ჩემი ძმა ხშირად ერთად ვთოხნიდით ნეკრძეთში მამასთან ერთად და რას ვიფიქრებდი, რომ სიმონ ვაშაძის ვაგი ლევილის სასაფლაოზე დაიდებდა სამუდამო სამყოფელს.

18 დეკემბერს, დილით, გათენებამდე თვალი მიმოვაღვლეთ ლევილის საუკეთესო ცაცხვებს, ძმათა სასაფლაოს და სამშობლოსაკენ გამოვწვიეთ. ყოველივე ეს, ალბათ, ლეგენდად დარჩებათ სიმონ და თეკლას ვაშაძეების დიდი ოჯახის შთამომავლებს.

საქართველოში ჩემი ძმის ორმოცი სიონის ტაძარში გადავიხადეთ. ესწრებოდნენ ჩემი ძმის ნაცნობები და პატივისცემულები. ასე დამთავრდა მისი ცხოვრება; რომლის წინათელ ხსოვნას, უძღვნი ამ მოგონებას.

## გიორგი ბოხტონოვოვი

(მოგონება)

მართალია, ისე არა, როგორც სანდრო ასბეტელი, მაგრამ ქართულმა თეატრმა მან დაიარაგა ერთი ბრწყინვალე რეჟისორი, როდესაც დაუშვა მისი საქართველოდან წასვლა და შემდგომ, როდესაც ვერ მოახერხა მისი დაბრუნება, ამრიგად, ჩვენ მაინც გავიფანტეთ.

ვიყავით თუ არა იმ სიმაღლეზე, რომ ასე გაფანტულებს გაგვემართლებინა ეს ასაკი, რაც შეექმნათ ჩვენზე? არ გავუცრუებდით იმედს ჩვენს თაყვანისმცემლებს? მაშინ, იმედით, რწმენით, საქმისადმი სიყვარულით, დიდა ენერგიით დამუხტულებს არაფერი გვაშინებდა, არც არაფერი გვაღარდებდა (ახალგაზრდობავე, უდარდელი ახალგაზრდობავე!) და ისეთ სიმაღლეზე ვგვრძობდით თავს, რომ გვეგონა, მწვერვალის ქიმამდე ერთი ნაბიჯილა გვაკლდა, და როგორც ხდება ცხოვრებაში — ზოგი ავიდა, ზოგი — ვერ, ზოგი სულ გაცეცალა და ა. შ.

1969 წ. ზაფხულში კილასურში ვისვენებდი. გავიგე, ბ-ნი გიორგიც კილასურშიაო, სინამში. ამ წელიწადს მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი (სარეჟისორი) ავღიფთავიკოზე წავსულიყავი. პატარ-პატარა ცდები რეჟისურაში მუშაობისა მქონდა და ვ-სთვის უნდა მიმემართა, თუ არა ჩემი მასწავლებლისთვის? გამოვიყენე ეს შესანიშნავი შემთხვევა და მასთან მოსალაპარაკებლად წავიდი. ჩვენ უკვე რამდენიმე წელი არ გვენახა ერთმანეთი, გამოძიება საღ ვიყავი, რას ვაკეთებდი. მოკლედ მოვუყვები ყველაფერი, გავუზიარე ჩემი გეგმები, შეწუხება, რომ იძულებული ვიყავი სტენისათვის (როგორც მსახიობს) თავი დამეჩვენებინა. დაღბინებულს ცხოვრებისაგან რომ არ იყო ეს, მშვენივრად ხედებოდა, სინანულის გრძობა რომ გამოეფანტა. ეუფხარია: — ამ ოცდახუთი წლის წინათ, როდესაც „ზეამოცანას“ და „ზეზეამოცანას“ გვიხსნიდით, მეგონა, კარგად გავიგე, თურმე არაფერიც არ გამოვიგია, ახლა-ღა მივხვდი, როდესაც ცხოვრების ძირში თავი, ყველაზე ნაყოფიერი ნაწილი გავლილია. ჩემი ცხოვრებისეული ზეამოცანა კი იყო მსახიობი გამოუსვლიყავი, მაგრამ ზეზეამოცანა სულ სხვა მქონია და ეს მიშლის ყველაფერში ხელს.

— მაინც რა? — დაინტერესდა.

— არ ვიცი რა, მაგრამ ზეზეამოცანაც, რომ იღივე ყოფილიყო, მაშინ მისთვის ყველაფერს დაეთმობდი, მეც გარდავიქმნებოდი. თეატრებს ვიცვლიდი ნაცვლად იმისა, რომ თავად შევცვლილიყავი. ის რაღაც „ზეზეამოცანა“ არ მეკითხება, რა მინდა, ან მან უკეთ იცის, მე რა მინდა და ცნობიერად და ქვეცნობიერად ეს გამოძრავებს, ასე რომ, ალაბო, ყველაგან შემამოშლის ხელს და მაინც უნდა ისევ ეცადო ბედი ახლა — რეჟისურაში.



ჩაიყენა, ეს მოწონების ნიშანი ყო: რა მოეწონა? სწორად, რომ ჩამოვეყენებოდა. დღებ სთავსებოდა, რასაც შე გვიან მივხვდი, მან ადრევე იცოდა.

— Ну, чтож — მთხარა სერიოზულად — приезжайте, сначала сезон будет ждать. Только, кажется, надо взять направление с министерства, а сейчас пойдёте окунемся, а то скоро обед (ზღვაზე მიდიოდა, სანატორიუმის ქვეშას იცავდა). უარი ვუთხარა, სახლში შევლოდებოდი, დღეს არა-მეთქი. მინიმუმ ხელ დიდიდან მოდიოდა და მთელი დღე ვრთავდი გვატაროთო. მაგრამ ჩემი მართვა ხელი და ზღვისყენ წაიქცა. მოიხვდა, ხელი დავუქნიე და წამოვედო. 1975 წ. 22 იანვარია, შე უკვე გზაზე ვარ, პაერში, გარეთ ვიყუდებო. მაგრამ ვერაუბრის ვხედავ, ვერც ლურჯ ცას, ვერც თეთრ ღრუბლებს, მზერა მთლიანად შეიზოთ მაქვს ჩაბრუნებული, საკუთარ თავში, ვფიქრობ იმ თეატრზე, რომელიც აქ დამხვდებოდა. მომეწონებოდა თუ არა, შესძლო თუ არა ბ-მა გიორგიმ ისეთი თეატრის შექმნა, როგორც ჩვენთან ერთად ოცნებობდა. შექმნიდა კიდევ, რომ დავეცელოდა, ან ოცნებებს რომ ვეწეროს საერთოდ ასრულება, ცხადია, მართლმართობა ნიჭიერებას არ ვგველისხმობ (ნიჭიერი ყველგან არაა) ამ ადგილზედ კომპონენტთან ერთად არანაყლებ მიიშენელოვან სხვა თვისებებს, რომელიც თანამართება ვგუფს უნდა ჰქონდეს, ურთმლასოდ ახალი თეატრის დამხვდება და ჩამოყალიბება შეუძლებელია.

განა აღსანიშნავია, რაოდენ თბილად შემგზდნენ? ამაში დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი, განა თავს მივცემდი უსაბუთოდ წასვლას უფლებას? რატომღაც ის ოფიციალური მ-მართვა, რომელიც ესოდენ შვირდებოდა, ვერც კულტურის სამინისტრომ და ვერც თეატრმა ვერ მომცა, ჩვენს სახელმწიფოში ყველაფერი ლიმიტირებულია, იქნებ, ლიმიტა გამოვლინოთ, ან იქნებ, ამდის მომცემ, პერსპექტიული ახალგაზრდისთვის ინახავდნენ იმ ლიმიტს, ჩემი სურვილი ვერცეულა ქალბატონის ახირებად ჩათვალეს და უარიც გამომიტემრებს. შე ჩემი სურვილითა და ნებით, უხელფასო შეგებულებით მანც წავედი, ტოვსტონოგოვებში თავსიანად შემომთავაზეს მათთან დაბინავება, მაგრამ ამ ზომამდე არ შევაქნებე, ვიჭირავე ბინა და დავსახლდი ლეზინგრაფში.

დამხვდა ულამაზესი ქალაქი, ულამაზესი არქიტექტურული ნაგებობა — თეატრი და შევიკარული სათოვით აწყობილი თეატრი—სახელმწიფო, სადაც დიქტატორი გახლდათ ბ-ნი გიორგი ტოვსტონოგოვი, მეფობდა იმ კულტურის დიქტატორს — იდეალური წესრიგი, აბსოლუტური პროფესიონალიზმი, მაღალნიჭიერ ინტელექტუალურ მსახიობთა დასზე რომ არაფერი ვთქვათ, სცენას მუშები, მემკვიდრეები, ჩამყვლები, სხვა და სხვა საამქროს ოსტატი ხელოსნები, კაპელანტები და მთლიანად ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი იყვნენ მაღალი კულტურის ადამიანები, რომლებაც იერიითა და ქცევით პროფესორებმ არ ჩამოუვარდებოდადნენ და, აღბათ, იყვნენ კიდევ თავისი საქმის პროფესორები.

ყოველ საქმებათს, თაველი შემოქმედებითი, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი იკრიბებოდა ტოვსტონოგოვას კაბინეტში განვლილი კვირის მუშაობის პარაკით. ერთ-ერთ ასეთ შეკრებას მეც დავესწარი, რადგან თეატრიც სხვა რეჟისორების მსგავსად სპექტაკლებზე მეც ვმორიგეობდი, რის უფლებაც მოვიპოვე პრაქტიკაზე ყოფნის სამი თვის შემდეგ, რადგან უკვე კარგად ვიცნობ და მიმიღინარე რეპერტუარს და არ გამოშვებარებოდა სპექტაკლში რაიმე ცვლილება, პოზიტიური და ნეგატიურიც.



მომხრბლა ყველა წარმომადგენლის უალრესად სერიოზულმა დამოკიდებულებამ საქმისადმი, პასუხისმგებლობის დიდმა გრძნობამ და პატიოსნებამ. ყველაზე და ყველაფერზე მაღლა იდგა ხელოვნება, რომელსაც ვმსახურებოდნენ, უერთდებოდნენ და უვლიდნენ. აქ არ იყო შიში იმისა, რომ მსახიობი, რომელიც შენიშვნას მიიღებდა (რა თქმა უნდა, შესრულების უნებლიე დარღვევისათვის), მტრად გადაეკიდებოდა შემნიშვნელს, ან მამულარად ჩასთვლიდნენ. პირიქით — მსახიობი ალღევებულა იყო იმით, რომ რალაც დაემართა, შტამპი შეეპარა მის შესრულებას, რის გამოც სცენამ დაპყარგა ზემოქმედების ძალა და სასწრაფოდ ინიშნებოდა რეპეტიცია. იწყებოდა ძებნა იმ წერტილისა, საიდანაც ურთავდა „წყალი“ (მსგავსად გაფუჭებული ონკანისა). მახსოვს, თ. ბასილაშვილი გამოიძახეს, მსგავსი შემთხვევის გამო, როგორი შეშფოთებული და შეწუხებული იყო (და არა დამნაშავესავეთ შეშინებული). არაინ არავის არ უჭავრებოდა, ყველა ერთად ფიქრობდა და ეძებდა მიზეზს. პირველ რეგში, თვით მსახიობი მოითხოვდა დაუყოვნებლივ რეპეტიციას. იმ დღეს შენიშვნა მიიღო ჩამძვლმაც, რომელმაც კოსტუმი სათანადო მდგომარეობაში არ მიაწოდა მსახიობს. გაკვირვებულმა ჩამძვლმა თავი იმართლა, ძალიან კარგად დაუვთოვეო. რაზეც უპასუხეს: სწორედ ეგაა შეცდომა. ამ პერსონაჟს გაწმენდილი და დაუთოვებელი კი არა. დაჭმუქნული და დასვრილი უნდა ეცვას, განსაკუთრებით შარვალი. ამიტომ თქვენ არა მარტო კოსტუმის მოვლა გევალებთ, არამედ იმ პერსონაჟთ, ცხოვრების ცოდნა, კარგად უნდა იცნობდეთ მათ, ვინც ყოველ საღამოს წარსდგებიან მაყურებლის წინაშე. სპექტაკლის წარმატება და წარუმატებლობა თქვენზეც ისევეა დამოკიდებული, როგორც მსახიობზე (ამ შენიშვნით ის ჩამძველი ამალდა საკუთარი თვალში და კიდევ მეტი ერთგულებით მოეკიდებოდა საქმეს. ახლა როგორ მოიწონებდა საზოგადოებაში თვის, მე რომ არა. თეატრის ასეთი კარგი არ იქნებაო). უსაყვედურეს განათებულსაც, რომელმაც სწორად არ გაანათა სცენა. არ დაამთხვია განათება და მუსიკა, რითაც სცენის ემოციურობა შესუსტდა, რაც მთავარია, დაირღვა ძირითადი, დიკარგა მთელი სცენის აზრი, რადგან მაყურებელმა ვერ დაინახა მსახიობის სახე, თვალეზი, რომელშიც უნდა ამოეკითხა ეს აზრი და თუ აზრი მაყურებელამდე არ მიიტანე, თუ გაწყდა ძაფი სცენასა და დარბაზს შორის, ჩრდილში მოქცეული მსახიობის ბრწყინვალე თამაშით თუ ვერ დატკბი, მაშინ თეატრიც აღარ არის, იგი მკვდარია. |

ასეთი შენიშვნებით ზრდიდა ის თავის თეატრში პიროვნებებს, სწორედ ასეთმა მუშაობამ განაპირობა სპექტაკლების სიცოცხლის ხანგრძლივობა. ამიტომ არ ჩამოდიან ისინი სცენიდან ათეული წლობით და ისეთივე ახალგაზრდები არიან, როგორც პრემიერის დღეს, უკეთესნიც, კარგად დაღვინებულნი. ამის მაგალითია მ. გორკის „მდაბიონი“, სამართლიანიაა გორკის თეატრში ბრილიანტივით მარად ბრწყინავდეს გორკის პიესა.

ერთი სიტყვით. მინდა ვთქვა, რომ მთელი თეატრი იყო ერთი დიდი შემოქმედებითი ორგანიზმი, ცოცხალი ქსოვილით, ცოცხალი უჭრედებით, სადაც ესმოდათ, რომ შექანიკური მოქმედება მისი რომელიმე უჭრედისა საკვდილის ტოლფასია.

კარგა ხნის შემდეგ, თვითონ მკითხა, რა აზრის ვიყავი მის თეატრზე. გავუზიარე ჩემი შთაბეჭდილებები და ვკითხე, როგორ მიაღწია ამ იდეალურ დონეს, როგორ ააშენა ეს თეატრი — სახელმწიფო (რომლის მოდელი, დღეს სუვერენიტეტის მაჩიებელ რესპუბლიკებს იქნებ გამოადგეთ კიდევ). მიპასუხა: — რა თქმა უნდა, უცბად არა, თანდათანობით: ჯერ ენთუზიაზმით, გამძლეობით, საქ-

მის ცოდნის დაგროვებით, ერთგულებით, სიყვარულით მივაღწიეთ პარტიის წინაშე. მატერიალური ანაზღაურების ბალანსირებასაც ვცდილობთ და, რაც მთავარია, შემოქმედებითი კოლექტივის დატვირთვაც სამართლიანობის პრინციპზე გვაქვს აგებული. ყველა დაკავებულმა მისი ღირსების ნიხეცავით, ისე რომ თითოეული მათგანი უფროსი იღებდა თავის ადგილს თეატრში. არც ერთი ნიჭიერი შემქმნეველი არ ჩქება.

— ესეიგი თქვენ არ გრჩებათ.

— რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მე. !

— ნიჭიერები თბ.ლისშიც არ დაგვიტოვეთ, ყველა ირგვლივ შემოიკრიბეთ! ლუსპეკაევი (სამწუხაროდ, უკვე ცოცხალი აღარ იყო), ი. შვეჩუკი, მხატვარი ლოტინი., ეს ისინი, ვისაც მე ვიცნობდი, ალბათ, რამდენი კიდევ სხვა, ვინც მე არ ვიცი.

— თქვენ დაგავიწყდათ ლებედევი — სიცილით მითხრა.

— ეგ თავისთავად, ლებედევს რა დამევიწყებს. თქვენ საერთოდ არწივივით დასტრიალებთ თეატრებს, არც ერთ ნიჭიერი არ გამოგეპარებათ და იტაცებთ კიდევ.

— ეს აუცილებელია თეატრისათვის. ახალი სისხლის გადასხმა საჭიროცაა და სასარგებლოც ჯანმრთელობისა და დღეგრძელობისათვის.

როგორც ამბობდა, ისევე იქცეოდა, მისი სიტყვა და საქმე განუყოფელი იყო. როგორც მისი თეატრის სცენაზე, ასევე ცხოვრებაში არ იყო სოცალბე, არ იყო ფორმალიზმი. იყო იერარქია, მაგრამ იყო ურთიერთპატივისცემა იყო შეგრძნება თეატრის, ვითარცა ტაძრისა და ყველაფერს, რაც ამ ტაძარს ეხებოდა, თავად ამოწმებდა. თეატრში იყო შექმნილი ყველა პირობა თანამშრომლების ნორმალური ცხოვრებისათვის: მოწესრიგებული ყოფა, კვება, დასვენება (დიდი ქალაქის მცხოვრებნი, დღის განმავლობაში სახლში მისვლა-მოსვლას ხომ ვერ ასწრებდნენ), მაგრამ ყოფითად მოქცევას, ფაზილარობას იმ კედლებში, სადაც მხატვრის სული ტრიალებს, სადაც მუზეუმი ბინადრობენ, არავის არ აპატიებდა.

ერთხელ, კელისებში შესვლა მოიწადინა და მეც თან გამიყოლა. ქალთა საგრიმიორში ახალგაზრდა ქალებს (თორემ უფროსი თაობა, მსგავსს არაფერს დაუშვებდა) წააწყდით, ტახტზე წამოწოლილიყვნენ. აბოლებდნენ და რღაცაზე ტიქტიკებდნენ. განრისხდა — როგორ, სად იმყოფებით, თეატრია ეს, თუ სალაყ-ზოო? უხერხულად ვიგრძენი თავი, რადგან მეც ყოველთვის მაღიზიანებს თეატრის საცხოვრებელი ბინის ცნებამდე დაყვანა: საგრიმიორის საკუთარ თავსაბანად ან თუნდაც სალონად გადაქცევა, მაშინ როდესაც ორგანულ კავშირში უნდა იყო მხოლოდ იმასთან, რაც სცენაზე ხდება, თუ, რა თქმა უნდა, გესმის და გინდა მაღალმხატვრული ნაწარმოების შექმნა. ძალაღ მოწადინებულები რომ ხარ მაშინაც საკითხავია, შექმნი თუ არა, მაგრამ, თუ შენი საქმე გიყვარს, ცდა ხომ არ უნდა დააყოლო? ან, თუ გესმის და გინდა ორი საათის განმავლობაში მაინც გამოეთიშო ყოველდღიურობას, იცხოვრო სულ სხვა ცხოვრებით, სხვა ადამიანთა შორის, სხვა ადამიანად, მოკვდე კიდევაც და შენი თვალთ იხილო, როგორ დაგტირან გულწრფელი ცრემლით, ფეხზე წამომდგარს კი როგორი სიხარულით გაკრავენ ტაშს და ყვავილებს გიშლიან ფიანდაზად, როგორ შეგიძ-ლა ყოველივე ამას პატივი არ სცე და არ იყო ამ მშვენიერების სიმაღლეზე.

როგორც ადამიანს, მას, ალბათ, ყველაფერი ესმოდა, მაგრამ, როგორც თეატრის ხელმძღვანელი, როგორც მხატვარი, თავის თანამშრომელს, პირველ რიგში, 5. „თეატრი და ცხოვრება“ № 1.



მსახობს, მოშვების უფლებას არ აძლევდა. მსახიობი მუდამ შემართული, ნაგანად მოწესრიგებული უნდა ყოფილიყო. ასე აღზრდილი, ასე ნაყარ მსახიობი ყოველთვის შემოქმედებით ფორმაშია და არავითარ დაღლილობას არ გრძნობს, პირიქით, ზედმეტი დასვენება და უსაქმურობა მომაკვნივებელია მისთვის. ეს აქსიომაა.

და, აი, ასეთ თეატრში, კვალიფიკაციის ასამაღლებლად დედამიწის ყოველი მარტიდან ჩამოსული იყვნენ სხვადასხვა ეროვნებას (მგონი ოცამდე) და ასაკის რევისორები, ან ამ წოდების მამიებელნი (ჩემსაკენ). თუ არ ვცდები 50-60 კაციმდე. რეპერტუისათვის განკუთვნილი იყო მცირე სარეპერტიკო დარბაზი, პატარა სცენით და ამფითეატრით, რომელიც შევსებული იყო სტაჟირებაზე მყოფი სტუდენტებით. იმამაღ, სხვა სამუშაოსთან ერთად თეატრის მესამე სართულის ერთი ფრთის რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა. მცირე სცენას აშენებდნენ და ამ სცენისათვის მზადდებოდა რამდენიმე პიესა.

ერთ-ერთი იყო ა. ვოლოდინის „საყვარელ აღამიანებს ნუ დაშორდებით“ („С любимыми не расставайтесь“), რომელიც დამოუკიდებლად მოგვანდო ბელორუსიიდან ჩამოსულ ახალბედა რეჟისორს — მიხეილ კოვალჩიკს და მე, თან გეითხრა: — აი, პიესა, აი, მსახიობები (დამდგმელი თავად იყო, როლები განაწილებული). მე არაფერზე არ მომმართოთ, ყველაფერში თავად გაერკვიეთ მსახიობებთან ერთად, როდესაც მაგიდასთან მუშაობას დაამთავრებთ, მე შემდეგ მოვალ. იმ დროს დასში 78-მსახიობი ირიცხებოდა: 46 მამაკაცი, 32 ქალი. აქედან 33 საუკეთესო მსახიობი, ყველა ასაკისა, ჩვენთან იყვნენ დაკავებული. ცოტა არ იყოს შევკრთი და ბ-ნ გიორგის გაუემხილე ჩემი შიში. მაშინვე დამამშვიდა: — ჯერ, ხომ თქვენ თვითონ გაერკვევით ყველაფერში, პირველ რეპერტიკაზე რომ მიხვალთ, თქვენ მზად იქნებით, ის-ი კი არა, ასე რომ ერთი ქულა უკვე თქვენს სასარგებლოდაა, მერე კი თქვენზეა დამოკიდებული. რაშიც დარწმუნებული ხართ, ის არ უნდა დაუთმოთ მსახიობს, მუშაობაში გამოჩნდება ყველაფერი. აბა, თამამად, თქვენ იცით.

ბევრი ვიწვალეთ, ბევრს ვკამათობდით (მე და კოვალჩიკი). ბევრჯერ ამოუბნელი ამოცანის წინაშე დავდექით, მაგრამ არასოდეს არ შევაწუხეთ, არ მოვმართეთ ბ-ნ გიორგის, მისი მოთხოვნა შევასრულეთ. მაგიდიდან მიზანსცენებზეც გადავედი. შავად გავაყეთთ სპექტაკლი და ზანზულში ვაჩვენეთ. ჩემს დღეებს საუღვარი არ ჰქონდა, ჯერ ერთ როლზე რა დღეშია მსახიობი და მე 33 როლზე ვდღეობდი და მერე, როგორც მსახიობები მიყვებოდნენ, თვითონ ვიყავი, თურმე ძალიან საინტერესო მაყურებლის როლში, ეს მეორე თეატრი იყო, მესხუმრებოდნენ. მცირე შენიშვნების შემდეგ, ისე რომ ჩვენი, ასე ვთქვათ, „რეჟისორების“ ავტორიტეტი არ შელახულიყო, ძირითადად მოვეწონა (რაც არ მოეწონა, გამოვდივარ მსახიობებს უსაყვედურა, თან ისეთი შენიშვნები მისცა, რასაც მეც ვეუბნებოდი და არ მიჭერებდნენ, მართალი უნდა ვთქვა, მაშინვე გამოძხებდნენ მე, თითქოს უხაროდით, რომ მე ვიყავი მართალი, ჩემი გამარჯვებამ საამოვნებლათ და საყვედურს ვაყაყურად იტანდნენ. ეს ჩვენი დამეგობრების და ურთიერთსაყვარელის ნიშანი იყო, რაც არასოდეს დამავიწყდება, რაც ასე იშვიათია თეატრში, რეჟისორები და მსახიობები უმოთხრესად ერთმანეთს აბრალებენ მარცხს. ყველაზე კარგი შეფასება მისცა ორ ახალგაზრდა მსახიობს (მთავარი როლს შემსრულებლებს) სვეტლანა გოლოვინას და გენადი ბოგაჩოვს, ისინი ყველაზე აქტიურად მუშაობდნენ. სვეტლანა გოლოვინასთან კი, რომლის



თეატრის შტატში ჩარიცხვას ბედი ამ როლით წყდებოდა, პირადად მე, ბევრი ვიმედოვნე და შედეგად მივიღეთ. მათზე ხაზგასმით ილაპარაკე. ეს კოვონა, მაშინ შტატში ჩარიცხეს (მომდევნო წელს კი, ტოვსტონოგოვის უფროსმა ვაგმა, საინდრომ კოლად შეირთო. როცა ეს გაეგვა, სალომე ყანჩელს — გოლოვიანს დავამთავრე ვეხმარებოდი: — ჩემი კვი ხელით, თეატრის შტატში კი არა, ოჯახის შტატშიც მივლიათ-მეთქი).

ამ დროისათვის, მცირე სცენაც მზად იყო და მეორე დილას, 11 საათზე დაწინაა რეპეტიცია და უკვე თვითონ მიბრძანდა.

აღბათ, ძალიან ნიკოერი კალმოსანია საჭირო, რომ ის ერთადერთი ჯადოსნური რეპეტიცია აღწეროს. ვიცი, მკრთალი გამოძივა, მაგრამ მაინც შევეცდები.

პირველ რიგში, თავისი ჩანაფიქრი გაგვაცნო. !

დავდგათ სპექტაკლი კინოგადაღებაზე — სთქვა, მერე გადახედა 150-200 ადგილიან დარბაზს. სცენის ფიკარნაგი შუა დარბაზში იდგა, ოთხივე მხარეს შემადგებელი ამფითეატრით: — ძალიან კარგი, სწორედ ეს გარემო გამოვიყენოთ (ეს იყო 20 წლის წინათ, მას შემდეგ, თეატრში არ ვიცი და კინოში კი იყო, მგონი, მსგავსი გადაწყვეტა, მაგრამ მანამდე მე არსად მინახავს, ვფიქრობ, ეს მისი იდეა იყო, დღესაც ასეთი გადაწყვეტით სპექტაკლი, მგონი, არ არის). სცენა იქნება გადასაღები მოედანი, სცენის გარშემო გადაშლები ჭგუფი. ძირითადი, სცენიდან თავისუფალი ყოველი მსახიობი გადაშლები ჭგუფის გარკვეულ, საჭირო ფუნქციებს შეასრულებს. ვთქვათ, ერთი გამნათებელი, მეორე გამხმარებელი და ა. შ. ზუსტად უნდა გაკეთდეს მოვლენათა რიგი იმის მიხედვით, თუ ვინ როდის არის სცენაზე და როდის გადაშლებ ჭგუფში. ე. ი. ყველას ექნება ორი როლი, გარდა მთავარი როლის შემსრულებლებისა. ყველაფერი მაყურებლის თვალწინ ხდება, წარმოიდგინეთ, როგორ უნდა ითამაშოთ, რომ დაავიწყოთ მაყურებელს მისთვის სრულიად უცნობი და თავისთავად საინტერესო სცენის მიღმა მიმდინარე მოქმედება. აღბათ, ათჯერ, ასჯერ უფრო დამაჯერებლად, ვიდრე სპექტაკლს დრის, რომელიც ფარდის გახსნის შემდეგ იწყება. აქ კი სპექტაკლი დარბაზში შემოსვლისთანავეა დაწყებული: გადაშლები ჭგუფი, თითქოს შეუმჩნეველად, ჩუმად ამზადება სცენას გადაშლებისათვის, ჯერ, ვთქვათ ერთი-ორი მაყურებელი შემოვიდა, ცოტა ადრეა, ისინი სხდებიან თავიანთ ადგილებზე, ძალაუვნებურად თვალს ადევნებენ მათთვის უჩვეულო სცენას. აი, მათი საყვარელი მსახიობი (გადახედა ტენიაკოვას, პიესის გმირს), რომელიც ხშირად უნახავთ დიდ სცენაზე, მოხიბლულან მისი თამაშით. აქეთ ვილაყეები კამათობენ და სხვა მრავალი საინტერესო მოქმედება, ცხადია, ყველაფერი თქვენ თვითონ უნდა მოიფიქროთ. თქვენი ფარდა, თქვენი საჭარო მარტოობა, მაყურებელი გხედავთ, თქვენ მათ ვერ ხედავთ... დაახლოებით ასე, დანარჩენი მუშაობის პროცესში, გზა და გზა...

გაჩერდა — Ну, как? — მე მომიბრუნდა, მის გვერდით ვიჯექი. ხომ კარგიაო, მომლიპარი თვალები მეუბნებოდნენ და შექებას ელოდნენ ყოჩაღი ბავშვივით. მერე ყველას გაღაჟდა. ჩემი თანარეჟისორი მ. კოვალჩიკი ფეხზე იდგა და შესაღიანებდა — Колосально! — სთქვა მან აღტაცებით (ის, უსაზღვროდ შეყვარებულ იყო ტოვსტონოგოვის თეატრსა და შემოქმედებაში).

— დაქვით, მიშა! თუმცა არა, დავიწყოთ! მოაწყეთ პირველი სცენა, როგორ გაქვთ იქ? — მე წამოდგომა დავაპირე. მკლავზე დაშტაჩა — თქვენ იჯექით! მერე უფრო შინაურულად, როგორც ასლობელს ჩუმად მიიხრა: — Хорошо правда, вам нравится?



— ღაეცხოთ?! — და შეხედა სენას, ყველაფერი მზად იყო, გველად  
 ბოდნენ. ოთახში მდგარი საგნები გადადგმეინ-გადმოადგმეინა, თან შეგვახსენ-  
 ნა, სენა ახლა ცენტრშია და ყოველი მხრიდან მაყურებლის თვალისა და ყუ-  
 რისათვის ერთნაირად საინტერესო და მისაწვდომი უნდა იყოსო.

— აბა, რა! — ქართულად ვუთხარი. საამოვნებოთ ჩაიციხა, კარგ გუნებაზე  
 იყო, ქართლის გაგონებამ, უკეთეს გუნებაზე დააყენა და ქართულადვე მითხრა:  
 — გაეისენოთ, სად ხდება და რა ხდება? !

— სენა წარმოადგენს კომუნალური ბინის ერთ პატარა ოთახს, რომელშიც  
 ცხოვრობენ არაოფიციალურად გაყრილი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი (ტენიაკოვა,  
 ბოგაჩევი), დღეს სასამართლოა. დილია. ქალი საწოლზე წევს. ვაჟი „რასკლა-  
 დეშკაზე“, პირჩამხობილი.

სხაპა-სხუბით მოახსენა კოვალჩიკმა და შეხედა რეჟისორს, რომელმაც განა-  
 გრძო.

— გაყრის ნიშნად, თითოეულის საწოლთან, თეჯირივით დგას ტანსაცმელ-  
 გადაკიდებული სკამი, რის გამოც ერთმანეთს ვერ ხედავენ. არც ერთს ა  
 სძინავს, მაგრამ ორივე მაყურადებელია ოდნავ გაფაჩუნებაზე, ხომ? ეს უნდა  
 დააფიქსიროს მაყურებელმა, აღიქვას სიჩუმე, დაიჭირეთ გარკვეული პაუზა და  
 შემდეგ ამ სიჩუმეში მკაცრად, ხაზგასმით უნდა გაისმას მოშლილი ონკანიდან  
 წყლის წვეთების ხმა. ვაჟეუბს. — სოქვა და თვალით მოძებნა ერთ-ერთი  
 ახალგაზრდა მსახიობი და მას დაავალა (იმდენად ზედმიწევნით კარგად იცნობდა  
 ყველას). ისევ განაგრძო: — ეს ქმედება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც  
 სიტყვა და ყველა დანარჩენი, რასაც გაგონებს და დაინახავს მაყურებელი.  
 წვეთის ხმა, თვითონ უნდა გახდეს მოქმედი პირი. დაიმახსოვრეთ? მამ, რაიკა-  
 ვეთ თქვენი ადგილები და ვნახოთ, რა გამოდის. აბა, ღაეიწყოთ! თუ კარგად  
 გაიგეთ, იმპროვიზაცია აკრძალული არ არის, როგორც ყოველთვის.

მოქმედება დაიწყო, ამოლუტურტი სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმეში ვაჟი შეტრი-  
 აღდა თავის საწოლზე, საწოლი აჭრიალდა, ქალმა ხელი გამოჰყო საბნიდან და  
 შუბლზე დაიდო, ჭერში იყურებოდა, ოდნავ გამრიალდა რაღაც, ალბათ, საბანი.  
 ვაჟმა ამ შრიალზე ჩამხობილი თავი ასწია, თვალი გაახილა და მზერა ქალის მხა-  
 რეს გააპარა ჩუმად. წამი და გაისმა წვეთის ხმა, ტკაპ! ერთი, ორი  
 სამი; სახელდახელოდ დანაშნული „შუმოვიკი“ ოსტატურად აკეთებდა თავის  
 საქმეს. დაძაბულობამ კულმინაციას, რომ მიაღწია დაიძახა: — სდექ!

— Интересно правда? — იკითხა — გათავდა ნაკვეთი, აი, ახლა შეგიძლიათ  
 განაგრძოთ!

მეორე ნაკვეთში ქალი ადგა, ჩაიცვა წინდები, გადაიცვა კაბა, ვაჟისკენ არც  
 გაუხედია, აილო ჭურჭელი მაგიდიდან, ვაჟიდა, გაისმა წყლის ჩხრიალის ხმა  
 („შუმოვიკი“ ყოჩაღობდა). ვაჟი წამოიწია „საწოლზე, ნიდაყვს დაეყრდნო,  
 ყურადღება კარს მიღმა მყოფი ქალისკენ ჰქონდა მიპყრობილი. ყველა, ძალაუნებუ-  
 რად, ვაჟთან ერთად, მხოლოდ ხმებს უსმენდა. ქალმა ყველაფერი სასწრაფოდ  
 დაამთავრა და თვალს მოეფარა, შემდეგ ამფითეატრის ზემოთ აღმოჩნდა და  
 კიბეზე ჩამოირბინა, წერილი, „შპილიკა“ ქუსლების კაკუნით. კოვალჩიკმა დასაკე-  
 ცი სკამი ხმაურით ასწია და ისევ დაეცა, კარის გაჭახუნების იმიტაცია გამო-  
 ვიდა. ვაჟი სასომიხილი დაეცა ბალიშზე. წყალი ისევ წვეთავდა მონოტონურად.  
 ვაჟმა საწოლქვეშ შეგდებულ სიგარეტის ნარჩენს დაუწყო ძებნა, აილო ჩაიდო  
 პირში, ადგა. ასანთი მაგიდაზე იდო, ღერი ამოიღო და ქალის საწოლს დააც-  
 ჭერდა... ამ ღროს გააჩერა იგი რეჟისორმა და სოქვა:

— პრინცი, ვხედავ გასაგებია. ახლა ყველანაირ აქ მოდიო! ყველანი ირგვლივ შემოუსხდნენ და მან გატაცებით დაიწყო მოყოლა. გზებზე, ავალეებში შეაჩინებდა რაღაცის თქმის სურვილს, შეჩერდებოდა, მოუსმენდა. ხან თავის სათქმელს კითხვის ნიშნით დაამთავრებდა და ამით გიწვევდა საპასუხოდ. ამ დიალოგ-გასაუბრებაში ძალდაუტანებლად ითრებდა ყველას და ამგვარი რეპეტიცია ნაყოფიერიც იყო და სახალისოც. ის ნამდვილად იყო დღესასწაულის შექმნის დიდოსტატი. მასთან შრომა იყო ღებნა. ეს სახობტო სიტყვები კი არ არის, ეს არის შემოქმედების კანონი, რომელიც ძალიან ზუსტად და მარტივად განსაზღვრა სტანისლავსკიმ:

— „ტრაგედია კი, უნდა ითამაშოთ მხიარულად“ — ამ კანონს ემორჩილებოდა თვით ტოვსტონოვოვი და ამასვე გვასწავლიდა ჩვენ.

მნელია, ოცი წლის წინანდელი ამბების ზუსტად და დაწვრილებით გახსენება, ალბათ, საჭიროც არ არის. მაგრამ ის ერთადერთი დღე დაუვიწყარია. მისი, მონაყოლი, სატყვიით დახატული სურათი, ისე ჩამებეჭდა მეხსიერებაში, თითქოს მართლა გადავიღეთ კინო პატარა დარბაზის პატარა სცენაზე იმ ხერხებით, რომელიც ბატონმა გიორგიმ შემოგვთავაზა: თითქოს ორ მსახიობს, ორი მხრიდან მართლა ეჭირათ შეფოთილი ტოტები, სცენის შუაგულში კი, სირბილით (ადგილზე), თითქმის გაგიჟებული კატია-ტენიაკოვა ვარბოდა ტყეში. ვანათების შექაჩრდალში ელავდა მისი სახე, რომელსაც უტყალაშუნებდა სველი ტოტების და ქარში გაშლილი სველი თმები, თვალეებში შიში ჰქონდა ჩამდგარი, შაში საყვარელი ადამიანის დაღუპვის, დაკარგვის, რომლის დაუწყებას და გულიდან ამოგლეჯას სულ რაღაც რამდენიმე წუთის წინ ცდილობდა.

ამ სურათს, დღასაც, წარმოსახვაში კი არ ვხედავ. არამედ თითქოს ნამდვილად მენახოს, არადა ეს მხოლოდ მონათბრობია ჩანაფიქრის განხორციელების დასაწყისისა. ვასკეთებელი წინ გვედო. ასე დამთავრდა პირველი რეპეტიცია. ყველანი ერთნაირად აღელვებულნი და ბედნიერნი ვიყავით მომავალი საინტერესო რეპეტიციის მოლოდინში.

გათენდა მეორე დღია, მაგრამ რეპეტიცია არ შედგა. იგი თურმე, არა თუ პირველი, არამედ უკანასკნელიც იყო. ბ-ნი გიორგი არ მოვიდა. მოულოდნელად გარდაეცვალა დედა... და თბილისში გაფრინდა. დაღონებულები დავიშალენით: ყველაფერთან ერთად მე გულს მიცლავდა თვით დედა თამარის გარდაცვალება, ასე მივმართავდით ქალბატონ თამარ გრიგოლის ასულ პაპიტაშვილს, ბ-ნი გიორგის დედას, რომელსაც ძალიან ჰგავდა სახითაც ალბათ, ნიჭითაც, ისეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი იერის პიროვნება გახლდათ ეს დარბაისელი ქართული მანდილოსანი. ჩვენ, გოგას სტუდენტებს (ასე გვეძახდა დედა თამარი) ის ძალიან გვიყვარდა, თვითონაც სიყვარულით გვპასუხობდა. მასთან ურთიერთობა ბოლომდე არ გაგიწყვეტია, ლენინგრადში წასვლა რომ გადაწყვეტიე, ვესტუმრე, გავუზიარე ჩემი გეგმები, გაცხარდა და მითხრა: — ძალიან კარგი, შვილო, წადი გოგასთან, ის შენთვის ყველაფერს გააკეთებს, იცი, რა თეატრი აქვს, რა საინტერესო ცხოვრება. ყოველ საღამოს იკრიბება მასთან თეატრის მაღალნიჭიერი საზოგადოება, გაიცნობ, ბევრ რამეს შეიძენ, გახალისდები. მათთან ურთიერთობას მეც კი ვერ ველევი, არადა, ამდენი უძილობაც არ შეიძლება ჩემთვის, მე კი ვერ ვგრძნობ, მაგრამ დოდო და გოგა ელავენ, იღლებოთ. •მეტომ არ ვრჩები იქ დიდხანს.

— უნდა გაუფრთხილდეთ თავს, დეიდა თამარ, დროზე უნდა დაიბინდო  
ვუთხარი.

— რას ამბობ შვილო, იმათ შემყურეს რა დამაძინებს, მაგრამ მარ.თალი, თუ  
გინდა იცოდე, გულს რომ მოვიჭერებ შვილებთან და შვილიშვილებთან ყოფნით,  
საქართველო მენატრება. — გარეთ გაიხედა. ძველებური სახლის მაღალი ფანჯ-  
რებიდან, შემოდგომის მზით ოქროსფრად განათებული ფოთლები შრიალებდნენ,  
ლურჯ ცაში აწვდილ ხეთა კენწერობებზე.

— ამის გარეშე, შემოძლია ცხოვრება? — პაპიროსიანი თითები გაიშვირა  
მოლივლივ ფოთლებსკენ. — იქ ამისთანას, სად ნახაე?! — ღრმად ჩაისუნთქა  
და ამოსუნთქულ ბოლში მიმოავლო თვალი ძველებური ჩარჩოებში ჩასმული  
სურათებით დაფარულ კედლებს, წიგნებს, გაცრეკალ თეჯირს. ძველებურ, დიდ  
მაგიდასთან იჯდა, მძიმე, ძველებური საფერფლე ედგა წინ.

— იქა ვარ, ეს მენატრება, არა ვარ, ისინი მენატრებიან — ღიმილით სთქვა,  
თავისი განუშეორებელი, მომზიბლავი ღიმილით, რომლითაც ასე ჰგავდნენ ერთ-  
მანეთს დედა და შვილები — გოგა და დოდო.

როდესაც ბ-ნი გიორგი თბილისიდან დაბრუნდა, რეპეტორები ველარ დაიწ-  
ყო და პირადად მე მითხრა: — ცხადია, დედის დაკარგვა ძალიან მტკივნეულია  
და საშინელია, მაგრამ, თუ ესოდენ მძიმე იქნებოდა ვერ წარმომდგინა. მე  
ახლა მუშაობა არ შემიძლია. კიდევ კარგი სეზონის დასასრულია. იქნებ, ასე  
უკეთესიც იყოს. ამ ზაფხულში დავისვენოთ, ვიფიქროთ და მომავალი სეზონი-  
დან მთელი ენერგიით შევეუდგეთ.

ივლისის შუა რიცხვებში წამოვედო !  
მომავალ სეზონში კი ბ-ნი გიორგი უცხოეთის ხან ერთმა თეატრმა მიიწვია  
დადგმაზე, ხან მეორემ. ველარ მოიცალა ამ დადგმისათვის, თუმცა, სურვილი იმ-  
დენად რეალური იყო, რომ ჩვენს თეატრსაც კი გამოუგზავნეს ოფიციალური  
თხოვნა, საჭიროების შემთხვევაში მოეცათ ჩემთვის ლენინგრადში დაბრუნების  
საშუალება დადგმაში მონაწილეობის მისაღებად.

გამოძახებას ყოველდღე ველოდი, მაგრამ არ იქნა და არ დადგა ის დღე, ასე  
ამდღა კიდევ ერთი ბედნიერი შემთხვევა, მეტი რომ არ ვთქვა, იქნებ ჩემთვის,  
ბედის ჩარხის სასიკეთოდ მობრუნების შემთხვევა.

ნამდვილად გულით უნდოდა ვოლოდინის ამ პიესას დადგმა.  
ვის არ აღეღებებს სიჭაბუქეში ასე სულელურად დაკარგულ სიყვარულის  
თემა — ვილაც პრიმიტიული „ზომიაკების“ (პიესის ანტიგმირი) უგუნური ჩარე-  
ვით დაკარგულს. ამ ერთუკრედიანებს იმპერიების დანგრევა ძალუძთ და რა  
არის მათთვის ყვავილივით სათუთო სიყვარულის გასრესა.

იმ პატარა სცენაზე დიდი სპექტაკლი იქნებოდა, ამაღლევბელი, როგორც  
ყველა მის მიერ დადგმულს წარმოდგენა, რადგან შექსპირშიც, როზოვშიც და  
ნებისმიერი ავტორის ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოებში იცოდა არსებობის ამო-  
კითხვა, მასში საკაცობრიო პრობლემების დანახვა, დასმა, გადაწყვეტა და შესა-  
ფერ ფორმაში ჩამოსხმა. ყველა მისი სპექტაკლი მაღალ-ზნეობრივ იდეალებს  
უძღვრის. დიახ, სწორედ რომ უძღვრის დამაფიქრებელიც და სიხარულის მომ-  
ნაჭებელი. მაყურებელს უხარია, რომ მის ტკივილებს ასე გრძნობენ, უხარია,  
რომ მის მჩაგვრელებს ასე უსწორდებიან, მანკიერებას ასე დასცილიან და როდესაც  
მისი ოცნების გმირი იმარჯვებს, მაშინ ხომ, უხარია და უხარია! ჯმისი წარ-  
მოდგენებიდან გამოსულ ადამიანები, ყოველთვის გამარჯვებულებივით გამოქ-

დიან, რადგან ცხოვრებასთან ჭიდილში აღებელი რევანში იქ, თეატრში არის აღებული.

ზოგიერთებს უკვირდათ, რომ ასეთი სხვადასხვა ხელწერის, სხვადასხვა სკოლის მსახიობები, როგორ თანაარსებობენ მის სპექტაკლებში? როგორ და ნიჭით, როგორ და ისევე, როგორც ცხოვრებაში, განა მისი სპექტაკლები იგივე ცხოვრება არ არის, მხოლოდ მხატვრის თვალით დანახული?!

ნიჭურ მსახიობთა სხვადასხვა ხელწერის, ამ მრავალი ფერის ჰარმონიულ თამოყრამშია გიორგი ტოვსტონოგოვის უნიკალური ნიჭი. მისი სიყვარულის, საქმის, მისი დაკვირვების ობიექტი, იყო მსახიობი და მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრება იყო ექსპერიმენტები მსახიობის ოსტატობის სრულყოფისათვის.

იმ წლებში, როდესაც ჯერ კიდევ ინსტიტუტში ვიყავით, მან გრიბოდოვის თეატრში და ინსტიტუტში ზუსტად ერთნაირად დადგა ა. ოსტროვსკის „ზოჯერ ბრძენის“ შეცდება“. ინსტიტუტის სპექტაკლით აღტაცებული ვიყავი და, როდესაც თეატრში ვნახე, გავოცდა, თავი არ შეუწუხებია სხვადასხვანაირად რომ გაეყვებინა. მეწინაა, თქმა ვერ გავუბედე, მაგრამ გულში გაბუტული ვიყავი მასთან; მოგვიანებით კი, როდესაც მის შემოქმედებით პრაქტიკაში გაჩნდა ასეთი ორეულეები, მაგალითად, მ. გორკის „მდაბიონი“ დადგა ინსტიტუტში, მერე თეატრში (თბილისში, ლენინგრადში, ისევ თბილისში), ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ეს ისევე ძიება იყო, თუ რა სახეს მიიღებდა სწორად გაანალიზებული პიესა, ამა თუ იმ მსახიობის ინდივიდუალობიდან გამომდინარე, ან რომლის შესრულება უფრო გამოხატავდა მის კონცეფციას, ან შეეძლო თუ არა მსახიობს თავისი შესრულებით სრულიად უცნობა მხარე აღმოეჩინა ნაწარმოებში, ეძებდა, რომელი უფრო ახლო იყო ავტორის ჩანაფიქრთან და რომელი მსახიობი უფრო საინტერესო, ან რამდენი საინტერესო ჰამლეტი, რინარდი და სხვანი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ამქვეყნად.

ეს იყო განცდის თეატრის სიმდიდრის დაგროვება. ამიტომ როდესაც მისი თეატრის რეჟისორებს და მსახიობებსაც, რომელთაც რეჟისურაში მუშაობა აინტერესებდათ და მუშაობდნენ კიდევ, თუ მათი ნამუშევარი პასუხობდა ამ თეატრის შემოქმედებით მოთხოვნებს, ისინი თეატრის რეპერტუარში შედიოდნენ თუ არა, ის დაუფარავად გამოხატავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას. შეიძლება ელიარებან მათი ღირსებები, მაგრამ სხვა ხატის თეატრს, თავის თეატრში მეორე თეატრს, ვერ აიტანდა. მაშინ აღარც ერთი თეატრი არ იქნებოდა, თეატრი დაჰკარგავდა თავის სახეს.

მართლაც, რა საინტერესო ცხოვრება ჰქონდა თეატრალურ თბილისს მაშინ, როდესაც არსებობდნენ მარჯანიშვილის თეატრი და ახმეტელის თეატრი, ეს ორი, საკუთარი სახის, ენის, სტილის, ბუმბერაზი თეატრი, როდესაც თეატრები ერთსა-ხოვანი გახდნენ, მაშინ დასაშვები გახდა მსახიობების გადაპატივება-გადმოპატივება თეატრიდან თეატრში და მაცურებელმაც მოიწვინა, დაჰკარგა არჩევანის საშუალება და თეატრში წასვლის სურვილიც.

ამიტომ უფროთხილდებოდა ტოვსტონოგოვი თავისი თეატრის სახეს, მ. გორკის სახ. აკადემიური დიდი-დრამატული თეატრის სახელს, რომელსაც თავისი ნიჭით და შრომით მოუპოვა მსოფლიო აღიარება და ახლა ეს თეატრი ცხოვრობდა თავისი სახელისა და მისი ხელმძღვანელის სახელის საკადრის დონეზე, კარვად ცხოვრობდა. სტუმრის მიღება უხაროდა კიდევ და კარგადაც იცოდა, თავად სტუმართმოყვარე ლენინგრადი, იმეამად, უნგრეთის თეატრს მასპინძლობდა.



და. დიდი მზადება იყო თეატრშიც სტუმართა ღირსეულად დასახვედრად. ისევე  
 ლამაზი, მდიდრული თეატრი, იმ დღეს განსაკუთრებულად ბრწყინავდა. ყველ  
 ღამხედურს როლები განაწილებული ჰქონდა, ვის რითა და როგორ უნდა ეცა  
 პატრი სტუმრებისათვის. ნოხებით მოფენილ დარბაზებსა, ფოიესა და კიბეებზე  
 სასიამოვნოდ ერამულობდა ხალხი, სტუმარ-მასპინძელთა ორი დიდი ღასი.  
 თეატრის არც ერთი თანამშრომელი, ჩვენც კი — პრაქტიკანტები, არ ვიყავით  
 გამოტოვებული ამ ზეიმიდან. მთავარი — კიბის თავში იღვა ბატონი გორგი,  
 თავისი საყვარელი მსახიობების წრეში, ერთ-ერთი მსახიობი, რომელიც მაჟორ-  
 დომის როლს ასრულებდა, პირველი ეგებებოდა კიბეებზე ამომავალ სტუმრებს  
 და თავაზიანად მიუთითებდა, საით უნდა წასულიყო. აი, მეც ამოვდივარ, დამი-  
 ნახა. თუ არა, ე. წ. მაჟორდომმა, ჩემსკენ გამოეშურა და დიდის მოწიწებით  
 მკითხა: — თქვენ უნგრელი ბრძანდებით? — მე გამეღიმა და სანამ პასუხს  
 მოვასწრებდი, მან გადაწყვიტა, რომ რუსული არ მესმას და კიდევ მეტი სითა-  
 ვაზით მიმითითა საბანკეტო დარბაზისაკენ. ასევე ღმილით წავედი ბ-ნი გორგი-  
 საკენ და ვუთხარი: — ბ-ნო გორგი, მე მას უნგრელი ვეგონე. უცებ გაჭავრდა,  
 მოლუშა წარბები და რაღაც მრავლისმთქმელი ინტონაციით მითხრა: —  
 Чему вы радуетесь. Вы должны гордиться, что вы грузинка! ვერ აგიწერთ  
 რა სასიამოვნო იყო ეს მოულოდნელი გაჭავრება (არასოდეს არაფერზე გამჭავრე-  
 ბია), თუმცა, უცებ შევცბო. მაგრამ არ დავიბენი და ეუპასუხე: — Я не  
 радуюсь, просто ошибка меня развеселила. გავუღიმე მის გარშემო მყოფ  
 მსახიობებს და ძალიან კმაყოფილი ვავსორდი, რომ თვითონ ასე ამყობდა თავი-  
 სი ქართველობით. ერთხელ შევეკითხე: — თქვენს შვილებს, თუ უყვართ სა-  
 ქართველო? — Конечно, они всегда болеют за тбилисское «Динамо» —  
 — სერიოზულად და ამყავ მიპასუხა.

ასეთია ქართველი კაცი. რომელი ერის ადამიანთანაც არ უნდა იყოს დანათე-  
 სავებული, პირველ ადგილზე თავის ქართულ სისხლს, ქართულ წარმოშობას  
 აყენებს. ასე ტყბილია ჩვენი პატარა, ქართული მიწა, რომელიც ჰკვიანმა ქარ-  
 თველმა უკანასკნელი გამომშვიდობების ეამს საქართველოდან წაუღო და გულ-  
 ზე დააყარა.

ჩემს მესხიერებაში მარგალიტებით არის გაბნეული ყოველი მისი ნათქვამი  
 (უსაზღვრო იყო მისი ავტორიტეტი პირველი დღიდანვე), ვინ მოსწონდა, რა  
 მოსწონდა: ჩვენი სპექტაკლებს გარდა, ჩვენს წინა კურსზე დადგა შექსპირის  
 „ურზაური არაფრის გამო“, მოსწონდა მთავარი როლის შემსრულებლები: ვა-  
 ლოდია კავაბაძე — ბენედიქტე, ნინო ზალდასტანიშვილი — ბეატრიჩე. ნინოზე  
 საერთოდ იყო ძალიან აზრის: ნიჭიერია, სცენურიათ, ამბობდა. მაგრამ ძალიან  
 ადვილად აკეთებს ყველაფერს და შიშობდა, არ დაიშტამპოსო. საერთოდ  
 მიაჩნდა, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე — Лучше не дотянуть, чем  
 переиграть. მოსწონდა ვახტანგ (ჩარლიკა) სულაქველიძე, მისი მსუბუქი იუმორ-  
 ი, მოსწონდა გ. გეგეჭკორი და ყველა თავის სტუდენტურ სპექტაკლში აკავებ-  
 და. შემდგომ, თეატრშიც „მდაბიონი“ რომ დადგა, ბესსემენოვი ათამაშა. მოსწონ-  
 და სერგო ისნელი, აღნიშნავდა მის პლასტიკურობას. ერთი სტუდენტი იყო,  
 ავთო ავალიანი, მასზე ამბობდა, ძალიან არტისტიული გარეგნობა აქვსო. გრიბო-  
 ედოვის თეატრის მსახიობის სმირანიანის არტისტიზმით და თეატრალობით მო-  
 ხიბლული იყო. ყველაფერი ნატურალისტური, ყოფითი სძულდა. თეატრალური,  
 კარგი გაგებოთ, ამაღლებული მისთვის მნიშვნელოვანი იყო. ამ ნიშნით გამოარ-  
 ჩევლა ყველას.



მარჯანიშვილის თეატრის უნიკერესი დასის დიდი თავანისმცემელი გახდათ. ვერცო და ვასო გომიასვილი უყვარდა ძლიერ. ბოლოს ვასოს ვოდევილი რომ წახა აღტაცებას ვერ ფარავდა. ლენინგრადშიც ბევრი მელოპარაკა ეს ყველაზე დიდ- შთაბეჭდილებაა. რაც ბოლო დროს მივიღეთ. საქატაკლიც მოსწონდა და ვასოც.

მასხოვს მისი აღფრთოვანება ვარვარა აღექსი-მესხიშვილის ლოპე დე ვეგას „თოვა და ავი ძალღიო“ (გრიბოედოვის თეატრში), დიანას როლში, მაღალი, ზარისებური წყრილა ხმით. რომ იძახდა — Theodore!-ს. მე კარგად ვბაძავდი და წამდაუწყემ წამოვიყვირებდი. სალომე და ბ-ნი გიორგი იცინოდნენ და ხშირად მამოვრებინებდნენ.

მე, სალომე და ბ-ნი გიორგი — იმ დროიდან მაინც. როდესაც მათ შეუყვარდათ ერთმანეთი. სულ ერთად ვიყავით. საერთოდ მთელ კურსს ახლო მეგობრობა გვექონდა ერთმანეთთან. მაგრამ ყო პატარა ნიუანსებიც, მაგალითად, მე და სალომე ერთ ებ-ში ვცხოვრობდით და ამანაც განაპირობა ჩვენი დაახლოება. სახლში ყოველთვის ერთად ვბრუნდებოდით, მერე შემოგვიერთდა ბ-ნი გიორგი, მერე კატო გასყვა ცოლად მერაბ გეგეჭკორს და ისიც ჩვენსკენ გადმოვიდა, ახლა ისიც მოგვემატა. ბატონა ვახტანგ ბერიძე (სახვითი ხელოვნების ისტორიის დოქტორი) მეგობრობდა ბატონ გიორგისთან. საერთოდ მთელ ჩვენ კურსთან, ახალგაზრდა კაცი იყო და მასაც სიამოვნება ჩვენთან ყოფნა.

ასე რომ, ხშირად ყველანი ერთად მივიდიოდით თავისუფლების (მაშინდელ ბერიას, მერე ლენინის, საერთოდ მრავალსახელგამოცვლილ) მოედნისკენ საუბრით, ხუმრობით. ჩვენი მეგობარი პედაგოგები ჩვენ გვაცილებდნენ.

ყველაზე ცუდები და ათასი ოინბაზობის გამოშგონებელი იყო კატო, ცირკის კლოუნივით წ-ნ მიგვიძღოდა. არ ერიდებოდა არც ქუჩას, არც ხალხს, ხან თავს მოიგოიანებდა, ხან დამბლადაცემულივით აითრევდა ხელ-ფეხს, ხან ხმას შეიკვლიდა, ვითომ რადიოთი აცხადებენ რაღაცას, ჩვენ და ჩვენი მასწავლებლები ვიცინოდით. ყველაფერს ისე სწრაფად აკეთებდა, რომ გამვლელებ- გარკვევას ვერ ასწრებდნენ. უცნობ, დარბაისელ ხალხს განსაკუთრებული ღიმილით ესალმებოდა, ისინიც პასუხობდნენ. წუთში მიიღებდა სერიოზულ სახეს, ვითომც არაფერიყო. ამაზე უფრო ვიხიციებოდით სიცილით და მივირწეოდით ჩვენი „ბაღავანით“ მშვენიერ რუსთაველებზე.

ზაფხულის ერთ წყნარ საღამოს, შედარებით გვიან გამოვედიოთ რეპეტიციიდან, ხალხი თითქმის აღარ იყო ქუჩაში. ოთხნი ვიყავით: ბ-ნა ვახტანგი (ჩვენი რეპეტიციების გულშემატკივარი), ბ-ნი გიორგი, სალომე და მე. უცებ, ბ-ნმა გიორგიმ შემოგვთავაზა — მოდიოთ, ასე, ხელმკლავით, ხტუნვა-ხტუნვით წავიდეთო, ვერ წარმოიდგენთ. რა საოცარი გრძნობაა, თითქოს ფრთები გამოგვსხა და მიფრინავო.

სიტუა, ხელ-მკლავი გამოიყეთა და იმით შეხვდა. სალომემ ბ-ნ ვახტანგს გაუყარა მკლავში ხელი და წავედით, დაახლოებით სამხატვრო გალერეადან. ისინი ვერ გვეწეოდნენ. ჩვენ კი ნამდვილად მივფრინავდით, სიცილით გამოვხედავდით ჩამორჩენილებს. მართლაც, ასეთი გრძნობა, არც მანამდე, არც მერე არ განმიცდილა. მოედანზე შევისვენეთ წამით. მაშინ ხომ არც ჯებირები, არც ამქრძალავი ნიშნები არ იყო არსად და პირდაპირ მოედანზე მივცურავდით, მთელი სამყარო ჩვენი იყო. ტაბიძის ქუჩის დასაწყისში სალომე კიოდა, აღარ შემოძლიაო, ჩვენს კი არ დაყვარეთ ფარ-ხმალი და სანამ ენგელსის ქუჩის კედელს არ მივარტყიო ხელის გულები არ შევწყვიტეთ ეს საოცარი მარათონი. ისინი სეირნობით მოვი-

Нюкка, ты ненормальная!

— Ну как, რა ივრძენით, ნელი? — მკითხა ბ-ნმა გიორგიმ.

— საოცარი სიხარული — იმ წუთშივე ვუპასუხე — ასეთი რამ, არასოდეს განმიცდია, ასეთი რამ, აღზათ... ერთხელ...

— პირიქით — არ დამამთავრებინა — აი, ასეთი ვრძნობა უნდა გაგიჩნდეთ სცენაზე ყოველი თამაშის დროს — სთქვა სერიოზულად.

— შეუძლებელია — შევეკამათე — ასეთი რამ, ერთხელ ხდება ცხოვრებაში, მისი განმეორება არც შეიძლება (შემდგომ, მართლაც არ გამიმეორებია) და არცაა საჭირო.

— ცხოვრებაში იქნებ შეუძლებელია, მაგრამ სცენაზე მუდამ თან უნდა გახლდეთ ეს ფრენის გრძნობა, ეს სიხარული.

ჩვენი თამაში ასეთ სერიოზულ ტალღაზე გადაიყვანა. ახლა კი ვიგონებ მულომება და ვფიქრობ: ქვეიანი, ეშმაკი, ეშმაკი. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც პატარა ბიჭვით აცელქდა, ანცმა კუპიდონმა თუ გამოასხა ფრთები და უბოძგა, რა თქმა უნდა, სალომესთან ერთად სურდა ფრენა, მაგრამ საოცრად ლამაზად შენიღბა, თავისი დიდი სიყვარული და მისთვის ჩვეული ლირსებით დაიოჯა ვრძნობები. პირდაპირ, გამოიშვლებულად არც ცხოვრებაში, არც სცენაზე არაფერი გაუკეთებია.

ვიგონებ და სევდა მიპყრობს, რადგან ისინი აღარ არიან. რა სიამოვნებით მოვიგონებდით ყველანი ერთად ჩვენს ბედნიერ ახალგაზრდობას, მაგრამ როდესაც გვანებიერებს ცხოვრება.

რომელი ახალგაზრდის ცხოვრებაში არ ყოფილა და არ იქნება მსგავსი და უფრო საინტერესო შემთხვევებიც. მაგრამ დიდი ადამიანის ცხოვრების ყოველ წერილმანს, რაღაც განსაკუთრებული ხიბლი აქვს. მათი სახელი ყოველთვის იხსენება მიუწვდომელ დონეზე, ოლიმპოზე, ღმერთებთან და როდესაც შემთხვევა ხანდახან შენს გვერდით დააყენებს ჩვეულებრივი ადამიანივით, გიხარია.

„სცენაზე მუდამ თან უნდა გახლდეთ ეს ფრენის გრძნობა, ეს სიხარული“ — ამ სატყვების ქეშმარიტებაში დარწმუნებულია თეატრის ყველა მსახური წარმატებულიც და წარუმატებელიც, რადგან მათ უყვართ თეატრი, ეტრფიან, შეყვარებულნი არიან მასში. იქ შესულს, სიკვდილიც იქ უნდა.

ადამიანი, რომელიც დაიბადა საქართველოში, გაიზარდა, ჩამოყალიბდა, დაკადა, დაოჯახდა, მისმა ნიჭურებამ ხელოვნებაში აქ გაშალა ფრთა, გახდა ქართველი საზოგადოების გამორჩეული პიროვნება. აქ, ქართულ მიწაზე იგემა პირველი სიყვარული, მამობის გრძნობა, შვილების სიტყობი, გაუძლო ომის უმძიმეს წლებს, როგორ გაუძლებდა სხვაგან ცხოვრებას, მაგრამ ვაი, რომ აქვე იწვნია სიყვარულ ადამიანთან დაშორების ტკივილი, რატომ მოხდა ეს? რატომ? რატომ?..

იმიტომ, რომ სალომე იყო სხივი, რომელსაც ვერ დაიჭერდი, მეტში ვერ მოიქცევი, თავად ბატონი გიორგიც სხივი იყო, მასაც ვერაინ მოიმწყვდევდა ხელს გულში. იმიტომ ვერ შენივთდნენ ეს სხივები ერთ დიდ შუქის წყაროდ, სამწუხაროდ.

და ყველაფერი, რასაც თავისით მაღწია: უმამოდ, რეპრესირებული მამის სახელით, გავლენიანი ნათესავების გარეშე, უსახსრობოდ, რაც მთავარია თეატრი დასტოვა აქ, საქართველოში და თავის მეგობარ მსახიობებზე, ბრაგინთან (მამინდელი თბილისის სიყვარული მსახიობი) ერთად გაემგზავრა





მოსკოვს. დედამ და უმცროსმა დამ გაანთავისუფლეს ყოველგვარი საზრუნავიდან და საშუალება მისცა ყველაფერი თავიდან დაეწყო.

ვინ იცის, რამდენი იტყვი და როგორ გაუჭირდა ვიდრე შეამჩნევდნენ, დინახავდნენ, მაგრამ, როგორც კი ფეხზე დადგა, წაიყვანა შვილები და ისინი თეატრისთვის გამოზარდა. ტრადიცია 'გრძელდებოდა'.

პირველ რიგში, ის იყო საქმის კაცი. მოქმედების კაცი. მის რომანტიულ ბუნებას, მის პოეტურ სულს, რისი სათავეც უდავოდ მის ქართულ გენებში უნდა ვეძიოთ და რაც ასე კარგად მეღვანელებოდა ბარათშვილის თუ ორბელიანის ლექსების კითხვაში, ან როგორ გრძნობდა მუსიკას, თუმცა, მისი სიმღერა არასოდეს გვსმენია, ხელს არ უშლავდა მისი პრაქტიკული გონება. პირიქით, მასში შერწყმული იყო ორი ადამიანი: ერთი სათუთი, ნაზი არსება, მეორე ვაჟკაცი, რკინისებური ნებისყოფით, რომელიც პატრონობდა და იცავდა პირველს და ამ ერთ მთლიან ადამიანად ჩამოყალიბებულმა პიროვნებამ კიდევაც შესძლო შეექმნა ის დიდებული თეატრი, მისი ხმალი და ფარი, რომელსაც ხელშეწყვანლობდა უცვლელად 31-ზე მეტი წელიწადი (უნიკალური ფაქტი თეატრის ისტორიაში).

ბატონე გიორგი ტოვსტონოვოვის ცხოვრების ისტორია, ჩვენი ისტორიაცაა. მასტატივთ, რომ ჩვენზე ამდენი ვილაპარაკე, სხვაგვარად არ გამოვიდა.

კიდევ... რა მასწავლა? ლუდის სმა, ყოველ დიდ შესვენებაზე გავრბოდით ოპერის პირდაპირ სასაუბრეში, გოგა, სალომე და მე.

კიდევ... ადამიანობა მასწავლა. იმატომ შეგვატორტმანა მიწისძვრასავეთ, მისი ამ ქვეყნიდან წასვლის ამბავმა.

ლენინგრადიდან რომ წამოვედი ჩემზე უთქვამს ნელი გულგატეხილს სულაც არ გავსო, ცხადია, სცენა რომ დავტოვე იმას გულისხმობდა (ლენინგრადის ხსენებაზე: ის, რაღაც თეატრალური ქალაქი, რომ არ გამატანეს, თურმე ოთხთვეულ პრაქტიკანტზე ჰონორარის გაცემის საბუთი იყო, მაშინ ეს არ ვიცოდი და უღარდებოდი, უფასოდ გავიარე ეს დიდებული პრაქტიკა, წამოსვლის შემდეგ გავიგე, აქ).

ვინ, ან რა გამტეხავდა — სიმღერა მაყვარს, იუმორი არ მაკლია, ან ღირსებით თავის დაჭერა ვინ მასწავლა, ვისი მოწაფე ვარ, რა წოდებასაც სიამაყით ვატარებ.

აუსრულებელი ოცნება მასაც თან გაჰყვა — საქართველოში ცხოვრება და კინოს გადაღება — Это моя голубая мечта пиднота — ამას კინოზე ამბობდა ხშირად.

და ამბობდა ამას ადამიანი, რომელზედაც შესანიშნავად სიტყვა (მაშინ მისი თეატრის) მსახიობმა სერგეი იურსკიმ: — „მოვა გიორგი ალექსანდროვიჩი რეჟეტიციანზე, იკითხავს, რა არის ეს? ვუპასუხებთ: — როიალი.

— ჰოო... ეს, აქ კი არ უნდა უდგეს, აი, იქ, კერში უნდა ეყიდოს, იტყვის და ეს იქნება ყველაზე ზუსტი, სწორედ ის, რაც გვჭირდებოდა და რასაც ჩვენ ვერასოდეს ვერ მივაგნებდით“.

P. S. ჯღრმესი მადლობა ქალბატონ ნათელა უჩუშაძეს, რომელმაც წამაქმნა და დამაწერინა ეს, პირველ რიგში, ჩემთვის ძვირფასი მოგონება.

როგორც ხედავთ, ნატოს მატონაცემად პიენების კონკურსიც კი ხალდა.

საიუბილეო დღეებში გადინაცვლეს ქუთაისში. გორში. ქიათურაში ერთმანეთს ეგზიბირებოდნენ ქალაქები. დაბები. სახალხო თეატრები.

მშობლიურ გორში საღამოზე ამადლეებელი სიტყვა წარმოსთქვა მსახიობმა ზვალ მარაბელმა. რომელმაც 1879 წელს ნატო გააპარა თბილისში, — „ბედნიერი ვარ, რომ ქართული თეატრის ამ იბოლი მარგალიტის აღმოჩენაში მეც მონაწილეობა მიმიღვის“.

საიუბილეო დღეებშიც გამოჩნდა სწავლასხვა თეატრის პაზიცია. ცალკე მიმართვა გაუგწავნეს ახალი თაობის მსახიობებმა. მიმართვას ხელს აწერენ: ნ. ჩხაიძე, ნ. დავითაშვილი, ე. ანდრონიკაშვილი, ვ. ბალანჩივაძე, შ. დიანანი, დ. ჩარკვიანი, ა. მურგალიძე, ა. იმედაშვილი, ა. ჭავჭავაძე და სხვები. ისინი არ არიან კომედიის თეატრის წარმომადგენლები. თითქმის ყველა დრამატული მსახიობია. ე. ი. იხანი, რომლებიც სრულიად განსხვავებულ თეატრალურ ესთეტიკას ამკვიდრებენ. ადრესში ჩანს ისიც, თუ რას მიიჩნევენ ნატოსა და მისი ზაოზის მსახიობთა დამსახურებად: პირველი, რომ მათ აამადლეს და „მკვიდრი ნიადაგი“ შეუქმნეს ქართულ თეატრს, მეორე — რომ მათი ხელოვნება დიდ გავლენას ახდენდა ქართველთა „ეროვნულ თვითნობიერებაზე“. და მესამე — ახალ თაობას გაუადვილეს გზა და შეუმსუბუქეს ტვირთი სასცენო ხელოვნებისა.

ყველაფერი ეს ახალი თაობისთვის უკვე ისტორიის კუთვნილებაა. ნატოს დამსახურებაც ისტორიულია ანუ გუშინდელი დღეა ქართული თეატრისა! მამართლაში არაფერია თქმული ნატოს ამჟამინდელ შემოქმედებაზე. არც მის მიერ შექმნილ სცენურ სახეებზე. მიმართვას ხელს არ აწერენ არც ვ. აბაშიძე, არც მ. ხაფაროვა და არც ძველი თეატრის სხვა მსახიობები. ახალი თაობა ცალკე აგწავნის ადრესს და ამითაც ხაზი ესმება სხვა ტიპის თეატრის წარმოქმნის ისტორიულ ფაქტს თითქოს გასაგებიც ხდება, თუ რატომ არ მიიწვიეს ნატო ახალ დასში, მაგრამ კომედიის თეატრის განვითარების პროცესი ხომ არ შეწყვეტილ? ამ თეატრს ჭირს ისევე ბურჯად ედება ვ. აბაშიძე იგი შემდგომ ათ წელს კიდევ ითამაშებს. თუმცა 1920 წელს იტყვის: — დავუძლურდი. სცენაზე აღარ შემიძლია გამოსვლა.

მაგრამ ახლა 1909 წელია. ნატოს იუბილეა, და მინც იქმნება ახალი კრიზისული სიტუაცია. ნატოს მზე გადაიხარა. აღარ უნათებს ბედის ვარსკვლავი. „ნახლი ნოიფარა“ იგი თითქმის აკარც გამოანათებს. თუმცა, ერთ წელს კიდევ იქმნება სცენაზე — ოღონდ ხან სად, ხან სად. — მტკწილად საქველმოქმედო მიზნით, აცი სწორედ ასეთ საღამოზე გაცივდა, „სწორედ საქველმოქმედო მიზნით გამართულ წარმოდგენაზე გაცივდა სოფ. ქარელში, სადაც „ხანუმაში“ თამაშობდა“, რომ არ გაცივებულიყო და თბილისში არ დაბრუნებულიყო. აღბათ კიდევ ერთხანს დარჩებოდა საფლად. 10 აგვისტოს დასი სეზონის სამხადისს უნდა შესდგომოდა. ნატოს გარდაცვალების გამო შეერება გადაიდო.

ბუნებაში არაფერი არ ხდება შემთხვევით. ყველაფერში არის უხილავი შინაგანი კავშირი ერთა მოვლენა მეორეს წარმოშობს. მეორეს მესამე მოხდევს და ასე

„დროება“, 1909, № 290.

ნ. ნ. გვარამია, თეატრალური მემორები, 1949, 134.



გრძელდება. ალბათ, საექვო ჩვენი ვაოფსუი. იატოს საიუბილეო წელსა და საექვიდის შორის ლოგიკური კავშირი დავინახოთ. ჩვენ არ ვლაპარაკობთ გეგმურ ცვლელული აზრს შესახებ. — იუნილეს შემდეგ მალე კვდებიან იუბილარები. ნატო გზუნაასაც უხუმრია. ვ. გუნიათვის უთქვამს. ჩემი განსვენების ცერმონისტერი შენ იქნებიო. (მართლაც ასე მოხდა!). ჩვენ ორ მოვლენას შორის კავშირის სულ სხვა ასპექტებს ვგულისხმობთ. წინა სეზონში რომ მიეწვიათ ნატო შერჩებოდა თუ არა საოფელში ამდენ ხანს? მოუხდებოდა თუ არა ქარელში გამოსვლა? მეგრ რაა, ქველმოქმედი რომ იყო? ამას თავის ძირითად სამუშაოს (ანუ თეატრას) პარალელურად აკეთებდა?

ნატო გაბუნიაშ თავისა მგონება საიუბილეო წელს გამოაქვეყნა. გასაოცარია, რომ ეს თითქოს ჭანლონით სავსე, მუდამ ნათელი, მხარული ქალი სეველინად წერს: „სხონა არ მალაატობს“, მაგრამ „წარსულის მოგონებას ძალღონე სდომებია“, მართალია რუსთაველი: „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

საიუბილეო საღამოს სცენაზე რომ დატრიალდა, სულაც არ ემჩნეოდა, რომ იგი „მისუსტებული“... იყო.

თუმცა, რას გაუგებ მსახიობს. ისაც დიდ იმპროვიზატორს და საოცარი ენერჯის აღაშინებს. მსახიობის ხელოვნებაში ხდება ხოლმე ასეთი რამ: აგერ, მავანი მსახიობი ძლივს დადის ქუჩაში. ძლივსძლივობით მიდის მეზობელთან. ნათესავთან. მაგრ მ ფეხს შეხდგას თუ არა სცენაზე — სხვად იქცევა. ნატოს სიტყვებმა გამაძნეეს ერთი საინტერესო ეპიზოდი: რუსთაველის თეატრის მსახიობი ნ. დავითაშვილი ღრმა მოხუცი იყო. მაგრამ სცენაზე მაინც გამოდიოდა. იმდენად იყო მოხუცებული, რომ თეატრის შემოსასვლელთან სვდებოდა აღმინისტრატორი. ზელს მოჰკიდებდა ქან ნინოს და თავის საგრიმიროში წაიყვანდა. მსახიობთა ფოიეში სვარძელში იდგა. იქ ჩაეშვებოდა ხოლმე ჩასვლელმდა, როცა გამოაცხადებდნენ. რომ ქან ნინოს სცენა იყო. უცებ ენერგიულად წამოდგებოდა. შევიდოდა სცენაზე. ითამაშებდა. გამოვიდოდა ფოიეში და ისევ მოდლილი ჩაეშვებოდა. კაცო იფიქრებდა. რომ თითქოს შეუძლებელი იყო მისი წამოყენება. მაგრამ როგორც კი მოვიდოდა. სცენაზე უნდა გასულიყო. ისევ გახალისდებოდა. ისევ გატაცებით თამაშობდა. როგორ აგრძნობინებდა მყურებელს, რომ დაძაბუნდა. დაბერდა...

საერთოდაც მსახიობი არასოდეს გრძნობს. რომ დაბერდა. რაკი სცენაზე მუდამ ორგანიზებულია. რაკი შეუძლია ფიზიკურად იმოქმედოს მყურებლის ფელწინ — სიბერის განცდაც უქრება. ზოგჯერ იმდენად უკონტროლოა ასეთი გრძნობა. რომ პარადოქსული. (ზოგჯერ კურიოზული) რამ ხდება-ხოლმე. მას სოვს რუსთაველის თეატრში. როცა „შამლეტი“ დაიდგა ოფელიას როლის მ. ჩახავა თამაშობდა. ერთ დღეს თეატრში პ. კაკაბაძე შეხვდა თ. ჭავჭავაძეს. ბატონმა პოლიკარკემ ზუმრობით უხარა ქან თამარს: რას აკეთებს თეატრის ხელმძღვანელობა. ოფელიას, შენ უნდა თამაშობდე. ქანმა თამარმა მიუგო: აბა აბა, მაგენს რა ესმით!... პოლიკარკემ ჩაიხიოხითა. ასეა. მსახიობს უჭირს შეიცნოს სცენაზე თავისი ასაკი.

ნატო გაბუნია ხომ სრულიადაც არ იყო ღრმა მოხუცი. ნახევარ საუკუნენ მდწელუს ჭერ ისევ შეეძლო ახალი სახეებით გაემლიღრებინა სცენა. საიუბილეო საღამოზე გაისმა ასეთი სურვილი. მაგრამ საქმოდ ძუნწად. ისინი უმთავრესად მის ძველ დამსაზურებაზე ლაპარაკობდნენ. ხაზს უსვამდნენ მსახიობის



ბუნებრიობას, სცენურ მომხიბვლელობას, ინტუიციას. „ნატო გაბუნია, აზროთ, ინტუიციის, ალღოს მსახიობი იყო... ეს არტისტი კი არა თვით იყო სცენაზე“ (ნ. გვარამე). ზოგჯერ განათლებას და ნიჭს, ერთმანეთს უპირისპირებდნენ, განათლების გარეშე მსახიობი ფეხს ვერ გადასდგამსო. მაგრამ მთავარი მაინც ნიჭიყო და საილუსტრაციო მაგალითად ნატოს ასახელებდნენ. მას ხომ კლასიკური განათლება არ ჰქონდა, ისე, კაცმა რომ თქვას, როცა ილიას გვერდით ხარ, როცა მეგობრობ აკაკის, ი. შაჩხაველი, ტრიალზე შალალ ინტელექტუალთა წრეში — თავისთავად დიდი სკოლა არ არის? ეს სკოლა გაიარა ნატომ, ახლა მისი სახალხო დემოკრატიული ინტერესები? თვით ამდენ სახეს, ამდენ პიესას ხომ შემეცნებითი მნიშვნელობაც ჰქონდა? ეს ის სულიერი ღირებულებებია, რომლებიც ამდღერებდნენ ნატო გაბუნიას მსატყრულ ჰორიზონტს, აძლევდნენ ცოდნას.

ნატომ შედეგები შექმნა სცენაზე, კრიტიკა სხვადასხვა როლებს მიიჩნევს მის შედეგებად. მოგონებებშიც არის აზრთა სხვაობა, მაგრამ ძირითადად უველა მაინც ერთსულოვანია. „ხანუმა („ხანუმა“), ფრონტი („ორი ობოლი“), სოფიო („ფული და ხარისხი“), ზეფირინა („ორი ჭიბჭირი“), ხამფერა („დაქვეყნდი ოჯახი“), ელისაბედი („ჭერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), ბაბაღე („მეორედ გაუმაწვილება“), და კუკუშკინა („შემოსავლიანი ადგილი“), რომლის შესრულებითაც ოსტროვსკი აღტაცებაში მოიყვანა“.

ნატო იუბილე ნამდვილ სახალხო დღესასწაულად იქცა. ხალხის სიყვარული იმითაც დაიბნაბურა, რომ უველამ იცოდა ნატოს ადამიანური ბუნება, უშურველი ქალი იყო, არაფერი არ ენანებოდა ხალხისთვის, განსაკუთრებით ღარიბებისთვის. თეატრში ჯორსა და კონფლიქტს, შურსა და გაუტანლობას რა გამოიღევს. მაგრამ ნატო იმდენად გულკეთილი იყო, რომ უველას უყვარდა, „ნატო ძალიან კარგი ანანაგვიც იყო და ამიტომაც უველას გულწრფელად უყვარდა“ — წერს ნიკო გვარამე. მსახიობის პიროვნული თვისებები მუდამ მკურნებელთა ყურადღების ცენტრშია. ხალხს უყვარს მსახიობის თავგადასავალზე საუბარი, მსჭელობს მის გარემოზე, ოჯახზე, სიყვარულზე, ახლობლებზე.

ნატო გაბუნია და მარიამ საფაროვა თეატრში ერთდროულად გამოვიდნენ და მთელი გზაც ერთად განვლეს.

მათი ურთიერთობა იყო სამაგალითო, რაც მათ მიმოწერაშიც ჩანს. ნ. გაბუნია ერთ-ერთ წერაში მკო საფაროვას სოფ. ჭალადიდიდან წერს: „საყვარელო დაო მკო! უნდა გახარო, რომ ასიკომ დღეს გაათავა პიესა საკუთრივ შენთვის, სახელად ქვიან ამ პიესას „ფენიზას ხაფანგები“. ამ პიესაში სავინას უთამაშია და მადმაზელ დუზას, „ფრანგულად“. მე ამაში არაფერი როლი არ მაქვს. მე დარწმუნებული ვარ. შენ არც ერთი როლი არა გაქვს ამისთანა სერიალულ კომედიებში, როგორც ამ პიესაში. ასიკო იცოდე შენგან საჩუქარს მოელის ამ პიესაში. ხომ იცი, დაჩვეულებ არის (იხმეც ღმერთი უშველის ჩვენს მოთამაშეებს!) აი მკო რა მინდა: შენ მიწერე მოხვევს წერილი ქუთაისში, რომ მე და გაბუნია — ცაგარელი ჩამოვალთ ქუთაისში, სადაც ორ ობოლს ვითამაშებთ იმ პირობით, რომ ნახევარი ჩვენ, ნახევარი თქვენ. ვოდველიც შეიძლება რამეთქო“. ეს იცოდე მკო, არა ნაკლებ 150 მანეთამდე დაგვრჩება, თავად მეტი იმოდენა ხალხი მეხვეწება, ოდონდ ეგ პიესა ითამაშეთ და ბილეთებს ჩვენ დავ-

1. ნ. გვარამე, თეატრალური, მემუარები, 1949, 132.



ყიდიოთ. ხომ იცო, მთელი სეზონი ხალხი გვეუბლება, ჯერ სენაკიდან ოთხი დღე უნდათ, ამათ პასუხი მალე მომწერე. აბაშიძეც თუ გინდა წამოვიყვანო. მესხიევიც ითამაშებს პიერს. დიდი „ზბორი“ გვექნება, დარწმუნდი, აბა ჩქარა, დააშურე. დღეს ივანიძეს წერილი მივიღე, რომელიც „გულჯავრს“ თხოულობს, მწერს, დამესმარეთ მალე. მომაშველეთ თქვენის ქმრის პიესა გულჯავარიო. მანამ მესხიევი მართლა იქ არის. შენც მალე მისწერე თორემ შეიძლება მალე წამოვიდეს იქიდან. იცოდე აქ უნდა წამოხვიდე სააღდგომოდ, ჩემთან იყავი, ნუცაც წამოიყვანე. ფოთშიაც გამოვაცხოთ ერთი რამ და ჩვენი საქმე თუ ბეჭრად არა, პატარა მალამოდ მანაც წაეცხოზა რამ. მაკო, უთუოდ აქ მოდი სააღდგომოდ. წერილს მოველი ჩქარა. მესხიევის ჩქარა მისწერე. მე ამ ორს დღეში ქუთაისში წავალ. მეც მოველაპარაკები. ასეც მოგიკითხა. — ნუ ვეშინიან მაკოჯან, გატყდი, რომ „ძველი მტერი ზგობიან ახალს მეგობარს“. მე და შენ ხომ ვამართლებთ ერთი ერთმანეთ შორის ამ მღაბიურ ძველს ანდაჯან.

შენი ნატო გაკოცებ.

წერილი მომწერე ქუთაისში წავიდე თუ არა. იცოდე შემოსავლიდან შენ მეტს გარგუნებ. ვიდრე მე.<sup>1</sup>

ტ. აბაშიძე იგონებს: „ნატო დედაჩემის საუკეთესო მეგობარი იყო. ძალიან უყვარდით ერთმანეთი და, როცა ნატო ჭალადილში ცხოვრობდა, დიდი მეგობრული მიმოწერა ჰქონდათ“.<sup>2</sup>

ტ. აბაშიძის აზრით, ნ. ვაზუნია „გაცილებით მალა დედა თავისი მხატვრული შემოქმედებთ ფროშერის და ზეფერინას როლებში, ვიდრე ფრანგი არტისტები... მე ეს ჩემი თვალთ ვნახე“.

... იუბილეს შემდეგ მხოლოდ ცხრა თვე იცოცხლა ნატო ვაზუნიაში. მისი გარდაცვალების წელს „მაკო საფარო-აბაშიძემ უსუფლიოროდ ითამაშა“. ეურთ აღარ ესმოდა და უსუფლიოროდ ითამაშა! ქართული თეატრიდან წავიდა ორი დიდი მხანობი (თუმცა მაკომ 1940 წლამდე იცოცხლა, მისი საფლავი დაიკარგა. ესეც მხანობის ბედი!). ერთად მოვიდნენ თეატრში და მათი ბედის ვარსკლავიც თითქმის ერთდროულად ჩაქრა.

როცა პარსკვლავები ძრებნიან

ძველდაც ვარსკვლავს აღარებდნენ დიდ მსახიობებს.  
 ვარსკვლავივით გამოაბრწყინაო...  
 ვარსკვლავივით გადაიქოლაო...  
 ვარსკვლავივით გაქრაო...  
 არის რაღაც პირველქმნილი ამ შედარებაში.  
 ოდესღაც ადამიანებს სწამდათ, რომ ყველას თავის ვარსკვლავი ჰყავდა.  
 რაც უფრო დიდია მსახიობი, მით უფრო მეტი ადამიანის სახეა მისი წილ-  
 ხვედრი და მამასადამე. მეტი ვარსკვლავიცა ჰყავს!  
 ნატო ვაზუნიას გარდაცვალება ნამდვილი ეროვნული გლოვა იყო.

<sup>1</sup> საქართველოს სსრ თეატრის, კინოსა და მუსიკის მუზეუმი. ფ. 1, საქმე 10. — 19033. წერილი დათარიღებულია 1898 წლის 7 მარტით.

<sup>2</sup> ტ. აბაშიძე, მოგონებანი, 1954, 67.

6. „თეატრი და ცხოვრება“ № 1.

გარდაიცვალა 1878 წლის 16 აგვისტოს, დილით, ცხრის ნახევარზე.  
„მოკვდა ხანუშა. — ქართულმა სცენამ ძაძა ჩაიცვა. მოკვდა ფრონარი —  
შეწყდა უდროოდ მისი კენესა, სიცილ-ხარხარი“...

ასე ეთხოვებოდა „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებიდან ვინმე „ამხანაგი“.<sup>1</sup>  
მან საოცარი რამ სთქვა:

„ისედაც ობოლს და პატარა ერს“ დიდი ძალა გამოეცალა. ტრაგიკულად  
განცდება „ობოლი ერის“ ცნება. განსაკუთრებით მძაფრად შეიგრძნობა იგი  
თანამედროვე საქართველოში.

მიძიეა სულის ობლობა. მაგრამ ათასგზის უფრო მძიმე-ობლობა ფრისა ამ  
უკიდევანო სამყაროში.

იმდენად მძაფრად განუცდიათ ნატოს სიკვდილი, რომ პატარა ობოლი ფრის  
აფნაწლადურებელ დანაკლისად მიუჩნევიათ.

ნატო — ქართული თეატრის შთაგონება, მშენება, ნატო — სიამაყე, ნატო —  
ქურტუმი... ასე დაუსრულებლად გრძელდება ეპითეტები.

აკაიქ სამღურავის ხმაც გაისმა: „ჩვენ როგორც ტირილი და გლოვა ვიცით,  
ისე ცოცხლის დაფასება რომ ვიცოდეთ, ცხოვრება იმდენ შხამს აღარ შეას-  
მევდა“.

არც ნატოს გზა ყოფილა უცვლი. მაგრამ სულის ამოსვლამდე ღირსეულად  
გქირა თავი.

„შაშ, ნურცაღა ყოფილა ოხვრა ჩვენი ოხვრად ხანუშასი და ცრემლი ჩვენი  
კრემლად ფრონარისა“.

რით უნდა იქნას გამოსკიდული ცოდვანი ჩვენი?

„გიყვარდებოდა შენი პირშიშო შვილი — ქართული სცენა — ისეთივე ძლიერ-  
ბით, როგორც გიყვარდა შენ იგი და იქნება მაშინ ღირსი ვიყოთ ღირსეულად  
ადმასრულებელ მამულიშვილის კირისუფლებისა“.<sup>2</sup>

ამას წერდა ია ეკალაძე.

ფასო აბაშიძემ ქვითინით უთხრა ნატოს კუბოსთან:

„დაო, მხარი რათ მომტებე, რათ დამაობლუ“...

აკაიი ფაღავა ნატოს უკვე „ძვეელი მოდგმის მსახიობს“ უწოდებდა. ის შინა-  
განი იმპულსებით, დამალული, უხილავის ძალით ქმნიდა განუმეორებელ სახტ-  
ებსო.

მით უფრო გულსაკლავია ნატოს სიკვდილი, რადგან „წერალი, მხატვარი,  
მოქანდაკე, სტოვებს თავის უკვდავ — საყოფელ ნაწარმოებს, მსახიობი კი, რაც  
გინდა გენიოსი იყოს იგი, ამის საშუალებას მოკლებულია. მსახიობის გავლენა  
მანამ არსებობს, სანამ ცოცხალია ის თაობა, რომელიც მას უყურებდა, მით  
სტებებოდა... თუმცა ხსოვნა მისი საშვილიშვილოდ გადაეცემის“.<sup>3</sup>

ადამიანის უკიდევანო ბუნებიდან ნატო მის ერთ-ერთ უმთავრეს ნაწილს  
აღლენდა: ადამიანის სიბერევე იყო ეგ. გაიძვებოდა, სიფლიდე, სიბრძევე თუ სხვა  
რამ... „მეყურებელი უდიდეს შვებას გრძნობდა მისი გამონატკითა.

1 „ამხანაგი“ იყო გიორგი ლომთათიძის (1884-1916) ფსევდონიმი.  
2 ქურ. „თეატრი და ცხოვრება“. 1910. № 33, გვ. 2.  
3 ა. ფაღავა „უკანასკნელი საღამო გამქრალ შთაგონებას“ „თეატრი და ცხოვ-  
რება“, 1910, № 33.



„მისა ნიჭი, როგორც ცეცხლი, ნაპერწკალი“ ისე ანათებდა. იცვლებოდა თეატრის დასი, მაგრამ ნათო მუდამ რჩებოდა და ანათებდა.

მინც რატომ გამოიგლავა ასე მწუხარედ ნათო გაბუნა? რა იყო ისეთი მის უფროშენში, რაც ასე ძვირფასი გახლდათ ქართველ ხალხისთვის?

„ქართველ მსახიობ ქალს მოქალაქეობრივი უფლება მოუპოვა!“ ეს, მართლაც, ისტორიული როლია. საქართველო მაშინ ყოფილა ძლიერი და ბედნიერი, როცა ქართველს თავის მოვალეობა ღირსეულად შეუსრულებია. „დაეცა ქალი, დაეცა საზოგადოებაც ასე იყო სხვაგან, ასეა ჩვენშიც...“ ამიტომ გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა ნათოს. „იგი არ იყო პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, შვილთა მშობელი, მაგრამ იყო ყოველზე საზოგადო ცხოვრების პანგის მომცემი, მწერალ-დრამატურგთა შთამბავონებელი, საუკეთესო აღმზრდელ-დამრგებელი... დედა ქართველი მსახიობი ქალისა“.<sup>1</sup> „ქართულ ეროვნულ სცენას მოუყვდა ათობით ადამიანიო, ნათოს მიერ გაცოცხლებული, ნათოს სხეულიდან შობილნი გამირები, მოუყვდა თვითნაბადი სულიო, ისმოდა სიტყვები.

„ჩვენს თავზედვე გვაციინებდი“

„ჩვენსა ჩრდილსა ნილაბს ხდიდი“.

„სინათლისაკენ გზას ვვკაჟავადი“.

ნათო გაბუნა იყო არა მარტო მუდმივი (ანუ რუსთაველის თეატრის) ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მეკვლე, დიდი სკოლის შემქმნელიც. ვასოშ, ნათომ და მაკომ შექმნეს რეალისტური აზროვნების სამსახიობო სკოლა, რომელიც კომედიურ უანრზე იყო დაფუძნებული და ამითვე განპიროვნებული შესრულების სტილისტიკა.

„ნათომ აღწარდა მომავალი თაობა“ — გაისმა სამგლოვიარო დღეებში, ემოციური წამოძახილი იყო ეს თუ სიმართლის აღიარება?

ნათოს 30 წლის იუბილეზე ახალი თაობის მსახიობებმა ადრესი მიართვეს: „ჩვენ თქვენს მიმდევრებს გაგვიადვილეთ გზა და შეგვიმსუბუქეთ ტვირთი სასცენო მოღვაწეობისა“. ხელს აწერდნენ: ნ. ჩხეიძე, ა. იმედაშვილი, ნ. დავითაშვილი, ს. ანდრონიკაშვილი და სხვები. არა, ისინი არ იყვნენ ნათოს „მიმდევრები“, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, მაგრამ საერთოდ ქართული პროფესიული ხელოვნების გზა უკვე გააუფული იყო და ახალ თაობებს უკვე სხვა საზრუნავი ჰქონდათ.

ნათოსა და მისი ორიოდ თანამოაზრის სასცენო ლექსიკა კი სამუდამოდ დამკვიდრდა ქართულ თეატრში. იგი ვითარდებოდა, იცვლებოდა დროთა მანძილზე. მაგრამ მინც იგრძნობოდა მათი სულის გამოძახილი. განა ასე იყო ე. ჩერქეშიშვილის, (ნ. გოცირიძე თავის მასწავლებელს უწოდებდა) ც. წუწუნავას, ს. ჟორელიანის, ა. კვანთალიანის, ე. აფხაძის, სხვებისა და სხვების შემოქმედებაში? უცნაურია „თეატრალური ტრადიციის“ გენი, კაცმა არ იცის, როდის და უსთან გაიღვიძებს ხოლმე. ასე გაიღვიძა ს. ყანჩელის ხანულაში ნათოს შორეულმა „გენმა“...

\*  
\*  
\*

ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. ამბობენ: მსახიობები მოულოდნელად არ კვდებიანო, მათ სულში ადრევე იწყება თანდათანობითი კვდომის პროცესი. ხან ერთ როლს ანუ თავის პირშმოს

<sup>1</sup> „თეატრი და ცხოვრება“, 1910, № 33.

გამოეთხოვება, — ხან შიორეს და ამაშია ფარული კვდომო, მაგრამ ეს მაინც რომანტიზირებული განცდაა, უფრო თიორიის სფეროა, ვიდრე ცოცხალი სინამდვილისა.

ნატო ვაზუნისას სიკვდილი მაინც მოულოდნელი იყო.

1910 წლის ზაფხულში დასთან წავიდა სააგარაკოდ სოფელ ზემო ზვედურეთში. უველა ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ნატო მათ გვერდით იყო. რასაკვირველია, ყურადღების ცენტრში იყო მუდამ. მხიარული „დილიდან საღამომდე დატრიალებდა შინ: უსაქმოდ ვერ ჩერდებოდა ერთ წამსაც... აქ კალოზე ვავიდოდა, იქ სადილ-ვახშაში, გაკეთებაში ეხმარებოდა“. „ნატოს ჩამოსვლის შემდეგ ზემო ზვედურეთი სამხიარულო ადგილად გადაიქცა. რომელ ოჯახშიც ნატო გადავიდოდა სტუმრად, იქვე შეიკრიბებოდნენ მთელი სოფლის ახალგაზრდობა“.<sup>1</sup>

უკანასკნელად ქარელში ითამაშა ხანუმა, ზვედურეთიდან ჩავიდა, მანამდე ნიკო გოციროძეს მისწერა: „დაქირვების ტალღეებსო მამოა ნიკო! აბა შენი თავი გვქირდება საციციანოში. ორი წარმოდგენა გვინდა. „ხანუმა“ — ზედიზედ. ახანო და სკოლა არის საგანი ჩვენი გარჯისა და წამოხველ (ჩანი კი არ გივარდება), მოიწერე საჩქაროთ. ათისთვის ვაპირებთ წარმოდგენას. მანდედან ხანუმას ტანისამოსს წამოიღებ ჩემს რძალს გამოართმევ.“

იმ სექტაკლის ერთ-ერთი დამსწრის აზრით, ნატოს ამ საღამოს რაღაც უგუნებობა ეტყობოდა, თითქოს გრძნობდა, რომ უკანასკნელად თამაშობდა, ხანდახან მხიარულებს დროსაც. თვალებს სევდა გადაჰკრავდა.<sup>2</sup>

8 აგვისტოს თბილისში დაბრუნდა. „მატარებელში შუა ქარს დაუფრილავს და გაცივებულა“. ამის გამო ფილტვების ანთება დამართინა.

და დატრიალდა დრამატული საზოგადოება, „გამგეობის თავმჯდომარე ბ. ნ. გ. ქართველიშვილი, წევრნი: ბ. ა. ნ. შიხინოვი, შ. მიქელაძე დღესი სამჯერ — ოთხჯერ დახედავდნენ ხოლმე... მ. საფაროვა-აბაშიძისა, ელ. ჩერქეზიშვილი, ზ. ნებიერიძე, ვ. გუნია, ვლ. აღ. მესხიშვილი და სხვანი. თითქმის განუშორებლად თავს დასტრიალებდნენ... მკურნალობდა ექიმი ა. იაშვილი, სათათბიროდ დაიარებოდნენ ა. დიასამიძე, ტ. ქიქოძე. უოველივე ღონისძიება იქნა მიღებულა, რომ განეკურნათ ძვირფასი ადამიანი, მაგრამ უღმობელი სენის წინააღმდეგ ვერაფერი შესძლეს. იგი გარდაიცვალა ფილტვების ანთებით“.

უკანასკნელ წუთებს ვლ. გუნია შეესწრო, ნატოს ბოლო წუთამდე არ დაუკარგავს გრძნობა. ებრძოდა სიკვდილს. „სჯავრობდა როცა ნათესავებს ცრემლებს შეამჩნევდა...“

პანაშვიდები ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადაიხადეს, რადგან ბინა ვერ დაიტევდა ხალსს.

„განკარგულება და წესრიგის დაცვა დავალა ვალერიან გუნისას“.

გასვენებას დიდძალი ხალხი დაესწრო. საქართველოს უველა კუთხიდან ჩამოვდნენ დღეღაცეები. დეპეშები გამოგზავნეს საქართველოს უველა ქალაქიდან, დაუბებიდან. მოსკოვიდან ქართველთა საზოგადოების სახელით მიუსამძიორა აღ. სუმხიათაშვილმა. ა. წუწუნავა ოზურგეთიდან გამოგზავნილ დეპეშაში წერდა:

<sup>1</sup> „თეატრი და ცხოვრება“, 1910, № 33.  
<sup>2</sup> საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს მეზუემი, ტ. 1, საქ. 131 ბ-19034.  
<sup>3</sup> „თეატრი და ცხოვრება“, 1910, № 33.



„ღრმად დამამწუხრა ქართული სცენის დიდებული ტალანტის, დაუფრთხილებელი ნატოს დაკარგვაში“.

დაკარძაღვის პროცესია აღწერეს გაზეთებმა: „ვერის წმ. ნიკოლოზის ძველ ეკლესიას 19 აგვისტოს დილიდანვე ბლომად მოაწყდა ხალხი... გოლოვინის ფერისკენ მიმავალ ვაგონებში დილიდანვე ტევა აღარ იყო. ეტლებით ბლომით მიქონდათ გვირგვინები. არ დარჩა არც ერთი ქართული დაწესებულება ნ. ცაგარელისთვის გვირგვინი არ მიეძღვნა“. პროცესიას ესწრებოდა შესამეღუმის ღვეპუტატი კ. ჩხეიძე. „დაახლოებით 12 საათზე დასრულდა წირვა და პანაშვილი და ეკლესიიდან კუბოც გამოასვენეს... გაისმა ათრთოლებული ხმა. ყველა სკანდალ გადაიქცა. ეგ ვლ. ალექსი-შესანიშნავი იყო ქართული სცენის ზურჯთავანი“.

გამოსათხოვარი ლექსები გამოაქვეყნა ბევრმა პოეტმა — ა. აბაშელმა, ნ. ვრიშაშვილმა და სხვებმა. თითქოს ერთმანეთს ეჭიბებოდნენ გლოვაში აღამიანები.

„გაქრა ცისკრის ნაპერწკალი  
სკეტაკ სულში ანთებული,  
გაწყდა სიმი... ჩამოინგრა  
ხიდი ზეცას გადებული“.

თქვა ალ. აბაშელმა.

„გაქრა ვარსკვლავი... გლოვობს ქართველი ერი“.

დაუსრულებელივ მგორდებოდა პრესის ფურცლებზე. ერთ-ერთი კიდევ ემუდარებოდა: „შუენდღე შენს მშობელ საქართველოს, თუ სიცოცხლის დროს მისმა შევიღებმა უვიციობის გამო შესაფერი პატივი ვერა გცა. შესაფერად ვერ დააფასა შენი დიდი დეაწლი“.

სულ რაღაც ერთი წლის წინ არ იყო საოცარი იუბილე რომ გადაუხადეს? კიდევ რით უნდა გამოეხატათ ნატოსადმი ყურადღება? მისი ყოველი ბენეფისი ხომ ერთი გაბმული სიხარული და ზეიმი იყო? სხვას რაღას ითხოვდნენ?

ყველაფერი ეს იყო, მაგრამ ხალხმა ნატოს სიკვდილით უცებ შეტი დაინახა მის ღვაწლში, თითქოს უცებ გამოჩნდა დანაქარგის მთელი სიმძიმე. გაქრა ქალი-ლეგენდა. — მოწყდა ვარსკვლავი, რომლის გარეშე ვერ წარმოედგინათ ქართული თეატრი. თაობები შეეჩვივნენ ნატოს სახეს, მის ხმას, მის დაუდგომელ სულს, მის მტკეფარე ოპტიმიზმს, ცხოვრების სიხარულის განცდა ღვათებრივი ნიჭია და ამ ნიჭით აჯილდოებდა იგი ადამიანებს.

ნატოს გარდაცვალების სიმწარე არა მარტო მოულოდნელობით იყო გამოწვეული. არც მარტო იმით, რომ ის არტისტულ ფორმაში იყო, მაგრამ ვფიქრობ მაინც უმთავრესი მიზეზი სხვა იყო. თაობები ძალიან შეეჩვივნენ მის სახელს. ყოველდღიურად გრძნობდნენ ნატოს გულისცემას, გულწრფელად უყვარდათ მისი განხილი, პირდაპირი, მომხიბვლელი ხასიათი. ნატო იყო ახალგაზრდების შემწე და მეგობარი. ნატო იყო დიდი ქველმოქმედი და ხალხური ტიპის მსახიობი. მისი ფართო დემოკრატიული ბუნება ადვილად იკვლევდა გზას ხალხის გულებსაკენ. ხალხმა ყველაფერი იცოდა მსახიობის შესახებ. იგი რაღაც რენესანსული სულის ადამიანი იყო და ეს სისხლსავსე ცხოვრება მას უფრო

1 გაზ. „ახალი გზა“ 1910, № 50.  
2 გაზ. „ახალი გზა“, 1910, № 51.

შამშიდველსა და საინტერესოს ხდიდა. მხატვრული ტიპაჲი კი, რომელსაც იგი  
ქმნიდა, ერთობ ახლოს იყო თბილისურ ეოფასთან. ხასიათისა და ცხოვრების  
წყისის ამ მთლიანობაში იკვეთებოდა ნატო გაბუნიას სახე.

და მაინც უველაფერი ეს არ იყო, იგი უფრო მეტი იყო საქართველოსთვის,  
ვიდრე დასახედებული თვისებები. პოპულარობის საიდუმლო თვით საქართვე-  
ლოს ცხოვრების თავისებურებაში ძვეს. სწორედ 70-იან წლებიდან დაიწყო  
რუსეთის ცარიზმის მშაკერული გეგმების ხორცშესხმა, საქართველოს მისგან  
არც მანამდე აკლდა მშაკერობა, მაგრამ მაინც სხვა მასშტაბში იშლება კოლონი-  
ზატორული პოლიტიკა. რამდენადაც უფრო ნათლად ვლინდებოდა ქართველი  
ხალხის ეროვნული თვითშეგნება. მით უფრო დაუნდობელი ხდებოდა ცარიზმი.  
მან ფართო ფრანტიო შეუტია საქართველოს.

იდევნებოდა ქართული ენა, ერთმეოდა ქართული მიწა, სარწმუნოება. საფრ-  
თქმა იყო ჩვენი ეროვნების სამივე ძირითადი (ენა.—მამული—სარწმუნოება)  
„საჯარო ნიშანი“. აი, ამ ბრძოლაში იყო ჩაბმული ძველი ქართული თეატრი  
და ამიტომ ხალხისათვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო თითოეულის წვლილი.  
მით უფრო გამორჩეული ქალისა, რომელმაც ბევრი რამ იტვირთა ხალხოსნური  
მოძრაობიდან დაწყებული.

ნატო გაბუნიას გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ ქართულმა დრამა-  
ტულმა საზოგადოებამ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება: „უოველწლიურად ერთი  
სტიპენდია მის მან. დაენიშნოს იმ ქალს, რომელიც სამსახიობო განათლების მი-  
საღებათ წავა უმაღლეს დრამატიულ კურსებზე, თანხის შესავსებად უოველ  
წელს, ნატოს დაბადების დღეს 8 თებერვალს გაიმართოს წარმოდგენა“.<sup>1</sup>

„ნატო გაბუნია ქართული თეატრის ისტორიაში დიდებით უნდა იხსენიებოდეს  
საწვილიწვილოთ“.

ოთხმოცი წელი გავიდა ნატო გაბუნიას გარდაცვალებიდან. ჟამთა სვლამ ვერ  
დაჩრდილა მისი სახელი.

თაობამ, რომელმაც იგი მოაცილა სამარის კარამდე ნატოს მიმართა: „უდრო-  
ოდ მოწყვეტილო სცენის ვარსკვლავო! ის შუქი, რომელიც ფართო ზოლათ  
მისდევს, შენგან განაკვლ გზას, თავდებია მისი, რომ თუ აწმყო ვერა, მომავლი  
მაინც შეიძლებს შენს დაფასებას“.<sup>2</sup>

ეს არის ქართველი კაცის სურვილი — მარადისობაში დაინახოს ის, ვინც  
სამზნევსა და სიხარულს ანიჭებდა საქართველოს.

1 „თეატრი და ცხოვრება“, 1910. № 34.  
2 „თეატრი და ცხოვრება“, 1910, № 35.

მერი დამითავილი

მისივედროულე შირუნველი პეკეთ კოტე მარჯანიშვილის სახ. თეატრის მოღვაწეთ ამ თეატრის მუზეუმის გამგის ქ-ნ მაია კვანტალიანის სახით. დაულაღვად. უდიდესი გულსისუერთი აგროვებს იგი უველა ცნობას ამ თეატრის შემოქმედთა შესახებ და თავს უყრის უოველი მათგანისათვის განკუთვნილ ცალკე საქალაქდუში. უველაზე „მსხვილად“ ის საქალაქდუ გამოიყურება, რომელშიც მთავარი როლების განმსახიერებელ მსახიობებზე არსებული მასალაა დაცული. რა გაეწუება. ცოტა იწერება იმაზე. ვინც არაა უპირატესად წამუვანი როლების შემსრულებელი. ერთი „გამბლარი“ საქალაქდუ მსახიობ მერი დავითაშვილის ეკუთვნის.

რა ვიცით მის შესახებ? ვიცით, რომ დაიბადა 1907 წელს. მაშინ დავითაშვილდებს ოჯახი ბაქოში ცხოვრობდა. 13 წლისა იყო, როდესაც ოჯახი სამშობლოში, თავდაპირველად ქ. ხაშურში დაბრუნდა. იქ ჩაება მოსწავლუ გოგონა ადგილობრივ სცენისმოყვარეთა დრამატულ წრეში. შემდეგ თბილისში გადმოვიდნენ. ამ დროისათვის მერიმ უკვე აირჩია პროფესია, 1924-1926 წ. წ. სწავლობდა ფაღაფას სტუდიაში. 1927 წელს იგი თბილისის მუშათა თეატრის მსახიობია, რომელსაც მის. კიაურელი ხელმძღვანელობდა. 1928 წლიდან კი, ქუთაის-ბათუმის თეატრის მსახიობია. 1930 წელს გადმოდის თბილისში. ამ თეატრის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ემსახურებოდა.

რა იცითება ამ შირალი მონაცემების მიღმა? რომ უმაწვილობიდანვე ისწრაფვოდა სცენისაკენ. სხვანაირად უცხო ქალაქში ახლადჩამოსული სცენისმოყვარეთა დრამატულ წრეში არ ჩაერთვებოდა. ა. ფაღაფას დრამატულ სტუდიაში ჩარიცხვა მისწრაფების მიზნად ქცევის დასტურია. მაგრამ რა ნახა თეატრში მანამდე. ვინ მოახდინა მასზე ის შთაბეჭდილება. ცხოვრების გზა რომ აარჩევინა? ამის შაუწყენბედ საბუთებს ჭერ არ მოუღწევიათ მის საქალაქდემდე.

ა. ფაღაფას სტუდიაში მსახიობის ხელოვნებას ახლგაზრდებს აწიარებდნენ მის. კორელი, კ. მარჯანიშვილი და ს. ახმეტელი. — ისინი, ვინც საქართველოში ანსამბლის თეატრის შექმნის დიდ მიზანს ემსახურებოდნენ.

სტუდიის დამთავრების შემდეგ მერი დავითაშვილი თბილისის მუშათა თეატრშია. ეს თეატრი სწორედ იმ წელს შეიქმნა სახალხო სახლში. სექტაკლებს დგამდნენ: ალ. წუწუნავა, მის. კორელი, მის. კიაურელი. მათთან იყვენენ ლ. გულდაშვილი, ა. ბალანჩივაძე, ნ. ჩხეიძე. ც. წუწუნავა, ალ. იმედაშვილი, ვ. ანჯაფარიძე და სხვანი. მათთან მუშაობა დამწუები მსახიობისათვის დიდი სიხარულის წომიანი იყო, დიდი სარგებლობისაც. მაგრამ 1928 წელს, როდესაც მარჯანიშვილი ქუთაის-ბათუმის თეატრს ჩაუდგა სათავეში, მის ერთგულ მოწაფეებთან ერთად მერი დავითაშვილმაც იმ თეატრს მიასურა. 1931 წელს მათთან ერთად დაბრუნდა თბილისში. მერი დავითაშვილმა მთელი თავისი შემდგომო ცხოვრებით დამატყიცა, რომ ეს მარჯანიშვილის თეატრალური რწმენის ერთგულია.

უოველი სცენური გმირის ცხოვრება უწყვეტო ქმედებაა, მის მიერ ჩაღვნილ:



საქციელთა თანმიმდევრობა სხვა მოქმედ პირებთან განუწყვეტელ ურთიერთობაშია. ამიტომ ამ სკოლის მსახიობმა მუდამ უნდა იცოდეს, რა მიზნითაა ახლა იგი ამოქმედებული, უნდა ჰქონდეს სურვილი ზემოქმედება მოახდინოს პარტნიორის შეგნებაზე, მის გრძნობასა თუ გუნება-განწყობილებაზე. აქტიურად მხოლოდ დაინტერესებულნი აღამიანი მოქმედებს. ინტერესი ცნობიერია, მაშასადამე, სახეობრივ საშუალებათა შერჩევაც კონკრეტული უნდა იყოს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ამოცნობა ისინი მაყურებლის მიერ და აღმოცენდება ის კონტაქტი სცენასა და დარბაზს შორის, რისთვისაც იღწვის სცენის ხელოვანი.

მიზნის განხორციელების სურვილით ამოქმედებული აღამიანის სიტუვა აუცილებლად იქნება დანაღმული მისი წარმოთქმის შინაგანი აუცილებლობით, რადგან ეს სიტუვა მეორე აღამიანზე ზემოქმედების მოსახდენად წარმოითქმის — ის ხომ პარტნიორთან დამაკავშირებელი საშუალებაა! ეკვირი კი ათასნაირია. უსიტუვობაც, დუმილიც აზრითა და განცდით უნდა იყოს დატვირთული.

მერი დავითაშვილმა უყვია ეს მცნება ირწმუნა და არც უღალატია მათთვის თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ოთხ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში.

საქალაქდუში დაცული ხის მიხედვით, ამ ხნის მანძილზე მ. დავითაშვილმა 54 აღამიანი გააცოცხლა რანდენიმე თაობის სხვადასხვა რეჟისორის მიერ დადგმულ წარმოდგენაში. კლასიკურსა და თანამედროვე, ქართულსა თუ არაქართულ პიესებში. გადავხედოთ მის სცენურ გმირთა სიას. ვინ არიან ისინი? — მოცეკვავე (ე. ტოლერის „პოპ ლა, ჩვენ ვცოცხლობთ!), წმინდანი სობოროში (ბ. შოუს „წმინდა ქალწული“), ბიჭი ლანგრიტი და ქალიშვილი (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“), კომეკვირელი (ვ. კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს“), მოცეკვავე (ე. გუცოვის „ურდელ აკოსტა“), ბეგლარის მეორე და (ე. კალაძის „როგორ?!), ნეჭავი ქალი (დ. შენგელაიას „თეთრები“), პატარძალის და (თ. ვახვახიშვილის „ხანძარი“), ზევის მესამე ცოლი („არსენას ლექსი“), მეორე მხარეული (ი. ოლეშას „სამი ბღენძი“), დედაცაცი (ნ. პოგოდინის „ფოლადის პოემა“), მრეცხავი (ვ. სარდუს და ა. შორის „მადამ სან-ჟენი“), დედოფლის სეფე-ქალი (ვ. პიუგოს „რუი ბლაზი“) და ა. შ. — ხანმოკლე სცენური სიცოცხლის მქონე მოქმედი პირები, რომელთათვის ავტორს საკუთარი სახელიც კი არ გაუმეტებია.

სუ დაეზარებთ და გავისხენოთ ისინიც, ვინც მოქმედ პირთა შორის საკუთარი სახელით მანაც არის მოხსენიებული: ცაუჯ (დ. ჩიანელის „ბაილი“), პასკუადა (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“), თამარი (ვ. ვაბესკირიას „მათი ამბავი“), ნეკოლეთ (ა. სამსონიას „ანრი ხეარ“), ნანინ (ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“), ეკატერინა პავლოვნა (ა. სამსონიას „ბაკრატიონი“), ანა ვიქტორივნა (ე. სამსონიას „მელიოდე“), ეფემია (დ. არდაზიანის „სოლომონ ისაიკ მეჭლანუაშვილი“), ხარტუშანი (ი. ჭავჭავაძის „აკაცია-აღამიანი?!“), მეგ სტენდი (ე. სმილოვის „რუსეთის საკითხი“), პეპელა (გ. შიდინის „ვარდო“), კარმინა (შექსპირის „ანტონიოს და კლეოპატრა“), სოსანატრა სემიონოვნა (ა. ისტროვის „ლამაზი მამაკაცი“), მორტენსია (გოლდონის „ხანტუმროს დიასახლისი“), მარიამი (ს. კლდიაშვილის „დაპარუნება“), კატა (ვ. ვაბესკირიას „უფსკრულთან“), ენინა ანეტა (ა. აღლამის „მეფეებზე დღეები“), მარგარეტ (ა. კრონინის „კერპი“) და სხვა — არც ერთს სხელი რელი, საკუთარი სახელით რომ იყოს ცნობილი, როგორც, მაგალითად ოფედია, ჭულიეტა, კლეოპატრა, მარიამ სტიუარტი... არც ერთი მთავარი გმირი! მაშასადამე, არც ერთი ისეთი, რომელსაც ნაწარმოების დედააზრის ტვირთის დიდი ნაწილი აკისრია, რომლის გარეშეცოც ტრიალებს უმთავრესი ამბავი,

პიესის სხვა მოქმედ პირთა ცხოვრებასაც რომ განაპირობებს! მხოლოდ ისეთი გმირები, რომელთა მნიშვნელობაც პიესის მოქმედ პირთა ცხოვრების დინებაში მცირეა და ამის გამო შეუმჩნეველიც შეიძლება დარჩეს. მაგრამ მერი დავითაშვილის განსახიერებით არც ერთი ასეთი გმირი შეუმჩნეველი არ რჩებოდა.

მარჯანიშვილის აღზრდილმა, კარგად იცოდა, რომ მსახიობის შემოქმედება როლის სცენაზე გაცოცხლებაა. ამისათვის მსახიობს ეძლევა როლის ტექსტი ანუ ამ მოქმედი პირისათვის განკუთვნილი სათქმელი სიტყვები. მათი რაოდენობაა როლის სიდიდე, ის ადგილი, რომელიც მას სპექტაკლის ცხოვრებაში განეკუთვნება. მერი დავითაშვილისთვის უველა როლი იმაზე უფრო დიდი იყო, ვიდრე როლის ტექსტი, რადგან მისთვის ცნებაში „როლი“ შედიოდა არა მარტო ის, რასაც წარმოუსთვამდა მისი გმირი სცენაზე, არამედ ისიც, რაც სცენის მიღმა იყო — სცენაზე მის შემოსვლამდე და მასინ, როდესაც ის გადიოდა სცენიდან დროებით. ან საბოლოოდ. უოველთვის შეეძლო ეთქვა, რატომ გავიდა მისი გმირი სცენიდან, რას აკეთებდა მის გარეთ და რად დაბრუნდა ისევ, ან რატომ აღარ დაბრუნდა. ხილულსა და უხილავს შორის კავშირებს არ წყვეტდა. ამიტომ უველა მისი სცენური ქმნილება ცოცხალი კადმიანი იყო, რომელსაც წარსულიც ჰქონდა და მომავალიც.

როლის დაწუნება არ ხჩვეოდა. არა იმიტომ, რომ მუდამ მისთვის სასურველ როლს სთავაზობდნენ. იმიტომ, რომ შიანდა — უოველნაირი ადამიანი საინტერესოა, რადგან თავისებური და განუმეორებელია. უველა როლს თავისი სირთულე ახლავს თან, რადგან ავტორის მიერ მისთვის განკუთვნილი სიტყვები თვალსაჩინო ზედაპირია მხოლოდ. თავისებური კარი, რომლითაც მსახიობი მოქმედი პირის შინა სამკაროში შედის. სიტყვები მწერლის შერჩეულია და უამრავს იტყვენ, ამიტომ ავტორისეულ განმარტებებს არ საპირობენ. მსახიობმა უნდა ამოიცნოს უთქმელი და წარმოუთქმელი, სიტყვის მიღმა ღრმად მიმაღული. მასმასადამე. მწერლის სიტყვის შეგრძნებას განსაკუთრებული უნარი უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია სცენური ქმნილება მწერლისა და მსახიობის ღვიძლი შვილი. მერი დავითაშვილს შიანდა, რომ ნამდვილი მწერლის მხატვრული სიტყვით გამსჭვალვა უდიდესი სირთულეცაა და უდიდესი სიხარულიც.

ეპიზოდური როლი მცირე ზომის მხატვრული ნაწარმოებია. რას ნიშნავს მცირე ზომა? — სცენაზე უოჯენის ხანმოკლეობას, სათქმელ სიტყვათა რაოდენობის ნიშნირეს, ხანმოკლე ურთიერთობებს პიესის სხვა მოქმედ პირებთან, ისიც, ალბათ, ზოგიერთთან მათ შორის, რადგან დიდხანს არ ხარ სცენაზე და მოკლე დროში კი, აბა. რამდენ ვინმეს შეიძლება შეხვედ? აი, ამგვარ ვითარებაში უნდა გამოვლინდეს პიროვნება და შედეგს მაყურებლის მიერ მისი გაცნობა. ამავე დროს, პიესისა და სპექტაკლის ამ ნაწილმა უნდა დაიკავოს თავისი ადგილი ნაწარმოების მხატვრულ მთლიანობაში და შეასრულოს ის ფუნქცია, მას რომ ეკისრება.

მერი დავითაშვილმა იცოდა ნებისმიერი სიდიდის როლის დაკავშირება სხვა დანარჩენ მოქმედ პირთა ცხოვრებეს ქმედით ხაზთან სწორედ იქ, სადაც ეს საჭირო იყო. რაც უფრო პატარა იყო როლი, რაც უფრო ხანმოკლე მისი გმირის სცენური ცხოვრება, მით უფრო ზუსტი იყო ეს კავშირი. მიზანს არ აცდენდა. აუცილებლად მიაგნებდა ისეთ მხატვრულ ხერხს, ისეთ დეტალს, რომელიც ერთი გაუღვებით წარმოაჩენდა პიროვნებას. ამაში ვლინდებოდა მისი უდიდესი პროფე-

სიონალიზმა — როგორც იტყვიან, ხელობა იცოდა, იცოდა, როგორ იქნებოდა ადამიანის ხასიათი.

ხასიათის პრობლემა რთული პრობლემაა, ეს მოიცავს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია სცენური გმირის პიროვნებასთან. დაწყებული უკიდურესი სუბიექტური, შინაგანი სტიმულებიდან, გარეგნობის წვრილმანი დეტალებით დაშთავრებული.

გრიმი — ესაა გარეგნობის მიმართება ადამიანის შინაბუნებასთან. პირველ შთაბეჭდილებას გარეგნობა ახდენს. ის შეიძლება შესატყვისებოდეს ადამიანის შინაბუნებას, შეიძლება დიაშეტრალურად საწინააღმდეგოც იყოს. ყველა შემთხვევაში მათ შორის უნდა იყოს კავშირი, სულ ერთია, პირდაპირი იქნება იგი, თუ არაპირდაპირი. ვარიანტი შრავალია.

ხასიათის წამყვანი თვისების დადგენა და მისი ხორცშესხმა — სცენური გმირის მოქმედებაში გამოვლინების უმძლავრესი იარაღია. წამყვანი თვისებისა ანუ იმ შთავარი უნარისა, რაშიც ამ ადამიანის სიძლიერე, ან პირობით, მისი სისუსტეა, დანარჩენი მისი თვისებები ამ წამყვანის გარშემო განლაგდებიან ხოლმე, ჩვეულებრივ.

მარჯანიშვილის სკოლის მიმდევარმა მერი დავითაშვილმა კარგად იცოდა, რომ ნებისმიერი მსახიობი წარმოდგენაში მხოლოდ ერთ ადამიანს ასახეობს და ამის გამო, მართლაც, განსხვავებული, მაგრამ მანაც მუდამ მხოლოდ ნაწილია იმ მთლიანობისა, სექტატული რომ ეწოდება. მაგრამ ამავე დროს, ყველა როლი თავისთავადაც გარკვეული მთლიანობაა, აქვს დასაწყისი, განვითარების გარკვეული გზები და დასასრული. მსახიობს შეუძლია გმირის სცენური ცხოვრების მთლიანობაში წარმოდგენა, ამ ცხოვრების დაწერილი ნაწილის დაუწერელი მთლიანება საკუთარი ფანტაზიით წარმოსახულითა და საკუთარ თვისებათა ახალ-ახალი კომბინაციების წყალობით.

როლის ტექსტს გულუბრყვილოდ არ მიენდობოდა, მის ამოსხნას ცდილობდა მუდამ, მის უკან მიმალულის ამოცნობას, დახვეწილი მეტყველება ჰქონდა და შეუძლო გადმოცემა უოველნაირი განცდა.

ხასიათის გამომუდგანებას ირჩევდა თანდათანობით, მისი ვლემენტების შექარტვება-შეკავშირებით.

სამოსელს მისთვის სოციალური ფუნქციაც ჰქონდა, ჭსიქოლოგიურიც. გუნება-განწყობილების გამოხატვისაც. სიმოსელი მუდამ მასთან ერთად ცოცხლობდა. ეს კარგად ჩანს მის გმირთა ფოტოსურათებზე — ათასნაირად ეცვათ მის ქაღებს. ნივთსაც ასე ხმარობდა.

კარგად მახსოვს მისი ქ-ნი ანტა ა. ალლაძის პიესიდან „მღვლეარე დღეები“. როდესაც სცენაზე გამოჩნდა მაღალი ტანწირილი ქალი გრძელ კაბაში, ფართო-ფარფლებიანი, ჩვენთვის ახლა უკვე წარმოუდგენლად დიდი ქუდით. — ყველას გაევახსენდა ის ძველებური სურათები, რომლებზედაც ჩვენი ახლო წინაპრები არიან აღბეჭდილი სწორედ ამგვარ ქუდებსა და ტანსაცმელში. ადვილად მიაგნო მერი დავითაშვილმა მათთან გარეგნულ მსგავსებას.

რას წარმოადგენდა მისი ქ-ნი ანტა შინაგანად? მცირე მასალა მისცა ამის ამოხსნისნელად მსახიობს დრამატურგმა. ცალკეული ჩანახატების მსგავსად მოწოდებულ ანტას ცხოვრებას არ გააჩნია სცენურ ცხოვრების მეფეთრად განსაუფლება. ეს საკმაოდ უხამოვნო ფერწხით დახატული ქართველი თავად-ანაწარმის-

ერთი წევრია მხოლოდ. პიესაში მომხდარ ძირითად ამბავთან უშუალო კავშირი არა აქვს. მიუხედავად ამისა, მერი დავითაშვილის ქ-ნი ანეტა ერთი იმათგანი იყო, ვინც თან მიჰყვებოდა მაყურებელს სპექტაკლის შემდეგ. ვითარცა ახლადშემწე კარგი ნაცნობი.

როგორ ახერხებდა ამას მსახიობი? პირველ ყოვლისა, მოქმედი პირისთვის დამახასიათებელი, მისთვის ჩვეული შინაგანი მდგომარეობის მიგნებით. მერი დავითაშვილის ანეტა დღენიადავ შემოფოთებული ქალი იყო, ხან ფულის ნაკლებობით, ხან ქალიშვილის გაუთხოვრობით, ხან ვაჟის უწესობით, ხან მედუნის უზრდელობით, ხან ვერცხლის დანა-ჩანგლის მოულოდნელი გაქრობით და ასე დაუსრულებლად. ახლა კი ყველაფერ ამას დაემატა კიდევ ის, რისთვისაც ავტორმა პიესას „მღელვარე დღეები“ უწოდა. ამის გამო ანეტა კიდევ უფრო მეტად შემოფოთდა, შეშინდა კიდევ. ამას აშკარად გვაუწყებდნენ ფართოდ გახეილი მისი თვალები და საერთო დაბნეულობა, რაც მას მთელი წარმოდგენის მანძილზე არ შორდებოდა.

რამდენი რამ ჩააქსოვა მერი დავითაშვილმა ამ სწორად მიგნებულ განწყობლებაში! რამდენი რამ ამოხსნა და ჩვენც აგვიხსნა! ქ-ნი ანეტა ნამდვილი თავადი-შვილია. შესანიშნავად აღზრდილი, ზედმიწევნით თავაზიანი, თავისუფლად ფლობს რუსულსა და ფრანგულ ენებს, ქართულად ლაპარაკი აშკარად უჭირს. ძალიან რბილი ხასიათი აქვს. შემოფოთებისა და შიშის გრძნობა ყველაზე უფრო ჩვეულია მისთვის. ახლაც, როდესაც ქვეყანა ზანზარებს მოახლოებული ქარიშხლისაგან, ძველ სამყაროს გადაბუკვით რომ ემუქრება. არ ესმის ანეტას, რა ხდება მის გარშემო. არც სურს გაგება, არც შეუძლია.

გასაოცარი მხატვრული ტაქტით დავიხატა თავისი გმირი მერი დავითაშვილმა. არ დასცინა, განზრახ საღებავი არ გაუმუქებია. პირიქით, ძალიან რბილად და ფაქიზად მოგვითხრო მისი ცხოვრების პატარა ამბავი. მაგრამ განაჩენი დაუნდობელი გამოუტანა — მოახლოებულ ქარიშხალს ანეტა ვერ გადაურჩება. ასეთი იყო მერი დავითაშვილის, როგორც მოკალაქის, განაჩენი, მსახიობის მიერ თავაზიანად თქმული დაუნდობელი განაჩენი.

სულ სხვა „საღებავებს“ მოუხმო თიმსალ მაკოსთვის ფილმში „ბაში აჩუკი“ და ქაბატოსთვის ფილმში „ქეთო და კოტე“. ეს უკანასკნელი, შეიძლება ითქვას, ყველაზე თვალსაჩინო მხატვრული სახეა, რომელმაც შემოინახა მერი დავითაშვილის ნიჭისა და ოსტატობის თავისებურება სწორედ მამხილებელი წახნაგით. მისი უნარი მოქმედი პირის თავგამოდებული ბრძოლისა იმისთვის, რაც მიზნად დაუსახავს. ტემპერამენტი, სისხლსავსე, კაშკაშა საღებავების მონაცვლეობა, აუშოარი, უცხო სამოსელის მორგება-გათავისება, სხეულის უჩვეულო პლასტიკური ნახაზი. ვფიქრობ, ამას დიდად შეუწყო ხელი ამ ფილმისათვის მისი რეჟისორის, ვ. ტაბლიაშვილის მიერ შერჩეულმა აქტიორულმა ანსამბლმა — ეკრანზე ხომ, არსებითად, მარჯანიშვილის თეატრია! მისი მუდმივი პარტნიორები!

თვითონ იყო იშვიათი პარტნიორი. ავი წერს ვერიკო ანჭაფარიძე: „მერი დავითაშვილი და მე ხშირად ვყოფილვართ პარტნიორები სცენაზე. ბევრჯერ მიგრძვნიდა მისი სიტოზო, მისი მზრუნველობა. ვიცოდი, რომ მერი ჩემზე ფიქრობდა. მე მიწყობდა ხელს — ხან თმას გამისწორებდა, ხან კაბის ნაოჭს. მისი შეხება იყო ნაწი, ყველაასათვის უხილავი, და მე ვიცოდი, შემქმდლო მის მკლავს დაყრდნობილი, იგი არასდროს მამტყუნებდა. ო, როგორ მაძლიოებდა ვარ ამ სიტოზოსათვის,

რომელიც მისგან მიგრძვნია. ასეთია მერი უველას მიმართ სცენაზე... „მე ვი  
ვფიქრობ, განსაკუთრებით, მაინც ვერცხოს მიმართ...

ვის არ ახლავს მისი ნაწინ სპექტაკლში „მარგარიტა გოტიე“, საოცრად ნაწი  
ფერებით დახატული მოახლე ქალის სახე? გვახსოვს იმიტომ, რომ იგი იყო გან-  
სახიერება ამ მშვენიერი, ტანჭული არსებობადმი უდიდესი სიყვარულისა. მისი  
ნაწინ იყო ერთადერთი ადამიანი სპექტაკლში, რომელსაც ესმოდა მარგარიტას  
ფესი. როლის ამგვარი წაჯიბნა ერთობ ხელისშემწეობი აღმოჩნდა ნაწარმოების  
დედაწარის წარმოსაჩენად და იმავდროს სრულიად ახლებური — არც ერთ  
სხვა მარგარიტას არ ჰყოლია ასეთი ნაწინ. თორემ ეს უთუოდ აღინიშნებოდა  
სს.ს.ს. რეპერტუარის ამ ცნობილი გმირის განმასახიერებელ მსახიობთა შესა-  
სებ არსებულ ლიტერატურაში. მერი დავითაშვილს ჰქონდა ის იშვიათი უნარი,  
რომელსაც ეწოდება სიყვარული ადამიანის ცხოვრებაშიც და სცენაზეც.

გადავხედოთ მერი დავითაშვილის ნიერ სცენაზე გაცოცხლებულ ქალებს. მხო-  
ლოდ ფოტოსურათებზე რომ ცოცხლობენ ახლა. როგორ განსხვავდებიან ისინი  
ერთმანეთისაგან — გარეგნობით, ასაკით, ეროვნებით, ხასიათით. მიზანსწრაფე-  
ბით, სურვილებით, ცხოვრებისა და ადამიანებისადმი დამოკიდებულებით... რამდენ-  
ნი რამ განუცდიათ თავის ცხოვრებაში... რამდენი განსხვავებული გრძნობა აღუძ-  
რავთ ჩვენში, მაყურებლებში... რამდენჯერ გაგვაცინა გულიანად, რამდენჯერ  
აღგვაშფოთა სულით ღარიბი, ცბიერი ადამიანის მზილებით, რამდენჯერ შეგვიყრა  
სუნთქვა თავისი მეტყველი მდუმარებით და თვალთა მზერიით. განცდის სიწრფე-  
ლით, განსაცვიფრებელი შინაგანი სიმართლით...

საიდან ეს ყოველივე? ცხადია, საკუთარი პიროვნებიდან — მსახიობი თვი-  
თონა მასალა, მისი გმირისთვის საჭირო ვერც ერთ თვისებას სხვას ვერ დაეს-  
სება.

მერი დავითაშვილი ძალიან მდიდარი იყო, როგორც ადამიანი: გამჭრიახი  
გონება, ბასრი თვალი, გულმზურვალე მოქალაქე, პრინციპული, გულმართალი,  
პირდაპირი, მომთხოვნი, პირველ ყოველისა, საკუთარი თავის მიმართ, სიტყვაძვირი,  
ამიტომ უველა აფასებდა მის ნათქვამს. კეთილი, დასახმარებლად მუდამ მზადმოუ-  
ფი, უუვარდა სიცოცხლე, უუვარდა ხელოვნება, განსაკუთრებით მუსიკალური ხე-  
ლოვნება, პირველი რომ შემოვიდა მის ცხოვრებაში და დარჩა იქ სამუდამოდ.  
თვითონ იყო არაჩვეულებრივ მუსიკალური. მაშასადამე, პარმონიას გრძნობდა  
უველაფერში. თეატრსაც აღიქვამდა როგორც მუსიკას, როგორც შეხმატებულ  
ორკესტრს, სადაც უველა საკრავს მისთვის განკუთვნილი დანიშნულება და ადგი-  
ლი აქვს, სადაც ის შეუცვლელია და ამიტომ მნიშვნელოვანი. ამიტომაც იყო  
მისთვის ასე საინტერესო ყოველნაირი ადამიანის გაცოცხლება სცენაზე.

ამბობენ, რომ თეატრის საერთო კულტურა არაპირველმნიშვნელოვანი როლე-  
ბის განსახიერების მხატვრული დონით განისაზღვრება, და სწორედ მათ შესახებ  
ან სულ არაფერი იწერება, ან ძალზე მცირე, უსამართლობაა ეს და დანაშაული,  
როგორც ამგვარი ხელოვნების ოსტატების მიმართ, ისე საერთოდ თეატრის ისტო-  
რიის მიმართაც. ამ დანაშაულს შეგვახსენებს მარკანიშვილის თეატრის მუზეუმში  
დაცული თხელი საქაღალდე ზედწარწერით „მერი დავითაშვილი“.



დიდი ჯიხაიზის თეატრალური წარსულიდან

გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ცნობილი ქართველი მწერ-ლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ერისთავის თაოსნობით დაარსდა ქართული ეროვნული თეატრი. რომელმაც მცირე ხანი იარსება. მისი განახლების იდეა ქართველ ხალხსა და სკენისმოყვარეთა წრეებში არ ჩამყვდარა. ქალაქებსა თუ სოფლებში სკენისმოყვარეთა ჯგუფები ცალკეულ წარმოდგენებს მართავდნენ, რითაც საფუძველი ეყრებოდა ეროვნულ თეატრს.

ძველი თურხან-გაზეთები საინტერესო მასალებს გვაწვდიან სოფელ დიდი ჯიხაიზის მამისხდელი ინტელ-გენციის საქმიანობაზე: სოფლად კულტურულ ცხოვრების ცვათავდებობისათვის, მათ შორის თეატრალური ზელოვნების განვი-თარებასათვის.

1881 წელს სოფელ დიდ ჯიხაიზში პირველად დაჯგუფს „მე შინდა კენია გაგ-ხდე“ და ე. აბაშიძის „კოლი თე გინდა ეს არის“.

ამს თაობაზე გაზეთი „დროება“ 1881 წლის 21 აგვისტოს ნომერში მკითხ-ველს აუწყებდა: „16-ს ამ თვისას, კვირა ღამეს, სოფელ დიდი ჯიხაიზს მიროვიის მოსრდენიის ქაიხოსრო ლორთქიფანიძის სახლში, ანეტა ლორთქიფანიძის თაოს-ნობით, წარმოდგინეს „მე შინდა კენია გაგხდე“. კომედია ორ მოქმედებად და „კოლი თე გინდა ეს არის“. ვოდველი ერთ მოქმედებად.

წარმოდგენა ძღურ აზგად წავადა, ნამეტურ კარგ და ითამაშეს ანეტა ლორ-თქიფანიძემ და დავით ღიღობერიძემ.

ღიღობერიძე ხალხი დაქწრო. შემოსავალი ნახარჯს გარდა, დარჩა ორმოცდა-რეტი მახეთი, ოიხელიც უნდა მოამარჯეს დიდი ჯიხაიზის სასოფლო სკოლას...“

იმავე გაზეთის 1881 წლის 13 სექტემბრის ნომერში ზემოხსენებულ წარმო-დგენასთან დაკავშირებთ კვითხულობთ: „დროების“ 174-ე ნომერში დაბეჭდი-ლი იყო შენიშება, რომ სოფელ დიდ ჯიხაიზში გამართულ წარმოდგენაზე, ავგი-ლობრივის შემამელის ქ. ლ-ძის სახლობს თაოსნობით. ისე კარგად წასულა ეს პირველი წარმოდგენა ავგილობრივის უცაბედა — აქტორებისაგან და ისე მოს-წონებიათ იქაურებს უკ, რომ სურვილი გამოთქცადიბიათ — „კარგი იქნება მალ-მალე გამართვდეთ ამისთანა წარმოდგენებსო“ ბ. ქ. ლ-ძე თვითონ პირადად ეუბნებოდა ამ სტრუქტურებს დაწერს, რომ ეს აიოიებს ამ სტრუქტურის ასრულებას მოყვარულთა წრის შედგენას და სამაიო კაცისათვის მოსთავსებელი სთეატრო დარბაზის გაკეთებას, სკენის მოყვარულობის და თეატრალური ბიბლიოთეკის შემენას ერთი პატრუქონული ანხნური დაგეპოდა. ამ მოყვარულთ წრის წარ-მოდგენებისაგან შემოსული ფულით „გამსესხებელ-შემნახველ“ ამხანაგობა უნ-და დაეაარსათო, — გვიხობრა ზემოთხსენებულმა პირმა, რომელსაც ჩვენ სუ-ლითა და გულით ვესტრუგებთ მისი კეთილი და სასარგებლო მიზნის რეგინაზ ასრულებას, სასტრუველი მხოლოდ. რომ ამ შესადგენელ წრემ ხეორიანი პიესე-ბი პირიონ წარმოსადგენად და თავიდან აიკლონ იმისთანანი, რომელაც უმსგავ-

სო წინაარსით, გონება განუფიქრებელ საზოგადოებას უჭერო აენებენ ზეპირად  
სარგებლობას მოუტანენ.“

სოფელ დიდი ჭიხაიში წარმოდგენის გამართვის ეს ფაქტი მოწმობს, რომ  
მომავალი წლების დასაწყისში ამ სოფელშიც აღმოჩნდა სტენისმოყვარეთა ჯგუფი,  
რომელიც დაინტერესებული ყოფილა ქართულ თეატრის არსებობა-განვითარებაში.

პირველმა წარმატებამ ფრთები შეასხა დიდი ჭიხაიშის სტენისმოყვარეებს.  
ამის შემდეგ სასტემატურად იმართებოდა თეატრალური წარმოდგენები.

„დროების“ 1882 წლის 25 აგვისტოს ნომერი იტყობინება, რომ: „16 აგვისტოს  
იმავე ლორთქიფანიძის სახლში სტენისმოყვარეებს გაუმართავთ ქართული  
წარმოდგენა, შემოსული ფული სულ 100 მანეთამდე, გადახდევით ერთს ახალ-  
გაზრდის სასარგებლოდ, რომელიც მომავალ სასწავლო წელში დაასრულებს სწავ-  
ლას ქუთაისის გიმნაზიაში.“

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან XX საუკუნის 20-იანი  
წლების დამდეგამდე დიდი ჭიხაიშის სტენისმოყვარეები საქველმოქმედო მიზნით  
(აღგილობრივი სკოლების, წიგნთ-საცავ-სამკითხველოს და სხვადასხვა დანიშნუ-  
ლების სასარგებლოდ) თეატრალურ წარმოდგენებს მართავდნენ. პროფესიული  
თეატრის მოწყობა კი ვერ მოხერხდა, რადგან ამისათვის არც ძალები და არც სა-  
შუალებები არსებობდა, ხოლო ის, რასაც ჭიხაიშის სტენისმოყვარეთა წრე აკე-  
თებდა, ხელს უწყობდა ქართული თეატრის ზრდა-განვითარებას.

1893 წლის 30 ივლისს სტენისმოყვარეებმა წარმოადგინეს ავტ. ცაგარელის  
პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ხოლო 16 აგვისტოს საქველმოქმედო მიზნით  
დადგეს ალ. ყაზბეგის „არსენა“, შემოსული თანხა გადაეცა ახლადდარსებულ  
სამრევლო სკოლას.

1895 წელს (15. IV. და 16. VIII) გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური  
საღამო და ერთი წარმოდგენა.

1901 წლის 29 ივლისს სოფელ დიდი ჭიხაიშის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხ-  
ველოს სასარგებლოდ, აღგილობრივმა სტენისმოყვარეთა ახალმა თაობამ პოლი-  
კარპე ლორთქიფანიძის თათნობით თავად ნიკო ჩხვიძის სახლში წარმოადგინეს  
გულისაშვილის 4 მოქმედებანი დრამა „ცხოვრება ბრძოლა“ და ერთმოქმედე-  
ბიანი ვოდევილი „იკვიანი“. უამინდობის მოუხედავად წარმოდგენას ბევრი ხალხი  
დაესწრო. შემოსავალმა 54 მან. 30 კაპ. შეადგინა. მოგება 39 მან. 35 კაპ.

წარმოდგენაში მონაწილეობდნენ პოლიკარპე ლორთქიფანიძე, ალექსანდრა  
ლორთქიფანიძისა, კნიაჟნა ნინა ჩხვიძე, ლევა ბიბილეიშვილა და სხვები. (გაზ.  
„ივერია“ 9, VIII. გვ. 4).

წარმოდგენის საქმე მეტად კარგად მიდიოდა, საზოგადოებაც კმაყოფილ  
რჩებოდა. მოითხოვდნენ რაც შეიძლება ხშირად გაემართათ წარმოდგენები, მაგ-  
რამ ამას ხელს უშლიდა შენობის უქონლობა. 1902 წელს ჩატარდა სოფლის სა-  
ზოგადოების კრება და მიიღეს გადაწყვეტილება აეკეთა „ახალხი სახლი“, სადაც  
სოფლის სხვა კულტურულ დაწესებულებებთან ერთად თეატრალური დასიც და-  
იდებდა ბინას.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ივერიას“ კორესპონდენტი 1902 წლის ივლი-  
სის ნომერში მკითხველს აუწყებდა: „რამდენი დროც გადის, იმდენად სოფელიც  
განათლებით წინ მიდის, სხვათა შორის, ამ ბოლო დროს სოფელი თეატრსაც კ

თხოვლობს. აგრ ზუთი თუ ექვსი წელიწადი სრულდება, რაც ს. აღი ჯიხაძის წარმოდგენები იმართება და ყოველთვის წარმოდგენებს ხალხი ბლომათ ესწრება, არა მარტო დიდ ჯიხაძეიდან, არამედ სხვა მანლობელ სოფლებიდანაც. საჭიროა აქ თეატრი ანუ უკეთ რომ ვთქვათ, სახალხო სახლი, სადაც სამკითხველო შეგვეძლია მოვათავსოთ, მით უმეტეს, რომ ამ საგნისათვის სახლი უკვე მომზადებულია. ამას ძალიან ნათლად გვაჩვენებს წლებიდან აღებული წარმოდგენა, რასაც ხალხი ასე ბლომად დაესწრო, რომ უადგალობის გამო ხალხი შინსაკენ დაბრუნდა, არ ვფიქრობ, რომ ადგალობრივმა შემანახველ-გამსესხებულმა ამხანაგობამ ამ საკეთილო საქმეს ცოტაოდენი შეწყვენიზა მაინც არ აღმოუჩინოს: ადგალობრივ ინტელექტუალთა შორის სახალხო სახლის ამენების შესახებ კახეცა უკვე აღძრულია, ვნახთ შედეგ რას მოგვიტანს.

1902 წლის 14 აგვისტოს ნ.ო ჩხეიძის სახლში წავნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოადგინეს სამოქმედებიათი კომედია „სიკოთა დენშიკი“ და აკაის ერთმოქმედებიათი ვოდეილი „ბუტიაობა“. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ: ბ. მდივანი (შესაძლებელია იყოს ბუდე მდივანი — ჯ. ლ.), ალექსანდრე აბაშიძე, პოლიკარპე ლორთქიფანიძე, დავით ფალავა, ელენე გომართელისა (ცნობილი სახალხო ექიმის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ივანე გომართელის მეთულე ჯ. ლ.), ნინო ლორთქიფანიძისა, ლუბა ბიბლაიშვილი და ალექსანდრე დევიძე.

1903 წლის 28 აგვისტოს ადგილობრივმა სცენასმოყვარეებმა უფასო წავნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოადგინეს ა. ცაგარელის ოთხმოქმედებიათი კომედია „ციმბირელი“, 1904 წლის 16 აგვისტოს ვ. გუნიას დრამა „დაძმა“.

1905—1906 წლების რევოლუციის დამარცხებას მოჰყვა საშინელი რეაქციის წლები, რომლის სუსხმაც სოფელ დიდ ჯიხაძეშიც მოადგია. 1906—1907 წლებში დააბატონეს და შორეული აღმოსავლეთის გუბერნიებში გადასახლეს სოფლის ინტელექტუალთა, დიდი ნაწილი, აღარ მოქმედებდა თეატრი, დაიხურა წავნთ-საცავ-სამკითხველო, უსასტიკესი რეჟიმი დამყარდა სკოლებში. ერთი სიტყვით, რეაქციით გამოწვეულმა რეპრესიებმა სოფელში კულტურული ცხოვრება ჩაქვლა.

თეატრალური ცხოვრების აღორძინება დიდ ჯიხაძეში 1908 წლიდან დაიწყო. იმავე წლის 18 აგვისტოს თავად ნიკო ჩხეიძის სახლში წავნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა, რომლის შესახებ გაზეთ „მურდულის“ კორესპონდენტი იტყუება:

1908 წლის დეკემბერში ადგილობრივი ირკლასიანი სკოლის დარბაზში (ამდგომიდან ყველა წარმოდგენა ამ დარბაზში იმართებოდა — ჯ. ლ.) გაიმართა ქართული ვრის სასიკაძულო მამულიშვილის, მგოსან აკაკი წერეთლის სამწერლო ბავშვებს წაუციხაქთ აკაის ლექსები. შემდეგ დაუდგამთ პოეტის ნაწარმოებები „თამარ ციხერი“ და „სატუხადოში“, აღნიშნულ ღონისძიებას დაძალა ხალხი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სალიტერატურო დღეა. პირველად დასწრებია და კმაყოფილნიც დაჩვენდნენ. (გაზ. „ჩვენა ხმა“ 13. I. გვ. 3.).

1909 წლის 16 აგვისტოს სკოლის დარბაზში წავნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოადგინეს. შროლიერის ორმოქმედებიათი პიესა „სკაპენის ცულტობა.“ დასასრულს ახალგაზრდა პოეტმა ვარლამ რუხაძემ წაიკითხა საკუთარი ლექსება. პოეტი გამოიასხეს სცენაზე რამდენჯერმე და მქუხარე ტაშით დააჭილდოვეს. (გაზ. „ჩანაგი“, 28. VIII. გვ. 74.)

1910 წლის ზაფხულში (27. VII. და 16. VIII.) წარმოადგინეს ალ. ყაზბეგის სამმოქმედებიათ დრამა „არსენა“, ერთმოქმედებიათ ვოდევილი „ხელები მალა“ და ტ. რამიშვილის „მეზობლები“. ამ უკანასკნელის შესახებ გაზეთი „ახალმაგზა“ 25 აგვისტოს ნომერში წერდა: „წარმოდგენა დიდყოფი ათის ნახევარზე და გათავდა პირველ საათზე. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა. უკრავდა ორკესტრი. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. უამინდობის გამო ბევრი ხალხი გარეთ დარჩა.“

1911 წლის დასაწყისში საზოგადოებამ იხილა ივ. გომართელის ხუთმოქმედებიათ დრამა „ქოხში“. როლებს განასახიერებდნენ ქ-ნი ნინო ლოლობერიძე (თამარი), ლუბა ბიბილეიშვილი (ნასტია), ივანე ცქატიშვილი (საჩინო), აკაკი ჩხეიძე (დომენტი), ალექსანდრა ლეჟავა (ნუცა).

გაზეთ „ქოლხიდას“ იმავე წლის 20 აპრილის ნომერში მოთავსებული პუბლიკაცია მკითხველს აუწყებდა, რომ: „აღდგომის მესამე დღეს სოფ. დიდი ჭიხაიშის სცენისმოყვარეებმა, ორკლასიანი ნორმალური სასწავლებლის დარბაზში წარმოადგინეს „ერთი ნაბიჯი წინ.“ წარმოდგენის შემდეგ პოეტმა ნოე ჩხიკვაძემ წაიკითხა თავისი ახალი ლექსები, ხოლო დასასრულ ვარლამ ვაშაკიძემ მშვენიერად დაუკრა სკრიპკაზე. ხალხი დიდი კმაყოფილი დარჩა და ნასიამოვნები დაიშალა.“

1911 წლის ზაფხულში ვალერიან შალიკაშვილის დასმა დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა. ინტელიგენციის მოწვევით 16 ივლისს ისინი ხონიდან სოფელ დიდ ჭიხაიშაში ეწვივნენ. თბილისის ქართულმა დრამატულმა დასმა მყოფრებელს უჩვენა ვ. გუნიას სამმოქმედებიათ კომედია „სიძე-სიმამრი“ და ერთი ვოდევილი. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით გაზეთი „ქოლხიდა“ 27 ივლისის ნომერში წერდა: შაბათს 16 ივლისს, ს. დიდ ჭიხაიშში ხონიდან გვეტეტმრნენ თბილისის ქართული დრამატული დასის მსახიობნი: ქ-ნ ნ. ჭიხაიშვილის ქალის, შოთაძის, ვ. შალიკაშვილას, ი. ზარდალიშვილის და შ. გოგოლაშვილის მონაწილეობით.

ადგილობრივ ორკლასიანი სკოლის დარბაზში წარმოდგენილ იქნა — „სიძე-სიმამრი“ — კომედია 3 მოქმედებად ვ. გუნიასი და ერთი ვოდევილი. უნდა ვთქვათ, რომ ამგვარი მწყობრი მართლაც და ხელოვნურად შესრულებული წარმოდგენა ს. დიდ ჭიხაიშში ჯერ არ გვინახავს. საუცხოო იყო თავის როლში ბ-ნი ვ. შალიკაშვილი. დიდი შთაბეჭდილება დასტოვეს მსმენელებზე დანარჩენმა მონაწილეებმაც. სცენაც შესაფერათ და ხელოვნურად მოერაოთ გამოცდილ მსახიობთ, და ეს მავალითი სასარგებლოა ადგილობრივ სცენის მოყვარეთათვის, რომლებიც ხშირად წარმოდგენებს მართავენ აქ. დასასრულ ბ. გელამ და ნ. ჩხიკვაძემ, ბოქაულის ნებართვით, თავიანთი ლექსები წაიკითხეს. წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო და მადლიერიცაა ამ წარმოდგენისა. ბ. შალიკაშვილი ზაფხულობით უყურადღებოდ არ სტოვეს დიდ ჭიხაიშს, სადაც ხალხი წარმოდგენებს ბლომათ ესწრება და კულტურულადაც უკვე მომზადებულია ამ საქმისათვის.

დასახელებული და სხვა წერილები, რომლებიც იმდროინდელი წლების გაზეთების ნომერებშია გამოქვეყნებული, მიუთითებს იმაზე, რომ თანდათან აქტიურდება თეატრისადმი და ყოველი წარმოდგენისადმი თეატრალური კრიტიკა,

რაც აქაურ მაცურებელთა თეატრალურ ხელოვნებაში მაღალი მომზადების დროს არის განპირობებული.

ამის ნათელ სურათს წარმოადგენს 1910 წლის 26 დეკემბრს ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი გამართული ლიტერატურული საღამო, რომლის შესახებ გაზეთ „სახალხო საქმის“ კორესპონდენტი ვრცელ ინფორმაციას აწვდის მკითხველს: „კვირას 20 დეკემბრს დიდი ღიზიანის სცენისმოყვარეთა მიერ აღგილობრივი ქსენონის ექიმის ბ-ნი ევ. ლოსაბერიძის დახმარებით სოფ. დიდ ღიზიანში გამართულ იქნა ილიას საღამო.

იგი დაიწყო საღამოს 8 საათზე და გავრძელდა 11 საათამდე. საღამოს პროგრამა ძლიერ მოფიქრებულად იყო შედგენილი: დასაწყისში ექიმმა ევ. ლოსაბერიძემ გააცნო დამსწრე საზოგადოებას ილიას მოკლე ბიოგრაფია და მისი სამშობლოსადმი მოღვაწეობა სამწერლო და სამოქალაქო ასპარეზზე, რის შემდეგ სიმღერის მოყვარულთა გუნდმა დიდი ღიზიანის ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებლის ბ-ნ ნ. დევიძის (ივლისხმება ნოე დევიძე, რომელიც იყო ცნობილი დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი დევიძის მამა ჯ. ლ.) ლოტბარობით შეასრულეს „მოკლეს ილია“, რაც წინასწარ ახსნის შემდეგ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მზურვალე ტაშისცემა გამოიწვია.

შემდეგ დივერტისმენტი გაიმართა, ადგილობრივი სკოლის მოწაფეებმა, მასწავლებლებმა და აგრეთვე კერძო პირებმაც წაიკითხეს ილიას რამდენიმე რჩეული ლექსი. თითოეული წამკითხველი ხალხმა ძლიერი ტაშისცემით დააჯილდოვა, ამის შემდეგ სცენისმოყვარეთა წარმოდგენის ილიას „კაკო ყაჩაღი“ და მისი უკუდავი თხზულებიდან გადმოკეთებული „ბატონი და ყმა“. პირველმა გეგრიანად ჩაიარა: შესავალი ჩინებულად წაიკითხა ბ. ი. ცქიტიშვილმა, არა უშავდა ა. ჩხეიძეს (კაკო), კარგი იყო შ. ჩხეიძე (შაქრო).

ხოლო მეორე კი ძალიან ცუდად ითამაშეს: ქუთათელაძე გაბროს როლში არ ვარგოდა, რადგანაც არც შესაფერისი მიმიკა ჰქონდა, არც დიქცია და არც ყაჩაღური ხმის კილო, არც ა. ლევაჯა (პეპია) ვარგოდა, როლის უცოდინარობა ეტყობოდა, რაც მით აიხსნება, რომ წარმოდგენის წინ ორი საათით ადრე ჩაუბარებიათ მისთვის ასეთი პასუხსავეები როლი, აქაც ბრალი რეჟისორს უნდა დაედოს, არა უშავდა ქ-ნ. ნ. ჩხეიძეს (თამრო), ა. ჩხეიძეს (დათიკო) და შ. ჩხეიძეს (ბიძინა). დანარჩენები ანსამბლს ხელს ვერ უწყობდნენ.

დასასრულს იმღერეს „ვალალე“, „ქართლის დედა“, და გაიმეორეს „მოკლეს ილია“, რის შემდეგ ბ-ნ. გ. გელაზანიამ წაიკითხა ილიას სურათის მიმართ საკუთარი ლექსი „ის არ მომკვდარა, ის ცოცხალა“ (21. I. გვ. 3.)

გარდა თეატრალურა წარმოდგენებისა და სექტჩებისა სოფლის მოსახლეობა აწყობდა ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოებს, სერიზობა-ლატარვას და სხვა კულტურულ ღონისძიებებს. ერთ-ერთი ასეთი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო გაიმართა 1911 წლის 3 ივლისს, რომელშიც მონაწილეობდნენ ახალგაზრდა პოეტები ბარნაბ გელაზანია (ველა), ნოე ჩხიკვაძე და ვარლამ რუხაძე. მათ მაცურებელს თავიანთი ახალი ლექსები გააცნეს, ამ სანტარესო საღამოს მოწყობით ხალხი კმაყოფილი დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ დიდღიზიანულ სცენისმოყვარეებს თეატრის შენობა არ ჰქონდათ, ისინი მაინც მხნელ განაგრძობდნენ მუშაობას და მომსახურეობას უწყევდნენ არა მარტო თავისი სოფლის, არამედ ახლომხლო სოფლების მოსახლეობას, ისინი, ვერ მოსახლეობის კერძო ბინებში, ხოლო შემდეგ ორკლასიანი სა-



შეაღოს სკოლის სასწავლებლის დარბაზში მართავდნენ თეატრალურ წარმოდგენებს, რაც დიდ სულიერ საზრდოს აძლევდა ადგილობრივ მოსახლეობას და უწყობდა მათი კულტურული განათლების დონის ამაღლებას. მას შემდეგ (1912 წ.), რაც ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად ახალი კაცო დაინიშნა, მან უკანონოდ სცნო მისი წინა ხელმძღვანელის მოქმედება და აკრძალა წარმოდგენების სკოლის დარბაზში გამართა, ამით თეატრალურ დასს ნაყოფიერი მუშაობის საშუალება მოეხსო.

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ასეთმა გადაწყვეტილებამ თავისებური გავლენა მოახდინა სოფლის ინტელიგენციაზე. 1912 წლის ივლისის დასაწყისში მათ მოიწვიეს კრება და კვლავ დააყენეს საკითხი: შემოწმებულიდან შემოსული თანხით სახალხო სახლი აგეოთ. ამ საქმის განხორციელებისათვის არჩეულ იქნა სამკაცოანი კომისია, რომელსაც დაეველა ამ საქმისათვის ყურადღების მიქცევა.

ვიდრე სოფელში სახალხო სახლი აიგებოდა, საკირო იყო რაიმე შენობის გამოჩენა, რომელიც თავშესაფარს მისცემდა თეატრალურ დასს. მაგრამ ასეთი შენობის გამოჩენა ვერ მოხერხდა. თეატრის დიდმა გულშემამტკეარმა, სოფლის მომრიგებელ-შუამავალმა ქაიხოსრო ლორთქიფანიძემ, ამ კაცმა, რომლის სახლშიც გაიმართა პირველი თეატრალური წარმოდგენა. — გადაწყვიტა ქუთაისში წასულიყო და შუამდგომლობა გაეწია სახალხო სკოლების დირექტორის წინაშე, რათა ამ უკანასკნელს ნება დაერთო სოფლის თეატრალური დასისათვის სკოლის დარბაზში წარმოდგენები გაეშარათ. შუამდგომლობამ დადებითი შედეგ გამოიღო და 1913 წლის ზაფხულადან სკოლის დარბაზში წარმოდგენების დადგმა კვლავ განახლდა.

7, 28 ივლისი და 16 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა გედევანიშვილის დრამა „გამცემი“, ივ. გომართელის ვოდვილი „დრამატული საზოგადოების წევრი“, ტ. რამიშვილის პიესა „საბედიაწერო დამბაჩა“, ვოდვილი „ახირებული“ და ი. ბრეტელის მიერ გადმოკეთებული პიესა „ჩენენ სოფლის გმირები“. შემოთაღნიშნული წარმოდგენები წიგნთ-საკაც-სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართა და შემოსავალმა 275 მან. 52 კპ. შეადგინა, სამკითხველოს ყოველგვარი ხარჯის გარეშე დარჩა 131 მან. 29 კპ. (გაზ. „განთავადი“ 24, VIII, გვ. 2).

როლებს განასახიერებდნენ: ნინა ლოლობერიძე, შალვა ჩხეიძე, აკაკი ჩხეიძე, ქსენია ლეყავა და სხვა.

რაც დრო გადიოდა, სახალხო სახლის მშენებლობის დაწყებას პირი არ უჩანდა. 1914 წლის ივნისში შემხანველ-გამსესხებულთა ამხანაგობის კრებაზე კვლავ წამოიჭრა სახალხო სახლის მშენებლობის საკითხი. აქვე დაიხუა საკითხი, თუ რას მოხმარდებოდა ეს ფული, რომელიც საქველმოქმედო მიზნით იქნა შემოწირული. საზოგადოების ერთ ნაწილს დაუყენებია საკითხი, რომ აღნიშნული თანხა სახალხო სახლის მშენებლობის საქმეს მოხმარებოდა, მაგრამ კრების მონაწილეთა ერთი კვადე ამ წინადადების წინააღმდეგი წასულა. ამ საკითხს დიდი აღრზაური მოპყოლია და საკითხი გადაუწყვეტელი დარჩენილა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ჭახიშში სახალხო სახლი აშენდებოდა, ქიათურის მღალაროს მუშება საქველმოქმედო მიზნით თეატრის დეკორაციულ გაფორმებას პირდებოდნენ.

შემოთაღნიშნული კრების ჩატარების შემდეგ, არ გასულა დიდი დრო და და-

იწყო პირველი მსოფლიო ომი. მძიმე ეკონომიკურ პირობებში ჩავარდა ქალაქი და სოფელიც.

ომის დაწყებამ ახალი საზრუნავი გაუჩინა თეატრის მოღვაწეებს. სოფელში ზომრავლდა დაჭრილთა თუ დაღუპულთა ოჯახები, რომელთაც თავიანთ ყურადღებას და მზრუნველობას არ აკლებდნენ.

1914 წლის 21 სექტემბერს ომში დაჭრილთა სასარგებლოდ სცენისმოყვარეთა წრემ სიკველმოქმედო წარმოდგენა გამართა, ითამაშეს ევ. ცნობილადი ორმოქმედებიანი პიესა „მოტყუებულნი“. წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო. წმინდა შემოსავალმა 86 მან. 18 კაპ. შეადგინა. (გაზ. „ახალი აზრი“, 12. X. გვ. 4.).

1915 წელს გარდაიცვალა აკაკი წერეთელი. ერის ღირსეული მამულიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად შეიქმნა „აკაკის ფონდი“. რომლის სასარგებლოდ დიდი ჯიხაიშის სცენისმოყვარეებმა ადგალობრივი სკოლის დარბაზში იმავე წლის 3 მაისს წარმოადგინეს აკაკის ორმოქმედებიანი დრამა „ახალი გმირი“ და ვოდვეილი „ახორბეულია“. წარმოდგენამ წარმატებით ჩაიარა. წმინდა მოგება დარჩენილთ 16 მან. 30 კაპ. აღნიშნული თანხა დანარჩენ 34 მან. 50 კაპიტან ერთად „აკაკის ფონდში“ ჩაურციტვით. (გაზ. „თანამედროვე აზრი“ 16. V. გვ. 4.).

1916 წლის აგვისტოში სცენისმოყვარეებს წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ გაუმართავთ წარმოდგენა, მაგრამ რა პიესა დაუდგამთ უცნობია. წარმოდგენაზე შემოსული 160 მანეთი სამკითხველოსათვის გადაუციათ. როლებს განასახიერებდნენ ექიმი თევდორე მესხი, სკოლის ზედამხედველი სერგო ღლომბერიძე, ამ უკანასკნელის მეუღლე ნინა ღლომბერიძე, ფედოსია ქუთათელიძე და სხვა (გაზ. „თანამედროვე აზრი“ 4. IX. გვ. 4.).

იმავე წლის 24 ივლისს აქაური სტუდენტების სასარგებლოდ „გაუმართავი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. დაუდგამთ ვოდველი „გამოგონება“. როლები მშვენივრად შეუხრულებიათ ლუბა ვაშაიკეს (მარო). დავით კუხალაშვილს (მარკოზი). აკაკი კაპანიძეს (კოტე). და სხვა. ქიანთრზე უკრავდა ვარლამ ვაშაკაძე (გაზ. „ჩვენი მეგობარი“ 27. VIII. გვ. 4.).

1917 წლის ივნის-ივლისში თეატრალურმა ღასმა წარმოადგინა დრამატურგ ტ. ჩამიშვილის ორმოქმედებიანი პიესა „მეზობლები“ და „დარბეულნი“.

იმავე წლის 16 აგვისტოს სკოლის დარბაზში სცენისმოყვარეებმა „სასაღბო სახლის“ ფონდის გასაძლიერებლად წარმოადგინეს ევ. ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდი“. ის-ის იყო მეორე მოქმედება უნდა დაწყებულყო. რომ სოფლის შავრაზმელთა წრის ერთი გგუფო ხალხში შეიკრა და მყოფრებლებს ჩხუბა ატეხეს, რამაც დიდი არეულობა გამოიწვია. ნაკემი და თავ-პირ დასასხლანებული ხალხი შინასაკენ გარბოდა. ამის შემდეგ შავრაზმელები სკოლის აივანზე აიკრნენ. სადაც სცენა იყო მოწყობილი და სიკოცხლეს ეამოასაღმეს სკოლის მასწავლებელი ილიკო ქუთათელიძე. რომელიც წარმოდგენაში სპირიდონ მცირისშვილის როლს ასრულებდა (გაზ. „ალიონი“ 27. VIII. გვ. 3.).

ამეთი საბედისწერო აღმოჩნდა ეს წარმოდგენა არა მარტო ჯიხაიშის სცენის-მოყვარეთა წრის წყერებისათვის, არამედ მთელ სოფლის მოსახლეობისათვის.

სცენისმოყვარეთა დასს ყოველთვის მხარში ეუდვნენ ექიმები: ევ. გომართედი, ევ. ლოსაბერიძე, სკოლის ზედამხედველი სერგო ღლომბერიძე, მასწავლებელი დავით ფეფიაძე, სამკითხველოს გამგე ივანე ყმითიშვილი და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, „სახალხო სახლი“ მშენებლობის საკითხი პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ხანგრძლივად ვადით გადაიდო. მხოლოდ 20-იანი წლების მეორე ნახევარში გახდა შესაძლებელი ამ იდეის განხორციელება და სოფელ დიდ ჭიხაიში „სახალხო სახლი“ აიგო, რომელმაც 50-იანი წლების დასაწყისამდე იარსება. 1954 წელს აიგო ახალი სასოფლო კლუბი, რომელიც 1955 წლის სექტემბერში კულტურის სახლად გადაკეთდა.

სოფლის დრამატული წრე თავის მოღვაწეობას 20-30-იან წლებშიც აგრძელებდა. მას არც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შეუწყვეტია თეატრალური წარმოდგენების გამართვა და ახალ-ახალი რეპერტუარებით ამდიდრებდა თავის ინტორისს.

1942 წლის 24 მარტს დიდი ჭიხაიშის კლუბში ჩატარდა ანტიფაშისტურ-ლიტერატურული საღამო, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრთა ჯგუფი სიმონ წყერავას, სანდრო შანშიაშვილის, კარლო კალაძის, ვიქტორ გაბისკორიას, გიორგი კაკაბაძის და ნოე ნუცუბიძის შემადგენლობით.

1944 წელს სოფლის დრამატულმა წრემ მყუდრებელს უჩვენა 52 წარმოდგენა. შემოსული თანხით დახმარება გაეწია ფრონტელთა 23 ოჯახს.

1945 წელს დრამწრემ (ხელმძღვანელი აკაკი დევიძე) მყუდრებელს უჩვენა ა. წერეთლის „კინტო“, ა. დევიძის „მამა“, ი. შანაბლის „აფეთკატი მელაძე“, ტურისა და შეინინის დრამა „კიდილი“ და სხვა.

მთელი წლის განმავლობაში ნაჩვენები საღამო-წარმოდგენებრიდან შემოსული თანხა 40.000 მანეთს შეადგენდა.

იმავე წლის ნოემბერში სოფლის ლიტერატურული წრის წევრების მიერ ჩატარებულ იქნა დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

50-იან წლებში სოფლის თეატრალური წრე (ხელმძღვანელი მ. გოგიაძე) მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდა მოსახლეობის კულტურული მომსახურების საქმეში. 1956 წელს მან მყუდრებელს უჩვენა სექტეტეზა: მ. გოგიაშვილის „ერთი კორესპონდენტის ამბავი“, „გაცოფებულა“, „პირველი ქმრის მორჩულება“. „ერთი წუთით“. ე. გოგიაშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“, ა. აფხაძის პიესა „მაყუჩას ოინები“ და სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან სოფელ დიდ ჭიხაიში არსებობს სიმღერის ანსამბლი, რომელსაც ჯერ საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების დამსახურებული არტისტი აკაკი ბიბილეიშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო ამჟამად — თამარ ისარგიშვილი.





რაც დრო გადიოდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში თანდათან ფეხს ვდებდა ნეგატიურნი მოვლენები, რამაც თავისი ხელი სოფლის თეატრალურ ცხოვრებასაც შეახო. იქლო თეატრალურმა წარმოდგენებმა, ბოლოს კი სულ დაიშალა და დავიწყებას მიეცა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ 90-იანი წლების დასაწყისში, ხანძრის გაჩენის გამო, სოფლის კულტურის სახლი მოლიანად განადგურდა და დღეს ასეთი მდიდარი თეატრალური წარსულის მქონე სოფელი კულტურის სახლისა და თეატრალური დასის გარეშეა.

კარგი იქნება, თუ ვინმე ხელს მოკიდებს დიდ ჭიხაშიში თეატრალურა წრის აღდგენის საქმეს და უმოკლეს ხანში ამ დიდი კულტურის წარსულის მქონე სოფელში თეატრალურა ცხოვრება კვლავ აღორძინდება.

### მერის მიფური საჩუქარი

ქვეშაირიტად მეფური საჩუქარი უძღვნა თბილისის მერმა კოტე გაბაშვილმა ამას წინათ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრს — სპექტაკლ „კოლუმბიდან ბროდვეიმდეს“ (გ. ალექსიძის, პ. შურვანიძის, გ. მელიავას ჩინებული შემოქმედებითი მეგობრობის ნიშნად) დამთავრების შემდეგ, მსახიობებთან სცენაზე ავიდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, პრემიერი თენგიზ სიგუა, პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

გ. შევარდნაძემ მადლობა გადაიხადა ამ უამთასიავის უამს განხორციელებული ასეთი სპექტაკლისათვის და სთქვა ერთი მნიშვნელოვანი ფრაზა:

— თქვენი ხელოვნება ისევე სჭირდება საქართველოს, როგორც იმ ბიჭების ბრძოლა, რომლებიც ახლა, ამ წუთებში სამშობლოს იცავენ.

თბილისის მერმა კ. გაბაშვილმა კი დასის წევრებს იქვე მიღებული გადაწყვეტილება აცნობა:

— ამ ჩინებული სპექტაკლის დადგმის გამო ქალაქის მერი ხუთი მილიონი მანეთით გაჭილდოვებთ—თანხას ხვალვე გადმოგირიცხავთ.

ამ ცნობამ დასის წევრთა აღფრთოვანება გამოიწვია.

გ. მელიავამ კი უმალ უპასუხა ქალაქის მერს:

— იმ ხუთი მილიონი მანეთით ახალ სპექტაკლს დავდგამთ.

## ახალ ბაჩხიზში

### ბახხიზში

საქართველო ჩემი სამშობლო  
და ჩემი რწმენის წმინდა ტაძარი,  
სად იშვა შოთა ლელსხიგოსანი,  
სად დაიბადა დიდი თამარი..

საქართველო იგი მშობელი,  
რომელმაც მზარდა და გამაჩნა,  
იქ, ალაზანში — ამი ხმინაში  
მე მაგალობა ტყილი ნანინა..

იქ, მე სიცოცხლის შევსვი ნეტარი,  
იქ, მე ცხოვრების შევასხი ფრთები.  
მისთვის ვსულდგმულობ და თუ

მოგვედები

ამის კალთებზე დავამარტვებ..

ეს პატარა ლექსი ეკუთვნის ზეს.  
დამსახურებულ არტისტს, რეჟისორს,  
დრამატურგს, მთარგმნელს, პოეტსა და  
საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრე დი-  
მიტრის ძე ალაზნისპირელს. იგი ლბინს  
ამ ლექსით იწებდა და ამავე ლექსით  
ამთავრებდა. ამ ლექსითვე იღოცებო-  
და ხოლმე მისი სტუმართმოყვარე ოჯა-  
ხის ფეხზე და კერო.

ამგვრად მის ავტორს დაბადებიდან  
160 წელი შეუსრულდა. საწყენია, რომ  
ეგ ვერ მოესწრო თავისუფალ საქარ-  
თველოს ხილვას. ამიტომაც გვინდა  
შეიხველს ამ დაუღევაარ კაცს ცხო-  
ვრებასა და შემოქმედებაზე მდიარე წამ-  
მოდგენა შევექმნათ.

შაბობში ალ. ალაზნისპირელმა ქარ-  
თულ სცენაზე შემდეგი როლები შეას-  
რულა: ანზორ (ს. შანშიაშელის „ან-  
ზორ“), შამილი (ი. ვაკელის „შამილი“),  
ტირგზასი (სოფოკლეს „ოიდიპოს მე-  
ჯე“), გოდუნე (ბ. ლავრენცევის „რლე-  
ვა“), შმაგა (ა. ოსტროვსკის „უდანაშა-  
ულო დამნაშავენი“), პლატონ კრეჩტი  
(ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩტი“),  
აკოჯა (აქვ. ცაგარლის „ხანუმა“), პეტ-  
რუჩიო (შექსპირის „კირვეულის მოძ-  
ყულება“), კარლ ტომასი (ე. ტოლერის  
„პოპლა, ჩვენ ეცოცხლებით“) და სხვა.  
სულ 180-მდე როლი.

მან, როგორც რეჟისორმა, დადგა  
შემდეგი სპექტაკლები: ე. ნინოშვილის  
„ქრისტინე“, ა. ოსტროვსკის „უდანაშა-  
ულო დამნაშავენი“, ა. კორნეიჩუკის  
„პლატონ კრეჩტი“, მ. გორკის „მტრე-  
ბი“, ნ. შიუჟაჟვილის „სულელი“,  
ე. კირშონის „პური“. მის კალამს ეკუ-  
თვნის 20-მდე პიესა. მაგ.: „დოლარე-  
ბის სამეფოში“, „გერმანელები“, „ბო-  
ქუნა“, „მომხსენებელი სოფლად“, „მე-  
ლის მარწუხებში“, „სოციალური ფესვები  
„მეშვენი“ და სხვა.

ალ. ალაზნისპირელს ქართული ე-  
ნოს წინამეც მიუძღვის ღვაწლი. მან

კინოფილმებში შემდეგ როლებში შე-  
ასრულა: კიკოლა („ქაჯანა“, რეჟ. კ. ჰი-  
პინაშვილი), ხუროთმოძღვარი („გაორგი  
სააკაძე“, რეჟ. მ. ჭიჭინაძე), მათე  
(„უცუქნას მზითვეი“, რეჟ. დ. რონდ-  
ე) და სხვა. ასევე სისტემატურად მო-  
წოდებულია ფილმების ქართულად  
გამოვანებაში, ხოლო 90 წლის ასაკში  
აღ. ალაზნისპირელმა წარმატებით გა-  
ნახორციელა მამის მთავარი როლი კი-  
ნოფილმში შექსპირის „შეცდომათა კო-  
მედია“ (კინოსტუდია „მოსფილმი“).

გარდა ამისა, ალ. ალაზნისპირელი,  
მუშაობდა ტყაბულის, ლანჩხუთის,  
გორის, ბორჯომის და წითელწყაროს  
ოელაეის, ქუთაისის, ბათუმის, ქე-  
ლურისა და სხვა ქალაქების თეატრებ-  
ში.

იგი იყო მრავალ ლექსისა და ჩანა-  
ხატის ავტორი, უამრავი კეთილი საქ-  
მის ენთუზიასტი, აღმზანის მრწამსისა  
და ღირსებების შეუპოვარი დამცველი.

1958 წლის დეკემბერში საქართვე-  
ლოს თეატრალურმა საზოგადოებამ და  
ქათურის აკადემიის წევრების სახ. სა-  
ხელმწიფო დრამატულმა თეატრმა ალ.  
ალაზნისპირელს სასცენო მოღვაწეობის  
40 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო  
კავშირით. მის პატივსაცემად დაიდგა  
ბ. ლავრენიევის „რძევა“, სადაც ალა-  
ზნისპირელი გოდუნის როლს ასრუ-  
ლებდა. ბერსენევი იყო აკადემიის ხორავა,  
ბერსენევა — დათბაშვილი, ტატიანა-  
სააკაშვილი, შტუბე — მიხ. ვაშაძე, ქსე-  
ნია — ესპიშვილი, იარცევი-ქაშაძე,  
პოლევოი — გ. მოდუბაძე, შვაჩი —  
გ. ტყაბლაძე. სპექტაკლი დადგა პავლე  
ფრანკიშვილმა.

ვერ უუგებოდა საქართველოს  
ქსიას. საქართველოს აგი დაბადებ-  
დაწვე შეტრფოდა, მისი სუნთქვით  
სულდგმულობდა და აი, გარდაცვალე-  
ბის წინ, ახეთი აღსარება დაწერა:

მე, არასოდეს არ მიფიქრია  
ჩემი თავისთვის ამეგო ძველი...  
საქმისთვის ზრუნვა არ დამიკლია!  
ამით სამშობლოვ, ვიღწვიდი შენთვის!

გრძელი ცხოვრება შემაცვდა ხელში  
ტანჯვაც და ლხინიც მინახავს უხვად,  
შეგრამ მამულს შენდამი ტრფობა,  
სადაც წავედი, თან მდევდა მუღამი..

შენს სიყვარულში გავქადარავდი,  
ბებერი გული შენთვის ანთია.  
შენთვის ვცოცხლობ და შენთვის  
მოვკვდები  
წაიღე, თუკი, რამ მამაღია...

მე, ჩემი ერის აღმასვლა მალხენს  
სამარადისოდ იმისი ტყვე ვარ  
და თუკი, რამე კეთილი ვნახე  
ჩემი სამშობლოს მადლია ყველა..

წლები გადრინდნენ, როგორც ჩიტები  
თავის შრომით და თავის ოცნებით.  
სიბერეს, მაინც, არ ვუშინდები  
შენთვისვე ვიღწვი თავგამოდებით..

მამულზე ტრფობამ, არ იცის დაღლია,  
რადგან დიდი სიყვარულია,  
როცა სამშობლო ბედნაერი,  
სამარეშიაც გაზაფხულია..

«ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБА» («ТЕАТР И ЖИЗНЬ»)  
№ 1 (197) 1993 г. Тбилиси  
Редактор ГУРАМ БАТИАШВИЛИ

---

ტიქნოურ რედაქტორი

მამუკა ბერძენიშვილი

კორექტორი

მარინე მასაძე

მხატვარი

სოფიო სალუშვაძე

---

გადაეცა წარმოებას 15/11 93 წ.  
ხელმოწერილია ფასბეჭდად 31/111 93 წ.  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 6.98  
ნაბეჭდი თაბაზთა რაოდენობა 6,5  
შეკვეთა 200  
ტირაჟი 1000  
ინდექსი 76143

ფასი 15 მან.

---

რედაქციის მისამართი: თბილისი - 380007, გ. ლეონიძის ქ. № 11-ა, ტელ. 99,90-96

---

საქ. თეატრის მოღვაწეთა კავშირის სტამბა, თბილისი, კლ. ცეტკინის ქ. №133  
Типография Союза театральных деятелей Грузии, Тбилиси  
ул. Кл. Цеткина № 133